

15023
4



ქართული წყაროთმცოდნეობა

IV

სპეც-2000
შემოწმებული

« მუცნიერება »
1 9 7 3

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ИНСТИТУТ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ И ЭТНОГРАФИИ
ИМ. И. А. ДЖАВАХИШВИЛИ



1973



Грузинское источниковедение

IV

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1973

15412

2512

1-160

ქართული წყაროთმცოდნეობა

IV

22212
K15023
4

22212



901 (C 41)
902 (46.922)
ქ 279



კრებულში შესულ გამოკვლევებში საქართველოს ისტორიის წყარომცოდნეობის საყურადღებო საკითხებია განხილული. კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია ქართულ, სომხურ, არაბულ, სპარსულ, თურქულ წყაროთა ცნობებზე და მათი ანალიზის საფუძველზე გარკვეულია შუა საუკუნეთა საქართველოს ისტორიის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი.

სარედაქციო კოლეგია:

- ზ. ალექსიძე
- მ. ბერძნიშვილი
- რ. კიკნაძე
- ბ. სილაგაძე
- თ. ყაუხჩიშვილი

ლეონტი მროველის ერთი ცნობის განმარტებისათვის

XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის თხზულებაში — „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ დატულია ცნობა მირიან ქართლის მეფის ხაზარებთან ბრძოლის შესახებ:

„უფროსი ლაშქრობა მისი იყვის დარუბანდს. რამეთუ მოვიდიან ხაზარნი და მოადგიან დარუბანდს, რათამცა წარიღეს და განაღეს კარი ფართო, და მუნით იწყეს გასლვად სპარსთა ზედა. ხოლო ოდეს მოვიდიან ხაზარნი დარუბანდს, მაშინ წარვიდის მირიან შუელად დარუბანდისა: ოდესმე უომრად მიპრიდიან ხაზართა მათ მირიანს, და ოდესმე ბრძოლითა აოტნის“. ამგვარი ბრძოლები ქართლის მეფისათვის უცხო არ ყოფილა. ერთგან ის ეუბნება თავის ძმას ბარტამს: „პირმშო შვილი ვარ მე მამისა ჩემისა და საუფლისწულოდ ებოდნეს ქუეყანანი უცხონი მკლავითა წახმულნი, და მუნ ყოველნი დღენი ჩემნი დამიყოფიან ბრძოლასა შინა ხაზართასა, და მრაველაზის სისხლითა ჩემითა დამიცავს სპარსეთი ხაზართაგან“¹.

რა წყარო უნდა ჰქონოდა ლეონტი მროველს მირიან მეფის ხაზარებთან ბრძოლის ამბების აღწერისას ნათელი არ არის, მაგრამ იძებნება ბარალეული მასალა, რომელიც მხარს უჭერს და ამბავებს მოტანილ ცნობას. VII საუკუნის ძველი სომხური საისტორიო თხზულება „ალბანეთის ისტორია“, რომლის ავტორად მოსე კალანკატუელია მიჩნეული, შეიცავს თხრობას სიგნიეთის მთავრის ანდოკას აჯანყების შესახებ ირანის შაჰის შაბურ II-ის (309—379) წინააღმდეგ (350 წ. ახლოს). სწორედ ამ დროს:

... ჯასანტერ ჯამეროა ქ ყოან არკონი, ხმქ სთაღირე რაყამარისი ყნყიდე სიქნ დნე ჴოან ჶიყაქ ქაქსარა მხრი ხე ძიოიქ ანქსილ არაქსალ ნთაყნე მსორიე, შორასანხი, შირაქაიქ, ხა ათასიქ კაჯაგენ ჴარსიე მარეყათასკან ნაზანყენ, ჶაიყე, ჴრავე, მკოანსიე ხ თასან ხ სრქო ქეკოაყ სოძაგოძ ადყაყ ქსრქნნ ჴიქქასთ. სიქაქ გნაყ ანჯამარ გოიგენ ქ ექამქ ჯარქანსქ ნიყა...

...მოაღწია ამბავმა სამეფო კარზე, რომ ხაზარების დიდი ურღო გამოვიდა ჩოლას კარიდან ჩვენს ქვეყანაში. შაბურმა დიდძალი ხალხი შეკრიბა ასურეთში, ხორასანში, ხორაზმში, განსაკუთრებით — მამაცი სპარსელები ატრპატაკანის ოლქში, სომხეთში, ქართლში, ალბანეთში და კავკასიის მთების თორმეტენოვან ბარბაროს ტომებში. ამ უთვისე ჯარით წავიდა მათ წინააღმდეგ საბრძოლველად.

¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 66, 67.

² შიქიხსაქი ყაღანსკათიჯიეი ჴათამიქინ მკოანსიე აქსარნი, თბ., 1912, გვ. 120—121.

შინ ირანი ფლობდა), ყველგან ხაზარებს უწოდებენ მათ. აღნიშნული ავტორები მაშინ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ, როდესაც ხაზართა სახელმწიფო უკვე წარმოქმნილი იყო და ამდენად ხაზარებიც კარგად იყვნენ ცნობილი. სხვა ვითარებაა VI საუკუნის ბიზანტიელ მწერლებთან. ისინი კავად I-ის დროინდელ ისტორიულ მოვლენებზე საუბრისას, ჩრდილო კავკასიიდან წამოსულ ხაზარებად არ იხსენიებენ. ცხადია, VI საუკუნეში ხაზარები ჯერ კიდევ არ არიან გამოსული ფართო სამოქმედო ასპარეზზე და ამდენად მათი სახელიც არა ჩანს. ამ მხრივ ნიშანდობლივია პროკოპი კესარიელის აღწერა, რომლის მიხედვით, „კასპის კარს იქით თითქმის მთლიანად მხოლოდ ჰუნთა ტომები დამკვიდრებულან“¹⁰. ასევე ჰუნებად მიიჩნევენ მათ იოანე მალალა, ფსევდო ზაქარია (რომლის კრებულში *Historia Miscellanea*-ში შესულია ზაქარია რიტორის „საეკლესიო ისტორია“), მენანდრე და სხვები.

ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ცნობებიც იმ ისტორიკოსებს ეკუთვნის (ლეონტი მროველს და მოსე კალანკატუელს), რომელთა მოღვაწეობის პერიოდში ხაზართა სახელმწიფო უკვე არსებობდა. ამდენად ისინიც, მსგავსად არაბულენოვანი ავტორებისა, წინა დროის ამბებს, რაც ჩრდილო კავკასიის ხალხებს უკავშირდებოდა, ხაზარებს მიაწერდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ხაზართა მიმართ ეს ცნობები ანაქრონიზმად მიიჩნევა, თვითონ ფაქტი, ჩოლა-დერბენდის მხრიდან წამოსული მებრძოლი რაზმების მიერ ამიერკავკასიის ტერიტორიების ხშირი დალაშქვრა და მირიან მეფის მონაწილეობა მათ წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლებში, სინამდვილეს უნდა ასახავდეს.

Л. С. ДАВЛИАНИДЗЕ

К ТОЛКОВАНИЮ ОДНОГО СООБЩЕНИЯ ЛЕОНТИ МРОВЕЛИ

Резюме

По сообщению грузинского летописца XI века Леонти Мровели царь Картли Мирриан (I пол. IV в.) совершил свой «большой поход» против хазар и двинул войска к Дербенту.

Известно, что хазары на Северном Кавказе создали самостоятельное государство лишь в конце первой половины VII века. Однако, арабские, армянские и грузинские источники содержат сведения о хазарах относящиеся к значительно раннему периоду. В частности, подобное сообщение встречается у автора VII в. Мовсеса Каганкатвацци («История Албании», кн. II, гл. I), которое хорошо согласуется с вышеотмеченным изложением Леонти Мровели.

На основе этого момента, автор статьи предполагает, что в IV веке на самом деле велись ожесточенные бои с некоторыми племенами Сев. Кавказа, а летописцы последующих времен приписали их хазарам.

¹⁰ ს. ყაუხჩიშვილი, გეოგრაფია, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, თბ., 1965, გვ. 72.

მანანა ზაბაშვილი

თბილისი 1082—1122 წლებში

1082—1122 წლების თბილისის ისტორიისათვის მცირე ცნობები მოიპოვება როგორც ქართულ (დავით აღმაშენებლის ისტორიისი), ისე უცხოურ (არაბულ, სპარსულ, სომხურ...) წყაროებში.

აღმოსავლური წყაროებიდან უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია ალ-ფარიკი, რომელიც აღწერილი ამბების თითქმის თანამედროვე იყო და, როგორც ცნობილია, ერთ ღროს დემეტრე I-ის კარზე მოღვაწეობდა.

არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი (1116 — გარდაიცვალა 1176 წლის შემდეგ) ავტორია „მაიაფარიკინის ისტორიისა“ (من تاريخ ميفارقين). დაწერილია იგი 560 (1165) წელს. ბრიტანეთის მუზეუმში ინახება ამ თხზულების ორი ხელნაწერი. ერთი მათგანი (nr. 5803) გადაწერილია 572 (1176/7) წელს, მაგრამ არასრული და ფრაგმენტულია.

არანაკლებ საინტერესოა მეორე არაბულენოვანი ისტორიკოსის სიბტ იბნ ალ-ჯაუზის (1186—1257) ცნობა 1082—1122 წლების თბილისის შესახებ. სიბტ იბნ ალ-ჯაუზი შედარებით გვიანდელი ხანის ისტორიკოსია, მაგრამ, როგორც ჩანს, მას გათვალისწინებული ჰქონდა თბილისის ისტორიის ამსახველი უფრო ადრინდელი არაბული წყაროები, მათ შორის აგრეთვე ალ-ფარიკის ცნობები.

ალ-ფარიკისა და სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობებმა 1082—1122 წლების თბილისის შესახებ პირველად ზოგად, ევროპულ ორიენტალისტიკურ ისტორიოგრაფიაში გაიკვლიეს გზა, შემდეგ კი ეს მასალა ქართული ისტორიოგრაფიის შესწავლის საგნად იქცა.

მ. დეფრემერი პირველი იყო, რომელმაც ყურადღება მიაქცია XI—XII სს. საქართველოსა და, კერძოდ, თბილისის ისტორიის არაბულ წყაროებს. მან შეისწავლა პარიზის ნაციონალურ და ლიედენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში დაცული ხელნაწერები სიბტ იბნ ალ-ჯაუზის თხზულებისა („ეპოქის სარკე გამოჩენილ პირთა ისტორიის მიხედვით“ — من كتاب مرآة الزمان في تاريخ الاعيان) რომელშიც საინტერესო ცნობები მოიპოვებოდა XI—XII სს. თბილისის შესახებ. მან ამ ცნობების ფრანგული თარგმანი (არაბული ორიგინალის გარეშე) გამოაქვეყნა 1849 წელს¹.

1851 წ. იგივე ტექსტი, ოდნავ შემოკლებული სახით, დაბეჭდა მ. ბროსემ².

¹ M. Deffrémery, Fragments de géographes et d'historiens arabes et persans inédits, relatifs aux anciens peuples du Caucase et de la Russie Meridional, Journal asiatique, Quatrième série, t. XIII, 1849, გვ. 485.

² M. Brosset, Additions et éclaircissements à l'Histoire de la Georgie, St. Peterbourg, 1851, გვ. 242.

1897 წ. ი. მაჭავარიანმა დეფრემერისეული ფრანგული თარგმანის საფუძველზე გამოსცა სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ტექსტის ქართული თარგმანი.³

1967 წ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომების აღმოსავლეთმცოდნეობის სერიაში გამოქვეყნდა თ. ცქიტიშვილის წერილი, რომელშიც ქართული კიდევ ექვევა ყურადღება სიბტ იბნ ალ-ჯაუზის თხზულების სათავეს ტექსტს⁴. ხსენებულ წერილში არაბულ ნაწილს თან ახლავს ქართული თარგმანი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ კონტექსტის შინაარსი შეიცავს საინტერესო ცნობებს XI—XII სს. საქართველოსა და თბილისის შესახებ.

გაცილებით გვიან მიეცა ყურადღება ალ-ფარიკის ცნობას როგორც ზოგად, ისე ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ალ-ფარიკის თხზულებით და მისი ცნობებით ჩვენი საუკუნის დამდეგს დაინტერესდა ინგლისელი აღმოსავლეთმცოდნე პ. ამედროზი. მის გამოკვლევაში მოცემულია ალ-ფარიკის ბიოგრაფიული ცნობები, ხელნაწერთა აღწერილობანი და ცალკეული ადგილების ინგლისური თარგმანი⁵.

ვ. მინორსკიმ „ისლამის ენციკლოპედიისათვის“ დაწერილ სტატიაში — „თბილისი“ — გამოიყენა პ. ამედროზის ზემოთ დასახელებული გამოკვლევა. ვ. მინორსკის არ მოუცია ტექსტის ანალიზი, მან უბრალოდ აღნიშნა ალ-ფარიკის ცნობის მნიშვნელობა თბილისის ისტორიისათვის⁶.

1930 წ. თერანში ირანელმა ისტორიკოსმა ქესრევი თავრიზელმა სამ წიგნად გამოსცა ნაშრომი „დაღიწყებული ხელმწიფენი“ (شهریاران گمنام), რომლის მე-3 ტომში მოტანილია ალ-ფარიკის თბილისთან დაკავშირებული ნაწიყვეტიანი სპარსული თარგმანი⁷. მას ეს ცნობა დასჭირებდა თბილისის საამიროს ჯაფარიანთა დინასტიის ხანგრძლიობის გამოსარკვევად⁸. აღსანიშნავია, რომ ირანელმა მეცნიერმა ალ-ფარიკის ისლამის ერთ-ერთი საუკეთესო ისტორიკოსი უწოდა.

ქესრევი თავრიზელის პუბლიკაციის საფუძველზე ვლ. ფუთურძემ 1942 წელს ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად შემოიტანა ალ-ფარიკის ეს მეტად საინტერესო და საყურადღებო ცნობა. მან შეასრულა ტექსტის ქართული თარგმანი და შესაბამისი კომენტარებიც დაურთო⁹.

ამრიგად, ქართულ ისტორიოგრაფიაში ალ-ფარიკის ცნობა XII ს. თბილისის შესახებ შემოვიდა არა პირდაპირი გზით (არაბული ორიგინალიდან), არამედ XX საუკუნეში შესრულებული მისი სპარსული თარგმანის მეშვეობით.

³ ი. მაჭავარიანი, არაბ და სპარსელ მწერალთა გეოგრაფიული და ისტორიული ცნობანი საქართველოს შესახებ, თურნ. „მოამბე“, 1897, XII, გვ. 5. შვ. 6. II.

⁴ თ. ცქიტიშვილი, სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 118, 1967, გვ. 204—206.

⁵ H. F. Amedroz, Three Arabic Mss on the History of the city of Mayyafariqin, JRAS, 1902, გვ. 783—812.

⁶ V. Minorsky, Tiflis, Tirage à part de l'encyclopédie de l'Islam, Leyde, 1930, გვ. 795.

⁷ شهریاران گمنام بختی سومین شادایان نگارش کسروی تبریزی، طهران، ۱۳۰۷
ინგლისური სათაური: The forgotten rulers (Shaddadits), by S. A. Kasrawi Tabrizi, vol. III, Teheran, 1930.

⁸ ვ. ფუთურძე, არაბი ისტორიკოსი XII ს. თბილისის შესახებ, ენიშკის მოამბე, ტ. VIII, 1942, გვ. 139.

⁹ ვ. ფუთურძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 139—143.

1949 წ. ვ. მინორსკი ხელახლად დაუბრუნდა ალ-ფარიყის ცნობას თბილისის შესახებ. მან ბრიტანეთის მუზეუმის ხელნაწერების საფუძველზე გამოაქვეყნა მისი ინგლისური თარგმანი (არაბული ტექსტის გარეშე). თარგმანს შან დაურთო კომენტარები, სადაც მოცემულია 1082—1122 წლების თბილისში არსებული ვითარების ანალიზის ცდა¹⁰.

ალ-ფარიყის ცნობების მნიშვნელობა საგანგებოდ აღნიშნა აკად. გ. წერეთელმა და გარკვეული დასკვნებიც გააკეთა¹¹.

მანვე 1949 წ. „არაბულ ქრესტომათიაში“ გამოაქვეყნა ალ-ფარიყის ცნობის არაბული ტექსტი¹². არაბი ისტორიკოსის თხზულების ამ ნაწყვეტის პუბლიკაციას საფუძვლად დაედო ბრიტანეთის მუზეუმის ზემოთ უკვე დასახელებული ხელნაწერები, რომელთა ფოტოპირები გადაღებულ იქნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის დაკვეთით. „ქრესტომათიის“ შესავალ წერილში გ. წერეთელმა კომენტარები გაუკეთა ალ-ფარიყის თხზულების გამოქვეყნებული ნაწყვეტის ტექსტს¹³.

1957 წ. ა. მამედოვა გ. წერეთლის „არაბულ ქრესტომათიაში“ გამოქვეყნებული ალ-ფარიყის არაბული ტექსტის საფუძველზე შეასრულა მისი რუსული თარგმანი¹⁴.

XI—XII სს. თბილისის ისტორიის კვლევისას ალ-ფარიყის ცნობებს მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო თავის ნაშრომებში რ. კიკნაძემ¹⁵.

ალ-ფარიყის ცნობის ანალიზი მოცემულია აგრეთვე ვ. კობალიანის წერილში „თბილისელთა ორიენტაციის საკითხისათვის 1121—1122 წლებში“¹⁶.

1962 წ. გამოვიდა შ. მესხიას წიგნი „საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში“, რომელშიც ალ-ფარიყის ცნობის ვრცელი და საფუძვლიანი ანალიზია მოცემული¹⁷.

ალ-ფარიყის ცნობის გამო გარკვეული მოსაზრებები აქვს გამოთქმული ვ. ვაბაშვილს¹⁸.

როგორც ვხედავთ, ალ-ფარიყის „მედიფარიყინის ისტორიის“ თბილისთან დაკავშირებული სათანადო კონტექსტი საფუძვლად დაედო არაერთი ქართველი მკვლევარის მოსაზრებებსა და შეხედულებებს და საზოგადოდ, ფართო ადგილი დაიკავა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

¹⁰ V. Minorsky, *Caucasica in the History of Mayyāfāriqin*, Bulletin of the School of Oriental and African studies, University of London, V. XIII, 1949, გვ. 27—35.

¹¹ გ. წერეთელი, სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის, თსუ სამეცნიერო მოხსენებათა კრებული, № 1, 1947, გვ. 40—41.

¹² გ. წერეთელი, არაბული ქრესტომათია, 1949, გვ. 68—75.

¹³ გ. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6—8.

¹⁴ А. Мамедов, Ахмед ибн Лютфулах (Мунеджим-баши). «Джами ад-дувал», Труды института истории АН АЗССР, т. XII, 1957, стр. 222—225.

¹⁵ რ. კიკნაძე, არაბული და სპარსული წყაროები XI—XII სს. თბილისის შესახებ. „ციცქარი“, 1953, № 10; მისივე XI—XII სს. თბილისის ისტორიიდან, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაკვ. 1, 1960, გვ. 110—111.

¹⁶ ვ. კობალიანი, კრებული „თბილისი 1500 წლისა“, თბ., 1953.

¹⁷ შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962.

¹⁸ ვ. ვაბაშვილი, თბილისის მშობიარეობა X—XI საუკუნეებში, თსუ შრომები, ტ. 108, გვ. 348—349. მისივე, ქალაქ თბილისის სოციალური ისტორიიდან (კრებულში წერეთლის ცნობის განმარტება), ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, 1, თბ., 1966, გვ. 123—126.

ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი (ვლ. ფუთურიძე, გ. წერეთელი, შ. ბენსია და სხვ.) ალ-ფარიკის ცნობის შინაარსიდან გამომდინარე 1082—1122 წლების თბილისში კომუნისდაგვარ დაწესებულებას და თვით კომუნას ხედავს ისტორიკოსთა გარკვეული ნაწილი კი აღნიშნული ხანის თბილისში არსებულ როგორც საქალაქო კომუნის, ისე საქალაქო თვითმმართველობის არსებობას (ვ. გაბაშვილი და სხვ.).

ვ. მინორსკი, მაგალითად, 1082—1122 წლების თბილისში არსებულ ვითარებას ორმოცწლიან ანარქიას უწოდებდა¹⁹. ასეთი ერთიმეორის გამომრიცხველი შეხედულება და დასკვნა კეთდებოდა ერთი და იმავე ცნობის შინაარსის საფუძველზე.

დამატებითი მასალები ალ-ფარიკის ცნობის შესწავლისა და გაანალიზებისას შეიძლება მოვიხმოთ მხოლოდ სიბტ იბნ-ალ-ჯაუზის თხზულებიდან, რადგან, რამდენადაც ვიცით შესადარებლად სხვა აღმოსავლური წყარო არ მოგვეპოვება.

სიბტ იბნ-ალ-ჯაუზის ცნობა, ალ-ფარიკის ცნობისაგან განსხვავებით, არ გამხდარა სპეციალური დაკვირვებისა და შესწავლის საგანი, თუმცა დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის დახასიათებისას ეს არაბულენოვანი ისტორიკოსი არაერთი ქართველი მკვლევარის მიერ არის დასახელებული და დამოწმებული (ივ. ჯავახიშვილი, ს. მაკალათია, ა. კიკვაძე, ვ. კობალიანი და სხვ.)²⁰. სიბტ იბნ-ალ-ჯაუზის ასახელებენ ისინიც, ვინც ასე თუ ისე ეხებოდა XI—XII სს. თბილისის ვითარებას ალ-ფარიკის აღწერილობის მიხედვით (ვლ. ფუთურიძე, ო. ცქიტიშვილი). მაგრამ ფაქტიურად არ დასმულა საკითხი ალ-ფარიკისა და სიბტ იბნ-ალ-ჯაუზის ცნობების ურთიერთმიმართების თაობაზე. ეს ალბათ უნდა აეხსნათ იმით, რომ მკვლევრები უპირატესობას ანიჭებდნენ ალ-ფარიკის (და საუკუნით მართებულადაც), მაგრამ ნეგატიურ დამოკიდებულებას ამკლავებდნენ სიბტ იბნ-ალ-ჯაუზის ცნობების უეჭველობისა და ღირსების მიმართ. მაგრამ ალ-ჯაუზი ერთი იმათგანია, ვინც როგორც ჩანს, სარგებლობდა ალ-ფარიკის ცნობებით.

ინგლისელი მეცნიერი ამედროზი თვლიდა, რომ სიბტ იბნ-ალ-ჯაუზი სარგებლობდა ალ-ფარიკის თხზულებით და თბილისის შესახებ ცნობებიც მისგან ჰქონდა ნასესხები, მაგრამ დამახინჯებული სახით²¹ (პ. ამედროზის ამ მოსაზრებას იზიარებს ვლ. ფუთურიძე)²².

ო. ცქიტიშვილის აზრითაც, სიბტ იბნ-ალ-ჯაუზის შეცდომები აქვს დაშვებული თბილისის ამბების აღწერისას²³. ამდენადვე არ შეიძლება საინტერესო არ იყოს ალ-ფარიკის და ალ-ჯაუზის ცნობების ურთიერთშეჯერება. ამ მიზნით ქვემოთ მოგვაქვს სათანადო კონტექსტები როგორც ერთი, ისე მეორე ისტორიკოსის თხზულებიდან.

ალ-ფარიკი:

„ხუთას ხუთმეტ (1121/22) წელს თბილისის ხალხმა ნეკამ ად-დინ ილ-ლაზის მოწვევა გაუგზავნა, რათა მონაწილეობა დაეცათ მისთვის თბილი-

¹⁹ V. Minorsky, დასახ. ნაშრ. გვ. 29.

²⁰ უველა დასახელებული ავტორის სათანადო ნაშრომი შიითიებული აქვს ო. ცქიტიშვილს (ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 201).

²¹ H. F. Amedroz, დასახ. ნაშრ. გვ. 782—812.

²² ვ. ფუთურიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 142—143.

²³ ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 207.

სი. ამაზე წინ კი ორმოცი წლის განმავლობაში იგი (თბილისი) იყო მისი ხალხის ხელში და მათ (თბილისელების) მფლობელად (მულაქ) ორასი წლის მანძილზე იყო ჯგუფი ადგილობრივი ხალხისა, ჯაფარიანებად წოდებული, რომელიც ამოწყდა. შემდეგ გამგებლობა გადავიდა მისი (თბილისის) ხალხის ხელში და იყოველ თვეს განაგებდა [ქალაქს] ერთი მათგანი²⁴.

სიბტ იბნ ალ-ჯაუზი:

„თბილისის მცხოვრებთა ერთ-ერთი გვარი, რომელსაც უწოდებდნენ ბანუ ჯაფარს, ფლობდა ქალაქს ორას წელიწადს. შემდეგ სამ გვარის მოხუცები გადაშენდნენ და დარჩნენ [მხოლოდ] ყმაწვილები, რომელთაგან თითოეული [მართავდა თბილისს] ერთ თვეს. ასე დაჰყვეს მათ ორმოც წელს. დავითმა, მეფემ აფხაზთა და ქართველთა, ძლიერ შეავიწროვა ისინი“²⁵.

როგორც ვხედავთ, ალ-ჯაუზი ზუსტად იმეორებს ალ-ფარისის ცნობას, ოღონდ იბნ ალ-ჯაუზი „ხალხის“ მაგიერ ასახელებს „ყმაწვილებს“. ალბათ „ყმაწვილების“ დასახელებამ აფიქრებინა მკვლევართ, რომ სიბტ ალ-ჯაუზი ამბინჯებს ალ-ფარისის ცნობას. ამიტომ ბუნებრივად ისმის კითხვა: შეიძლება თუ არა ერთმანეთს დავეუკავშიროთ ალ-ფარისის „ხალხი“ და ალ-ჯაუზის „ყმაწვილები“?

სპეციალურ ლიტერატურაში „ხალხი“ გაიგივებულია დაბალ საზოგადოებრივ ფენებთან. შუა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში „ხალხის“ ცნების ქვეშ ყველგან ნაგულისხმევი იყო: წვრილი ვაჭრები, ხელოსნები, მტვირთავეები, დაქირავებული მუშები, ფეხზე მოვაჭრენი, ქალაქის ღარიბები²⁶.

იგივე შეიძლება ვთქვათ XI—XII საუკუნეების თბილისის მიმართაც. წყა-

و في سنة خمس عشرة و خمسمائة نفذوا اهل تقيس الى نجم الدين ايلغازي و يستأمنونه ليسلموا اليه تقيس و كان آقا بيد اهلها مدة اربعين سنة و كان ملاكها قوم (من اهلها) يسمون بنوا جعفر من مقدار ماتى سنة فانقرصوا. فولى اهلها و كان كل احد (ف. წერეთელი, არაბული ჰრესტომათია, გვ. 68, თარგმანი შესრულებულია პროფ. ალ. ლევაშვილის მიერ; შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 62).

كان قوم من اهل تقيس يقال لهم بنو جعفر قد ملكوها فاقاموا ماتى سنة ثم انقرض كبارهم و بقى شبابهم كل واحد منهم شهرا فاقاموا على ذلك اربعين و كان داؤد ملك الابخاز و الكرج قد ضايقا مضايقة شديدة... من كتاب مرآة 1951 = 1370. حيدرآباد... تاريخ الاعيان... ციტირებულია ო. ცქტიშვილის დასახელებულ ნაშრომის მიხედვით, გვ. 204. მასვე ვუთენის თარგმანი, გვ. 205. ო. ცქტიშვილის თარგმანი: [ამ გვარის] მოხუცები გადაშენდნენ და დარჩნენ [მხოლოდ] „ყმაწვილები“, მ. დედოქერის მერ ოდნავ განსხვავებული ნიუანსით არის გაღათარგმნილი: „les anciens de cette famille vinrent à mourir, et il ne resta pour les remplacer que des jeunes gens“. Journal Asiatique, Quatrième série, т. XIII, 1849, გვ. 485. ამრიგად, ერთი შეხედვით, ალ-ჯაუზის თითქმის მხედველობაში აქვს ჯაფარიანთა ბუნებრივი გადაშენება, რის გამოც თბილისში იძულებული იყვნენ (დედოქერის თარგმანის მიხედვით) გადასვენებული მოხუცები შეეცვალათ ყმაწვილებით, ახალგაზრდებით.

²⁶ Л. Строева, К вопросу о социальной природе исмаилитского движения в Иране в XI—XIII вв. Вестник ЛГУ, № 20, 1963, გვ. 4, ვ. გაბაშვილი, ქალაქ თბილისის სოციალური ისტორიიდან (ეპითაღმწერლის ერთი ცნობის განმარტება) გვ. 126; შ. გაბაშვილი, ქალაქის საზოგადოებრივი ფენები „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, თბილისის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. X, 1970, გვ. 164—168. შ. მესხია „თბილისის ხალხი“ გაიგივებული აქვს ქართული წყაროების „ტფილელ ბერებთან“, ე. ი. „ქალაქის კეთილშობილებთან“ და „დიდაჭრებთან“ (შ. მესხია, დასახ. ნაშრ. გვ. 147).

როების „თბილისის ხალხიც“, ჩვენი აზრით, ქალაქის დაბალ, მწარმოებელ მოსახლეობას უნდა გულისხმობდეს. ვ. გაბაშვილმა ყურადღება მიაქცია იქამ, რომ ალ-ფაიკის „თბილისის კეთილშობილთა ჯგუფი“ თავისი მდგომარეობით აშკარად განსხვავდება ალ-ფარიკის „თბილისელი მდგომარეობის“²⁷ უაღრესად ნიშანდობლივია ისიც, რომ „თბილისის კეთილშობილთა ჯგუფი“ გაბატონებულია XI ს. 70-იანი წლების თბილისში, მაშინ როდესაც ალ-ფარიკის მიხედვით 1082—1122 წლების თბილისში „ხალხი“ ბატონობს.

ამ თვალსაზრისით ალ-ჯაუზის „მოხუცები“ შეიძლება გავაიგიოთ ალ-ფარიკის „თბილისის კეთილშობილთა ჯგუფთან“ (ქართული ტერმინოლოგიით „ქალაქის ბერებთან“, აღმოსავლური ტერმინოლოგიით „ქალაქის რაისებთან“), ხოლო „ყმაწვილები“ ალ-ფარიკის „ხალხთან“.

„ხალხი“ თავისთავად სოციალური შინაარსის შემცველია და გამომხატველი, მაგრამ ჰქონდათ თუ არა მინიჭებული აღმოსავლური წყაროების „ყმაწვილს“, ან „ყმაწვილებს“ სოციალური აზრი და მნიშვნელობა?

საქმე ისაა, რომ მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქალაქებში მიმდინარე სოციალურ მოძრაობებში მონაწილეობდნენ „ახალგაზრდები“ ანუ „ყმაწვილები“, რომელთა აღსანიშნავად გამოქვეყნებული იყო შესაფერი ტერმინები „ალ-ფათა“ (მრ. „ფითიანი“), „ჯევეანმარდი“.

არაბული „ფითიანი“ და სპარსულ „ჯევეანმარდი“ ახალგაზრდას ნიშნავს. ამავე დროს ჩვენთვის ცნობილია, რომ „ფითიანები“ და „ჯევეანმარდები“ მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში მიმდინარე სოციალური მოძრაობებისა და კლასობრივი ბრძოლების თანამონაწილენი იყვნენ²⁸.

ისევე როგორც „ფითიანი“ და „ჯევეანმარდი“, სოციალური მნიშვნელობა ენიჭებოდა ტერმინ „შაბაბსაც“. არაბული „შაბაბ“ (მრ. شاب — შხ. რ. شب) ყმაწვილს ნიშნავდა და სოციალური მოძრაობების მონაწილეს აღნიშნავდა.

ამრიგად, ერთმანეთს თამამად შეიძლება დაუკავშიროთ „ალ-ფათა“ და „აშ-შაბაბ“. სწორედ ამ ტერმინით (მრ. الشباب) აღნიშნავს სიბტ იბნ ალ-ჯაუზი 1082—1122 წწ. თბილისში მოღვაწე „ყმაწვილებს“.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე არაბულ ისტორიოგრაფიაშიც ფითიანი განიხილება როგორც გარკვეული საზოგადოებრივი მოძრაობის მონაწილე. მხედველობაში გვაქვს ომარ ალ-დასუკის 1959 წელს გამოქვეყნებული გამოკვლევა, რომლის შინაარსი მთლიანად ფუთუჟევა-ფითიანს ეხება²⁹. ჩვენთვის უაღრესად საინტერესოა ისიც, რომ მკვლევარს „ფითიანი“ გაიგივებული აქვს „შაბაბთან“ (شاب)³⁰.

ომარ ალ-დასუკის მსჯელობა „ფითიანებთან“ და „შაბაბებთან“ დაკავშირებით საგულისხმოა სხვა მხრივაც.

27 ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 125. „თბილისის კეთილშობილთა ჯგუფის“ გამო (ალ-ფაიკის მიხედვით) იხ. V. Minorsky, Studies, გვ. 19; რ. კიკნაძე, XI—XIII სს. თბილისის ისტორიიდან, გვ. 113—114.

28 მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში მიმდინარე სოციალურ მოძრაობებში მონაწილე „ახალგაზრდებს“ ეძღვნება ჩვენი წერილი: მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების სოციალური ტერმინოლოგიიდან. საქ. მეცნ. აკადემიის „მოამბე“ ტ. 66, № 2, 1972, გვ. 505—507.

29 1959 عمر الدسوقي، الفتوة عند العرب، مكتبة نضرة مصر بالقاهرة.

30 ი. კვიციანი, გვ. 11.

მუსლიმანური სამყაროს დასავლეთ ნაწილშიც, ისევე როგორც ერაყსა და ირანში, ერთი და იგივე ნიშანთვისებები იყო დამახასიათებელი სოციალური მოძრაობებისა და მღელვარებების მონაწილეებისათვის. ქართულ ენაში ენტალსტიკურ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია ყველა ის ნიშანთვისებები, რომელთაც ხასიათდებოდნენ ფითიანები და ჯევანმარდები³¹. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რაც ომარ ალ-დასუქის ნათქვამი აქვს სოციალური მოძრაობების მონაწილე „ახალგაზრდებთან“ დაკავშირებით. მისი სიტყვით, ალ-ფუთუჟევას წარმომავლობა ალ-ფათადან უეჭველად მიუთითებს იმაზე, რომ ფათა უნდა ყოფილიყო ძლიერ მამაცი, უნდა ჰქონოდა ძალა და სიმძაფრე. ეს იყო ნიშანთვისება ყმაწვილებისა (شباب).³² ასეთი დახასიათებანი „ფითიანების“ და „შაბაბებისა“ ომარ ალ-დასუქის გამოკვლევის სხვა გვერდებზეც გვხვდება³³ და სავსებით ემთხვევა იმ დახასიათებებს, რომლებიც მრავლად არის მოტანილი XI—XII სს. არაბულ და სპარსულ წყაროებში „ფითიანებთან“ და „ჯევანმარდებთან“ დაკავშირებით.

სხვადასხვა არაბულ წყაროებზე დაყრდნობით ომარ ალ-დასუქიც მიუთითებს, რომ როცა არაბები ფითიანებზე ლაპარაკობენ, „გულსინხმობენ მამაციობას, დიდსულოვნებას, ერთგულებას და მრავალ საქებად თვისებას“³⁴. ამ თვისებებით გამოირჩეოდნენ, როგორც ცნობილია, ჯევანმარდებიც.

„ფითიანების“ და „ჯევანმარდების“ ნიშანთვისებებმა გამოაჩინოა მათი დასავლეთ ევროპაშიც.

საინტერესოა, რომ „ახალგაზრდა“ სოციალური მნიშვნელობითაა ნახშირი ტრუბადურულ პოეზიაში. ეს საკითხი სპეციალურად შეისწავლა ა. დენომიმ, რომლის გამოკვლევაში აღიარებული მაგალითია მოტანილია ევროპელი „Joven“-ის („ახალგაზრდას“, „ყმაწვილის“) და აღმ. „ფითიანის“ ურთიერთობის საჩვენებლად³⁵ ა. დენომის დამსახურება ამ მხრივ ხაზგასმით აქვს აღნიშნული ერისკაცის³⁶.

ა. დენომიმ შეისწავლა გიომ IX, მარკაბრიუს, სერკამონის, ალგერეს, ბერნარ მატესა და სხვათა პოეტური ნიმუშები. მან ცხადპყო, რომ დასახელებულ ტრუბადურთა შემოქმედებაში „ახალგაზრდა“ უმრავლეს შემთხვევაში გულსინხმობს არა ბიოლოგიურ ასაკს, არამედ სოლიდარობისა და ძმობის იდეით გაერთიანებულთა ჯგუფს („ახალგაზრდის“ ამ მნიშვნელობით ხმარების სულ 39 შემთხვევაა დამოწმებული, აქედან 27 მარტო მარკაბრიუს ნაწარმოებებზე მოდის).³⁷ ამ ნაწარმოებების შესწავლამ ა. დენომი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ „ახალგაზრდობაში“ ნაგულისხმევია სოლიდარული ძმობა. მისი აზრით, ამ ძმო-

³¹ ვ. გაბაშვილი, ქალაქ თბილისის სოციალური ისტორიიდან (ქრთადალმწერლის ერთი ცნობის განმარტება), გვ. 111—151, 160, 161.

³² عمر السوقي, დასახ. ნაშრ. გვ. 11.

³³ იქვე, გვ. 12, 13.

³⁴ იქვე, გვ. 13.

³⁵ A. I. Denomy, „Jovens“ the notion of the youth among the troubadours, its meaning and source, „Medieval Studies“, t. XII, 1949, გვ. 13.

³⁶ Erich Köhler, Sens et fonction du terme „jeunesse“ dans la poésie des troubadours, Mélanges offerts à René Crozet, t. I, Poitiers, 1963.

³⁷ A. I. Denomy, დასახ. ნაშრ. გვ. 13.

ბას განეკუთვნებოდა, მაგალითად, ტრუბადურული პოეზიის ერთ-ერთი წარმომადგენელი მარკაბრიუ³⁸.

შუა საუკუნეების ევროპულ ტრუბადურულ პოეზიაშიც „ახალგაზრდა“ გამოხატავდა განსაკუთრებული ღირსებებით, პატიოსნებით და კეთილშობილებით შემკულ ადამიანებს (მღრ. „ფითიანების“ და „ჩვეანმარდების“ ღირსებებით) აღმოსავლური წყაროების მიხედვით). „ახალგაზრდობა“ წარმოადგენდა ადამიანთა ასოციაციას, რომელიც ამ თვისებებს იყენებდა და მისდევდა³⁹.

მაგრამ ჩვენთვის მთავარი მაინც ისაა, რომ ტრუბადურულ პოეზიაში „ახალგაზრდას“ ენიჭებოდა არა მარტო ბიოლოგიური ასაკის მნიშვნელობა, არამედ საზოგადოებრივი ფუნქციაც. ერის კოლეგი პირდაპირ მიუთითებს, რომ „ახალგაზრდის“ ან „ახალგაზრდობის“ მოხსენიებას უმრავლეს შემთხვევაში არავითარი კავშირი არა ჰქონდა ბიოლოგიურ ასაკთან⁴⁰.

კიდევ მეტი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ევროპელი მკვლევარები „jovens“ და „ფათას“ (fata, futuwa, filien)⁴¹ ერთმანეთთან აიგივებენ და აღნიშნავენ იმ გავლენას, რაც აღმოსავლურ „ფითიანებს“ უნდა მოეხდინათ ევროპელ „ახალგაზრდას“, ან „ახალგაზრდობის“ ცნებასა და მნიშვნელობაზე⁴².

ყველა ამ მაგალითის შემდეგ სავსებით გასაგები უნდა იყოს, თუ რა მნიშვნელობითაა ნახმარი „ყმაწვილები“ („შაბაბ“) სიბტ იბნ ალ-ჯაუზის თხზულებაში 1082—1122 წწ. თბილისის ამბების აღწერისას.

საქმე ეხება ამ „ყმაწვილების“ მიერ ძალაუფლების ხელში აღებას ქალაქ თბილისში. ეს სრულიად მკაფიოდ ჩანს ალ-ჯაუზის კონექსტიდან. იქვე ნათქვამია, რომ ეს ძალაუფლება მათ ხელთ იყო მთელი ორმოცი წლის განმავლობაში (ფაქტიურად გამეორებულია ალ-ფარიკის ცნობა).

ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა: შეეძლოთ თუ არა „ახალგაზრდებს“ ძალაუფლების ხელში აღება ქალაქში?

ალ-ლაზალის „ნასიბათ ალ-მულუქში“ („ჩრევა-დარიგებანი მეფეთათვის“) დაკუთვნილია ძალზე საინტერესო ცნობა, სადაც პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ახალგაზრდებმა ხელთ იგდეს ძალაუფლება და შეაფიროვეს ხალხი⁴³.

ალ-ლაზალის ეს ცნობა სხვა მხრივაცაა საინტერესო. „ახალგაზრდის“ აღსანიშნავად მას გამოყენებული აქვს სპარს. ტერმინი „ქულდაქ“ (მრ. „ქულდაქან“)⁴⁴,

³⁸ A. I. Denomy, დასახ. ნაშრ. გვ. 13.

³⁹ E. Köhler, დასახ. ნაშრ. გვ. 569.

⁴⁰ „Joven“ (lat. inventus) et „jove“ (lat. invenis) souvent dans la grande majorité des cas à exprimer quelque chose qui est bien différent de l'age biologique“, E. Köhler, დასახ. ნაშრ., გვ. 569.

⁴¹ A. I. Denomy, დასახ. ნაშრ. გვ. 14.

⁴² „That concept of jovens was extant previous to them (the troubadours) in the futuwa ideal of the Arabs“, A. I. Denomy, დასახ. ნაშრ. გვ. 14.

⁴³ „When the government passed to the „jounsters“, these latter oppressed the people sovereignty has (now) passed from their hand“ (Gazali's book of counsel for kings, translated by F. R. Baglay, Oxford University Press, 1964, გვ. 71). ალ-ლაზალის ინგლისურად მთარგმნელის F. R. Baglay-ის აზრით ძალაუფლების ახალ დინასტიებზე გადასვლა უნდა ეხებოდეს ლაზნეიანებს, რომელთაც ბოლო მოუღეს სამანიანებს, ხოლო ამ უკანასკნელს თავის მხრივ ბოლო მოუღეს ალ-ლაზალის მფარველმა სელჩუკებმა (Gazali, დასახ. ნაშრ. იქვე).

⁴⁴ სამწუხაროდ, ამჟამად ჩვენს ხელთ არაა ალ-ლაზალის თხზულების სპარსული ორიგინალი და მისი არაბული თარგმანი. ვეყარნობით მხოლოდ ინგლისურ თარგმანს და მთარგმნელის შენიშვნებს.

რაც აგრეთვე „ახალგაზრდას“, „ყმაწვილს“ ნიშნავს. მაგრამ ამ შემთხვევაში იგულისხმება არა ბიოლოგიური ასაკი, არამედ ქალაქის სრულიად გარკვეული ელემენტების მოღვაწეობა ქალაქში მომხდარ ამბებში.

ქალაქის

აღ-ღაზალი, რომლის პოლიტიკური და იდეოლოგიური სიმბოლოებიც დაა ცნობილი, კლასობრივი თვალსაზრისით აფასებს „ახალგაზრდების“ მიერ ძალაუფლების ხელში აღებას. მოსთვისაც წმინდა სოციალური თვალსაზრისით „ახალგაზრდა“ იმასვე ნიშნავს, რასაც შესაბამის ტერმინებში (ფითიანი, ჭევან-მარდი) გაბატონებულ კლასთან დაკავშირებული ყველა ისტორიკოსი გულისხმობდა — სოციალური მოძრაობის, ან ამბოხების მონაწილე ქალაქურ ელემენტს. ამავე დროს, აღ-ღაზალი აფართოებს „ხალხის“ ცნებას და მასში ქალაქის მთელ მოსახლეობას, ყველა საზოგადოებრივ ფენას ათავსებს, ხოლო „ახალგაზრდები“ მოძალადეებად გამოჰყავს, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა არა „ხალხის“ ჩვეულებრივი მნიშვნელობის (ქალაქის დაბალი საზოგადოებრივი ფენების) ამგვარად წარმოდგენა, არამედ ის, რომ აღ-ღაზალიც თავის თხზულებაში „ახალგაზრდებს“ მეამბოხეებად თვლის და ამ ცნებაში, ისევე როგორც სხვა თანამედროვე ავტორები, სრულიად არ გულისხმობს ბიოლოგიური ასაკის ნიშანთვისებებს.

როგორი ვითარება იყო ამ მხრივ თბილისში?

ჩვენს განკარგულებაშია ორი ცნობა: ერთი ცნობის მიხედვით 1082—1122 წწ. თბილისში „ხალხი“ არის გაბატონებული (აღ-ფარიკი), ხოლო მეორე ცნობით, ძალაუფლება „ყმაწვილების“ ხელთაა (იბნ ალ-ჯაუზი).

„ხალხისა“ და „ყმაწვილების“ ურთიერთკავშირი ახლა, ფიქრობთ, ექვს არ უნდა იწვევდეს, აღ-ფარიკი (ადრე) და იბნ ალ-ჯაუზი (შედარებით გვიან) თბილისში მომხდარ ერთსა და იმავე მოვლენას აღნიშნავენ.

აღ-ჯაუზის ცნობაში მთავარია თბილისის მმართველობაში ე. წ. „ყმაწვილების“ მონაწილეობა. ამ „ყმაწვილების“ სოციალური ვინაობისა და დანიშნულების გამორკვევა გვეხმარება ახლებურად გავიზროთ 1082—1122 წლების თბილისში მომხდარი მოვლენები.

ცხადია, სიბტ იბნ ალ-ჯაუზიც „ყმაწვილებში“ ხალხის მმართველობას გულისხმობს, ისევე როგორც აღ-ფარიკი იმავე ხანების თბილისში „ხალხის“ გამკებლობას.

იბნ ალ-ჯაუზის ცნობა იძლევა „ხალხის“ ცნების გაფართოების შესაძლებლობას, რადგან ჩვენთვის ცხადი ვახდა, რომ თბილისელ „ხალხში“ იგულისხმებიან ფითიანები, ჭევანმარდები და შაბაბები.

მაგრამ შეიძლება თუ არა შუა საუკუნეების ამიერკავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში ძალაუფლება ხალხის ხელში გადასულიყო?

XI—XII სს-ის მანძილზე ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში მიმდინარეობდა სოციალური მოძრაობანი, ადგილი ჰქონდა უღირსად გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლას. ქალაქებში მიმდინარე სოციალურ მოძრაობებში განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდნენ დაბალი საზოგადოებრივი ფენების წარმომადგენლები. ისინი უპირისპირდებოდნენ როგორც ფეოდალურ არისტოკრატიას, ისე ლიდეპკრებს⁴⁵.

⁴⁵ Cf. Cahen, Mouvement populaire et autonomisme urbain dans l'Asie musulmane du Moyen Age, Leiden, 1959, pp. 38, 40, 50.

ამრიგად, ყაზვინი ხალხის, ან უკეთ „ხალხის ბელადების“ ხელთ იყო, არ-
დებილი — დიდვაჭრების ხელთ, ოღონდ ეს დიდვაჭრები, წყაროს მიხედვით,
რყენებდნენ „იარას მოტივეს“ (ხალხის ლოზუნგებს და ბრძოლის საშუალებ-
ებს) და ამბოხების გზას ადგენენ.

ხალხი ბატონობდა აგრეთვე საქართველოს მეზობლად, ქალაქ ბაილაყანში.
„ხალხის“ („ამმა“, „აჰლ ალ-ბაღლად“) ამბოხებას და ამბოხებისადმი საქალაქო
არისტოკრატიის დამოკიდებულებას (ქალაქის რაისების სახით) 1949 წელს ყუ-
რადღება მიაქციეს ვ. მინორსკიმ და კანემა⁵⁴. მასულ იბნ-ნამდარის მიხედვით,
ბაილაყანში მომხდარი ამბოხება სპეციალურად შეისწავლა ვ. ბეილისმა⁵⁵. მან-
ვე გამოთქვა პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული მასულ იბნ ნამდარის
ერთადერთი ხელნაწერის ფაქსიმილე⁵⁶.

იბნ ნამდარის სტილის თავისებურების გამო ბაილაყანში ხალხის მოძრაო-
ბის ბევრი საყურადღებო დეტალი დღემდე განმარტებული და დადგენილი არ
არის, მაგრამ საესეებით ცხადად ირკვევა თუ როგორ ცდილობდა თავის სასარ-
გებლოდ ხალხის მოძრაობის გამოყენებას საქალაქო არისტოკრატია, რათა არ
დაეშვათ ფეოდალური ხელისუფლების ძალადობა და გარეშე ძალის (შირვანის,
განჯის) ბაილაყანის საქმეებში ჩარევა⁵⁷.

თავის უარყოფით დამოკიდებულებას ხალხის მოძრაობისადმი მასულ იბნ
ნამდარი არსად არ მალავს და მის მონაწილეებს „სწორი გზიდან აცდენილებს“
უწოდებს⁵⁸. უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს იგი „ხალხის“ მოძრა-
ობის მეთაურის ბაშარის მიმართ. ქალაქი, სადაც „ხალხი“ გაბატონდა, მისი სი-
ტყეით, დაემსგავსა უთაო ადამიანს, ხოლო მმართველობა უსაძირკვლო სახლს⁵⁹.
მკაცრად არის გალანძღული „დაბალი ხალხი“ („ამმა“), რომელიც უარს ამ-
ბობდა დამორჩილებოდა ოფიციალური ხელისუფლების ბრძანებებსა და განკარ-
გულებებს⁶⁰. მათ მიმართ იბნ ნამდარს არაერთი ოდიოზური გამოთქმა აქვს
ნახმარი: „ქურდები“, ავაზაკები“ და სხვ.⁶¹

ბაილაყანში „ხალხის ბატონობა ჩვენთვის საყურადღებოა უწინარეს ყოვ-
ლისა იმის გამო, რომ ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა უშუალოდ საქართველოს
მახლობლად, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. ამავე დროს, ბაილაყანში
492—494 (1099 — 1101) წლებში მომხდარი ამბები ქრონოლოგიურად ემთხვევა
„ხალხის“ ბატონობას 1082—1122 წლების თბილისში.

ჩვენ ვუჩვენეთ „ხალხის“ ბატონობის რამდენიმე საგულისხმო მაგალითი

⁵⁴ V. Minorsky et Claude Cahen, Le recueil transcaucasien de Mas'ud B. Nāmdār. Journal Asiatique, t. CCXXXVII, 1949, fasc. I, pp. 93—142.

⁵⁵ В. М. Бейлис, Мас'уд ибн Намдар и городское население Байлакана, Известия АН АзССР, Серия истории, философии и права, 1966, № 3, pp. 50—64.

⁵⁶ Мас'уд ибн Намдар. Сборник рассказов и стихов, Факсимиле текста предисловие и указатели В. М. Бейлиса, М., 1970.

⁵⁷ В. М. Бейлис, დასახ. ნაშრ., გვ. გვ. 58, 59.

⁵⁸ ვ. ბეილისი ამის გამო შენიშნავს: იბნ-ნამდარის არ მოსწონდა ქალაქის ხელისუფლებისა და ვაჭრების მსწრაფებანი და მისი შეხედულებების ანალიზისას აღნიშნავს, რომ „Он не мог мириться с политической самостоятельностью Байлакана, а в каких формах претендовали на нее горожане, мы к сожалению не знаем“ (В. Бейлис, დასახ. ნაშრ., გვ. 56).

⁵⁹ المدينة شخصاً بلا رأس والولاية بنا بلا أساس Мас'уд ибн Намдар (ფაქსიმილე), გვ. 18, შ. 250 б.

⁶⁰ В. М. Бейлис, დასახ. ნაშრ., გვ. 53.

⁶¹ იქვე, გვ. 57.

(ირანში, აღმოს. ამიერკავკასიაში). ამავე დროს, ყურადღება მივაქციეთ იმასაც, რომ ქალაქში „ხალხის“ მაგიერ ზოგჯერ საქალაქო არისტოკრატია იყო გაბატონებული, ოღონდ ეს საქალაქო არისტოკრატიაც „ხალხის“ მოძრაობის მოტივებს და ღონისძიებებს იყენებდა⁶².

მაშასადამე, ერთდროულად ქალაქში შეიძლება გაბატონებულიყო ორივე ლიყო „ხალხიც“ და საქალაქო არისტოკრატიაც (ქალაქის კეთილშობილნი და დიდგვარები)⁶³.

ვ. გაბაშვილს შესაძლებლად მიაჩნია, რომ 1082—1122 წწ. თბილისში შექმნილიყო ისეთი ვითარება როგორც, იბნ აბადის წერილის მიხედვით, ქ. ყაზვინში შეიქმნა და ისეთიც, როგორც იბნ ჰაუკალის მოწმობით, X ს-ში ქ. არდებილში არსებობდა — კეთილშობილთა და ვაჭართა ბატონობა⁶⁴.

ამის საბუთად გამოყენებულია რინდის ნამდვილი მნიშვნელობის განმარტება და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა, რომელიც ახლად შემოერთებულ თბილისში მიმდინარე არეულობებს ეხება.

ეს არეულობანი, უნდა ვიფიქროთ, ადრე იყო დაწყებული და გრძელდებოდა იმ დროსაც, როდესაც ქ. თბილისი „ჯერეთ არა სრულიად შემოყენებულ იყო უღელსა ქუეშე მორჩილებასა, ვითარცა აწ“⁶⁵... დამახასიათებელია, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს შეეძლოდა აქვე თბილისის მუსლიმანური მოსახლეობის შეტაკებანი ქრისტიანულ მოსახლეობასთან. ახლად შემოერთებულ თბილისში დროა დრო რომ კვლავ მიმდინარეობდა ასეთი შეტაკებანი, ამას გვიდასტურებს გამოთქმა „ოდეს ყვიან დავლავი“⁶⁶. „დავლა“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოიყენებოდა ისეთი ამბების აღსანიშნავად, როგორც იყო ქალაქში მომხდარი აჯანყება — არეულობა რინდების, ოგბაშების, ფითანების და ჭევანმარდების მონაწილეობით.

ტერმინ „დავლა“ დამოწმება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში იმის დამამტიკებელი უნდა იყოს, რომ ქ. თბილისში მთელი ორმოცი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ბრძოლა ქალაქის სხვადასხვა საზოგადოებრივ ფენებს შორის.

ასევე საკმაოდ ძლიერი არგუმენტაციაა რინდების (და, თავისთავად იგულისხმება, ფითან-ჭევანმარდების) მოღვაწეობა ქ. თბილისში. მაგრამ ეს არგუმენტი კიდევ უფრო მტკიცე ხდება სიბტ იბნ ალ-ჯაუზის იმ პირდაპირი ჩვენების წყალობით, საიდანაც სავსებით აშკარად ჩანს, რომ 1082—1122

⁶² სამწუხაროდ, ჯერჯერობით გამოსარკვევი რჩება „ხალხის“ ქალაქში ბატონობის მმართველობის ფორმა, თუმცა არ შეიძლება ყურადღება არ მიიქციოს იმან, რომ ხელუხლებლად იყო დატოვებული მთელი რიგი ინსტიტუტები, მაგ., მუსტაფიდისა (ამ მოვალეობას ბაილყანში თვითონ მასუდ იბნ ნამდარი ასრულებდა) და ქალაქის რაისისა.

⁶³ „ხალხის“ დამოუკიდებელი მოქმედება ქალაქში აღნიშნული აქვთ ბურჟუაზიულ მკვლევრებს, კლოდ კენსი და ირა ლაიდლსს. მათ ნაშრომებზე დაყრდნობით ა. ჰურანი აღნიშნავს, რომ „ხალხი“ თავს აღწევდა როგორც მმართველთა, ისე ქალაქის მეთაურთა კონტროლს და ემორჩილებოდა საკუთარ ბელადებს („At times the „popular“ forces, the instruments of political action, could escape from the control both of the government and of the urban leaders and throw up their own leaders“. A. Hourani, *The Islamic City in the Light of Recent Research, The Islamic City*, Edited by A. H. Hourani and S. M. Stern, Oxford, 1970 გვ. 20). ა. ჰურანი უარყოფს „ხალხის“ მოქმედების პოლიტიკურ საფუძველს და ავრცელებს მას არა მთელ ქალაქზე, არამედ მხოლოდ ქალაქის ცალკეულ უბანსა და უბნებზე (იქვე).

⁶⁴ ვ. გაბაშვილი, ქალაქ თბილისის სოციალური ისტორიიდან, გვ. 55.

⁶⁵ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 349.

⁶⁶ იქვე.

წლებში თბილისში „ყმაწვილები“ („შაბაბ“) ბატონობდნენ. ასე რომ, თუ აქამდე ჩვენს განკარგულებაში იყო XIV საუკუნის ქართველი ანონიმური ისტორიკოსის ცნობა XIII ს-ის დამდეგის თბილისში რინდების არსებობის შესახებ, ახლა მათს არსებობას გაცილებით უფრო ადრე, 1082—1122 წლებში, გვიდასტურებს სიბტ იბნ ალ-ჯაუზიცი.

სიბტ იბნ ალ-ჯაუზის მიხედვით, ეს „ყმაწვილები“ განაგებდნენ თბილისს მთელი ორმოცი წლის განმავლობაში. ამასთან, საესეებით ცხადია ჩვენთვის ამ „ყმაწვილების“ სოციალური ვინაობა და მნიშვნელობა საქალაქო ცხოვრების სარბიელზე. გასაგები ხდება სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობის მთელი შინაარსიც.

ფაქტიურად ალ-ფარიცი და სიბტ იბნ ალ-ჯაუზიც ერთსა და იმავე მოვლენას აღნიშნავენ და აღწერენ. სახელობრ იმას, რომ ჯაფარიანთა გვარის გადაშენების შემდეგ თბილისს ორმოცი წლის მანძილზე მართავდა „ხალხი“. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ალ-ფარიცის ნახმარო აქვს „ხალხი“, ხოლო სიბტ იბნ ალ-ჯაუზის „ყმაწვილები“. მაგრამ ჩვენი კვლევა-ძიების შედეგად ერთმანეთს შეიძლება თამამად დავუკავშიროთ „ხალხი“ და „ყმაწვილები“. ფრსავე შემთხვევაში ისინი აღნიშნავენ ქალაქის იმ მემამბოხე ელემენტებს, რომელთაც 1082—1122 წწ. ძალაუფლება ხელთ იგდეს თბილისში და ამ ძალაუფლებას მთელი ორმოცი წლის განმავლობაში ინაწილებდნენ (ასე უნდა გავიგოთ გამოთქმა: „რომელთაგან თითოეული [მართავდა თბილისს] ერთ თვეს“⁶⁷).

მაშასადამე, 1082—1122 წწ. თბილისში გაბატონებული უნდა ყოფილიყვნენ არა ქალაქის რაისები, ე. ი. საქალაქო არისტოკრატიის წარმომადგენლები, არამედ ქალაქის დაბალი საზოგადოებრივი ფენებიდან გამოსული: რინდები, ფითიანები, ჯევანმარბები, შაბაბები.

ო. ცქიტიშვილი სიბტ იბნ-ალ-ჯაუზის ერთ-ერთ შეცდომად უთვლის იმას, რომ „მოხუცებს“ იგი უკავშირებს ჯაფარიანთა საგვარეულოს და აღნიშნავს, „საქმე ეხება თბილისის მმართველობის გარკვეულ ფორმას, რომელიც ჯაფარიანთა საგვარეულოსაგან სრულიად დამოუკიდებლად განვითარდა“⁶⁸. არც „მოხუცები“ და არც „ყმაწვილები“ არ ეკუთვნოდნენ ჯაფარიანთა საგვარეულოს, მაგრამ თუ „მოხუცებში“ ქალაქის რაისებს ვიგულისხმებთ და გავიხსენებთ, რომ ისინი განსაკუთრებით XI ს-ის მეორე ნახევარში აღზევდნენ და გაძლიერდნენ (სწორედ ჯაფარიანთა საგვარეულოს დასუსტების დროს), მაშინ უნდა დავეშვათ ისიც, რომ ისინი ჯაფარიანთა საგვარეულოს გადაშენების დროს უნდა დაკინებულებიყვნენ, ე. ი. 1082—1122 წლებში.

ჯერჯერობით ყველა აღმოსავლური მასალა, რომელსაც ჩვენ გავყვანიით, იმის სრულ საფუძველს იძლევა, რომ 1082—1122 წლების თბილისში ადგილი ჰქონდა ხალხის მმართველობას. ალ-ფარიცი პირდაპირ მიუთითებს, რომ თბილისის ორმოცი წელიწადი მართავდა „ხალხი“⁶⁹. ახლა ამ „ხალხის“ ცნების დახუსტების სრულ შესაძლებლობას იძლევა სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ის ცნობა, რომ

⁶⁷ აღნიშნული გარემოება ერთხელ კიდევ გვიდასტურებს, რომ „ყმაწვილები“ სულ სხვა რამეს ნიშნავს, ვიდრე ჩვეულებრივ ჩვენ ამ ტერმინში ვგულისხმობთ და ხანდახან მულობის ვადაც — ორმოცი წელი, რა თქმა უნდა, საესეებით გამოირიცხავს „ყმაწვილების“ ბიოლოგიურ ასაკთან ურთიერთკავშირს.

⁶⁸ ო. ცქიტიშვილი, დსახ. ნაშრომი, გვ. 208.

⁶⁹ გ. წერეთელი, არაბული ქრესტომათია, გვ. 68.

მელშიაც ლაპარაკია იმათზე, ვინც ორმოცი წელი მართავდა თბილისს „ყმაწვილებზე“. რას ნიშნავს და რა მნიშვნელობით იხმარებოდა „ყმაწვილები“ აღმოსავლურ წყაროებში ჩვენთვის უკვე ცნობილია.

სიტ ბინ ალ-ჯაუზი მოგვითხრობს: „დავითმა, მეფემ აფხაზთა და სხვათა თველთა, ძლიერ შეავიწროვა ისინი, მათ (ყმაწვილებმა) გაგზავნეს თორღულ იბნ მოჰამედ შაჰთან, არანის ბატონთან, [კაცი]. მან გამოგზავნა შიჰნა“⁷⁰.

ქალაქის მფარველი შეიძლება მოეწვიათ და მისი „შიჰნა“ მიეღოთ როგორც ქალაქის რაისებს, ისე „ყმაწვილებს“ — ქალაქის დაბალი ფენების წარმომადგენლებს. ამის არაერთი მაგალითი შეიძლება მოვიტანოთ X—XII სს. მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან და, კერძოდ, იბნ ნამდარის წერილებიდან⁷¹.

ამავე დროს, მფარველობა შეიძლება ეთხოვათ როგორც ქალაქების რაისებს, ისე „ყმაწვილებს“.

„ახალგაზრდები“ შეამბოხე ელემენტი იყო. მათი მოქმედების შედეგად მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში მყარდებოდა „ხალხის“ მმართველობა, ოღონდ დროებით და ისიც პოლიტიკური კრიზისების დროს⁷². ალ-ფარიკის და სიტ ბინ ალ-ჯაუზის ცნობების მიხედვით „ხალხის მმართველობა“ იყო დამყარებული 1082—1122 წლების თბილისშიც.

სიტ ბინ ალ-ჯაუზის ის ცნობა, რომ დავით აღმაშენებელი ძლიერ ავიწროვებდა ამ შეამბოხე ყმაწვილებს, ჩვენი აზრით, ისე უნდა გავიგოთ, რომ იგი ქალაქის მაღალ საზოგადოებრივ ფენებს უჭერდა მხარს. ამ მოსაზრების საბუთი უნდა იყოს ის, რომ თბილისის შემოერთების შემდეგ კვლავ განაგრძობდა არსებობას ქალაქის რაისის და სხვა არაბული წარმომომის საქალაქო თანამდებობები (ამიდის, მუჰთასიბის, შურტას და სხვ.).

ამეამად აქ არ ვეხებით თბილისის მმართველობის ფორმის საკითხს. ეს საკითხი ერთხელ კიდევ შეიძლება დაისვას, როდესაც საჭირო სისრულით შეინწავლება „ხალხის მმართველობის“ ფორმა და ხასიათი აღმ. ამიერკავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში.

М. В. ГАБАШВИЛИ

ТБИЛИСИ В 1082—1122 ГОДАХ

Резюме

Ценные сведения о г. Тбилиси 1082—1122 гг. сохранились у арабского историка ал-Фарики (XII в.). В частности, он повествует о сорокалетнем правлении в городе «тбилисского народа». Не меньший интерес

⁷⁰ „შიჰნა“ ინსტიტუტის გამო იხ. გ. ბერაძე, XI—XII სს ირანის ქალაქების აღმოსავლური წყაროების ისტორიიდან, საქ. მეცნ. აკადემიის „მოამბე“, ტ. 55, 1969, გვ. 253—256.

⁷¹ В. М. Бейлис, *დასახ. ნაშრ.* გვ. 63.

⁷² ლიტერატურა ქალაქებში დამყარებული „ხალხის“ დროებითი მმართველობისა და საზოგადოდ. ისლამური ქალაქის კონსტიტუციური ინსტიტუტების შესახებ სულ უფრო და უფრო მრავლდება. იხ. Cl. Cahen, *Mouvements populaires et autonomisme urbain dans l'Asie musulmane du Moyen Age*, გვ. 225—250 (*Arabica*, 1958), 25—26, 223—265. E. Ashtor, *L'administration urbaine en Syrie médiévale*, *Rivista degli Studi Orientali*, 1956, გვ. 73—128, S. M. Stern, *The constitution of the Islamic City*, *The Islamic City*, გვ. 25—36.

представляют также сведения другого арабоязычного историка Сибт ибн ал-Джаузи (1186—1257), который, повторяя в основном сообщения ал-Фарики, в известной степени уточняет их.

В отличие от ал-Фарики, Ибн ал-Джаузи говорит о правлении в городе не «народа» (اهل), а «молодых людей» (شباب).

Слово «шабаб», употребляемое Сибт ибн ал-Джаузи, является социальным термином и обозначает городские элементы, принимавшие на протяжении XI—XII вв. активное участие в социальной и классовой борьбе в городах Ближнего Востока.

Таким образом, термины «молодые люди», «молодежь» указывают не на биологический возраст, а на определенную общественную функцию, что подтверждается значением таких терминов, как «ал-фата», «джеваемард», «шабаб», «кудак». Эти арабские и персидские слова (букв. «молодые люди») употребляются средневековыми восточными авторами для обозначения участников городских социальных движений.

Аналогичное значение имело также европейское «jovens». Для подтверждения этого положения в работе приводятся соответствующие примеры из поэзии трубадуров (по исследованиям Деноми и Коллера). Европейские ученые указывают на влияние, оказанное «ал-фата — футувва» на формирование социального значения термина «jovens».

Все вышесказанное дает основание утверждать, что «тбилисский народ» ал-Фарики и «молодые люди» Сибт ибн ал-Джаузи идентичны по социальному значению; оба автора имели в виду народное правление в Тбилиси 1082—1122 гг.

Вместе с тем в статье отмечается, что аналогичное явление (временное правление народа) имело место в XI—XII вв. как в городах Восточного Закавказья (Байлакан), так и Ирана (Казвин, Ардебиль).

ლობელი აღმოსავლეთის ისტორიისათვის³. ამ სახის ანდერძნამაგები, რომლებიც უფრო ხშირად შედარებით უფრო გვიან, XIV—XV საუკუნეებში გვხვდება, თავიანთი კლასიკური ნიმუშებით უახლოვდებიან მატიაჩევიჩისა და მცირე ზომის საისტორიო თხზულებებს. როგორც ამბობენ, სომხეთში ისტორიოგრაფიის თავისებური ქანრი შეიქმნა⁴.

მსგავსი რამ — ანდერძნამაგთა აგებულების ამ ზომამდე ცვლილება — სხვა ხალხთა ისტორიაში ცნობილი არ არის⁵.

ვითარცა საისტორიო პირველწყაროს, ანდერძნამაგებს სხვა წყაროებთან შედარებით აქვს გარკვეული უპირატესობანი, თუმცა ზოგი ნაკლიც.

სომეხი ისტორიკოსები, რომლებიც უპირატესად ითვალისწინებენ მშართველი წრეებისა თუ ეკლესიის ინტერესებს, თავიანთი თანამედროვე ეპოქის სრულ დასურათებასაც კი ვერ გვაწვდიან; უწინარეს ყოვლისა მათი ყურადღება მიპყრობილია პოლიტიკური და რელიგიური მოვლენებისადმი. ანდერძნამაგები კი ხშირად გვაწვდიან ცნობებს, როგორც ხალხთა ფართო მასების, ასევე ეპოქისათვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიური ვითარების შესახებ⁶.

ანდერძნამაგთა ავტორები არიან მათ მიერ აღწერილ ამბავთა (აღწერენ ჩვეულებრივ დროის მეტად ვიწრო მონაკვეთში — ხელნაწერის შექმნის მხრილზე მომხდარ ფაქტებს) თვითმხილველნი თუ თანადამხედურნი, ან თანამედროვენი მინც, და ამიტომ ავთენტურობისა და ქრონოლოგიური სიზუსტის თვალსაზრისით ანდერძნამაგები ვაცილებით მაღლა დგას იმავე ამბების ათეული და ზოგჯერ ასეული წლების შემდეგ აღწერს საისტორიო თხზულებებთან თუ ქრონიკებთან შედარებით. ხშირად ანდერძნამაგები შეიცავენ დამატებით მასალასაც ამა თუ იმ საკითხზე და ამით ავსებენ სხვა წყაროთა მონაცემებს⁷. ბუნებრივია, ანდერძნამაგთა ფასი განუზომლად იზრდება, როდესაც სხვა მასალის ნაკლებობის გამო, ზოგიერთი ხანის შესახებ ისინი უმთავრეს წყაროდ გვევლინებიან⁸.

ანდერძნამაგები გვაწვდიან ცნობებს კულტურული თუ ინტელექტუალური აქტივობისას ისეთი სამონასტრო კერების შესახებ, რომლებზედაც სხვა საისტორიო წყაროებში თითქმის ვერაფერს ვპოულობთ.

ანდერძნამაგები ხშირად დაწერილია იმდენად ინტიმურად და გულწრფელად, რომ თითქოს უშუალოდ გვემის ჩვენგან საუკუნეებით დაცილებულ ავტორთა ბუნებრივი ხმა; ამის გამო შეიძლება ბევრი რამ ახალი შევიტყოთ იმდროინდელი ყოფისა და ადამიანთა ფსიქოლოგიის შესახებ⁹.

³ Sanjian A. K., დასახ. ნაშრომი, გვ. 183.

⁴ Л. С. Хачикян. Памятные записи армянских рукописей как исторический источник, XXV международный конгресс востоковедов, М., 1960, გვ. 2.

⁵ Sanjian A. K., დასახ. ნაშრომი, გვ. 194.

⁶ Sanjian A. K., დასახ. ნაშრომი, გვ. 191. ძ. Գ. Գարի ნայსին ձեռագրերի ჩիտառակարաններ; Կազմե Լ. Ս. Խաչիկյան, Եր., 1950, გვ. VII. Ժ. Գ. Գարի ნայსին ձեռագրերի ჩիտառակարաններ, Կազմե Լ. Ս. Խաչիկյան, Ե. մասը, 1955, Եր., Խ. ამ გამოცემისადმი ისტორიის ინსტიტუტისაგან წამძღვარებული წინათქმა, გვ. V.

⁷ Sanjian A. K., დასახ. ნაშრომი, გვ. 191.

⁸ Л. С. Хачикян, დასახ. ნაშრომი, გვ. 2—3.

⁹ Sanjian A. K., დასახ. ნაშრომი, გვ. 191. Աբրահամյան Բ. Գ. Հայ գրի եւ գրչության պատմություն, Եր., 1959, გვ. 380.

რაც შეეხება ანდერქანმაგთა შეზღუდულობას, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ანდერქანმაგთა ყველაზე საინტერესო ადგილი, რომელიც შეიცავს ცნობებს თანამედროვე პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიურ ცვლილებების შესახებ, შესრულების ტექნიკის თვალსაზრისით საკმაოდ დაბალ დონეზე დგას. ეს აიხსნება იმით, რომ ანდერქანმაგთა ავტორები ისტორიკოსები არ არიან. ისინი აღნუსხავენ მხოლოდ შიშველ ფაქტებს; ისტორიკოსთაგან განსხვავებით მათი თვალთახედვის არე მეტად ვიწროა. ესა თუ ის ფაქტი მხოლოდ მაშინ იპყრობს ანდერქანმაგთა ავტორების ყურადღებას, თუ იგი უშუალოდ ეხება მათ შედარებით ვიწროდ შემოფარგულ სამყაროს. მათ არ ძალუძთ დაამყარონ კავშირი მთელს მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებს შორის¹⁰.

აღსანიშნავია, აგრეთვე, ანდერქანმაგთა ავტორების მიერ ფაქტების გამძაფრების ტენდენცია; ამით ავტორი ხაზს უსვამს იმ არახელსაყრელ პირობებს, რომელშიაც მას უხედმოდა მუშაობა. იმ დროს გავრცელებული რელიგიური და ზნეობრივი მსოფლმხედველობის შესაბამისად ანდერქანმაგთა ავტორები, ისტორიკოსების მსგავსად, თავს დამტყდარ ყოველგვარ უბედურებას, მიაწერენ ადამიანთა უზომო ცოდვებით გამოწვეულ ღვთის რისხვას, ანდა სატანის მზაკვრობას. ანდერქანმაგებში ხშირად გვხვდება ციტატები საღვთო წერილიდან, თუ მითითებები მასზე, აგრეთვე არაიშვიათად მეორდება ერთი და იგივე¹¹.

როგორც აღენიშნეთ, სომხურ სინამდვილეში თანდათან გარკვეული ტიპი ჩამოყალიბდა ანდერქანმაგისა; იგი იწყება სტერეოტიპული შესავლით, რომელიც ეძღვნება წმინდა სამებას. ვარაუდობენ, რომ ამ შესავალ ნაწილს თითქმის არავითარი ფასი არა აქვს, თვით სომხური საღვთისმეტყველო და ქრისტოლოგიური პოზიციის ისტორიულ განვითარებაზე თვალის მისადევნებლადაც კი¹². ამით აიხსნება, რომ, ჩვეულებრივ, გამომცემელთ არ უსაყვედურებენ ანდერქანმაგთა გამოქვეყნებისას შესავალი ნაწილის გამოშვებას¹³. შესავლის შემდგომ კებით აღნიშნულია ის პირობები, ვინც შესაძლებლობა მისცა გადააწერს დაემაზღებინა ხელნაწერი; თუ ვისიმე დაკვეთით დამზადდა იგი, მაშინ მომგებელის სახელი აღნიშნულია დიდი ქებით და გადააწერი ითხოვს, რომ ესოდენ სასარგებლო საქმისათვის მომგებელი ლოცვებში მოიხსენიონ თავის მახლობელ თუ შორეულ ნათესაებთან ერთად. შემდგომ გადააწერი (თუ ანდერქანმაგი მას ეკუთვნის) წარმოგვიდგენს თავის თავს თავმდაბლობის გამომხატველი ეპითეტების მთელი სერით, რითაც დახასიათებულია მისი ოსტატობის დონე და აგრეთვე „უღირსი“ და „ცოდვებით აღსავსე“ ცხოვრება; მოცემულია თარიღი ხელნაწერის დასრულებისა და აღწერილია ის პირობები, რომელშიაც გადააწერი მუშაობდა. თარიღთან ერთად აღნიშნულია სომხური ეკლესიის საქმთმყრობლის სახელი, აგრეთვე, ხშირად, მეფის ან ადგილობრივი ხელისუფალის სახელიც. შემდგომ დასახელებულია მონასტერი, სადაც დამზადდა ხელნაწერი, სოფელი თუ ქალაქი, რომელშიც მონასტერი მდებარეობს; და ბოლოს, ამ სოფლისა თუ ქალაქის მომცველი მხარე. თანამედროვე ვითარების შესახებ ცნობები უმეტეს-

¹⁰ Sanjian A. K., დასახ. ნაშრომი, გვ. 194; შტრ. ძ.წ. ვარსი ნაქსენ მხააყისქსი ჩუაოთსუარსინსი; ლაქმეხ I. M. სოაქიანს, ნრ., 1950, გვ. VIII; M. K. Зулалаян, Армения в первой половине XVI в., М., 1971, გვ. 6.

¹¹ Sanjian A. K., დასახ. ნაშრომი, გვ. 194.

¹² Sanjian A. K., დასახ. ნაშრომი, გვ. 187.

¹³ იხ. ილ. აბულაძის არქივი, № 219.

წილად ანდერძნამავის ბოლო ნაწილში გვხვდება; ავტორი მთელ თავის თხრობას ასრულებს შენდობის თხოვნით ყველა იმ პირთათვის, ვინც რაღაცნაირად უკავშირდება ხელნაწერის შექმნას ან თვითონ ავტორს¹⁴.

მართალია, სომეხური ანდერძნამავის აღნიშნული ტიპი შედარებით გვიან, XIV—XV საუკუნეებში, ჩამოყალიბდა¹⁵, მაგრამ XII საუკუნიდან უკვე გვხვდება ანდერძნამავისთვის დამახასიათებელი ჩამოთვლილი ნიშნები და რადგან საქართველოს ისტორიისათვის ძვირფასი მასალა უფრო მეტად XII—XIII სს. ანდერძნამავებში მოიპოვება, ჩვენ აქ ნიმუშად მოგვუჩვენებთ 1195 წ. ანდერძნამავის თარგმანს:

„სომეხთა წელთაღრიცხვის 644 წ. (უღრის 551+644=1195 წ. — ა. ა.) დაესრულა ღვთივინიჭებული სიბრძნე წმიდა მამისა ეფრემისი — განმარტება თანასიტყუო სახარებისა და სული წმიდას შემწეობით დაწერილი სიტყუანიც, რომელიც ერთ კრებულშია მოთავსებული ეკლესიის მსახურთა სარგებლობისათვის. აქ შეკრებილია ყოველგვარი სიკეთის ნაყოფი; წმინდა და ფრიალ დამაშვრალმა მოძღვარმა ანანიამ როგორც მშობლიური გარდამოცემა შევითათვის დაიცვა და შეკრიბა ეს განძი ჰალბატის ძმობისათვის და გასანათლებლად ყოველი ქვეყნისა.

აწ მე, ხაჩატურმა, ვინმე უთვისტომო, მწირმა და გლახაკმა კაცმა, სახელითა ოდენ მონაზონმა, რომელმაც განსწავლის მიზნით მივაშურე ბრძენ და უბიწო მოძღვრებს დასამოწაფებლად, ეს ღვთივინიძღვებული საუნჯე ვპოვე ჩემს უპატიოსნეს და ბრძენ მოძღვარ დავითთან, შევეცადე და გადაეწერე ავხელად და უმეცრად; [ამ საქმისათვის ხელის მოკიდება] მიძიქულა და ფრიალ შემაგულაინა სასურველთა სიყვარულმა, მეტადრე ეფრემის სიბრძნის სახელგანთქმულობამ, რომელიც მარტო ჩემთვის კი არაა საწადელი, არამედ ყველასათვის: როგორც ძველთათვის ისე შემდგომთათვის და თანამედროვეებისათვის.

ხოლო [დაიწერა] ეს წიგნი ძორაგეტის მხარეს, ჰალბატის მონასტერში, წმიდა ცხოველმყოფელი კათალიკე ღვთისმშობლის და მასში დამკვიდრებულ ყველა წმინდანთა შეწევნით, მეუფე ოვანესის ეპისკოპოსობისას, როდესაც გარდაიცვალა სომეხთა კათალიკოსი მეუფე გრიგორი, დავითის, პეტროსისა და ეგნატეს მოძღვრობის უამს; ვარდან მოძღვარის გარდაცვალების შემდეგ, იმ წელიწადს, როდესაც ქართველებმა კარინის მხარე მოტყვევნეს, ხოლო მონასტრები ააოხრეს, გაძარცვეს და დაატყვევეს.

ამ დროს მე, ხაჩატურმა, უძლურმა და შლუმ, დავწერე ეს წიგნი ავხელად და შეუფერებლად, უფარგის მასალაზე. აწ, პირქვე დამხობილი გვედრებით, ნუ იქნებით მამბრობელნი, არამედ მოგვიხსენეთ გულწრფელად და თანაგრძნობით მე და ჩემი მოძღვარი დავითი, რომელმაც ეს ნუსხა მომამდლა, აგრეთვე ჩემი მშობლები და ძმები. ვინც მოგვიხსენებდეს, მოხსენებულ იყოს ქრისტეს მიერ, მამასა და სული წმიდასთან ერთად; ღიღება მას სამარადისოდ.

ჰოი ძმაო, ვინც წაიკითხავ, ვიცი რომ დამძრახავ, მაგრამ მერწმუნე და დაინახე, რომ... მე [მხოლოდ] ეს შეგძელი; შენ თუ უკეთესი ხარ, დაჯეჟი და სხვა დაწერე, ხოლო შენ თუ მეტი შეგიძლია, ამის გამო მე ბრალს ნუ დამდებ.

¹⁴ Sanjian A. K., დასახ. ნაშრომი, გვ. 187.

¹⁵ ტიპოურია, მაგ., ილ. აბულაძის მიერ გამოქვეყნებული XV ს. ანდერძნამავი; იხ. მისი „მათოს განძისარელის ცნობა ქართველთა მეფის კონსტანტინეს შესახებ“, ენიშის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 48—53.

...დაესრულა სახარების განმმართველი სიტყვა ბრძენი ამა ეფრემისი, ყოვლად წმიდა სამების საუკუნოდ სადიდებლად, ამინ. ფრიალ დამაშვარალი, წმიდა, ყოვლად ნეტარი მოძღვარი ვარდანი, კაცი ღმრთისმოყვარე, სიყრმიდან მოქუცეპულობამდე ქრისტეს ნაზიარები, საღვური სული წმიდისა, ყოველგვარი სიკეთით აღსავსე, შემკული ფრიალი მხნეობით, უპოვართა მეურვე, შერთა მფარველი, გლახკომოყვარე, სულთა მკურნალი, მამა ობოლთა, ქრისტიანთა სიქადული, განმანათლებელი ეკლესიისა, მეტყველ ცხოვართა მწყემსი, სულკურთხეული, ღმრთის ღირსი, ზეშთადმატებული, მიცვალებული და განსვენებული ქრისტეს მიერ, აგრეთვე მისი ნათესავი გრიგორ მოძღვარი და დაობლებული მოწაფე ხაჩატური მოიხსენეთ ლოცვებში, მკითხველნო, ახალი სიონის წმიდა მსახურნო და ზეციერი იერუსალიმის შვილნო, განსწავლულნო და ღვთის სიტყვას დამოწაფებულნო¹⁶.

მართალია, ანდერძნამავთა ავტორები ცდილობენ დაიცვან სომხური ლიტერატურის კლასიკური პერიოდის ენობრივი ნორმები და სტილი, მაგრამ ამას იშვიათად აღწევენ. ანდერძნამავები სავსეა დიალექტური ფორმებით და უცხოური ტერმინებით¹⁷. სომხური ენის ისტორიული განვითარების შესასწავლად ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამასთანავე უნდა ითქვას, რომ მთარგმნელის მდგომარეობა შესამჩნევად რთულდება.

სომხური ენის არმცოდნე მკვლევართათვის სომხურ ხელნაწერთა ანდერძნამავები ბოლო ხანებამდე სავსებით მიუწვდომელი იყო¹⁸. სომხეთის ისტორიის შესასწავლად კი ანდერძნამავთა გამოყენებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ სტეფანოს ორბელიანი იყენებდა მათ სხვა წყაროებთან ერთად. ანდერძნამავები გამოიყენა აგრეთვე XVII ს. ისტორიკოსმა არაქელ თავრიზელმა. მიქაელ ჩამჩიანმა თავისი ცნობილი „სომხეთის ისტორია“ ერთ-ერთ მთავარ მასალად სწორედ ანდერძნამავები გახადა. XIX—XX სს. მრავალი სომეხი მკვლევარი წარმატებით იყენებს აღნიშნულ საისტორიო წყაროს და ზოგჯერ ეს უკანასკნელი ძირითადი დასაყრდენიც ხდება მათთვის¹⁹.

ცალკეული ანდერძნამავები XIX—XX სს. მანძილზე მრავალმა მკვლევარმა გამოაქვეყნა. ანდერძნამავთა კორპუსები კი მხოლოდ უკანასკნელ ათწლეულებში გაჩნდა. სომხურ ხელნაწერთა ანდერძნამავები V—XIII საუკუნეებისა (1250 წლამდე) გამოსცა გ. ჰოვსეფიანმა²⁰. როგორც აღნიშნავენ, საქაო რაოდენობა ანდერძნამავებისა ამ კრებულში ვერ მოხვდა, რადგანაც ძირითადად ისინი მისი გამოცემის შემდგომ გამოვლინდა; ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია²¹, არ არის გამოცემული 1250—1300 წლებში შესრულებული ანდერძნამავების უმრავლესობა; XIV—XV სს. სომხური ანდერძ-

¹⁶ Կ. Ալիշან, Հայաստան, Վենետիկ, 1901; გვ. 383.

¹⁷ Sanjian A. K., დასახ. ნაშრომი, გვ. 192.

¹⁸ უკანასკნელ ხანს გამოვიდა XIV—XV სს. ანდერძნამავთა ერთი ნაწილის თარგმანი—იხ. Colophons of armenian manuscripts, 1301—1480. A source for Middle Eastern history. Selected, translated, and annotated by K. Sanjian, Cambridge, Massachusetts, 1969. ქართულ თარგმანი მხოლოდ რამოდენიმე ანდერძნამავი.

¹⁹ Sanjian A. K., დასახ. ნაშრომი, გვ. 183—184; შტრ. Մ. Ս. Խաչიკյան, დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

²⁰ Գարեգին Ա Կարադიქი, Միշառակարանք ձեռագրագ, Կառ. Ա, Անիլիქա, 1951.

²¹ Ժե Գարի Նայիրեն Արագրեթի Ռիշառակարանքեր, III, Խբ., 1967, გვ. 6.

მინაწერები ოთხ ტომად გამოსცა ლ. ხაჩიკიანმა²². სომხურ ანდერძ-მინაწერი გამოვლენა და მათი გამახადება გამოსაქვეყნებლად კვლავ გრძელდება²³.

საქართველოს ისტორიისათვის სომხურ ანდერძნამაგებსა თუ მინაწერებზე საინტერესო ცნობები გვხვდება თითქმის მთელი შუა საუკუნეების სივრცეში მაგრამ, ვასაგებია, განსაკუთრებით ძვირფასი მასალა შემოგვინახეს XII—XIII სს. სომხურმა ანდერძნამაგებმა — ამ დროს ხომ სომხეთის დიდი ნაწილი უშუალოდ შემოდოდა საქართველოს სახელმწიფოში. საქართველოს სამეფოს დაქვემდებარებულ სომხურ პროვინციებში შესრულებულ თითქმის ყველა ანდერძნამაგი შეიცავს ჩვენთვის საინტერესო ცნობებს, რადგან XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის შესასწავლად ბუნებრივია, ძვირფასია თვით ის მასალაც, რომელიც საკუთრივ სომხურ პროვინციებს შეეხება. საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს გარეთ დაწერილი XII—XIII სს. ზოგი სომხური ანდერძნამაგიც გვაწვდის ჩვენთვის საჭირო ცნობებს, რამდენადაც მათ ავტორთა ინტერესები დაკავშირებულია საქართველოს სამეფოში შემომავალ სომხურ მიწა-წყალთან და, ამდენად, თვით ქართულ სახელწიფოსთან²⁴.

XII—XIII სს. სომხურ ანდერძნამაგთა ცნობები საქართველოს შესახებ მრავალფეროვანია. ამ ცნობათა მეოთხედი უკვე მოხერხდა საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის ზოგიერთი საკითხის დაზუსტება²⁵.

²² ძ. ფაჩი ნაქსენ მხაყრეხი ნიჟათსაკარანსხ, სრ., 1950, ძხ ფაჩი ნაქსენ მხაყრეხი ნიჟათსაკარანსხ, I სრ., 1955; II, სრ., 1958; III, სრ., 1967.

²³ ძხ ფაჩი ნაქსენ მხაყრეხი ნიჟათსაკარანსხ, III, კადმეხ I. ო. ხაჩიკიან სრ., 1967, გვ. 5—6.

²⁴ მათი მნიშვნელობისათვის XV ს. საქართველოს ისტორიისათვის იხ. ილ. აბულაძის არქივი, № 219.

²⁵ ჩვენ აქ ყველა ცნობას ვერ მოვიტანთ; სამისოდ არც ადგილია და, რაც მთავარია, ჩვენთვის საინტერესო ყველა ცნობას და მათ შემდეგ ანდერძნამაგს საგანგებო შესწავლა სჭირდება, რაც ჩვენს ვადამდებელ ამოცანას შეადგენს კიდევ.

²⁶ გ. მ. ა. ს. უ. რ. ა. ძე, ერთი სომხური წყარო დემან უფლისწულის აჯანყების შესახებ, იხ. კრებული — „საქართველო რუსთაველის ხანაში“, 1966, გვ. 253—266; П. М. Мурадян, К хронологии некоторых событий в Грузии и Армении конца XII в., „ზანსხი უანსნაყარანსი“, № 9, 1969, გვ. 125—135. ა. ა. ბ. დ. ა. ლ. ა. ძე. ერთი სომხური ანდერძ-მინაწერი მასიანის ბრძოლის შესახებ, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1972, № 1.

უნდა აღინიშნოს, რომ პ. მურადიანის მიერ ქრონოლოგიური საკითხების შესასწავლად გამოყენებული მხითარ გოშის ანდერძნამაგი 1187 წლისა სხვა მხრივაც საინტერესო ჩანს. აქედან ვიგებთ, მაგალითად, რომ 1187—1188 წ.წ. რამდენიმე თვე, რომლითაც დაშორებულია ერთმანეთისაგან თამარის პირველ ქმართან გაყრა და მეორის შერთვა, საქართველოს სამეფოში თითქმის განუწყვეტელი არეულობა უფიქლა. (П. М. Мурадян, დასახ. ნაშრომი, გვ. 131. ჟარსეხი ა. ს. კარაიხი, მხათსაკარაე მხაყრეხ, გვ. 521—522); საინტერესოა აგრეთვე მხითარ გოშის მიერ თამარის დავით სოსლანთან დედის ზაზით ნათესაობის აღნიშვნა. ვახუშტის ანალოგიური ცნობა (ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, 1885, გვ. 202), რომელიც აკად. კ. კეკელიძემ გადაკრით უარყო (კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, 1957, გვ. 1—7) როგორც ეტყობა, საყურადღებოა.

ფიქრობთ, ასევე გასათვალისწინებელია მხითარ გოშის ცნობა, რომლის მიხედვითაც თამარის ქმარს — სოსლანს სახელი დავითი მხოლოდ გამეფების შემდეგ ეწოდა. ეგების ამ ფაქტით რაიმე ემატებოდა აკად. კ. კეკელიძის მიერ დავით სოსლანის ტიტულზე — „ეფრემიანი“ — დაკვირვებით გამოკვლეულ ქართული პოლიტიკური აზროვნების მომენტს (იხ. კ. კეკელიძე ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1956, გვ. 312—318). შესაძლოა, სოსლანს გამეფებისას „დავითი“ დაარქვეს იმიტომ, რომ მას, ოს ზაგრატიონთა

როგორც ცნობილია, დემნა უფლისწულის აჯანყების შესახებ ფრიად საინტერესო მასალას შეიცავს დავით ქობაირელის 1179 წ. შესრულებული ანდერძნამავი²⁷.

სომხური ანდერძნამავები შეიცავენ მნიშვნელოვან ცნობებს საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის²⁸. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, საინტერესოა 1195 წ. ანდერძნამავის ზემოთ მოტანილი თარგმანიც. აქ მოხსენებული კარინის (არზრუმის) დალაშქრა ქართველთა მიერ, შესაძლოა, იგივე იყოს, რასაც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი მოვეითბრობს შამქორის ბრძოლის მსვლელობის აღწერის შემდგომ: საქართველოს ლაშქარი გადავიდა „ლიხთ-იმერეთს; შთასრულთა ზღვა პონტოსა მოიურავეს, და მოირქუენს დიდად და კარგად, ვინათგან ქუეყანა არტანისა, ძალინის კევისა, პალაკაციო წაელო თურქთა და მიუწია მარბიელმან ბასიანამდის და ყურაბებამდი. ავსილთა დაიბანაკეს „სისხლის მუცელსა“. აწყა იხილევებოდა, მსგავსადვე ძუელ ოდესმე თქმულისა და მქონელისა, ქუეყანა და საყოფი მათი, ვითარცა „სისხლის მუცელი“²⁹.

სომხური ანდერძნამავები გვაწვდიან მასალას სომხურ-ქართული ეკლესიების ურთიერთობის შესახებაც³⁰. საყურადღებოა ამ მხრივ ზემოთმოტანილი ანდერძნამავის თარგმანის ცნობაც ქართველების მიერ მონასტრების აოხრებისა და გაძარცვის შესახებ; ეტყობა, ანდერძნამავის ავტორი სომხურ მონასტრებს გულისხმობს. მართლაც, სხვა წყაროებიდანაც ცნობილია, რომ ქართულ-სომხურ ეკლესიებს შორის არსებული საუკუნოვანი უთანხმოება XII ს-ის დასასრულისათვის და XIII ს-ის პირველ მეოთხედში მწვავედება, რაც მთელს იმდროინდელ სომხურ და ქართულ საზოგადოებრივ აზრს დაეტყო.

ვფიქრობთ, საინტერესოა უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის 1232 წ. ანდერძნამავში³¹ დაცული ცნობა: აქ განმარტებულია, თუ რას წარმოადგენს საქართველოს სამეფო კარზე მსახურთუხუცესი. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ამ საკითხის შესახებ ცნობებს გვაწვდის მხოლოდ „ქელმწიფის კარის გარიგება“, უფრო ადრინდელ ქართულ წყაროებში კი სახელის მეტს ვერაფერს ვპოულობთ³². ვფიქრობთ, სომხური ცნობა მხარს დაუჭერს ივ. ჯავახიშვილის აზრს, რომლის თანახმადაც მსახურთუხუცესი ძირითადად მეფის კარის შინაურ მეურნეობას განაგებდა³³.

ჩამომავალს — ეფრემიანს, დაუსვენს რა მეუღლედ და თანამეფედ თამარს—დავითიანთა წარმომადგენელს, დავითიანთა დინასტიური უფლება მიანიჭეს. (ივ. ლოლაშვილი, დავით სოსლანის აკლდამის საიდუმლოება, 1971, გვ. 78).

²⁷ გ. შაიხურაძე, დასახ. ნაშრომი. უნდა აღინიშნოს, რომ გ. მაისურაძეს გამოტოვებული აქვს, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი ცნობა ივანე ორბელის ძლიერების შესახებ.—იხ.

ზარხეჩნ II კარიქილი, მჭათოაკარანე ბეაყრაე, გვ. 469—474.

²⁸ იხ. მაგ., გ. მაისურაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 261—62, 265—66. ა. აბდლაძე, დასახ. ნაშრომი.

²⁹ ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 78.

³⁰ ილ. აბულაძე, რუსთაველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ძველი სომხური მწერლობის ძეგლები, გვ. 128—131, ენიმკის მოამბე, III 1938, გვ. 128—131.

³¹ **ზარხეჩნ II კარიქილი, მჭათოაკარანე ბეაყრაე, გვ. 885—888.**

³² ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. II, წიგნი პირველი, გვ. 182.

³³ იქვე, გვ. 183.

საყურადღებო ჩანს საქართველოს მეფის ხელისუფლების ისტორიისათვის 1232 წ. ანდერძნაგის³⁴ ცნობა, რომლის თანახმადაც ამ დროს საქართველოში მეფე არა ჰყავდათ და ქვეყანას რუსუდანი განაგებდა. როგორც ცნობილია, ჟამთააღმწერელს მოტანილი აქვს ლაშას ანდერძი, რომლის თანახმადაც რუსუდანი მხოლოდ დროებითი მმართველი უნდა ყოფილიყო საქართველოსი³⁵. „ვითარცა ცნა აღსასრული თვისი მეფემან ლაშა, მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა სამეფოსა თვისისათა, შევედრა დაა თვისი რუსუდანი ცრემლითა მომდინარემან და თქუა:... აჲ შეგვედრებ წინაშე ღმრთისა, რათა მეფე ჰყოთ იგი შემდგომად ჩემსა. ხოლო დასა ჩემსა რუსუდანს ვამცნობ წინაშე ღმრთისა და სასმენელად თქუენდა ყოველთა, რათა აღზარდოს შვილი ჩემი დავით, ხოლო რაჟამს ეძლოს მეფობა და მკედრობა, რომელ დავით მეფე ყოს, და იგი დაადგინეთ მეფედ და მემკვდრედ მეფობისა ჩემისა“³⁶.

როდესაც ჯალალედინისაგან ლტოლვილმა რუსუდანმა ქუთაისში თანამოსაყდრედ დასცა თავისი მცირეწლოვანი ვაჟი, ჟამთააღმწერელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსუდანს ამისი უფლება არა ჰქონდა, მან ამით ძმის ანდერძი დაარღვია: „ამათ ჰირთაგან შეიწრებული მეფე რუსუდანი იყო რა ქუთაისს და ყოველსა აფხაზეთსა, და იქმნა ძე მისი დავით ვითარცა წლისა ხუთისა, ინება მეფედ ყოფად ძისა მისისა. ვითარ არს წესი სოფლის მოყუარეთა, შეიყუარა წარბავალი საწუთრო, დაივიწყა შიში ღმრთისა და სიყუარული ძმისა, და მოიგონა საქმე ყოველთა მიერ განსაკრთომელი; რამეთუ ზემო ქსენებული ძმისწული თვისი დავით, რომელი ძმისა მისისგან, გიორგისგან, ანდერძობით შევედრებულ იყო და მას აღეზარდა, წარავლინა ფარულად ასულსა მისსა და სიძესა მისსა სულტანსა ყიასდინს თანა, საბერძნეთს, რათა წარსწყმიდონ და იყოს დაუშფოთველად ძისა მისისა დავითისათვის არა განყოფად მეფობისა“³⁷.

ლაშა-გიორგის ანდერძის თობაზე აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს: „ლაშა-გიორგის რომ ამგვარი ანდერძი მართლაც დაეტოვებინა და თუ ეს მერმინდელი ისტორიკოსის შეთხზული არ არის, მეფის აზროვნებისათვის იგი მეტად დამახასიათებელი იქნებოდა. როგორც ვიცი, მას „სჯულიერი“ თანამეცხედრე არა ჰყოლია და საქართველოში ლაშა-გიორგის შეუღლება ველისციხელ მანდილოსანთან არავის, — არც სამღვდლოებსა და ვაზირთა და დანარჩენ დიდებულებს, კანონიერ ცოლქმრობად არ მიაჩნდა და ისინი თვით მცირეწლოვან ძესაც მეფის კანონიერ შვილად და ტახტის მემკვიდრედ ვერ მიიჩნევდნენ... ის გარემოება, რომ ლაშა-გიორგის დროინდელი მემკვიდრე³⁸ ჭაბუკი მეფის თანამოაზრე და მამებული, მის მცირეწლოვან ძეს არ იხსენიებს, დავითის ტახტის მემკვიდრედ დატოვების შესახებაც არაფერს ამბობს და მხოლოდ რუსუდანზე ამყარებს საქართველოს სახელმწიფოს მთელ იმედებს, ეს მთააღმწერელია³⁹ და მის წყაროს ცნობას ლაშა-გიორგის ანდერძის შესახებ საეჭვოდ ხდის და მერმინდელ შენათხზად გვაფიქრებინებს.

მაგრამ მინც საყურადღებოა, რომ ქართველი ჟამთააღმწერელის ცნობა ლაშა-გიორგის მიერ თავისი უკანონო შვილის შესახებ დატოვებული ანდერ-

³⁴ ჯავახიშვილი, *საქართველოს ისტორია*, გვ. 881—881.

³⁵ ივ. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, III, 1966., გვ. 37.

³⁶ ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 166—67.

³⁷ ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 179—180.

³⁸ ხაზი ავტორისაა.

³⁹ ხაზი ავტორისაა.

ძის თაობაზე სრულებით უსაფუძვლო არ ყოფილა, მაგრამ მერმინდელს გარდ-
მოცემასა და განსაკუთრებით დავით ლაშა-გიორგის ძის მომხრე ჯგუფსა და
დასს თავის მიზნებისა და თვალსაზრისის სასარგებლოდ გადაუყვებია და ვა-
უზვიადებია. ჯერ კიდევ 1246—7 წ. ქართველ მოწინააღმდეგე მებრძოლ ქრე-
ებისაგან პლან კარპინს⁴⁰ ამ ანდერძის შესახებ იმაზე მეტის არაფრის
თქმა არ შეეძლო, რომ მამას, ცხადია გიორგი ლაშას, თავისი უკანონო შვილი-
სათვის თავისი მიწების ერთი ნაწილი დაუტოვებია⁴¹.

1232 წ. სომხური ანდერძნამავის ზემოთ მოტანილი ცნობა ლაშა-გიორგის
ანდერძის არსებობას თუ ვერ დაამტკიცებს, ის კი უშეველია, რომ დავით ლა-
შა-გიორგის ძის მომხრეთა ჯგუფში ჰაინც, უკვე 1232 წლისათვის, თუ უფრო
ადრე არა, რუსულანისა და მისი ძის პრეტენზიები საქართველოს სამეფო ტახტ-
ზე მიუღებელი ყოფილა.

სომხურ ანდერძნამავებში შედარებით ნაკლებად, მაგრამ მინც გვაქვს
ცნობები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვისაც; ასე მაგალითად,
1185—88 წლებით დათარიღებულ ანდერძნამავში ნათქვამია, რომ ერთ-ერთ
სომხურ მონასტერში დამზადებული ხელნაწერისათვის საკირო მასალა თბილი-
შიდან და ანისიდან წაუღიათ⁴².

ზაქარია და ივანე მხარგრძელთა, აგრეთვე საქართველოს სამეფოს სხვა დიდ-
მოხელეთა შესახებ სხვა წყაროებში არსებულ ცნობებს სომხურ ანდერძნა-
მაგთა მონაცემები, ვფიქრობთ, მნიშვნელოვნად შეავსებს.

როგორც ზემოთ ითქვა, ანდერძნამავთა ცნობები, საზოგადოდ, სანდოა.
ეგვევ შეიძლება ითქვას კერძოდ იმ მასალაზეც, რომელიც XII—XIII სს. სა-
ქართველოს ისტორიისათვის შეიძლება გამოვიყენოთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშ-
ნავს, რომ ანდერძნამავთაგან მომდინარე ყოველ ცნობას სრული ნდობით მო-
ვეკიდოთ. ვფიქრობთ, განსაკუთრებული სიფრთხილე საჭირო, როდესაც ჩვენ-
თვის საინტერესო ცნობა ხელნაწერის მომგებელის ანდერძნამავში მოიპოვება.
მომგებელნი ხშირად საზოგადოების ზედა ფენის წარმომადგენელნი არიან და
მათ ანდერძნამავში გარკვეული მედასეობა თუ მიეკრძოება უთუოდ შეიმჩნევა.

მიუხედავად ანდერძნამავთა აღნიშნული ზოგი შეზღუდულობისა თუ ნაკ-
ლისა, მას შემდგომ, რაც ჩვენამდე მოღწეული ყველა სომხური ანდერძნამავი
გამოვლენილი და ჯეროვნად შესწავლილი იქნება, მათი სახით XII—XIII სს.
საქართველოს ისტორიისათვის ახალი, საკმაოდ მნიშვნელოვანი წყარო აღმოჩ-
ნდება მკვლევართა განკარგულებაში.

А. П. АБДАЛАДЗЕ

ПАМЯТНЫЕ ЗАПИСИ АРМЯНСКИХ РУКОПИСЕЙ И ИХ ЗНАЧЕНИЕ ДЛЯ ИСТОРИИ ГРУЗИИ XII—XIII ВЕКОВ

Резюме

Среди армянских исторических первоисточников памятным записям
(ишатакаран) рукописей придается большое значение. Они содержат
ценные сведения для изучения истории как собственно Армении, так и

⁴⁰ ხაზი ავტორისაა.

⁴¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, 1966, გვ. 35—36.

⁴² Գարեգին Ա կաթողիկոս, Յիշատակարանք մեռապապ, გვ. 507—512.

соседних с ней стран. Несмотря на некоторую ограниченность, определенную характером источника, памятные записи в сравнении с другими историческими памятниками имеют и преимущества: большая степень объективности, точность хронологических данных и др.

Сведения о Грузии в армянских памятных записях встречаются на протяжении почти всего средневековья, но, естественно, особенно значительный материал имеется в памятных записях XII—XIII веков.

Некоторые сведения о хронологии истории Грузии, а также по истории социально-экономической, политической и культурной жизни страны этого периода сохранились, из дошедших до нас источников, только в памятных записях; кроме того, они часто восполняют и уточняют данные других источников.

თინათინ ბეჭიძე

XIII საუკუნის ქართული სამოხელეო ტერიმინი
„მესაყიზჩაყე“

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ყოფილ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საბუთების კოლექციაში (Hd) 1330 ნომრით დაცულია დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს დავით მეფის მიერ ქარმაულ გრიგოლ ჭაჭიაშვილისადმი მიცემულ წყალობის სიგელს. საბუთი დედანია. დაწერილია ეტრატზე მხედრული ხელით. სამეცნიერო ლიტერატურაში დოკუმენტის გამცემი მიჩნეულია დემეტრე თავადადებულის ძედ — დავით VIII-ედ. საბუთი თარიღდება დავითის გამეფების მეხუთე ინდიქტიონით, ე. ი. 1297 წლით.

საბუთი ორჯერაა გამოცემული. მისი მთლიანი ტექსტი ს. კაკაბაძემ 1924 წელს დაბეჭდა¹, ხოლო ფრაგმენტი (ფოტობირით) 1949 წელს ილ. აბულაძემ².

საბუთის შინაარსი ასეთია: დავით მეფეს ერთგულად მსახურებისათვის გრიგოლ ქარმაულისათვის უწყალობებია შუანის ზეეს სოფელი ლაუშა „ყოვლითა სამართლიანთა ზღვრითა და მიმდგომითა...“.

საბუთში ჩვენი ყურადღება მიიქცია ტექსტის იმ ნაწილმა სადაც დავითი უბრძანებს თავის მოხელეებს, რომ მისი გადაწყვეტილება არ შესცვალოს. „აწ, ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა, კარისა ჩუენისა ვაზირთა და მოურავთა, ერისთავთ-ერისთავთა, ერისთავთა, ქართლის ერისთავთა, ყინოენისა პატრონთა და მოურავთა და ამირათა, მპარავთმეძებელთა, ხუარბლისმკრებელთა, მესაბანჯრეთა, მელუინეთა, ბაზიართა, მონადირეთა, მეჭინიბეთა, მერემაეთა, მესაყიზჩაყოეთა და ყოველთა საქმისმოქმედთა ჩუენთა, დიდთა, დიდთა და მცირეთა, დაუმტკიცეთ და ნუეინ უშუღავთ ბრძანებასა და სიგელსა ამას ჩუენსა, და-ნუცა რას ვინ დააკლებთ, ნუ დიდსა და ნუ მცირესა, თუინიერ შეწევისა და თანადგომისა“.

ჩვენს მიერ მოტანილი საბუთის ბრძანებულებათა ნაწილში სამეფო კარის მოხელეთა შორის დასახელებულია მე ს ა ყ ი ვ ჩ ა ყ ე (ს. კაკაბაძის წაკითხვით „მსყეჩყე“).

დღემდე მოღწეული დოკუმენტებიდან მხოლოდ ამ საბუთმა შემოგვინახა ცნობა მოხელე მე ს ა ყ ი ვ ჩ ა ყ ე ზ ე და ამდენად გამოსადგ მ ს ა ყ ი ვ ჩ ა ყ ე ო ჭ ხ ე ც .

1118—1119 წლებში მეფე დავით IV აღმაშენებელმა მხედრობის გაძლი-

¹ საისტორიო მოამბე, 1924, წ. 1, გვ. 141—143.

² ილ. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული აღბოძი. 1949, გვ. 238—239.

ერების მიზნით საქართველოში გადმოსახლა ყივჩაყები. მოლაშქრე ყივჩაყთა რაოდენობა, მემატინის ცნობით, 40 ათასს უდრიდა³.

დავით აღმაშენებელმა ყივჩაყები საქართველოში იმ დროს გადმოსახლდა როცა ისინი რუსებთან ბრძოლაში დამარცხდნენ. ამ დროს წით აკლდით ცხენები და საჭურველი. დავით აღმაშენებელს მოუხდა ყივჩაყთა „გასრულება ცხენებითა და საჭურველით“⁴. მათი სამხედრო საჭურველით შეიარაღების გარდა, ბუნებრივია, სამეფო კარის მძიმე საზრუნავს წარმოადგენდა მათი დასახლება და გამოკვება-შენახვა. ყველაფერი ეს დამატებით ეკონომიურ პრობლემებს უყენებდა საქართველოს სამეფო ხელისუფლებას ამიტომ, სავარაუდებელია, რომ ეს გამოსაღები პირველად დავით აღმაშენებელმა შემოიღო მის მიერ საქართველოში გადმოსახლებულ ყივჩაყთა შესახებ. დავით აღმაშენებლის მიერ სამეფო ტერიტორიაზე დასახლებული ყივჩაყები ალბათ ღიბხანს საქიროებდნენ მეფისაგან ასეთ შემწეობას. მას შემდეგ, რაც ყივჩაყები ბინადარ ცხოვრებას მოეკიდნენ, ადგილობრივ მოსახლეობას შეერწყნენ და გაქართველდნენ. მათთვის „საყივჩაყოს“ სახით აკრებილი გადასახადის გასამრჯელოდ მიცემა ალბათ შეწყდა.

ქართული წყაროების მიხედვით, ყივჩაყი მოლაშქრეები შემდეგშიც ჩანან როგორც დაქირავებული მეომრები. გიორგი III-ის დროს „ყივჩაყთა რაოდენი ათასი კაცი უბრძანის, მოვიდიან“⁵, ხოლო თამარის მეფობის დროს, საქართველოს სამეფო სამსახურში ყოფილან „ყივჩაყნი ახალნი“⁶, ე. ი. ჩრდილო კავკასიიდან ახლად მოსული ყივჩაყები (ალბად დაქირავებულნი), რომლებიც ბუნებრივია, თავისი სამსახურისათვის გარკვეულ გასამრჯელოს მოითხოვდნენ საქართველოს სამეფო ხელისუფლებისაგან. მაშინ თვით „ძმა ყივჩაყთა მეფისა სეენიჩისა სავალათი აქა იყო სამსახურად“⁷. უფრო გვიან გვხვდებიან აგრეთვე „ყივჩაყნი სახაფხულოდ მიმავალნი“⁸. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ამ პერიოდში ყივჩაყები დასახლებულად კი არ მოდიან, არამედ დაქირავებული არიან საქართველოში „სამსახურად“⁸.

ზემომოტანილი ცნობების გათვალისწინების შედეგად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ XII—XIII საუკუნეთა საქართველოში, ვამოსადები „საყივჩაყო“, თუ მუდმივად არა, დროდადრო მაინც სამეფო ხელისუფლების საქიროებისათვის დაქირავებულ ყივჩაყთა დასაკმაყოფილებლად უნდა აკრებილიყო.

ჩვენს მიერ განხილულ საბუთში შემონახული მცირე ცნობა საშუალებას არ იძლევა დადგინდეს, რა სახისა და ოდენობისა იყო ეს გამოსაღები და როგორი პერიოდულობით იკრებებოდა, ან ვის ევალებოდა გადასახად „საყივჩაყოს“ გამოღება.

მესაყივჩაყე საბუთში მოხსენიებულია სხვა სამეფო მოხელეთა („ხუარბლის-მკრებელთა“, „მესაბანჯრეთა“, „ბაზიართა“ „მეჭინბეთა“ და მეფის „ყოველთა საქმისმოქმედთა“) შორის. საფიქრებელია, რომ მესაყივჩაყეც მეფის მოხე-

³ ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955. გვ. 337.

⁴ იქვე.


⁵ იქვე, გვ. 367.

⁶ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 65.

⁷ იქვე, გვ. 64.

⁸ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, გვ. 146.

ლეა, რომელსაც გარკვეული სახის გამოსაღების — საყიფაყოს აკრება ევალება —
ბოდა.



Т. П. ЕНУКИДЗЕ

ГРУЗИНСКИЙ ДОЛЖНОСТНОЙ ТЕРМИН XIII ВЕКА —
«МЕСАКИВЧАКЕ»

Резюме

В грамоте грузинского царя Давида VIII, датированной 1297 годом, имеется единственное в грузинских исторических документах упоминание термина «месакивчаке» (მესაყიფაყე). Термины, образованные от гои или иной основы с помощью суффикса ме-ე (მე-ე) являются обычными обозначениями для должностных лиц. Основой же для данного термина является слово, форма которого не вызывает сомнений, хотя документально оно и не подтверждается в текстах, а именно — «сакивчаке» (საყიფაყე).

Означало оно, по всей вероятности, специальную подать, взимаемую для содержания кипчакского, т. е. половецкого наемного войска, «месакивчаке» же был сборщиком этой подати.

6033X კიანაძე

ერთი გეოგრაფიული სახელის განმარტებისათვის
ჟამთააღმწერლის თხზულებაში

XIV საუკუნის ქართველი ანონიმური ისტორიკოსის, ჟამთააღმწერლის თხზულება ძვირფასი წყაროა XIII—XIV სს საქართველოს ისტორიის შესასწავლად¹. ამ საისტორიო ნაწარმოების ღირსება კიდევ უფრო იზრდება იმის წყალობით, რომ მას მრავალი საყურადღებო, ორიგინალური ცნობა მოეპოვება ამიერკავკასიის ქვეყნებისა და ირანის სოციალურ-ეკონომიური ისტორიისთვისაც². ამის გამო, ქართველი ავტორის თხზულებაში ბევრი აღმოსავლური საგადასახადო თუ სამოხელეო ტერმინი, საკუთარი თუ გეოგრაფიული სახელი იხსენიება. ზოგ მათგანს, გვიანდელ გადამწერთა წყალობით, ისე დამახინჯებულად მოუღწევია ჩვენამდე, რომ ხშირად საკმაოდ ძნელი ხდება მათი პირვანდელი სახით აღდგენა. წინამდებარე წერილი ერთი ასეთი გეოგრაფიული სახელის განმარტებას ეხება.

ჟამთააღმწერლის თხზულებაში რამდენიმეჯერ იხსენიება რაღაც ადგილი საქო, რომლის ლოკალიზება, იდენტიფიკაცია ან სწორი წაკითხვა, რამდენადაც ვიცით, არავის უცდია.

ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ სირიასა და ეგვიპტეში ლაშქრობიდან მობრუნებული ჰულაგუ-ხანი „მოიწია საზაფხულოსა სადგურსა თსისა აღატას და მიერ საქოსა, და მერმე წარვიდა საზამთროსა ადგილსა, რომელსა აწ ყარაბაღობით და მულნობით უწმობენ“³.

ამის შემდეგ საქო კიდევ ორჯერ გვხვდება ჟამთააღმწერელთან.

ილხანთა სახელმწიფოსა და ჩრდილოეთის ოქროს ურდოს გაუთავებელი ბრძოლა და ტერიტორიული დავა ჰქონდათ, რომელთა ასპარეზი, პირველ რიგ-

1 ჟამთააღმწერლისა და მისი თხზულების შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 246—263; ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრების მეორე ტომის შემადგენლობა, წიგნში: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ტ. II, თბ., 1959, გვ. 021—023; ე. გრიგოლია, ჟამთააღმწერელი და მისი თხზულების სამეცნიერო მნიშვნელობა, კრებ. „ქართული ისტორიოგრაფია“, ტ. I, თბ., 1968.

2 იხ. ე. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის მასალები ჟამთააღმწერლის თხზულებაში, კრებ. „მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევები“, თბ., 1968; რ. კიკნაძე, ჟამთააღმწერლის სპარსული წყაროები, „კავკასიურ-აზღვანოსავლური კრებული“, II, თბ., 1962; რ. კიკნაძე, ყორღოლანგო—სულ—სულთანე, კრებ. „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, თბ., 1966.

3 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 232—240 (ხაზგასმა აქაც და ქვემოთაც ჩვენია).

ში, აზერბაიჯანი იყო⁴. ქამთაღმწერლის ცნობით, იმისათვის, რომ თავი დაეცვა ჩრდილოეთიდან მოსალოდნელი შემოსევებისაგან, ჰულაგუმ შირვანში, მდინარე ჩალანუსთან ააშენებინა სიმაგრე — სიბა, სადაც ყოველ ქვეყნულ მორიგებულ მონღოლებს და მათთან ერთად ქართველებს⁵. (დღ. ვიწრო მოიწია სთელი, წარლედა ყენი ქუეყანად შარვანშასა, საზღვართა საქართველოსათა, ადგილსა, რომელსა უწოდიან ჩალანუსუნი, ესე იგი არის თეთრი წყლი, და შეკრეს [ლობითა] წყლის პირი, რომელსა სიბად უწოდეს. რამეთუ გონებდა გამოსლვასა ბერქა ყენისასა. და ამით ქამითგან იწყეს სიბას ზედა დგომად თათართა და ქართველთა სთულითგან გაზაფხულამდე და გაზაფხულ წარივიდან საზაფხულოთა სადგურთა⁶).

ერთ-ერთი ასეთი მორიგეობის ქამი რომ მოაწლოვდა, („ვეითარ მოიწია სთელი“), ჰულაგუ-ხანი სიბაზე წავიდა და ქართლის მეფე დავით ლაშას ძეც იახლა. „მოიწია რა გაზაფხული, წარმოვიდა ყენი საქოსა, და ძე მისი თანქუშ წარმოვიდა გელაქენსა, რამეთუ მას აქუნდა საზაფხულოდ სადგურად გელაქენი“. მონღოლებთან ხანგრძლივად ყოფნით შეპირებული დავით ლაშას ძე შეეხვეწა ილხანის ვაჟს, ეშუამდგომლა მამამისთან, რომ იგი თავის ქვეყანაში

⁴ ამ ბრძოლის შესახებ იხ. А. А. Али-заде, Борьба Золотой Орды и государства илханов за Азербайджан, «Сборник статей по истории Азербайджана», I, Баку, 1949; А. А. Али-заде, Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII—XIV вв., Баку, 1956, გვ. 300—330.

⁵ სხვა წყაროების მიხედვით სიბა შირვანში ჰულაგუს ვაჟსა და მემკვიდრეს აბაღანს აუშენებია (Рашид-ад-дин, Джамии ат-таварих, Баку, 1956, სპარს. ტექსტი, გვ. 104, რუსული თარგმ., გვ. 69; Киракос Гандзакец, История, перевод с древнеармянского Т. Тер-Григорьяна, Баку, 1946, გვ. 200; Из истории Вардана Великого, перевод К. П. Патканова, СПб. 1873, გვ. 27; იხ. აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ. 1966, გვ. 183—184; А. А. Али-заде, Социально-экономическая и политическая история Азербайджана, გვ. 321).

⁶ „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებშია „ჩალანუსური“ და „ობითა“. ასევე მ. ბროსეს და ე. თაყაიშვილის გამოცემებშიც (ქართლის ცხოვრება, დასამაბითგან მეათეცხრამეტე საუკუნემდე, I, გამოცემა მ. ბროსესი, სპ., 1849, გვ. 398; ქართლის ცხოვრება, მარამ დედოფლის ვარიანტი, ე. თაყაიშვილის გამოც., ტფილისი, 1906, გვ. 689). „ჩალანუსუნი“ და „[ლობითა]“ ივ. ჯავახიშვილის კონიექტურებია (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 183). საინტერესოა აღინიშნოს, რომ XVII ს-ის ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე აღსატურებს ივ. ჯავახიშვილის ორსავე კონიექტურას. იგი წერს: „და მოახლოვდა სთელის დრო, ყენი შირვანს მივიდა, საზღვარსა საქართველოსათა, რომელსაც ქართველნი ჩალანოსანს ეძახიან და თურქნი აღსუ[ს] იტყვიან. იქ საზამთროთა ისადგურა და ღობით შექარა წყლის პირნი“ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. ყველიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნაწ. N 2140, ივ. 1955). უნდა აღინიშნოს, რომ ივ. გორგიჯანიძის დასახელებულ ხელნაწერში რამდენიმე ადგილას ჩაქერებულია ზედმეტი ფურცლები, სადაც ხელმეორედ, რამდენიმეჯერ განსხვავებით არის მოთხრობილი ერთი და იგივე გადმოცემული ამბები. ზემოთ მოტანილი ციტატი სწორედ ასეთი მეორე ვარიანტიდან გვაქვს ამოღებული. ძირითადი ტექსტი ციტატი განსხვავებულია (იქნა სთელი, წავიდა ყენი შირვანს, აღსუხედ დაღვა, და გარეთ შემოვივლეს თხრილი ღრმა და კიდევ შემოღობეს, რომელსაც სიბათ იქმობდეს“, იქვე, გვ. 75r).

⁷ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 251.

⁸ რაშიდ ედ-დინის ცნობით, ჰულაგუ-ხანს თოთხმეტი ვაჟი და შვიდი ქალიშვილი ჰყოლია (Рашид-ад-дин, Джамии ат-таварих, სპარს. ტექსტი, გვ. 8, რუსული თარგმანი, გვ. 16). როგორც ჩანს, აქ იგულისხმება ჰულაგუს მეოთხე ვაჟი თექშინ (تخشین — იქვე, სპარს. ტექსტი, გვ. 10, რუსული თარგმანი, გვ. 17), რომელიც 1271 წ. 12 სექტემბერს გარდაიცვალა (იქვე, სპარს. ტექსტი, გვ. 140, რუსული თარგმანი, გვ. 88).

გავშვათ. უფლისწული დათანხმდა და კაცი გაგზავნა ილხანთან, მაგრამ, „ერთი მიიწივნეს საქო და, ყენი ულო აღსრულებულ იყო“⁹.

ეს არის სულ, რასაც გვაძინებს ქამთაალმწერელი ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ გეოგრაფიული სახელები „ქართლის ცხოვრების“ ეველანტის ნაწილში ერთნაირად არის შემონახული „ქართლის ცხოვრების“ ეველანტის ნაწილში. უფრო მეტად არის შერყენილი — „საქაქისა“, „საქაქისა“. როგორც ჩანს, ვახუშტი ბაგრატიონმაც ვერ შეძლო ამ სახელწოდების ასხნა და ამჯობინა სულ გამოეტოვებინა იგი¹⁰. საქო უცვლელად არის დატოვებული მ. ბროსეს ფრანგულ თარგმანშიც (Sako)¹¹.

ამევე დროს, ქამთაალმწერელს საქოს ზოგიერთი ისეთი ნიშანი აქვს გახაზული, რაც აადვილებს მისი დაწერილობის დაზუსტებას და მდებარეობის დადგენას. კერძოდ, ქართველი ავტორის ცნობებიდან ირკვევა, რომ საქო ილხანის საზაფხულო სადგომი ყოფილა და ჰულაგუ-ხანი იქვე გარდაცვლილა.

ცნობილია, რომ მონღოლი ილხანები მომთაბარულ ცხოვრებას ეწეოდნენ და წელიწადში რამდენჯერმე იცვლიდნენ ადგილსამყოფელს. ზამთარს ისინი უბირატესად ქალაქებსა და უფრო თბილ ადგილებში ატარებდნენ, ზაფხულობით კი მალაღობთან იალალებს მიაშურებდნენ ხოლმე, განსაკუთრებით იზიდავდა ილხანებს აზერბაიჯანი, სადაც შედარებით რბილი ზამთარი იცის და კარგი საზაფხულო საძოვრებიც ბევრია¹².

საინტერესო ცნობებს გვაწვდის ილხანთა საზამთრო და საზაფხულო სადგომების შესახებ რაშიდ ედ-დინი. იგი აღნიშნავს, რომ როცა ჰულაგუს უფროსი ვაჟი აბაღა ილხანის ტახტზე დაჯდა (1265 წ.), სატახტო ქალაქად მან დამტკიცა თავრიზი, საზაფხულო სადგომად აირჩია ალათაღი და სიაქქუპი, ხოლო საზამთრო სადგომად — არანი და ბაღდადი, ზოგჯერ კი ჩალათუ¹³.

როგორც ვხედავთ, ქამთაალმწერლის მონაცემები ილხანის საზაფხულო სადგომების შესახებ მთლიანად ემთხვევა რაშიდ ედ-დინის ცნობას. აშკარაა, რომ საქო ქართველი ავტორის მიერ ტრანსფორმირებული და გადაწმურთავან შერყენილი სიაქქუპია (ირანის აზერბაიჯანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, იგივე ყარადაღის მთები). ამ მოსაზრებას შესანიშნავად ადასტურებს ფარსადან გორგიჯანიძე. თავისი ნაშრომის იმ ნაწილში, ქამთაალმწერლის თხზულების მიხედვით რომ აქვს გამართული, ფარსადანი მოგვითხრობს:

⁹ ქართლის ცხოვრება. II, გვ. 253.

¹⁰ ვახუშტი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., ტფილისი, 1885, გვ. 244, 248 (გამოტოვებული აქვს ეს ტოპონიმი იოანე ბაგრატიონსაც. იხ. მისი „ისტორია ქართლისა“, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი H 2134, ფ. 671v, 676r—676v).

¹¹ Histoire de la Géorgie, traduite du géorgien par M. Brosset, I, SPb., 1849, გვ. 557, 571.

¹² В. Бартольд, Историко-географический обзор Ирана, СПб., 1903, გვ. 145; А. А. Али-заде, Социально-экономическая и политическая история Азербайджана, გვ. 317; Н. В. Пигулевская, А. Ю. Якубовский, И. П. Петрушевский, Л. Б. Строева, А. М. Беленицкий, История Ирана с древнейших времен до конца XVIII в., Л., 1957, გვ. 188.

¹³ Рашид-ад-дин, Джами ат-таварих, სპარსული ტექსტი, გვ. 102—103; [آقا خان] دار الملك تبریز را مقر سریر پادشاهی ساخت و یا بلاغرا الاطاع و سیاه کوه اختیار کرد و قشلاق را اران و بغداد و در بعضی اوقات چغتای

„ამ დროს დაბრუნდა პალაქუ-ხან მისრებით გამარჯვებული. და ქართველნი კარვად ყოფილიყვნენ წინაბრძოლათ შიგან. მოვიდნენ ალადალის იელბასა, სიაქუსს, იქილამ ყარაბაღს ჩავიდა საზამთროდ“¹⁴.

რაც შეეხება ჟამთააღმწერელთან დამოწმებულ დანარჩენ ორ შემთხვევას მართალია, ფარსადანი შესაბამის ადგილებში არ იხსენიებს „საქუსს“ ვერც სპავიგეოროდ, მის თხზულებაში ჟამთააღმწერელთან შედარებით აქვე რეალურად გვხვდება ეს ტოპონიმი (მათ შორის ერთხელ ე. წ. მეორე ვარიანტში). მოგვიყვას სათანადო ადგილები ჟამთააღმწერლისა და ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებებიდან (ამბავი ხდება დავით ლაშას ძის მეუღლის, დედოფალ ჯიღა-ხათუნის გარდაცვალებისა და დაკრძალვის შემდეგ¹⁵).

ჟამთააღმწერელი

ფარსადან გორგიჯანიძე

მას ეამსა წაივიდა მეფე დავით ულუ ყაენს წინაშე მუღანს, რამეთუ იგი აქუნდა სადგარად საზამთროდ, და მიტრ წ. რმთკევა სადღურსა საზ. ფხურსა, და მუნათ წარმოვლნა მეფე ქართლად (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 237).

I ვარიანტი¹⁶
და მეფე დავით წაბანდა პალაქუ-ხანთან¹⁷ სანახავათ მუღანს, გაზაფხულსა¹⁸ ივლ[ი]ხს¹⁹ წატნა და იქილამენ²⁰ ვაისტუმრა ქართლს (H 2140, ფ. 66r).

II ვარიანტი
[დავით] წავიდა მუღანს ულუ ყაენს სანახავათ ზამთრში. გაზაფხულზედ უღლო ყაენი სიაქუსს ეღობათ წვიდა და მეფეც თან წაიყვანა და იქილამენ მრავლის მიცემითა და დიდის წყალობით ქართლს ვაისტუმრა (H2140, ფ. 268r).

არანაკლებ საინტერესოა ფარსადან გორგიჯანიძის მიერ სიაქუსს შესამე ხსენება. ამჯერად ეს ტოპონიმი გვხვდება მისი თხზულების იმ, საკმაოდ ვრცელ ნაკვეთში, რომელიც საერთოდ არ არის ჟამთააღმწერელთან²¹. დავით

14 ხელნაწერი H 2140, ფ. 67v. ამავე მონაკვეთის მეორე ვარიანტში „სიაქუს“ არ იხსენიება („და მეფეს ანბავი მოუვიდა, რომ ულუ ყაენი მისრებით გამარჯვებული ალადალს მოვიდაო. და ქართველნი ნამეტნავად კარვათ ყოფილანო, და შრავალი ნაშოვარიც უქნიათო, და საზამთროდ არანსა და ყარაბაღში მოვიდაო“. იქვე ე, ფ. 209v):

15 ჟამთააღმწერლის მიხედვით, ჯიღა-ხათუნი პელაგუს ილხნობაში გარდაიცვალა. მაგრამ, იგი, ჯავახიშვილის აზრით, ეს ბევრად უფრო ადრე, დაახლოებით 1250 წელს უნდა მომხდარიყო (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 145—148, 340—341). საინტერესო ცნობები მოგვცემა ჯიღა-ხათუნის ვინაობის, ავადმყოფობისა და გარდაცვალების შესახებ იოანე ბაგრატიონს (იხ. ხელნაწ. H 2134, ფ. 667r—667v, 670v).

16 ფ. გორგიჯანიძის თხზულების ლენინგრადულ H23 ნუსხაში, რომელიც ავტოგრაფული ნუსხიდან ვადაუწერია სვიმონ ტაბიძეს 1841—1843 წლებში, ხელნაწერის მფლობელს თეიმურაზ ბაგრატიონს ძირითადი და მეორე ვარიანტების შედარების შედეგად ზოგიერთი შესწორება შეუტანია ტექსტში.

17 სქოლიოში თეიმურაზის ხელით გაკეთებულია შენიშვნა: „მეორეს ალაგს ულუ ყაენათ სწერია“ (H 23, გვ. 144).

18 H 23-ში სტრიქონს ზევით და აშიაზე ჩამატებულია: „სიაქუსს ულუ ყაენი წვიდა“ (გვ. 144).

19 H 23-ში სტრიქონს ზევით ჩამატებულია: „მეფე თან“ (იქვე).

20 H 23-ში სტრიქონს ზევით ჩამატებულია: „მრავლის მიცემითა და დიდის წყალობით“ (იქვე).

21 ჟამთააღმწერლისა და ფ. გორგიჯანიძის თხზულებათა დეტალური შედარებით გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როცა ჟამთააღმწერელთან თხრობა ამკარად ნაკლებია, ფარსადანს კი შემონახული აქვს სათანადო პასაჟები. როგორც ჩანს, ფ. გორგიჯანიძეს ხელთ ჰქონდა „ქართლის ცხოვრების“ ისეთი ნუსხა, რომელიც რიგ შემთხვევებში უფრო სრული და გამართული იყო, ვიდრე ამჟამად ცნობილი ნუსხებია (ერთი ასეთი შემთხვევის შესახებ იხ. რ. კვიციანი, ჟამთააღმწერლის თხზულების ერთი ადგილის შევსებისათვის, „მაკნე“, ისტორიის სერია, 1971, № 4).

კარლო ბაბახაძე

ისევ ფ. გორგიჯანიძის თხზულების XV საუკუნის წყაროების
საკითხისათვის

ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების იმ მონაკვეთის წყაროების საკითხმა, რომელშიაც გადმოცემულია საქართველოში თემურლენგის ლაშქრობებთან დაკავშირებული ამბები, კარგა ხანია მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ფ. გორგიჯანიძეს საამისოდ თემურის ცნობილი ისტორიკოსის შარაფ ად-დინ ალი იეზდის საისტორიო თხზულების „ზაფარ-ნამეს“ („გამარჯვების წიგნი“) შემოკლებული ვერსია უნდა ჰქონოდა ხელთ¹.

ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება ძირითადად გაიზიარეს პროფ. ს. კაკაბაძემ², აგრეთვე, პროფ. ვლ. ფუთურიძემ, რომლის ვარაუდიტაც ფ. გორგიჯანიძეს თავისი თხზულების აღნიშნული მონაკვეთის გასამართავად შარაფ ად-დინ ალი იეზდის „ზაფარ-ნამეს“ შემოკლებულ-გადაკეთებული ვარიანტი უნდა ჰქონოდა ხელთ³.

პროფ. ე. გაბაშვილი, მართალია, არ გამოიციხავდა ზემოთ დასახელებული მოსაზრებების სისწორეს, მაგრამ, ამავე დროს, ამ საკითხის სრული უეჭველობით გარკვევას მინც თვლიდა შემდგომი კვლევა-ძიების საგნად⁴.

მოგვიანებით ეს საკითხი საგულდაგულოდ შეისწავლა დოც. დ. კაციტაძემ. მიუძღვნა სპეციალური გამოკვლევა და ფ. გორგიჯანიძის საამისო წყაროდ მიიჩნია აბდ არ-რაზაყ სამარყანდის საისტორიო თხზულებამ⁵.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მართლაც შეინიშნება გარკვეული მსგავსება ფ. გორგიჯანიძისა და აბდ. არ-რაზაყ სამარყანდის ნაწარმოებ-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 293—294.

² შარაფ ად-დინ ალი იეზდის „ზაფარ-ნამეს“ შემოკლებულ ვარიანტად ივ. ჯავახიშვილი ასახელებს ვინმე შირონ ჭუსეინის თხზულებას, რაც აშკარად დაკავშირებულია რაღაც გაუგებრობასთან. ამას თავის დროზე ყურადღება მიაქცია დ. კაციტაძემ (დ. კაციტაძე, ფ. გორგიჯანიძის თხზულებისა და „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებების XV საუკუნის სპარსული წყაროები, „აღმოსავლური კრებული“, I, თბ., 1960, გვ. 150).

³ ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, „საისტორიო მოამბე“, II, ტფ., 1925, გვ. 206—208.

⁴ განსვენებული ვლ. ფუთურიძის ნაშრომი „ფ. გორგიჯანიძის ისტორია“, სამწუხაროდ, ჯერ არ გამოქვეყნებულა, ამიტომ ვუთითებთ დ. კაციტაძის მიხედვით (იხ. დ. კაციტაძე, ფ. გორგიჯანიძის თხზულებისა და „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებების XV საუკუნის სპარსული წყაროები, გვ. 151).

⁵ ე. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, თბ., 1958, გვ. 27.

⁶ დ. კაციტაძე, ფ. გორგიჯანიძის თხზულებისა და „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებების XV საუკუნის სპარსული წყაროები, გვ. 149—168.

თა შესაბამისი მონაკვეთებს შორის, რასაც მარჯვედ მიაკვლია დ. კაციტაძემ. მაგრამ, ამვე დროს, მათ შორის არსებობს პრინციპული ხასიათის სხვაობა (იხ. ზოლო არაიშვიათაძე, ფ. გორგიჯანიძის ზოგი ცნობა სრულ გაუგებრობაზე აქტიური და მათი წყარო ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნებოდა აქტიური სამარყანდის თხზულება.

აბდ არ-რაზაყ სამარყანდი (1413—1482) თემურთან სულთანთა კარზე მდებარე დარი საისტორიო მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. მის ორტომიან თხზულებაში „მათლა ას-საყდენ ვა მაჯმა ალ-ბაჰრეინ“ („ორი მნათობის აღმოცისკრებისა და ორი ზღვის შერწყმის ადვილი“)⁶ გადმოცემულია თემურისა და თემურიან სულთანთა ისტორია⁷. აქედან პირველი ტომი მთლიანად თემურისაღმია მიძღვნილი მისი დაბადებიდან (1336) გარდაცვალებამდე (1405).

დ. კაციტაძემ ფ. გორგიჯანიძის ისტორია შეუღარა სხვადასხვა დროის სპარსულ ნარატიულ ძეგლებს და მივიდა დასკვნამდე, რომ ფ. გორგიჯანიძის თხზულების XV ს-ის სპარსული წყარო ისეთი ნაწარმოებია რომელიც შეიმჩნევა ნეზამ ად-დინ შამისა და შარაფ ად-დინ ალი იეზდის „ზაფარ-ნამეების“ კვალს; ასეთი კი არის აბდ არ-რაზაყ სამარყანდის საისტორიო თხზულება, რომელიც გამოუყენებია კიდევაც ქართველ ისტორიკოსს⁸.

აღსანიშნავია, რომ თემურისა და თემურიან სულთანთა კარზე შექმნილ მდიდარ საისტორიო მწერლობას ახასიათებს თემურისა და მისი მემკვიდრეებისადმი ტენდენციურობა და მეზობეობა. ამ მხრივ განსაკუთრებით სტოდავენ ნეზამ ად-დინ შამისა და შარაფ ად-დინ ალი იეზდის „ზაფარ-ნამეები“⁹. ამ ნაკლისაგან თავისუფალი არ არიან მონი ად-დინ ნათანზის, ჰაფეზე აბრუს, აბდ არ-რაზაყ სამარყანდის, მირზონდის, ხონდემირისა და სხვათა საისტორიო თხზულებები.

დასახელებული ავტორები, გარდა იმისა, რომ ტენდენციურად გადმოგვცემენ თემურის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ისტორიულ ფაქტებს, ყოველნაირად ცდილობენ შეალამაზონ მბრძანებელის ესა თუ ის განუსჯელი მოქმედება და, ხშირად, განზრახ უკლიან გვერდს მისი ცხოვრების უსახელო მომენტებს. ასე მაგალითად, ნეზამ ად-დინ შამი, მართალია, ავვიწყრს სისტანში თემურის დაქირავებით ბრძოლის ამბებს, მაგრამ განვებ ჩქმალავს მისი ფეხში

⁶ ამ თხზულების ხელნაწერები საკმაო რაოდენობით მოიპოვება საბჭოთა კავშირის სიმეველეთსადავებში; ჩვენ ვსარგებლობდით ლენინგრადის სალტიკო-შჩერდინის საბ. საქარო ბიბლიოთეკის ხელნაწერით, იხ. დორნის კატალოგი № — 298 (ქვემოთ: აბდ არ-რაზაყ სამარყანდი); ეს თხზულება გამოცემულ იქნა ლაჰორში ლითოგრაფიულად 1941—1949 წწ. პროფ. მოჰამედ შაჰის მიერ, **مجمع السعدين و مجمع البحرين تأليف كمال الدين عبدالرزاق سمرقندي، بتصحیح محمد شفیع، جلد ۱-۲، لا. هور، ۱۳۶۰-۱۳۶۸**.

აბდ არ-რაზაყ სამარყანდის შესახებ ლიტერატურა იხ. დ. კაციტაძე, აბდ არ-რაზაყ სამარყანდის „მათლა ას-საყდენ ვა მაჯმა ალ-ბაჰრეინის“ ცნობები საქართველოს შესახებ, „მაცნე“, 1968, № 2, გვ. 198.

⁷ თემურისა და თემურიან სულთანთა ქრონოლოგია იხ. С. Лэн-Пуль, Мусульманские династии, СПб., 1899, გვ. 223—223; К. Э. Босворт, Мусульманские династии, М., 1971, გვ. 217—220.

⁸ დ. კაციტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 159—160

⁹ იხ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 295; Н. В. Пи-гулевская, А. Ю. Якубовский, И. П. Петрушевский, Л. В. Стр-ова, А. М. Беленицкий, История Ирана с древнейших времен до конца XVIII века, Л., 1958, გვ. 211.

დაჭრის ფაქტს, რის შემდეგაც თემური სამუდამოდ დასახიჩრდა და სიტყვა „ლენგი“ („კოკლი“) დაემატა მის სახელს მეგობრობის გამო¹⁰. აღნიშნულ ფაქტებს გვერდს უვლიან თემურიანთა კარის სხვა ისტორიკოსებიც და უხერხულად სდუმან თემურის მოღვაწეობის აღრეულ წყვეტვას¹¹. სახებ 1360 წლამდე¹¹.

სამაგიეროდ, ფ. გორგიჯანიძის თხზულებაში არაერთგან გვხვდება ცნობა, რომელიც აღნიშნული თვალსაზრისით არ შეეფერება თემურის პიროვნებას და შეუძლებელია მოპოვებული ყოფილიყო თემურიანთა დროის საისტორიო წყაროებში. ასე მაგალითად, ფარსადანის თხზულების დასაწყისშივე არის დასათაურება: „აქა ანბავი თემურის გაქმწიფებისა“, რომელიც იწყება ამ სიტყვებით: „თვითონ მირონ ჰუსინის ჯემწიფისა კარგი ყმა იყო და ლაშქრის უფროსი და სასალარი იყო და საცა მოუხდა, ყველგან გაიმარჯვა და მრავალი კარგი საქელიც დაუვარდა, ქვეყანა და ლაშქარიც მოიმადრებელა, ზოგთ თვითან მისცა და ზოგი ჯემწიფისაგან უმოგნა და ჯემწიფემ თავისი ქალი ცოლათ მისცა და ამისთვის ქურაქანობით იხმობენ და ჯემწიფე მისს უნებურათ არას იქმოდეს და ჯარსაც შეჰყვარდა. ნანა, რომ მისი საქმე სჯობს მისის ბატონისას, კე მწიფოზა მ წართვა და თურქისტანი და ინდოეთი და ერანი დაიჭირა. ვინც ნებით ეყვო, მრავალი წყალობა დამართა და საბატონოც მისცა და ვინც არ მოუვდა, წაუხდენელი არ მოურჩა. ქვეყნის პირვით თავრიზს მოაწივა“¹². ამის შემდეგ ფარსადანი იწყებს საქართველოში თემურის პირველი შემოსევის აღწერას, მაგრამ იგი პირველია მხოლოდ ავტორის გაგებით, თორემ სინამდვილეში საკმაოდ გვიანდელი ამბავია, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

¹⁰ Zafarnama par Nizamuddin Sami avec des additions empruntées au Zubdatu-t-tawarich-i-Baysunqari de Haiz-i-Abru. édition critique par Felix Tauer, t. I, le persan de Zafarnama, Praha, 1937, გვ. 60 (ქვემოთ ნუშ.მ აღ-დენ შამი). ასევე იქვეყან სხვა ისტორიკოსებაც აღნიშნული ბრძოლის აღწერას დროს და მიუთითებენ თემურის მხოლოდ მარჯვენა ხელში დაჭობზე (იხ. The Zafarnama by Maulana Saifuddin Ali o Yazd. Ed. by Maulawi Muhammad Haidad, vol. I, Calcutta, 1887, გვ. 74 (ქვემოთ შარავ აღ-დენ ალი იყზად); აბდ არ-რაზვი საზარფანდი, ფ. 105ა; تصحيح، مجمل فصیحی، جلد III، مشد، ۱۲۳۹، ص. 96

¹¹ В. В. Бартольд, Уллубек и его время, Сочинения, т. II, ч. 2, М., 1964, გვ. 38; А. Якубовский, Тимур (опыт краткой характеристики), «Вопросы истории», 1946, № 8—9, გვ. 63; Л. В. Стрелева, Возникновение государства Тимура, Ученые записки ЛГУ, серия востоковедческих наук, вып. 3, 1952, გვ. 69; Р. К. Кикнадзе, Некоторые сведения грузинских источников о Тимуре, «Грузинское источниковедение», III, Тбилиси, 1971, გვ. 196; სამაგიეროდ, თემურის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღრეული წლებს შესახებ საინტერესო ცნობები შემოგვინახეს არაბმა ისტორიკოსმა იბნ არაბშამმა (იხ. كتاب عجایب المقدور في أخبار تیمور الا فاضل الاديب الكامل الاديب وحيد عصره و فريد دهره اقضى ائفاة شباب الدين أحمد بن عبد الله الدمشقي الانصاري، القاهرة، 1305، المعروف بان عرب شاه، القاهرة، 3—7; აგრეთვე ინგლისურ თარგმანში: Tamerlane, or Timur the great Amir. Translated by J. H. Sanders from the Arabic Life by Ahmed ibn Arabshah, London, 1936, გვ. 1—5), კასტოლის მეფის ჰენრიც III-ის ელჩმა რუი გონსალეს დე კალვიზომ (იხ. Рюи Гонсалес де Клавихо, Путешествие ко двору Тимура в Самарканд в 140—1406 гг. Испанский текст, русский перевод и примечания И. И. Срезневского, СПб, 1881, გვ. 238—241) და რუსულმა მტარანებმა (იხ. Патриаршая или Никоновская летопись, Полное собрание русских летописей, т. IX—X, М., 1965, გვ. 246, 247).

¹² ფ. გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 301; ხაზასმა აქ და ქვემოთ ყველგან ჩვენია.

როგორც ვნახეთ, ფ. გორგიჯანიძის ცნობაში სულ ორიოდ სიტყვით არის გადმოცემული თემურის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ადრეული წლები და ამირ ჰოსეინთან მისი ურთიერთობის საკმაოდ ხანგრძლივი ხანა.

მაგრამ, ერთი მხრით, ამისათვის თითქოს უხერხულიცაა ფარსადანის ცნობა სამართით საყვედურის გამოთქმა, რაკი მის მთავარ მიზანს არ შეადგენდა აღნიშნული ამბების დაწვრილებით აღწერა. მაგრამ, მეორე მხრით, ვრცელი ამბის განგებ შემოკლების შემთხვევაშიც, თუ დამატებითი წყაროებიც არა ჰქონდა ხელთ, იგი ოციანებურად ვერ მისცემდა კვალიფიკაციას ძირითად წყაროში დამოწმებულ თემურის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ამა თუ იმ ფაქტს. ზემოთ მოტანილ ცნობაში კი თემურის მისამართით ფ. გორგიჯანიძეს ნახმარი აქვს გამოთქმა, რომ ამირ ჰოსეინს „ხემწიფობა წაართვა“. სინამდვილეში ეს მართლაც ასე მოხდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჰსავს კვალიფიკაციას ფარსადანი მაინც ვერსად შეხვდებოდა თემურისა და თემურიანთა კარის ისტორიკოსთა პანეგირიკულ თხზულებებში, მათ შორის, რა თქმა უნდა, ვერც აბდ არ-რაზაყ სამარყანდის „მათა ას-საყდინ ვა მაჯმა ალ-ბაჰრეინში“¹³.

გარდა აღნიშნულისა, განხილულ ცნობაში დაშვებულია ფაქტობრივი ხასიათის შეცდომაც, რომ თითქოს თემურს „ჰემწიფემ თავისი ქალი ცოლათ მისცა და ამისათვის ქურაქანობით იხმობენო“. თემური, როგორც უკვე აღინიშნა, მართლაც იყო დაკავშირებული ნათესაურად ამირ ჰოსეინთან, რაკი ცოლად ჰყავდა უკანასკნელის და (და არა ქალი) ოლჯაი თორქან-ალა, მაგრამ „ქურაქანი ს“, ე. ი. ხანის „სიძის“ წოდებულება ამით კი არ მიუღია, არამედ იმავ ამირ ჰოსეინის პარამხანიდან წამოყვანილი მავერანნაპრის უკანასკნელი ჩინგიზიანი გამგებლის ყაზან-ხანის (1343—1346) ასულ სარაიმულქ-ხანუმზე ქორწინების შედეგად¹⁴.

იმავე ცნობაში დაშვებულია სხვა უზუსტობაც. ასე მაგალითად, ფ. გორგიჯანიძე საქართველოში თემურის პირველი შემოსევის აღწერას იწყებს 1399 წელს პერეთ-კახეთში („ხიმშიას ხეობა“) ჩალათაელთა ლაშქრობით, ხოლო გალაშქრების მიზეზად კი იმას ასახელებს, რომ ქართველებმა „სულთან მაჰმადის შვილს სულთან თაჰრს ალინჯის ციხე წაართვესო და არაზს გაღმართი სრულ დაიჭირესო. ამ ანბანსზედ თემურ კემწიფე ნამეტნაჲედ გაჯავრდა და“ ამიტომ საქართველოში გალაშქრება ბრძანაო¹⁵.

ფარსადანის ერთი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ პერეთ-კახეთში („ხიმშიას ხეობაში“) თემურის ლაშქრობა ჰგონია საქართველოში მისი პირვე-

¹³ დასახელებული პერიოდის საისტორიო წყაროების მოწმობით, ამირ ჰოსეინი და თემური, სიძე-ცოლისძმა, ერთგული მოკავშირეები გახდნენ მავერანნაპრში შემოჭრილი მოღოლ-ლუსთაწელი ხანების მიწინააღმდეგ ბრძოლის დროს. ამ ბრძოლაში სახელი გაითქვა თემურმა დიდი სამხედრო ნიჭისა და პირადი სიმამაცის წყალობით. თემურის უჩვეულო წარმატებამ მოთმინება დაუტარა ამირ ჰოსეინს და თემურს დაუწყო ფართული მტრობა, რაც შემდეგ გაღიზიანდა აშკარა შეტაკებაში და დამთავრდა პირველის სრული მარცხით. მიუხედავად ამისა, თემური თითქოს მაინც დიდსულოდღე ეპყრობოდა თავის ყოფილ მოყვარესა და მოკავშირეს, ვიდრე იგი შურისძიების გრძნობით განმსჭვალულმა ერთ-ერთმა სარდალმა ძმის სისხლის ამოსაგებად არ მოაკვდინა თემურის ზურგს უკან (ნუჰამ აღ-დინ შამი, გვ. 60). ამ ამბებს შარაფ აღ-დინ ალი ეფულის თხზულებაში დათმობილი აქვს მთელი 160 გვერდი (იხ. ტ. II, გვ. 47—207); ასევე ვრცლად მოგვითხრობენ სხვა ისტორიკოსებიც.

¹⁴ „ქურაქანის“ შესახებ იხ. Материалы по истории туркмен и Туркменини, т. I, М.—Л., 1909, გვ. 516.

¹⁵ ფ. გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 301.

ლი შემოსევა. რაც შეეხება მეორეს, საქართველოს მეფემ თავის არ არა-
ართვა ციხე, არამედ, პირიქით, იგი დაეხმარა ამ ჯალაირიან უფლისწულს, გა-
მოიყვანა ალყაშემორტყმული ალინჯის ციხიდან და საქართველოში დაბრუნდა. ალ-
ყა კი ციხისათვის შემორტყმული ჰქონდა თემურის მიერ მიტანილად
განწესებულ ჯარს.

ეს შეცდომა რომ უნებლიე არ არის, ჩანს იქიდან, რომ მეორდება სხვაგა-
ნაც. ასე მაგალითად, თავში: „აქა მეორეთ მოსვლა თემურ ზემურისა საქართვე-
ლოში დიდის ლაშქრით“, ნათქვამია: „თემურ ზემურით გაუწყრა თავის შვილს
მირანშასა, ამისთვის რომე სულთან თაჰრს ქართველებმან ალინჯის ციხე რომ
წართვეს, მასინ ლაშქრით იქ ახლო ყოფილიყო და არ მიშველებოდა. ამისთვის
საბატონოც წართვა და იმის უმცროსს ძმას შარუხს მისცა და სამასი კარგი
ყმები ცხენით გადმოუყარა და მათი ცხენები ლაშქართ დაუყო და ისინი ქვე-
ითათ წინ წაიყარა“¹⁶.

როგორც ზემოთაც ითქვა, ალინჯის ციხეში გარემოცული ჯალაირიანი უფ-
ლისწული თავი საქართველოს მეფის მტერი კი არ იყო, არამედ მოკავშირე,
ხოლო თემურის ვაჟი, მირანშაჰი, მას კი არ უნდა მიშველებოდა თავისი ჯარით,
არამედ თემურის მიერ ალინჯის ციხის დასაპყრობად განწესებულ ჩალათე-
ლებს, რომლებიც იქიდან დაიფრინა საქართველოს ლაშქარში¹⁷.

მსგავს შეუსაბამობებს ფ. გორგიჯანიძის თხზულებაში ადრე ყურადღება
მიაკციეს სხვებმაც. აკად. ივ. ჯავახიშვილი, მაგალითად, საგანგებოდ აღნიშ-
ნავდა იმ ვარეშობას, რომ „ფ. გორგიჯანიძეს, რომელსაც ბევრი სახელდობრი-
ვი ცნობები მოეპოვება, თემურის პირველი შემოსევის გზა და კვალი სრუ-
ლებით არეული აქვს... კახეთში ბრძოლის ზოგიერთი გარემოება... პირველი შე-
მოსევის გარემოებათა აღწერილობად მიუჩნევია და ამის წყალობით ლაშქრო-
ბის მიმართულების შესახებ ცნობები აპრეცია კიდევაც“¹⁸. ამ შეუსაბამობათა
ახსნას ივ. ჯავახიშვილი იმაში ხელდას, რომ „ფ. გორგიჯანიძეს შერეფდღინის

¹⁶ ფ. გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 302; როგორც ცნობილია, თემური საქართველოს პირ-
ველად შემოსია 1386 წ. ბაგრატ V-ის (1360—1393) მეფობის დროს. შემდეგ თემური კვლავ
რამდენჯერმე შემოსია საქართველოს ე. წ. „ხუთწლიანი“ ლაშქრობის დროს 1392—1397 წლებს
შორის და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა ლაშქრობა ჰერეთ-კახეთში 1399 წელს.

სხვათა შორის, საინტერესოა, რომ ჰერეთ-კახეთში თემურის აღნიშნულ შემოსევას სა-
ქართველოში ჩალათელთა პირველ შემოსევად ასათურებს აბლ არ-რაზაყ სამარყანდიც, მაგ-
რამ სათაურს ქვემოთ მოტანილი ტექსტიდან ამკარად ჩანს, რომ ეს არ არის საქართვე-
ლოში თემურის პირველი გამოჩენა. მით უმეტეს, იმავე ავტორს, მანამდე აღნიშნული აქვს
საქართველოში ჩალათელთა რამდენიმე ლაშქრობა (იხ. აბლ არ-რაზაყ სამარყანდი, ფ. 269ა,
323ა).

¹⁷ აბლ არ-რაზაყ სამარყანდი კი შესანიშნავად იცის ალინჯის ციხის ამბები, რომ იგი
უკერათ ჯალაირიანთა დინასტიის წარმომადგენლებს, სახელდობრ, უფლისწულ თავერს, რო-
ზელიც გარემოცული იყო თემურის ჯარის მიერ. რომ მის დასახმარებლად ნახვევანს ილაშქ-
რა საქართველოს მეფე ვიარგიმ, დაამარცხა და იმ მიდამოებიდან დაიფრინა თემურის მთლ-
ევი ჯარი, ციხე მოამარაგა სურსათ-სანაოვავით, გააძლიერა მისი გარნიზონი, ალინჯის დაე-
ვა მანდო სამ ქართველ აზნაურს სარჯისის მეთაურობით, შემდეგ მანვე დაამარცხა მირან-
შაჰის მიერ გამოგზავნილი მასველი ჯარიც და გამარჯვებული დაბრუნდა საქართველოში
უფლისწულ თავერთან ერთად (აბლ არ-რაზაყ სამარყანდი, ფ. 378ბ, 382ა).

¹⁸ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 287.

ნაშრომის ტექსტში ფურცლები ასე არეული უნდა ჰქონოდა და იქითგან უნდა იყოს მოელი ეს მკდარი სურათი წარმოდგენილი¹⁹.

მგავს შეუსაბამობებს ყურადღება მიაქცია ს. კაკაბაძემაც, რასაც შემდეგ ვარი ხსნის ფარსადანის მიერ შარაფ ად-დინ ალი იეზდის ცნობათა თვისებური განმარტება-გამოყენებით²⁰.

ფ. გორგიჯანიძის ისტორიისა და აბდ არ-რაზაყ სამარყანდის თხზულების შესაბამისი ადგილების შედარების დროს განსხვავება-შეუსაბამობებს აწყდება დ. კაციტაძეც. ასეთთა შორის მას დასახელებული აქვს თემურის მიერ თბილისის აღება²¹, ბაგრატ მეფის დატყვევებისა და გამუსლიმანების ამბავი²², რომელიც ფარსადანს უფრო ვერცლად და, რაც შთავარია, სხვანაირად აქვს გადმოცემული. ვარდა ამისა, მკვლევარმა ყურადღება მიაქცია იმასაც, რომ ფარსადანი „ხიმშიას ხეობის“ აოხრებით იწყებს საქართველოში თემურის შემოსევათა აღწერას, რასაც შემდეგ მოსდევს მის მიერვე თბილისის აღების, ბაგრატის დატყვევებისა და გამუსლიმანების ამბები, რაც პირუკუა მოთხრობილი სპარსულ საისტორიო წყაროებში. ამ და, სხვა შეუსაბამობათა გამო დ. კაციტაძე იძულებული ხდება სათანადო ანგარიში გაუწიოს ივ. ჯავახიშვილის ზემოთ მოხსენებულ მოსაზრებასაც²³.

ასეთ პირობებში, ბოლოს და ბოლოს, იქნებ აღარ იყოს მიზანშეწონილი ვამტკიცოთ, რომ ფ. გორგიჯანიძეს თავისი თხზულები, ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთის შედგენის დროს მაინცდამაინც მხოლოდ ერთი ავტორის თხზულება ჰქონდა ხელთ. იქნებ იგი საამისოდ იყენებდა რამდენიმე სხვადასხვა წყაროს და ზემოთ მითითებული წინააღმდეგობანიც ნაწილობრივ გაჩენილია იმ წყაროებიდან გამოკრებილი ცნობებისათვის სწორი ქრონოლოგიური რიგის მიუჩინებლობის გამო? ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გვგონია, რომ მოხსენიებული ვარემობანი ფ. გორგიჯანიძის თხზულებაშივე დატულ სხვა ცნობებსა და მინიშნებებთან ერთად, საშუალებას იძლევიან ვივარაუდოთ, რომ ქართველ ისტორიკოსს თხზულების ამ მონაკვეთის შედგენის დროს თავისი ხასიათითა და მიმართულებით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული რამდენიმე სხვადასხვა წყარო ჰქონია ხელთ.

ნათქვამის საილუსტრაციოდ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ფ. გორგიჯანიძის თხზულების ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთის ის თავი, რომელიც 1402 წ. ანკარის ბრძოლას შეეხება და, როგორც თავისი სათაურით, ისე შინაარსით საცხებით განზე დვას მომდევნო და წინაპრობედი თავებისაგან. მეტი თვალსაჩინოებისათვის მთლიანად მოვიტანთ ფარსადანის თხზულების ამ მონაკვეთის ზანდუკს: „აქა ანბავი თეიმურის გაქმწიფებისა“, აქა მეორეთ მოსკლა თემურ ზემწიფისა საქართველოში დიდის ლაშქრით“, „აქა თემურ ჯემწიფის მისვლა საკასზედან“, „აქა თემურ ჯემწიფე მალთახედ წავიდა“, „წასკლა თემურისა იელსარამს და მისრეთს“, „აქედამენ დიდი ლაშქარი გაუქახეს ერზნვის ქვეყანასა ზედან“, „მოსკლა თემურისა სამცხეს და წინ მიგებება ივანე ათაბაგისა და მეფის ძმა კოსტანტოლისა“, „თემურ ჯემწიფემ ივანე ათაბაგი და მეფის

19 იქვე.

20 ს. კაკაბაძე, საისტორიო მოამბე, II, გვ. 203.

21 დ. კაციტაძე, ფ. გორგიჯანიძის თხზულებისა და „ქართლის ცხოვრების“ გავრცელებების XV საუკუნის სპარსული წყაროები, გვ. 158.

22 იქვე.

23 იქვე.



გიორგის ძმა კონსტანტინე ლაშქართ უთავა და სამეხიდან აფხაზეთს გაუძისა“
 „აქა თემურ კემშიფესთან მეფის გიორგის ფეშქაში და არზისა და ფეშქაშის
 მოსვლა“, „აქა თემურ კემშიფემ იმერეთის მეფე გიორგი შემოირიგა“, „თემურ
 კემშიფე სამარყანდით ხათს მიმავალი გზაზედ მიიცივალა“, „აქა თემურ კემ-
 შიფის გალაშქრება სამარყანდით ხათაზედა მოსარჯულებლათ“²⁴.

როგორც მოტიანილ დასათაურებთა გაცნობის შედეგად ჩანს, თემური, გარდა უმნიშვნელო გამონაკლისისა, როდესაც იგი ხმობილია თ ე ი მ უ რ კ ე მ შ ი ფ ე დ, ყოველთვის იხსენიება თ ე მ უ რ კ ე მ შ ი ფ ე დ. იგივე ფორმით არის იგი მოხსენიებული ჩამოთვლილ თავებქვეშ მოთავსებულ ტექსტებშიც. და, აი, თხზულების მსგავსს საერთო ფონზე გაკვირებას იწვევს უცბად ასეთი სათაურის გამოჩენა: „აქა ომი ლან გ თ ე მ უ რ ს ე მ შ ი ფ ის ა და ილდრუმ ბაიაზიდ ხონთქრისა“²⁵, რომელიც ჩართულია ფ. გორგიჯანიძის თხზულების ამ მონაკვეთის შუა ნაწილში. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ თემური იგივე სახელით „ლანგთემურ“ მთელ თხზულებაში მოხსენებულია მხოლოდ ამ სათაურის ქვეშ!

აღნიშნული გარემოება არავითარ ეჭვს აღარ სტოვებს, რომ წყარო, რომელსაც ფარსადანი იყენებდა ამ თავის გასამართავად, არავითარ შემთხვევაში არ ეკუთვნოდა თემურისა და თემურიან სულთანთა კარის საისტორიო მწერლობას. სადაც თემურის „ლან გ თ ე მ უ რ ო ბ ი თ“ მოხსენიება ყოველად დაუშვებელი იყო²⁶.

24 ფ. გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 301—313.

25 იქვე, გვ. 304.

26 თემურისა და თემურიანთა პერიოდის კარის ისტორიკოსები თემურს თავიანთ თხზულებებში იხსენიებენ სახელით: „ამირ საჰეზერანი“ امير صاحب قران („თანავარსკვლავეთთა ბედნიერი შერწყმის მკყარბელი ამირი“) ან უბრალოდ „თემურ“ (იხ. ნუზამ ად-დინ შაჰი, გვ. 60 და შმდ; შარაფ ად-დინ ალი იეზდი, ტ. 1, გვ. 1 და შმდ; ფასაჰი ზაფი, გვ. 295 და შმდ; აბდ არ-რაზაყ სამარყანდი, ფ. 269ა და შმდ; تاريخ روضة الصفا تصنيف مير محمد بن سيد برهان الدين خواند شاه الشهير بمير خواند، جلد ٦، تهران، ١٣٣٩، ج١، 148 (ქრ. მოთ: შირხონდ); تاريخ جيب السير في اخبار افراد بشر، جلد ٣، تهران، ١٣٣٣، ج١، 415 (ქრ. მოთ: ხონდ. მირი); სხვაგვარად განსხვავებით მონ ად-დინ ნათანზი შა უფოდებს سلطان غازي ე. ი. „სარწმუნო ბ. ს. თვის მებრძოლ სულთანს“ (იხ. منتخب معين منسوب به معين الدين نطنزی و معروف به آنو نيم اسكندر، بتصحیح ١٣٣١، ج١، 293 და შმდ. (ქრ. მოთ: მონ ად-დინ ნათანზი), მაგრამ არსად გვხვდება „თემურლენგობით“ თუ „ლანგთემურობით“ მისი მოხსენიება. თანამედროვეთაგან ამ სახელით მას იხსენიებენ მხოლოდ იბნ არაბშაჰი (იხ. გვ. 91 და შმდ.), თომა მეყოფელი (იხ. ლანგ-თემურის ისტორია, თარგმანი, შესავალი წერილი და კომენტარები პროფ. ლ. მელიქთ-ბეგისა, თბ., 1937, გვ. 19; აგრ. თვე, Фома Мецопский, История Тимур-лани и его преемников, пер. с арм. Т. И. Тер-Григорьяна, Баку, 1957, გვ. 55 და შმდ.). რუსულ-პეტარებ (ქრ. თემურ მოხს ნ ე ბ ლ ა ს ხ ლ თ -Темурь Аксак“, რაც იგივე „თემურლენგა“ თურქულ ყადაზა. იხ. Патриаршая или Никонская летопись, Полное собрание русских летописей გვ. 26) და ქლევ. ხ. ე. ს უ ნ ა ს რ ე ლ ი, სხვათა შორის, შესანიშნავად ერკვეოდა თუ რა განსხვავება იყო „თემურსა“ და „ლანგთემურს“ შორის და წერდა „Настоящее имя Тамур'ека есть Тамурбек, а не Таморлан, как мы его называем, потому что Тамурбек значит на их языке то же что железный царь, так как царь на их языке Бек, а железо Тамур; а Таморлан совсем противоположно этому, так как этим именем его называют когда хотят оскарбить, потому, что Таморлан значит колека“ (იხ. გვ. 148).

მაგრამ დასახელებული თავი მარტო ამ ნიშნით არ განსხვავდება სხვა დასარჩენი თავებისაგან. იგი მეტად საინტერესოდ გამოიყურება თავისი შინაარსის თვალსაზრისითაც. ავიღოთ თუნდაც ანკარის ომში დატყვევებულ სულთან ბაიაზეთისა და თემურის პირველი შეხვედრა-შესიტყვება, რომელიც ასევე უკვე აღწერილი ქართველ ისტორიკოსს: თემური რომ „ხონთქარის სახსარად“ შევიდა და ხონთქარი ნახა და უნებურათ თემურს სიცილი მოუვიდა. ხონთქარს ეწყინა და ასრე მოახსენა — დღე უღამოთ არავის უნახავსო, ყოველი იძვრისი მიწათ იქცევისო. თემურ ასრე მოხსენა ხონთქარსა: ამაში ღმერთს ვიმოწმებო, რომ გაჯარებითა და ჩემად სამებლად არ გამიცინიაო. ამაზე სიცილი უნებურად მოვიდაო, რომ ჩემისთანა კოჭლმანო და თქვენიანი ელაშინო ცუდს საქმეზედანო ორასი ათასი კაცი შევახოცეთო. თუარადა ამ თქვენზედ გამარჯვებულადათა მჩანსო, არა თუ მაღლათაო, მაგრა ბედის წყარამ ასრე მოახდინაო“²⁷.

ამ ეპიზოდის აღებაც ყოველად შეუძლებელი იყო თემურისა და თემურიანთა დროის საისტორიო მწერლობიდან, მათ შორის, რა თქმა უნდა, აბდ არ-რაზაყ სამარყანდის თხზულებიდანაც.

27 ფ. ვორგიჯანიძის ისტორია, გვ. 304—305; აღსანიშნავია, რომ არც ეს ცნობა არის დამოწმებული თემურისა და თემურიანთა კარის საისტორიო თხზულებებში. მათი მონაცემების მიხედვით, თითქოს, თემურმა, პირიქით, დიდი თავაზიანობა გამოიჩინა დატყვევებული ბაიაზეთის მიმართ, იგი გვერდითაც კი მოისვა, ანუგეშა და ცდილობდა ტკბილი სიტყვებით გაეჯარებინა მისთვის დამარცხებით მოგვირილი მწუხარება (ნუშამ აღ-დინ შამი, გვ. 253; შარფ აღ-დინ ალი ივზი, ტ. II, გვ. 438—443). ამ ამბებთან დაკავშირებით ხონდემირი, მაგალითად, იმოწმებს თავისი წინამორბედი ავტორების თხზულებებზე და ამბობს: „ნაღარ-ნაშენა და მათლა ას-საყდენ (ვა მაჰმა აღ-ბაჰრინ)-ში წერია, რომ როდესაც ძლევაშოსლმა საჰბეყერ-ანმა (თემურმა) შეიტყო, რომ კვისარი (ბაიაზეთი) სელ-კისერგაქრული მოიყვანესო, ბრძანა, რომ მისთვის ხელი გაეხსნათ (კარავში) სრული პატივიჲა და დიდებით შემოეყვანათ და დავსათ, შესაფერის ადგილზე“ — „در ظفر نامه و مطلع السعدين مسطور است که چون صاحبقران منصور شوند که قبصر را دست بسته بسده سينه حاضر گردانيد اند فرمود تا دست او را گشاده بتعظيم و احترام هرچه تمامتر در آورند و در مقام . . .“; შემდეგ ისტორიკოსი იმოწმებს სიღა ამჰადას ნათქვამს, რომელიც პირადად დასწრება თემურისა და ბაიაზეთის აღნიშნულ შეხვედრას მირხოზდის „როუზათ ას-საყადან“, რომ: „ილირამ ბაიაზეთა კარავში ხელგაბაწრული რომ შემოაყვანეს მისმა უღადებულსობამ (თემურმა) ვერ საღანმღაო სიტყვებით მიმართა მერე კი ბრძანა მ. სთვის ხელზე შეხსნათ და ისე დავსათო“ — „بلد رم بايزيد را دست بسته بيار گاه حجتة در آورند و دست او را گشاده بنشانند“.

აბს შემდეგ ხონდემირის თხრობა მისდევს დასახელებული ისტორიკოსების თხზულებათა ტექსტს (ხონდემირი, გვ. 509). საინტერესოა, რომ აღნიშნულ ამბებს პირადად დასწრება ისტორიკოსი ჰაფეზე აბრუც, რომელიც თავის თხზულებაში გადმოგვცემს ანკარის ბრძოლის შემდეგ თემურისა და დატყვევებული ბაიაზეთის შეხვედრისა და ვასალებების ამბებს. მისი ცნობით, გარდა იმისა, რომ თემურმა ბაიაზეთს მისი ქვეყნის წინააღმდეგ გალაშქრების მიზეზები აუხსნა, ისიც უთხრა, რომ — „უნი დამარცხება შეინა ვარსკვლავთმრიცხველმა იწინასწარმეტყველაო. ბაიაზეთმა კი, თურმე, სუბრის დასასრულს თემურს სთხოვა, ის ვარსკვლავთმრიცხველი ჩემთან გამოგზავნეო. ბაიაზეთთან მისულ ასტროლოგს თან ხლებია ჰაფეზე აბრუც, რომელიც, მოგვითხრობს, რომ ჩვენ თურქული არ გვესმოდა კარგად, ბაიაზეთს სპარსულიო და ამიტომ სასაუბროდ თარჯიმანი დაგვირჩიაო. სუბრის დასასრულს, თურმე, ბაიაზეთს მთთვის უთხოვნია, რომ ჩემს სახსარად სხვა დროსაც მოდიოთ ხოლმეო (Histoire des conquêtes de Tamerlan intitulée Zafarnamah par Nizamuddin Sami avec des additions empruntées au zubdatu-t-tawarih-i Baysun-guri de Ha iz-i Abru, édition critique par Felix Tauer, tome II, introduction, commentaire, index, Praha, 1956, გვ. 176).

აღნიშნული გარემოება კარგად მეტყველებს, რომ ფ. გორგიჯანიძეს თემურთან დაკავშირებული ამბების აღწერისას რამდენიმე სხვადასხვა წყარო უნდა გამოეყენებინა. ამას მოწმობს ავტორის პირადი განცხადებაც. იმავე წაგნაში, ფ. გორგიჯანიძე სავანგებოდ უსვამს ხაზს ანკარის ბრძოლის დიდ, სისასტიკეს და აღნიშნავს: „ორგანიტოვე ძახილი ლაშქართა ცის ქუხილს ემგნავსუნოდ და ორთვეთ საომართ შვა მოკლულის კაცით ასე აივსო, რომ მძოვრისაგან მეომარნი ცხენებს ვერ დაუძრევდენ. ასეთი სისხლის ღვარი იდგა, რომ მკვდართ აღგილს უცვლიდა და ყოველგან ცხოვრებაში განასრე სწერი ი: რა ქვეყანა დაარსებულა, ამ რივი გასაქირი ომი არა ქნილაო“²⁸.

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარად ჩანს, რომ ფ. გორგიჯანიძეს თავისი თხზულების ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთის შედგენის დროს რამდენიმე სხვადასხვა, თავისი ხასიათი და მიმართულებით ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული „ცხოვრებები“ ჰქონია ხელთ.

ვეფერობთ, არანაკლებ საინტერესო უნდა იყოს იმ საკითხის გარკვევაც, იყენებდა თუ არა ფ. გორგიჯანიძე ქართულ წყაროებსაც თავისი თხზულების ამ მონაკვეთის შედგენის დროს?

სამწუხაროდ, დასმული კითხვის პირდაპირი პასუხი მის თხზულებაში არა ჩანს, მაგრამ, თხრობის არათანაბარი სტილი, სპარსიზმებით დამძიმებული წინადადებები ერთ შემთხვევაში, გამართული ლაღი ქართული მეორეში, აგრეთვე, ახალი საინტერესო დეტალებით გამდიდრებული ცნობების მოხმობა სპარსულ წყაროებში დამოწმებული ანალოგიური მწიბრი ცნობების შესატყვისად — ძალაუუნებურად მიგვანიშნებს, რომ ფარსადანს, გარდა უცხოური წყაროებისა, ჩვენთვის დღემდე უცნობი რაღაც ქართული „ცხოვრებაც“ ჰქონია ხელთ.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ მოვიტანთ ორიოდ მაგალითს მისივე თხზულებიდან.

როგორც იქვეა, ფ. გორგიჯანიძე საქართველოში თემურის შემოსევათა აღწერას იწყებს 1399 წელს მის მიერ „ნიმშიას ხეობის“ (პერთ-კახეთის) აოზრებით, რასაც მოსდევს თბილისზე გამოლაშქრებისა და ქალაქისათვის გამართული ბრძოლების აღწერა. ისტორიკოსის ცნობით „სიღამისის ქალაქის გაღვანი არ აელთ, დღეში ორჯელ სამჯერ ქართველნი გამოვიდიან და წაუშენდიან თურქთა. შეიქნებოდა ომი და ცემა, მრავალს ნაენებს უზამდეს თურქთა და ისრეჲ ქალაქში შევიდიან. მაგრამ მთებიდამ ზარბაზნის ცემით შიგ მყოფნი შეჯერდნენ და უწინ ქალაქი აიღეს და მეფე თავისის ჯარით ციხეში ავი-

ბიზანტიელი (ზალკოინდლი, ფრანჲ, დუჲა) და თურქი ისტორიკოსები (ამიყ ფაშა-ზადე, ნეშრი) ხაზს უსვამენ, აგრეთვე, თემურის შეღარებით ლმობიერებას დატყვევებული ბაიანეთის მიმართ. აღნიშნული გასაუბრების თაობაზე კი დუჲას ნათქვამი აქვს, რომ თემურმა ბაიანეთს ამ სიტყვებით მიმართაო: „ეტყობა ქვეყნები უფლის წინაშე დიდად არას ფასობენ რაჲი ჩემისთანა კოჲლსა და შენისთანა ეღამს ამხელა სამფლობელოები გვარგულო“. მისივე ცნობით და, ამას, იმეორებს იბნ არაბშაჲი (Tamerlane or Timur the great Amir გვ. 197), რამდენიმე ხნის შემდეგ თემურმა ბაიანეთი რკინის გაღაში (ქართლის ცხოვრების „რკინის ყაღაზა“, იხ. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II. თბ., 1959, გვ. 339; იქვე, მეორე ტექსტი, გვ. 472) ჩასვა და აპირებდა სამარყანდში წაყვანას, მაგრამ იგი აყშაპრში გარდაიცვალა 1403 წელს (დუჲას ცნობას ვუთითებთ ა. კრიშკის მიხედვით, იხ. А. Крымский, История Турции и ее литературы, т. I, М., 1916, გვ. 29).

²⁸ ფ. გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 304.

და და იქილამ იბრძოდეს. მაგრამ იქიც თაბორის წვერიდამენ ზარბაზნით შე-
ჯერეს და ღონე გაუწყდა და უვნებლობის ფიცით და პირი გა-
მოართვეს და მეფეც თემურთან მოვიდა და ციხეც მოსცეს და ქვეყნს კარგად
დახედა, მრავალი პატივი სცა და ქალაქით აიყარა და ბაგრატი მეფე თქვენი
იყვანა და ყარაბაღს მივიდა და არღუნ შაჰადა რაზმან ხოჯა დიდის ლაშქრით
კახეთს გაუძახა და ააოქრეს და მეფე ბაგრატ თეიმურის პატივებით ყარაბაღში
გათათრდა და თემურ ხემწიფემ მეფესაცა და მეფის ყმათაცა მრავალი მოს-
ცა და თავის საბატონოში გაისტუმრა²⁹.

მოტანილი ცნობა ბევრ საინტერესო და საყურადღებო დეტალს შეიცავს
სპარსული წყაროების შესაბამის ძუნწსა და მშრალ თხრობასთან შედარებით.
ირაკვევა, რომ თემურს თბილისის აღება ჩქარა ვერ მოუხერხებია და ბრძო-
ლები ქალაქგარეთაც გამართულა ხოლმე საქართველოს ჯარსა და თემურის
ლაშქარს შორის. გარდა ამისა, მტერს ცეცხლმსროლელი იარაღიც (ფარსადან-
ნის მიერ დასახელებული „ზარბაზნები“) გამოუყენებია მეციხოვნეთა წინა-
აღმდეგ, რომელსაც თურმე ქალაქს უშენდნენ „თაბორის წვერიდან“. გარდა
ამისა, დიდი ორიგინალობით გამოიჩინევა მისი ცნობა ბაგრატის დატყვევების
გარემოებათა შესახებ, რომელიც, როგორც ირაკვევა, მოწინააღმდეგეს დანე-
ბებია „უვნებლობის ფიცისა და პირის“ გამორთმევის შემდეგ.

აღნიშნული გარემოებანი გეკარნახობენ საეხსებით ლოგიკურ დასკვნას,
სახელდობრ — რაკი ეს და სხვა მსგავსი დეტალები არა გვხვდება აღნიშნული
მოვლენებიდან ყველაზე ახლო ხანებში შედგენილი ავტორების: ნეშამ ად-დინ
შამის, შარაფ ად-დინ ალი იეზდის, მოინ ად-დინ ნათანზის, აბდ არ-რაზაყ
სამარყანდის, მირხონდის, ხონდემირისა და სხვათა თხზულებებში, რომელთა
ერთი ნაწილის გამოყენებასაც მკვლევრები ვარაუდობენ ფარსადანის მიერ,
სავსებით ბუნებრივია, ვედარც მის თხზულებაში მოხვდებოდა დამატებითი
წყაროების მოხმობის გარეშე.

ზემოთ მოტანილი ცნობა, სხვათა შორის, ძალიან საინტერესოა ენობრივი
თვალსაზრისითაც. გარდა იმისა, რომ გაწყობილია კარგი გამართული ქართუ-
ლით, იგი სავსებით თავისუფალია სპარსიზმებისაგან, რასაც ვერ ვიტყვი
მომდევნო გვერდებზე მოთხრობილი ამბების შესახებ, როცა ფარსადანის
თხრობა აღარ შეიცავს დამატებით განსხვავებულ დეტალებს, მეტ-ნაკლებად
მისდევს სპარსული წყაროების ტექსტს და გამოთქმებიც სხვანაირია ნახმა-
რი ანალოგიური ამბების ვადმოცემის დროს.

ფარსადანის მიერ სპარსულისაგან განსხვავებული წყაროების გამოყენე-
ბის კვალი კიდევ უფრო ნათლად ჩანს საქართველოში თემურის 1400 წლის
შემოსევასთან დაკავშირებული ამბების თხრობაში.

აღნიშნული შემოსევა სპარსულ წყაროებში გაცილებით ვრცლად არის
ასახული საქართველოში თემურის სხვა შემოსევებთან შედარებით. მიუხედა-
ვად ამისა. მაინც აშკარად ჩანს, რომ მის აღწერას ავტორებმა დააკლეს ბევრი
მნიშვნელოვანი რამ. ასე მაგალითად, დასახელებული წლის გაზაფხულზე,
ყარაბაღიდან წამოსული თემური საქართველოს მოადგა უზარმაზარი ლაშქ-
რით. ვიდრე საქართველოს ფარგლებში შემოიჭრებოდა, მანამ, თემურმა გზი-
დანვე ელჩები გამოგზავნა და კატეგორიულად მოსთხოვა საქართველოს მე-
ფეს მისთვის აღნიჭის ციხიდან გამოყვანილი ჯალაირიანი უფლისწულის თა-

²⁹ ფ. გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 302.

ჰერის გადაცემა. წინააღმდეგ შემთხვევაში თემური საქართველოს მეფის
ემუქრებოდა ქვეყნის საშინელი აოხრებით³⁰.

მიუხედავად უდიდესი საფრთხისა მეფე გიორგი VII (1393—1407) არ შეუშინდა თემურის მუქარას, არ გასცა თავისი მოკავშირე და ხელუკარბიელი გაისტუმრა ცივი უარით. ამის თაობაზე შარაფ აღ-დინ ალი იუზ-დის, მაგალითად, ნათქვამი აქვს, რომ გიორგიმ საქმის შედეგებზე არაფერი იფიქრა, მოციქული უხეში პასუხებით გამოისტუმრა, რამაც, თემურს მძინვარების ალი ააბრიალო³¹. ხოლო თუ რას გულისხმობდა გიორგის „უხეში პასუხები“ ეს აღნიშნულ თხზულებაში არა ჩანს. სამაგიეროდ, ამის თაობაზე ფარსადანის თხზულებაში ნათქვამია: „მეფემ კემწიფის შვილის თხოვნა უწყინა და ელჩს ავად დახვდა და თემურ კემწიფეს ასრე შეუთვალა: არ არის ჩვენთ ნათესავთ წესით, რომ შეხვეწილი კაცი ვისმე მივსცეთო. ელჩიც მომღურავი მივიდა. ეს ანბავი კემწიფემ იწყინა“³².

ამრიგად, როგორც აღინიშნა, გიორგი მეფის პასუხი თემურის მოთხოვნაზე 1400 წლის შემოსევის დროს საერთოდ არ არის დამოწმებული სპარსულ საისტორიო თხზულებებში, ხოლო მისი ფარსადანისეული ვარიანტი საკმაოდ განსხვავებულია „ახალი ქართლის ცხოვრებაში“ დამოწმებული პასუხისაგან. მაშასადამე, აღნიშნული ამბების აღწერის დროს ფ. გორგიჯანიძეს გარდა სპარსულისა და სხვა წყაროებისა რაღაც ქართული „ცხოვრებაც“ ჰქონია ხელთ, რომელიც განსხვავებული ყოფილა იმ წყაროებისაგან, რომლებსაც იყენებდნენ ვანტანგ VI-ის „სწავლული კაცები“.

ყოველივე ამის შემდეგ სპარსულ საისტორიო ძეგლებში აღწერილია საქართველოს ფარგლებში თემურის ლაშქრის შემოსვლა და მასთან დაკავშირებული ამბები.

როგორც ცნობილია, ამ შემოსევის დროს თემურის ლაშქარმა სასტიკად ააოხრა მთელი აღმოსავლეთი საქართველო, დაანგრია სოფლები და ქალაქები, დაარღვია ეკლესია-მონასტრები, დასწვა საცხოვრებელი სახლები, გარეხა ბადვენახები, მოწვა და პირუტყვს გადააძოვებინა მოწყული ყანები, უმოწყალოდ გაჟლიტა მოსახლეობა. დამპყრობელთა რისხვას ვერ გადაურჩა ვერც მთებსა და მღვიმე-ქვაბებში ვახიზნული ხალხი, რომელთა შესახებაც, მაგალითად, ნუზამ აღ-დინ შამის ნათქვამი აქვს: „ქართველებს თავი შეეფარებინათ მღალაი მთებისა და გამაგრებული მღვიმე-ქვაბებისათვის; ძნელად მისადგომ ადგილებში სახიზარ-თავშესატრები აეგოთ და შიგ გამაგრებულიყვნენ. ომში გამოცდილი მებრძოლები და სახელოვანი გულოვნები მიმხნე-სიმამაცის შტლგარს გადადიოდნენ, ზოგიერთები ზანდუკებში სხდებოდნენ, ზანდუკებს მთიდან თოკით დაბლა ჰკიდებდნენ და, გამოქვაბულებს რომ გაუსწორდებოდნენ, ისრით, ხმლითა და

³⁰ შარაფ აღ-დინ ალი იუზდი, ტ. II, გვ. 238.

³¹ იქვე.

³² ფ. გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 302; გიორგი მეფის პასუხი, ოღონდ საკმაო სახეცვლილებით, მოტანილია „ახალი ქართლის ცხოვრებაში“. ბერი ეგნატაშვილს, მაგალითად, ნათქვამი აქვს, რომ: „და ვითარცა მიიწია მოციქული მეფისა გიორგისა წინაშე, და ვსრეთ უპასუხა მეფემან გიორგი მოციქულსა მას, ვითარმელ: „შე შეფისა შენისა უმცირესი არა ვარ, და არცა ძალ-უც მოოქრება ქუეყანისა ჩემისა და, ვინათგან უთქუამს, უკუთუ არა აღასრულოს საქმე ევე, იყოსმცა დიაცი და არა კაცი“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 331).

ანალოგიური, ოღონდ ოდნავ ვრცელია ეს პასუხი „ახალი ქართლის ცხოვრების“ ვადართებულ ვაგარქელეაში (იქვე, გვ. 460—461).

შუბით ებრძოდნენ შიგ გამაგრებულ ურწმუნოებს; ცეცხლოვლებულ ნათიან ქოთნებს ესროდნენ და უწყვადნენ ხის ნაგებობებს. ურწმუნოებიც თავგამებულ-ბით იბრძოდნენ სიკვდილის შიშით³³

შემდეგ მასვე, იქვე, აღნიშნული აქვს 15 ციხის დაპყრობა თემურის ვაჟის მიერ თბილისის ციხის ჩაუთვლელად³⁴.

დაახლოებით ასეთივეა სხვა ისტორიკოსთა ცნობებიც.

აღსანიშნავია, რომ, იგივე ამბები აღწერილი აქვს ფ. გორგიჯანიძესაც. მაგრამ მის მონათხრობში სპარსული წყაროებისაგან განსხვავებით მეტი საყუ-რადღებო დეტალი ჩანს.

ფარსადანის ცნობით: „იმერეთი აიყარა და ქვაბთა და ციხეთა და მაგარს მთებში აიყარა და თურქთ მეომარი კილოვნებში ჩასხეს და საცა ქვაბებში ზინანი იყო, იმის კარებსზედ საბლით ჩაჰკიდეს და შიგნიდამ ქართველნი და გარედამ თურქნი, დაუწყეს ერთმანეთს სროლა და ცემა. ზოგს საბელი გაუწყვიტეს და კილოვნაიანთ ჩიმიტვირენეს, დაიკოცნეს და ზოგან ძველ ძული შეაყარეს ნავითთ დასველებული და ცეცხლი შეუკეთეს და რომელსაც ქვაბს კონბლის გასასვლელი გზა არა ჰქონდა, დაირჩინეს და რომელსაც კონბლის გასასვლელი გზა ჰქონდა, ვერა აწყინეს და ზოგან შიგნიდამ ძალი მოატანეს და ძველ ძული წართვეს, ვერცა რა ამათ: აწყინეს და რომელსაც საკონბლე არა ჰქონდა და ვერც ძველძული წართვეს, ისინი კონბლმან დარჩო და ქვაბი აიღეს და თუ რამ შიგ იყო, წაიღეს და იმ ერთის გზობით თხუთმეტი ციხე და ქვაბი აიღეს, ვინც დაიჭირეს, თუ გაათორდეს გაუშვეს და თუ არ გაათორდნენ დახოცეს“³⁵.

³³ ნუზამ აღ-დინ შაბი, გვ. 215: گرجیان پناه بکوههای بلند و غارهای استوار برده بودند و در مواضع سخت خانها و حصارها ساخته و بدان مستظفر شده مردان کارزار و دلبران نامدار از سرجلادت و مردانگی در آمدند و جمعی در صندوقها نشستند و آنرا بطناها استوار گردانیده از بالای کوه فرو گذاشتند چون برابر مغارها می رسیدند باگبران که در مغارها بودند بتیر و شمشیر و نیزه حرب می کردند و آتش و نطف می انداختند و عمارتی که از چوب ساخته بودند می سوختند و کبران نیز از هول جان بجان میکوشیدند

³⁴ იქვე.

³⁵ ფ. გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 302; ამ მოვლენის დასავლეთ საქართველოში, იმერეთში გადატანა, როგორც იქცევა ფ. გორგიჯანიძე, აქარა შეცლომაა. როგორც ითქვა, თემურის მამის აღმოსავლეთიდან მოადგა საქართველოს და აქ ჩამოთვლილი ამბები მოხდა მდინარე მტკვრის სამხრეთით მდებარე საქართველოს აღმოსავლეთი საზღვრიდან თემურის ვაჟის თბილისში შემოსვლამდე (ნუზამ აღ-დინ შაბი, გვ. 215; შარიფ აღ-დინ ალი იფზი, ტ. II, გვ. 50; აბდ არ-რაზაყ სამარყანდი, ფ. 384 ა; მირზონდი, გვ. 346). მაგრამ ასეთი შეცლომები ფარსადანის სხვაგანაც მოსდის და მოვლენები უმართებლოდ გადააქვს აღმოსავლეთიდან დასავლეთ საქართველოში და პირუკუ. ერთ-ერთ ასეთ შეუსაბამობას, სხვათა შორის, ყურადღება მიიქცია ა. კაკაბაძემ, რომელიც ამის თაობაზე აღნიშნავდა, რომ ფარსადანი „გიორგი მეფეს ბაგრატის ძეს ის იმერეთის მეფედ სთვლის, რაც აქარა შეცლომაო“ (საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 203). აქედანვე წარმოსდგება ფარსადანის სხვა დანარჩენი შეცლომებიც. საქმე ისაა, რომ ქართლის მეფედ ფარსადანს ბაგრატი ჰგონია საქართველოში თემურის შემოსევითა მთელ მანძილზე, რაც კარგად ჩანს მისივე თხულებების შინაარსიდან. ასე მაგალითად, 1403 წ. გიორგი მეფესთან ზავის დადების შემდეგ თემური დასავლეთ საქართველოდან გამობრუნდა, თბილისზე ჩაიარა და სამუდამოდ გასცილდა საქართველოს. ამასთან დაკავშირებით ფარსადანს ნათქვამი აქვს, რომ თემურმა „ქართლზედ ჩაიარა, თბილის ქალაქს მეფეს ბაგრატს ესტუმრა და ცხენი და ჭარი შეასვენა და ყარაიანი ინალირა. მეფესა და მეფის შვილებს, თავადთა და

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიაც, სპარსული საისტორიო წყაროების მწირო და მშრალი ცნობები ფარსადანის მიერ გამდიდრებულია ფრიდ საყუ-
რადლებო მნიშვნელოვანი დეტალებით. თანაც მისი თხრობა საკმაოდ ექსტრემული
თულია ენობრივად და თავისუფალია სპარსიზმებისაგან. საიდან უნდა მომდინარე
ნარობდეს ფარსადანის ეს დამატებითი ცნობები და დეტალები? ვფიქრობთ
ისევ რომელიღაც ქართული „ცხოვრებიდან“, რომელსაც, როგორც ჩანს, ავ-
ტორი იყენებდა სპარსული წყაროების გვერდით³⁶.

გარდა ქართულისა, სპარსულისა და, ალბათ, სხვა უცხოური წყაროებისა,
ფ. გორგიჯანიძეს თავისი თხზულების ამ მონაკვეთის გასამართავად უნდა გა-
მოეყენებინა ზეპირსიტყვიერი მასალაც. ამისი კვალი განსაკუთრებით კარგად
ჩანს საქართველოში თემურის ბოლო შემოსევისა და გიორგი მეფესთან დაზა-
ვებზე დაკავშირებული ამბების თხრობის დროს.

როგორც ითქვა, ეს ზავი დაიდო 1403 წლის შემოდგომის მიწურულს. მას
წინ უსწრებდა ელჩების გაცვლა-გამოცვლა თემურსა და გიორგი VII შორის.

სპარსული წყაროების მიხედვით, თემური ითიქოს ერთხანს თავს იკა-
ვებდა ზავის დადებისაგან რელიგიური მოტივების გამო, მაგრამ, ბოლოს, თან-
ხმობა განაცხადა წარჩინებულ ამირთა და ისლამის რელიგიის წეს-მეცნიერთა
მოსარჩლეობა-გამოკითხვის შემდეგ, რაც ოფიციალურად შეატყობინეს გი-
ორგი მეფეს.

თემურის კარზე ზავის დასადებად გაგზავნილ ელჩებს გიორგიმ მდიდრუ-
ლი ძღვენი გაატანა თან, რომელთა შორის სპარსულ წყაროებში ჩამოთვლი-
ლია: „ათასი ოქროს თანგა უავგუსტოესი თემურის სატიტულო ზედწერი-
ლით, ათასი ცხენი, უამრავი ძვირფასი ქსოვილი და ურიცხვი სიკეთე და ქონება,
მათ შორის ბევრი ოქროს, ბროლისა და ვერცხლის ჭურჭელი და ლარ-

მეფის კარის მოკლებსა და ყველას შეფერებით მალათები უბოძა და იქიდან აიყარა და
ნადირობით ყარაბაღში მივიდა. ბილდანის ქალაქის აშენებას კელი მიჰყო“ (იქვე, გვ. 312).

ამრიგად, ფარსადანს ქართლის მეფე ჰგონია ბაგრატი, იმერეთისა გიორგი და მის სახელ-
თან დაკავშირებული წყაროების ყველა ცნობა ერთიანად ვადააქვს დასავლეთ საქართველოში.

³⁶ როგორც ცნობილია, ივ. ჯავახიშვილმა ფ. გორგიჯანიძის თხზულება პირობითად და-
პუო ოთხ ნაწილად: I — დასაწყისიდან თამარის გამეფებამდე, II—თამარის გამეფებიდან XIV
ს-ის დამდეგამდე, III—XIV ს-ის დამდეგიდან XVII ს-ის პირველ მესამედამდე და IV—1636
წლიდან XVII ს-ის მიწურულამდე. მანვე მოგვცა თითოეული ნაწილის შეფასება-დახასიათებაც,
სადაც თხზულების პირველი ნაწილის შესახებ იგი აღნიშნავდა, რომ იგი ზეპირსა და გავო-
ნისლს ამბებზეა დამყარებული და ამის გამო ზღაპრული ხასიათი აქვსო (ივ. ჯავახიშვილი, ძვე-
ლი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 291). რაც შეეხება თხზულების მეორე ნაწილს,
ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ იგი „ქართლის ცხოვრების მიხედვით არის
შედგენილი“ და „არავითარი მნიშვნელობა არცა აქვს, რადგან თვით მისი წყაროს დედანმა, სა-
უცხოო ღირსებისამ, ჩვენამდე მოაღწია“ (იქვე).

როგორც შემდგომმა კვლევა-ძიებამ გვიჩვენა მკაცრი აღმოჩნდა ივ. ჯავახიშვილის აღნიშ-
ნული შეფასება ფ. გორგიჯანიძის თხზულების როგორც პირველი, ისე მეორე ნაწილის მიმართ,
რადგან ავტორს მათ შესაძველად პირველხარისხოვანი უცხოური და ქართული წყაროები
ქონია ხელთ (იხ. რ. კიკნაძე, კიდევ ერთი ქართული წყარო ლაშა გიორგის ისტორიისათვის,
კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 93—104; მისივე, ფარსადან გორ-
გიჯანიძის ერთი ქართული წყაროს შესახებ, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1971, № 2, გვ. 115—122;
მისივე, ეპოქათამაღწერლის თხზულების ერთი ადგილზე შევსებისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია,
1971, № 4, გვ. 115—123).

აღნიშნულიდან გამომდინარე, სულაც არ არის გამორიცხული, რომ ფ. გორგიჯანიძეს
თავისი თხზულების III ნაწილის გასამართავად უცხოურ წყაროებთან ერთად სანდო ქართუ-
ლი წყაროც ქონოდა ხელთ.

ნაკი, ერთი ცალი სასიამოვნო ფერისა და წმინდა წყლის ლალი, წონით 18 მისხალი, რომლის მსგავსი და რომლის წონისა (ქვეყნიერებაზე) იშვიათად გვხვდება.³⁷

ეს ცნობა თითქმის უცვლელად არის გამეორებული თემურისა და ფიროზშაჰის მიერ. რიანთა დროის სხვა საისტორიო თხზულებებშიც³⁸, მაგრამ განსხვავებულ დამატებით დეტალებს მართო ფარსადანის თხზულებაში ვხვდებით. ისტორიკოსის ცნობით, გიორგი მეფის ელჩების მიერ თემურისათვის მირთმეულ საჩუქრებში იყო: „ათასი ცხენი, ათასი თეთრი თემურის საქელს ზედან მოჭრილი, მრავალი კარგი და უცხო ნაქსოვნი სასაქელო ჩაქვები და იარაღები ბროლისაგან დათლილი და ვერცხლისაგან გამოქედილი ჩამჭურკელი. ბადაშხანის ლალი ერთი საკელათ ვგრდემლა — კარგ ფერი, კარგად წყლიანი, კარგად გათლილი, სანახავად საამებელი, თვარამტი მისხალ სამის მარჩილის წონა და ჯუშო მცენეთა მისი ფასი ძვირათ ღირებებისათვის ვერ დადევს. ესები თემურ ქვეშევრდემ მოიწონა, ნამეტნავად ლაღისა ასრე ბრძანა: ასრე კარგ ფერი და კარგად გათლილი, კარგად წყლიანი და ლალი ამ სიდიდით არვის უნახავსო, არცა სხვათ კეშვიფეთ ჰქონებიათო და არც მე მინახავსო“³⁹.

როგორც ვხედავთ, ფარსადანის ცნობაში თემურისათვის მირთმეული ლალის შესახებ გაცილებით მეტი დეტალია შემოტანილი, ვიდრე სპარსული წყაროების ცნობებში. თანაც უაღრესად საინტერესოდ გამოიყურება ქართული ისტორიკოსის მიერ მისი სახელდებით მოხსენიება. ამასთანავე, ფარსადანს ვაზრდილი აქვს მისი წონაც — 18 მისხალი და სამი მარჩილი სპარსული წყაროების 18 მისხლის ნაცვლად. საინტერესოა აგრეთვე თემურის ნათქვამიც ამ ლალის თაობაზე, რაც, აგრეთვე, არ არის სპარსული წყაროების ცნობებში. საიდან მოიპოვა ფარსადანმა ეს ცნობები ჩვენთვის უცნობია. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ სპარსული წყაროებიდან არა. ზომ არ იცოდა ყოველივე ეს ზეპირსიტყვიერი გადმოცემებიდან? ამ მხრივ მხედველობაშია მისაღები მისივე ნათქვამი, რომ: „იტყვიან, ის ლალით ახლა ინდოეთის კეშვიფის სახლში ძესო“⁴⁰.

როგორც ვხედავთ, საქართველოში თემურის შემოსევებთან დაკავშირებული ამბები კვლავაც ცოცხალი ყოფილა ხალხის მეხსიერებაში XVII ს-ის ბოლოს, როდესაც ფარსადანმა დაასრულა თავისი თხზულების წერა.

ორიოდე აღვიღლას ფ. გორგიჯანიძეს თავისი თხზულების ამ მონაკვეთში ჩარ-

37 შარათ აღ-დინ ალი ივზღი, ტ. II, გვ. 518: هزار تنگه زر که سکه آنرا

بالباق همايون آراسته و هزار اسپ با بسی نقاشيه اقمشه و كرايم اموال و خواسته از آنجمله بسی از ظروف و اواني زر و نقر و بلور و يك قطعه لعل خوش رنگ

آبدار بوزن هزده مثقال که از آن نوع ويان وزن کم اتفاق افتد

38 ნეზამ აღ-დინ შაჰი, გვ. 286; აბდ არ-რაზაყ სმარყანდი, ფ. 462ბ; მიჩხოსი, გვ. 455.

39 ფ. გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 312; ასეთი პატიოსანი თვალა რომ მართლაც ყოფილა საქართველოს სამეფო საჯანჭურში, ჩანს ეპიგრაფიკული ცნობიდანაც. როცა ისტორიკოსი ვადმოგვეცემს საქართველოს ორ სამეფოდ გაყოფის ამბავს ნარინ დავითსა და ულუ დავითს შორის, იქვე შენიშნავს: „შაჰინ არღარა იყო, დაამტყიცეს, რათა განყონ სამეფო და საქურტლე არად... და განყვნ სამეფო და საქურტლენი; გარნა ზუამლისა ქუბაბს რომელი იღვა, მცირე გამოიღეს და გაიყვეს, და უფროსი ქუბაბსავე დაუტევეს, ხოლო ჯაჰე იგი სახელდებული, სალმასურა, და თუ ალი იგი პატიცემული გურდემლი, და მარგალიტი იგი ღიდი, რომლისა სწორი არა-ვის-სადა უხილავს, — ესე სამეფო რუსუდანის შესა დავითს მიხელდა“ (ეპიგრაფიკული, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 243); აღსანიშნავია, რომ ზოგ ნუსხაში ყოფილა „გურდემლიც“.

40 იქვე.

თული აქვს საკუთარი ნაპრვეი და შეხედულება ამა თუ იმ ისტორიულ ფაქტსა და მოვლენის შესახებ. ერთი ასეთი მომენტი, მაგალითად, შეინიშნება ბირთვისის ციხის აღებასთან დაკავშირებით თხრობაში.

სპარსული წყაროების მიხედვით, ბირთვისის ციხის დამცველები⁴¹ მტრის წინაშე ტად ყოფილან დაიმედებული ციხის სიმტკიცე-მიუვალობაში. თემურის⁴² მტრის წინაშე რედ ეს მომენტი გამოიყენა მათი ყურადღების მოსაღწეზებალ და ციხის დასაპრობად. ფ. გორგიჯანიძე, ამ ციხის დაპრობის ამბავს რომ გვაუწყებს, იქვე შენიშნავს „ქართულთ ციხის სიმაგრისაგან დიდი იმედი აქონდათ რომ კემწიფის ამდენი ცდა და სარჯელი ზემრობა ეგონა და მართლა არ გაუფრობილდნენ თორა იმ ციხეს ვერვინ აიღებდა. თურქთაც ისრე მიაჩნდა, რომ არ აიღებისო. მაშ არასფერში ამყობა და შეუპოვრობა არ ვარგა. ნათქვამიც არის — სიფრობილე კაცს თავს არ ატკენსო“⁴¹.

მეორე ასეთი მომენტი შეინიშნება თხზულებს ამ მონაკვეთის დასასრულში, როდესაც ფ. გორგიჯანიძე გვაუწყებს თემურის გარდაცვალების ამბავს და დასძენს: „ის მიწას მიბარეს და მრავლის სარჯლითა და ოჯახის თხრით და სიკვდილებითა და დატყვევებით ნაშოენი სხვათ დარჩა და მას განკითხვის დღის შიში თან წაპყვა და ქვეყანანი ზოგი ვინ დაიჭირა და ზოგი ვინაო“⁴².

ამრიგად, როგორც ზემოთ მოტანილმა განხილვამ გვიჩვენა, ფ. გორგიჯანიძე მართო ერთადერთ სპარსულ წყაროს კი არ იყენებდა თავისი თხზულების საკვლევი მონაკვეთის შედგენის დროს, არამედ მას თავიანთი ხასიათითა და მიმართულებით ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული რამდენიმე უცხოური წყარო ჰქონია ხელთ. გარდა ამისა, მასვე გამოუყენებია ჩვენთვის დღემდე უცნობი რომელიღაც ქართული „ცხოვრება“ და ხალხში შემორჩენილი ზეპირსიტყვიერი მასალა.

К. Г. ТАБАТАДЗЕ

ЕЩЕ РАЗ ОБ ИСТОЧНИКАХ XV ВЕКА СОЧИНЕНИЯ П. ГОРГИДЖАНИДЗЕ

Резюме

Вопрос об источниках XV века сочинения П. Горгиджанидзе, повествующего о нашествии полчищ Тимура на Закавказье и сопредельные страны, давно стал объектом изучения исследователей.

Среди грузинских ученых давно бытовало мнение высказанное еще акад. И. А. Джавахишвили, что П. Горгиджанидзе для данной части своего сочинения была использована сокращенная версия «Зафар-наме» («Книга победы») Шараф ад-дина Али Йезди. В дальнейшем было выдвинуто новое соображение, что источником сведений грузинского историка послужило сочинение Абд ар-Раззака Самарканди «Матла' ас-са'дейн ва маджма' ал-бахрейн» («Место восхождения двух счастливых светил и место слияния двух морей»).

Не отрицая возможности знакомства грузинского историка с сочинением Абд ар-Раззака Самарканди, в статье доказывается, что при описании событий, связанных с наступлением полчищ Тимура на Грузию, П. Горгиджанидзе не ограничивался сведениями какого-либо одного источника, а пользовался несколькими, в том числе и не принадлежащими к тимуридской ориентации персоязычными сочинениями, а также грузинскими источниками.

⁴¹ იქვე, გვ. 308.

⁴² იქვე, გვ. 314.

ნოდარ შენაელი

სოლაქ-ზადე საქართველოს შესახებ

გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის არაერთი საკითხის შესასწავლად ქართულთან ერთად გარკვეულ ადგილს იჭერს ოსმალური ნარატიული და დოკუმენტური წყაროები. განსაკუთრებით მდიდარია ოსმალური ისტორიოგრაფიული ლიტერატურა, სადაც მნიშვნელოვანი ცნობებია მოცემული საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებზე. XVII საუკუნისათვის დიდად დაწინაურდა ოსმალური ისტორიოგრაფია. ამ პერიოდის თაობაზე სამართლიანად შენიშნავს აკად. ს. ჯიქია: „გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, არსებობს მთელი პლეადა სახელოვანი ისტორიკოსებისა, რომელთა შემოქმედება მსოფლიოს ხალხთა კულტურულ-ისტორიული საკითხების შესწავლისა და კვლევის საქმეში უეჭველად დიდი განძია. ამ თვალსაზრისით საქმარისია XVII საუკუნის თურქ მეისტორიეთა მხოლოდ ჩამოთვლა, რომ ცხადი გახდეს ამ ეპოქის თურქ ისტორიკოსთა შემოქმედების მოცულობის ზომა და შინაარსობლივი მრავალფეროვნების სიღიადე¹. ერთ-ერთი ასეთთაგანი იყო მეჰმედ სოლაქ-ზადე ჰემდეში.

საქართველოს შესახებ მცირე, მაგრამ ყურადსაღები ფრაგმენტული ცნობები მოეპოვება სოლაქ-ზადეს (გარდაიცვალა 1657 წ.). თითქმის არაფერია ცნობილი მისი ბიოგრაფიიდან. დაიბადა იგი სტამბოლში, სახელმწიფო მოხელის ოჯახში. მან თავიდანვე გამოამჟღავნა მუსიკისადმი მიღრეკილება, რის გამოც მას მეტსახელად მისხალი ჩელები („მისხალი“ სალამურის მსგავსი საკრავია) შეარქვეს.

მეჰმედ სოლაქ-ზადე ავტორია ოსმალეთის ისტორიის ფუნდამენტური ნაშრომისა, რომელიც მოიცავს პერიოდს ოსმალეთის იმპერიის დაარსებიდან ვიდრე სულთან იბრაჰიმ I-ის (1640—1648) ტახტზე ასვლამდე².

სოლაქ-ზადე ფართოდ იყენებდა წინამორბედ და თავის თანამედროვე ისტორიკოსთა თხზულებებს. მიუხედავად ამისა, სოლაქ-ზადეს ნაშრომი მაინც დამოუკიდებელი ნაწარმოებია და მასში ბევრი ისეთი საინტერესო ცნობაა შემონახული, რაც დღეისათვის ცნობილ სხვა წყაროებში არ არის დაცული. სოლაქ-ზადეს თხზულების წყაროების მეტი წილი დღეისათვის უცნობია, რაც მისი ისტორიის ღირებულებას უფრო ზრდის.

1 იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ. 1964 წ. გვ. 10

2 სოლაქ-ზადეს და მისი თხზულების შესახებ იხ. Fr. Babinger, Die Geschichtsschreiber der Osmanen und ihre werke, Leipzig, 1927, გვ. 203—204.

საგულისხმო ცნობები აქვს დაცული სოლაქ-ზადეს საქართველოსა და ამიერკავკასიის ისტორიისათვის. საყურადღებოა მის მიერ მოთხრობილი ამბავი ოსმალთაგან ჭანეთის ციხის დამორჩილების თაობაზე. დღეისათვის ცნობები ან თითქმის არაფერი მოგვეპოვება ჭანეთის ისტორიის შესახებ. ისტორიული საქართველოს ეს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი აღრევე მიიტაცა ოსმალეთის ხელისუფლებამ და იქ ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემა დაამკვიდრა. ჭანეთის ციხის დამორჩილების ამბის გადმოცემისას სოლაქ-ზადე იყენებს წინამორბედი ისტორიკოსის მეჰმედ ნეშრის (XV ს.) თხზულებაში დაცულ ცნობას³, მაგრამ ამავე დროს მისგან განსხვავებულ ფაქტებზეც ჩერდება. ოსმალთა ფაშას მიერ ჭანეთის ვილაიეთის დამორჩილება, წყაროს ავტორის მიხედვით 1427—28 წელს მოხდა. სინამდვილეში ამ პერიოდისათვის ჭანეთის ტერიტორიები ოსმალებს უკვე დიდი ხნის დაპყრობილი ჰქონდათ. აქ აღწერილი ამბავი ეხება ჭანეთის ვილაიეთის განმგებლის ჰუსეინ-ბეგის მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვას, ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლებისადმი დამორჩილებას. ამ დროისათვის ჭანეთი უკვე ვილაიეთადაა გადაქცეული და მისი განმგებელი ჰუსეინ-ბეგი გამამადიანებული ოსმალთა მოხელეა, რომელიც დამოუკიდებლობის შენარჩუნებისაკენ ისწრაფვის.

სოლაქ-ზადე აღწერს ირან-ოსმალეთის ომების ეპიზოდებს, სულთან სელიმ I-სა და ირანის შაჰის ისმაილ I-ს შორის წარმოებულ ბრძოლებს საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიაში. XVI საუკუნის შუა წლებისათვის გაძლიერებული ოსმალეთი თანდათანობით იპყრობს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და ოსმალურ სოციალურ-პოლიტიკურ ინსტიტუტებს აარსებს, ქართულ ტერიტორიებზე „სანჯაყების“ სისტემას ქმნის და ამით საბოლოოდ იერთებს მათ. ირან-ოსმალეთის დაუსრულებელი ომების ასპარეზად ამ პერიოდში სწორედ ამიერკავკასია იქცა. ამ ლაშქრობათა ერთი ეპიზოდი, კერძოდ, 1549 წლის ლაშქრობა აღწერილი აქვს სოლაქ-ზადეს. იგი ამ შემთხვევაშიაც თავის წინამორბედ და თანამედროვე ოსმალთა ისტორიკოსთა ნაშრომებს ეყრდნობა, უფრო მოკლედ, მაგრამ საკმაოდ განსხვავებულად და ორიგინალურად გადმოგვცემს ოსმალთა მიერ 1549 წელს საქართველოს სამხრეთი ტერიტორიების დაპყრობის ამბებს, ვიდრე, ვთქვათ, იბრაჰიმ ფეჩევი⁴.

სოლაქ-ზადეს მიერ საქართველოს შესახებ ქვემოთ მოტანილი ცნობები ამოკრეფილია მისი „ისტორიიდან“⁵. ამ ცნობების ოსმალურ, ქართულ და სხვა ენებზე არსებულ ცნობებთან შეჯერება და შესწავლა-გაანალიზება გარკვეულ შუქს შეიტანს ოსმალეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის ცალკეული დეტალების დაზუსტების საქმეში. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნით მისი ამ სახით გამოქვეყნება.

ჭ ა ნ ე თ ი ს ც ი ხ ი ს დ ა მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ა

იორგუჩ-ფაშას¹ მუდმივი საფიქრალი იყო აღფ-არსლანის შვილი ჰუსეინ-ბეგისათვის² როგორმე წაერთმია ჭანეთის ვილაიეთი³ და ოსმალეთის სახელმწიფოსათვის შემოეერთებინა. 831 წლის პირველ [თვეს] მან საქორ-

³ Kitâb-ı Cihan-Nüma, Neşri Tarihi, II, Yayınlayanlar: Faik Refit Unat, Mehmed A. Köymen, Ankara, 1957, გვ. 600—603.

⁴ იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 27—28.

⁵ ۱۲۹۷، صولاق زاده تاریخى، استانبول.

წილო წვეულება გამართა და ჰუსეინ-ბეგი მიიპატიჟა. ჰუსეინ-ბეგი ამ მიპატიჟების მიზანს მიუხვდა და ასე აუწყა: „ჩვენ ამ მხარეზე პრეტენზია არა გვაქვს, თუ ჩვენ ხელთ არსებული გავერანებული [ადგილის] ალება გასრულდეს, თქვენი ხალხი მოვიდეს და დაიპყროს, ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ. უმჯობესია ჩვენ დავისვენებთ: რადგანაც ჰუსეინ-ბეგმა თავი აარიდა წვეულებას, იორგუჩ-ფაშა შეწყობდა და ლაშქრის შეგროვებას შეუდგა, ქანეთის მხარეს გალაშქრება განიზრახა. ჰუსეინ-ბეგმა როგორც კი გაიგო ვითარება, ისევ შეატყობინა: ჩემი მხარე სასულთნოს მტერი არ არის რომ ჩემს წინააღმდეგ ლაშქარი გამოიყვანო, თუ მურადის ქვეყანაა, მე თავად პოვალ და ჩაგბარდებით. ამ ცნობის გაგზავნისთანავე თვითონაც მოვიდა და ფაშას შეხვდა. იორგუჩ-ფაშამ მისი ხალხი და ოჯახი ამასიაში დატოვა, თვითონ ბორკილგაყრილი და დატყვევებული სტამბოლს ვააგზავნა. იგი სულთნის ბრძანებით ბურსის ციხეში გამოჰკეტეს. ამგვარად, იორგუჩ ფაშამ ხელთ იგდო ქანეთის ვილაიეთი, ხსენებულ ჰუსეინ-ბეგს გარკვეული ხნის შემდეგ ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა და ციხიდან გაიქცა. ორი წელიწადი იხეტიალა და კვლავ კანონიერად სასულთნოს ადგილსამყოფელს შეაფარა თავი, შეევედრა და მოსალოდნელზე უფრო მეტი მფარველობა აღმოუჩინეს: რუმელიაში⁷ სანჯაყი მისცეს და თავისი ხალხი და ოჯახიც დაუბრუნეს.

სულთან სალიმ-ხანის ბრძოლა საჰართველოში და შაჰ-ისმაილის ლაშაბრთან, ზოგიერთი ციხის აღება და შაჰზადე სულიმანთან ერთად თავდასხმა სანჯაყში¹¹.

ცნობილია და გულებში ხსოვნადაა დარჩენილი, რომ როდესაც მისი უდიდებულესობა შაჰზადე სულთან სელიმ-ხანი ტრაპიზონის ვილაიეთში მივიდა, დიდ დროს ანდომებდა იმ მხარეში საქართველოს მტრებთან ბრძოლასა და საღვთო ომს. ამის შემდეგ [ოსმალთა]მახვილის სისხლიანმა ვადამ რამდენიმეჯერ გაფანტა ყიზილბაშნი, ბაიბურთი¹² და აზერბაიჯანი ხელიდან გამოჰტაცა მათ. მაღალი ბატონის გადმოცემის მიხედვით, მიზეზი ის იყო, რომ რაკი შაჰ-ისმაილმა არდებილის ვილაიეთი¹³ დაცილად ჩათვალა, აზერბაიჯანი ხელიდან გამოჰტაცა სხვებს და თვითონ დაიპყრო. შემდეგ სამი ათასი ყიზილბაშით თავისი შმა იბრაჰიმ მირზა და ზოგიერთი თავისი ამირი, გაგზავნა და, რაკი შაჰზადე სელიმ-ხანის სატახტო საბრძანებლის — ტრაპიზონის ვილაიეთის განადგურება და ხელში ჩაგდება დაავალა, დიდად სახელოვანმა უფლისწულმა სიფხიზლე და სიმხნევე გამოიჩინა და მათ მეწინავე მეომრებს მაღალი ღვთის წყალობით თავს დაესხა. აზერბაიჯანის მახლობლად ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა და ყველანი ხმლით აუწყა. ასე დაიპყრო აზერბაიჯანი. ამ ბრძოლაში შაჰ-ისმაილის უნდილი შმა იბრაჰიმ მირზა შეიპყრო, ტრაპიზონის ციხეში გამოკეტა — გადმოვეცემენ, თუმცა ამის სიმაართლე საეჭვოა. ამ ბედნიერ წელს¹⁴ ფალის საზღვარზე სელიმ-ხანის შვილს შაჰზადე სულეიმან-ხანს მაღალი ღმერთის უდიდებულესობამ ბოლუს სანჯაყი¹⁵ უწყალობა. როდესაც ეს შაჰზადე სულთან აჰმედმა გაიგო, არ დაეთანხმა და სთქვა, რომ რადგანაც ბოლოს ღივა ამასიიდან სტამბოლისაკენ მისასვლელ გზაზე, ამ შაჰზადე სულეიმანს ბედნიერების დედაქალაქში დაბინავების საშუალება არ უნდა მიეცეს და ეს ბიჭი ჩემს გზაზე არ უნდა იდგესო. ბედნიერების ტახტს როგორც კი მიაერთვა სქს

არზა, რადგანაც სულთან აჰმედის, მაღალი დმერთის უდიდებულესობის კატე-
გორიულ სიტყვებს წინ ვერავინ აღუდგებოდა, ბოლოს ქუფას სანჯაყით¹⁶ იქნა
შეცვლილი. სახელგანთქმული და მაღალკეთილშობილი შაჰზადე ქვეყნის მმართველი
ბელი ხელმწიფის ფირმანით ტრაპიზონიდან ქუფასაკენ გაემგზავრა, თავისი
მოსვლით ის ვილაიეთი მოაშენა და მისი მოსახლეობა გაახარა.

გვ. 324—325.

საქართველოს დაპყრობის აღწერა

ფადიშაჰის უმადლესმა ძლევამოსილებამ ის ზამთარი ალეპოში გაატარა და
იმ განაფხულზე, რადგანაც ბედნიერ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი, 956-წლის
ჯულაი ალ-აჯალის მეათე დღეს¹⁷ დიდი ლაშქრით ალეპოდან გამოვიდა და
ღიარბექირისაკენ¹⁸ გაემგზავრა. განზრახული და გადაწყვეტილი ჰქონდა ღიარ-
ბექირიდან საქართველოზე გაელაშქრა. ამ ლაშქრობის მიზეზი და სა-
ბაბი ის იყო, რომ ქართველთა ტომი ზოგიერთ მიუდგომელ ციხეში იყო გა-
მაგრებული, მუდამ აჯანყებული იყო, ამბოხებაზე ხელს არ იღებდნენ, ხან წყე-
ული შაჰის მზარზე [იყენენ]. ხანაც ფადიშაჰის უდიდებულესობას აფარებდნენ
თავს. იქამდე, რომ ერთხელ, როდესაც ბაღდადში სალაშქროდ მიემგზავრებოდა,
შაჰინშაჰმა ქვეყანა აიღო, ხელსაყრელი შემთხვევათა სთქვა და უამრავი ქარ-
თველი შეკრიბა. არზრუმის ბეგლარ-ბეგი მუსა-ფაშა¹⁹ მოულოდნელად თავს
დაესხა, სარწმუნოებისათვის დაეცნენ [ბრძოლის ველზე]. უეჭველად საქირი
იყო მათი დალაშქრა, რომ ისინი კვლავ მოეყვანათ. როცა ღიარბექირში კარ-
გად და ბედნიერად შევიდნენ, მეორე ვეზირ აჰმედ ფაშა²⁰ ყარამანის, არზრუ-
მის, ზულკადირიეს და სივასის²¹ ბეგლარბეგები სასულთნო ზაიმეზითა და სი-
ფაშთა სანჯაყ-ბეგებით, გარკვეული რაოდენობის ბრწყინვალე სამეფო კარის
იანიჩრები და აზაბთა აღაბები²² შეუერთდნენ და იქითკენ იქნენ გაგზავნილნი.
სახელოვანი სარდალიც გარკვეული მანძილის გავლით შაბანის თვის მეცხრა-
მეტე დღეს²³ საქართველოს ციხეთგან თორთუმის ციხემდე²⁴ მივიდა. რამდენიმე
დღის გარემოცვის შემდეგ დაიპყრო, ამის შემდეგ მის სიახლოვეს ნეჯაჰის²⁵ და
მერ-ხევის სახელწოდების ციხეების მოსახლეობა შიშმა შეიპყრო, მათაც პატი-
ების თხოვნით ციხის გასაღები მოიტანეს. შემდეგ აქჩე-პისარის²⁶ სახელწოდე-
ბის მტკიცე ციხე, რომელიც საქართველოს მხარის გასაღები, მნიშვნელოვანი
[ციხე] იყო, განგების დახმარებით, დაპყრობილ იქნა. სულ თხუთმეტი მრავალ-
რიცხოვანი ციხე იქნა აღებული ზოგი ძალით, ზოგი მორჩილებით. დაახლოებით
თითო-თითო სასანჯაყო აღიღებდა დიდებულ ამირებს სათითაოდ ებო-
ძათ. ამის შემდეგ უთვალავი ნადავლით უკან დაბრუნდნენ. ბოლოს, ფა-
დიშაჰის უდიდებულესობის ღვთაოდაცული ლაშქარი ჩოლოქის სახელწოდებით
ცნობილ რაიონში საქართველოში მყოფი ლაშქრის მოსვლის ხელსაყრელ მო-
მენტს დაელოდა. შავალის თვის მეორე დღეს²⁷ სამეფო ლაშქარში მოვიდა.
როდესაც შეიკრიბა გამარჯვებულთა ლაშქარი, ზემოხსენებულ აჰმედ ფაშასადმი
და განსაკუთრებით ამირებისადმი ძალიან დიდი პატივისცემა იქნა გამოძღაგ-
ნებული. დააწინაურეს და ხალათების ბოჭებით თავიანთ ტოლთა შორის გამორ-
ჩეული და სახელოვანი გახადეს. (დიდება ალაჰს!) ერთ თვეზე მეტი ხნის გან-
მავლობაში არც თუ ისე მრავალრიცხოვანი ძალებით ასეთი ლაშქრობა დი-
დებულა. ისლამის საზღვარზე თავისი ამირებისათვის გარკვეული რაოდენ-
ობის რეგულარული ჯარის მიცემის შემდეგ სიცივებამაც დაიჭირა. ყველას

თავის შესაფერისი სარგო ხედა წილად. რადგანაც დაბრუნების მსურველები იყვნენ, ამიტომ გამარჯვებული ლაშქრის მოსვენებისა და სიმშვიდისათვის ხსენებული თვის მესამე დღეს²⁸ აღნიშნული სადგომიდან მშვენიერად მხარეს²⁹ გამგზავრება იქნა ნაბრძანები. ბირეჯიქის, აინთაბის, ადანასა და ნიაზე³⁰ ვავლით ზილპიჯეს თვის შუა (რიცხვებში)³¹ დედაქალაქ კონსტანტინეში³² მივიდნენ.

გვ. 512—514.

შენიშვნები

1. იორგუჩი-ფაშა — იორგუჩი-ფაშა მეჰმედ სურეის მიხედვით, წარმოშობით იორგულუჯედან იყო, სულთან მურად II-ის (1420—1451) გამზრდელი-ლალა, მურადის სასულთნო ტახტზე ასვლას შემდეგ ამასიისა და თოქათის ვალი გახდა. შემდეგ უფრო დააწინაურეს, 1445 წ. ვარნასთან ბრძოლაში მოკლეს. سجل عثمانی یاخود تذکره مشاهیر كبير معارف اعضاستدن محمد ثريا، در دنجی جلد საქმიანობისა და განსაკუთრებით მის მიერ ჭანეთის ციხის დამორჩილების შესახებ საყურადღებო ცნობები მოეპოვება XV ს-ის ოსმალთა ისტორიკოს მეჰმედ ნესრის. იხ. Kıtıtab-ı Cihan-Nüma, Nesri Tarihi, II cilt, 1957, Ankara, გვ. 593—603.

2. ჭანეთის ვილაიეთი — ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე, ჭანეთის მთების რაიონში არსებული ტერიტორია, ოსმალეთის იმპერიაში ოსმალური ადმინისტრაციული ერთეულის — ვილაიეთის სახელის მატარებელი პროვინცია.

3 831 წ. პირველი თვე — 1427 წლის ოქტომბერი.

4 მურადი — ოსმალეთის სულთანი მურად II (1420—1451).

5 ამასია — ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული ერთეულის — ამასიის სახელწოდების ვილაიეთის ცენტრი.

6 ბურსა — ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული ერთეული — ბურსის სახელწოდების ვილაიეთის ცენტრი.

7 რუმელია — ოსმალეთის იმპერიის ევროპული ნაწილი.

8 სელიმ-ხანი — ოსმალეთის იმპერიის სულთანი სელიმ I იაფიზი (1512—1520).

9 შაჰ-ისმაილი — სეფიანთა ირანის შაჰი (1502—1524).

10 შაჰ-ადე სულთან სულეიმანი — სულთან სულეიმან კანუნი (1520—1566) — ოსმალეთის იმპერიის სულთანი, რომლის დროსაც სახელმწიფომ თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია.

11 ქვემო აღწერილ ამბებს თარიღი არ უზის. თხზულების წინა თავში სოლაქ-ხადე აღწერს სტამბოლში მომხდარ მიწისძვრას და უთითებს თარიღს — 906 წ. თხზულების მიხედვით, ლოგიკურად იგულისხმება, რომ აქ აღწერილი ამბებიც სწორედ 906 წლის შემდეგ მოხდა. ისტორიული სინამდვილის მოვლენათა მსველლობაც აღასტურებს, რომ აქ აღწერილი ამბები მოხდა 906 წლის (1500—1501) შემდეგ.

12 ბაბურთი — ოსმალეთის იმპერიაში არზრუმის ვილაიეთში სანჯაყის ცენტრი იყო, იგი არზრუმის ჩრდილო-დასავლეთით 100 კმ, ხოლო ტრაპიზონიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 90 კმ მდებარეობს, არზრუმისა და ტრაპიზონის შემაერთებელ გზაზეა. გვ. 1280. სტამბოლი, I شناسامی، قاموس الاعلام، ბაიბურთის ძველ ციხეს, მისახლეობას, მის წმინდა ადგილებსა და სხვ. აღწერს ევლია ჩელები. იხ. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურაძემ. ნაკვ. I, ქართული თარგმანი, თბ. 1971 გვ. 319—321.

13 არდებილის ვილაიეთი — პროვინცია ირანის ბერბაქანში.

14 ამბედნიერ წელს — იგულისხმება 1500—1501 წელი.

15 ბოლუს სანჯაყი — თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით, ბოლუს ვილაიეთის ცენტრი დღევანდელ თურქეთში.

16 ქუფას სანჯაყი — ერაყში, ბაღდადიდან აღმოსავლეთით 150 კმ. მდებარე ძველი ისტორიული ადგილი, ერაყში ოსმალთა პატრონობის დროს ოსმალური ადმინისტრაციული სისტემა იყო შემოღებული და ქუფა სასანჯაყო ერთეულად იქნა მიჩნეული. ქუფას შესახებ იხ. Ibrahim Alaettin Govsa, Resimli Yeni Lûgat ve Ansiklopedi (Ansiklopedisi Sâzılmı) cilt 3. გვ. 1518.

17 956 წ. ქუმალ ილავვალის მეათე დღე — 1549 წ. 6 ივნისი

18 დიარბექირი — დღევანდელი თურქეთის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის — ვილაიეთის ცენტრი.

19 მუსაფაშა — არზრუმის ბეგლარ-ბეგის მუსაფაშას შესახებ მოკლედ გადმოგვცემს შამსედინი სამი თავის „სიჯილში“. მისი საქმიანობის შესახებ ცნობები მოვუპოვებთ იბრაჰიმ ფეჩევისად. იხ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჭიჭიამ. 1964. თბ. გვ. 101.

20 მეორე ვეზირი აჰმედ ფაშა — ეგვიპტეში სურეის ოხულებების მიხედვით, აჰმედ ფაშა ეროვნებით ალბანელია, იგი ცნობილი რუსთაფაშას ძმად. აღზრდა-ვანობაში მიიღო სულთნის კარზე, იქვე ებოძა კაფუჯი-ბაშის თანამდებობა, შემდეგ იანიჩართა-ალა გახდა. 1529—30 წ. სამსახურიდან დაითხოვეს, ცოტა ხნის შემდეგ რუმელიის ბეგლარ-ბეგი გახდა. შერთო სულთნის ქალიშვილი ფატმა და წლების მანძილზე ეკავა მეორე ვეზირის თანამდებობა, ხოლო 1552—53 წ. გახდა დიდვეზირი. 1554—55 წ. მოკლეს. سجل عثمانی یاخود

გვ. 198, I تذكر مشاهير عثمانیه اثر مجلس كبير معارف اعضائندن محمد ثريا,

21 უარამანი, არზრუმი, ზულკადირი, სივასა—ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული ერთეულების — ამავე სახელწოდების ვილაიეთების ცენტრები.

22 აზაბთა ალაები — ოსმალურ სამხედრო ორგანიზაციაში აზაბები იყვნენ ვარკვეული სახეობა ჯარისკაცებისა, რომელთაც სხვადასხვა ხასიათის დავალებები ეძლეოდათ. ყოველ ვილაიეთში აზაბთა ცალკეული რაზმები იმყოფებოდა, რომელიც ბეგლარ-ბეგს ემორჩილებოდნენ. აზაბთა რაზმის სათავეში ალა იდგა. ვილაიეთის აზაბები შვიდ ნაწილად იყოფოდნენ, ყოველ ნაწილში თავისი რეისი, ოდაბაში და მედროშე იყო. უფრო შიდალი კატეგორია იყო მეთაურების ნაწილი. ომის დროს აზაბები თავიანთი ალას მეთაურობით ერთიანდებოდნენ და ბეგლარ-ბეგის ვანჯარგულებით ოშში იღებდნენ მონაწილეობას. Mehmed Zeki Pakalin, Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü, I, II Fasikül, Istanbul, 1947. გვ. 128—131. გვ. 935, ش. سامی، قاموس ترکی، در سعادت، ۱۳۱۷

23 შაბანის თვის მეცხრამეტე დღე — 1549 წ. 12 სექტემბერი.

24 თორთუმის ციხე — ცნობილი ციხე სამხრეთ საქართველოში, ევლია ჩელები ვერკლად გადმოგვცემს თორთუმის ციხის ამბებს, მისი დაპყრობის ისტორიას, აღწერს თორთუმის ციხეს. იხ. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო ვიორჯი ფუთურიძემ. ნაკვ. I: ქართული თარგმანი. თბ. 1971. გვ. 321—330. იხ. აგრეთვე იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჭიჭიამ. თბ. 1964. გვ. 102—103.

25 ნეჯაჰის ციხე — ნეჯაჰის ციხე აკად. ს. ჭიჭიას გამოკვლევით, ნიხაბის ციხეა და ამ პერიოდში თორთუმის საყაღას ცენტრია მდინარე თორთუმზე, იგი არზრუმიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 45 კმ. მანძილზე მდებარეობს. იხ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ... გვ. 103.

26 თხააქისარი — იგივე ახჩაყალაა, ევლია ჩელების აღწერით, იგი „თორთუმის სანჯაყში შედის. საქართველოს მიწაზე მდებარეობს და იგი ულამაფაშას აუშენებია საქართველოს დასაპყრობად და ხელში ჩასაგდებად. მაგრამ დროთა მსვლელობით ციხე დანგრევის პირასაა. ციხისთავი და მეციხოვნეები არა ჰყავს. თორთუმის ჩრდილოეთით მდებარეობს. ექსპანის სახლი, ჯამე, ფუნდუკი, აბანო, მცირე ბაზარი და სასულთნო ბაზარი აქვს“. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“... გვ. 318

27 შავალის თვის მეორე დღე — 1549 წლის 24 ოქტომბერი.

28 ხსენებული თვის მეცამეტე დღე — 1549 წ. 25 ოქტომბერი.

29 რუმის მხარე, ივლისისებვა ოსმალეთის იმპერია.

ذكر تسخير قلعة جانك

يوركچ پاشانك دائما فكرى بو ايدىكى جانك ولايتنى الب ارسلان اوغلى حسين بكدن بر طريقه الوب ضميمه ممالك عثمانيه ايدم سكر يوز اوتوز بر سنه سنك اوائلنده دوكون ايدوب مزبور حسين بكى دعوت ايلدى حسين بك بو دعوتدن مقصود بكر و الا اولديغين انتقال ايدوب بويله خبر كوندرديكه بزى اول جانبه تكليفدن غرض اكر اليمزده اولان خرابه بى المق اسه ادلمريكز كلوب ضبط ياسون مانع دكلز البته بزده بر جاي اسایش بولنميه مى ديجك يوركچ پاشا حسين بك كندوبى دعوتندن اجتناب ايتدو كندن بيحضور اولوب سپاه جمعنه مباشرت و جانك جانبنه عزمته نيت ايلدى حسين بك احواله واقف اوليحق تكرر خبر كوندرديكه بنم طرف سلطنته مخالفتم يوقدر كه او ستمه عسكر چكيله اكر مراد مملكت اسه بن كندم واروب تسليم ايدم ديوب بو خبرك اردنجه كندوسى دخى كلوب پاشايه بولشدى يوركچ پاشا اهل و عيالى اماسيده اليقويوب كندوبى قيد و بند ايله استانه سعاده كوندردى فرمان سلطان ايله يروسه حصارنده حبس اولنوب ولايت جانك بو طريقه اله كيرمشدر مزبور حسين بك بر مدتدن صكره فرصت دوشوروب حبس خانه دن فرار ايلدى ايكى سنه مقدارى سياحت ايدوب تكرر اختيار يله درگاه سلطنت پناهه كلوب يوز سوردى و مامولندن زياده رعايتلر كوردى وروم ايلنده سنجاق ويريلوب اهل و عيالى كندويه تسليم اولندى

30 161—162

محرابه سلطان سليم خان در كرجستان و باعسكر شاه اسماعيل و تسخير بعض قلعا و توجيه شدن سنجاق بشهزاده سلطان سليمان

شهزاده سلطان سليم خان حضرتلى طربزون ولايته واردده اكثر اوقاتده همت عاليه لرى اول ديارده كرجستان دشمنلى ايله مقانه و جهاده صرف مقدور ايتديكى مشهوردر و دلرده مذكوردر بوندن ماعدا شمشير خون باشى گروه قزلباشى نيچه دفعه پريشان ايدوب اللرندن بيبوزد ايله ادربايچانى المشىدى على افندى روايتى اوزره سببى بو ايديكه شاه اسماعيل اردبيلي ولايتنى خالى صانمغله ادربايچانى غيرى اللندن الوب ضبط ايتمش ايدى بعده اوچ بيك مقدارى قزلباش ايله قرنداى ابراهيم ميرزاى و بعض امراسنى كوندروب شهزاده سليم خانك تحت حكومتنده كى طربزون ولايتنى غارت و خسارت ايتديرمك ايتدكده مع هذا شهزاده نامدار كمال تيقظ و اتباه اوزره بيدار ايدى و بولردن مقدم اوزرلرينه امداد رب العالمين ايله ابلاغ ايدوب ادربايچان قربنده فرصت بولوب جمله سنى قليجندن كچيروپ ادربايچانى بو طريقه تسخير ايلدى و بوجنكده شاه اسماعيل ناخلفك قرنداشى ابراهيم ميرزا اله كيروپ طربزون قلعه سنده حبس اولندى ديو روايت ايتمشلر لكن صحتنده شبه واردر و بو سال فرخنده فال حدودنده سليم خان اوغلى شهزاده سليمان خانه خنداوندكار حضرتلى بولى سنجاغنى عنايت بيورديلر شهزاده سلطان احمد اكاه

اولدقده راضی اولمیوب لوای بولی و اماسیهدن استانبوله وصولک بولی اولدیغی
 جتدن اول شهزاده سلیمان مکانک مقر سعادتیی اولدیغنه رضا ویرمیوب بو اوغلان بنم
 بولوم اوزرینده نیرلر دیو سریر سعاده عرض ایدنجه چون سلطان احمدک خداوندکار
 اولدقده سوزلری ایکی اولمق محال ایدی عاقبت کفه سنجاغنه تبدیل اولندی
 شهزاده عالی شان و عالی مقام خنی فرمان شهریار جهان اوزره طربزوندن کفه جانینه
 روان اولوب قدوم فرخنده رسوملری ایله اول ولایتی معمور واهالیسنی مسرور ایلدی.

۳۲۵-۳۲۶-۳۳۰

در بیان غزای کرجهستان

پادشاه سپهر اقتدار اول قیشی حلبده کچیروب اول بهار نزهت آثار ظاهر
 اولدیغنده طقوز یوز اللی الی جمادی الاولیسنک اوننجی کونی حلبدن عظیم الای
 ایله چیقوب دیار بیکره عزیمت و دیار بکردن دیار کرجهستان اوزرینه غزایه تصمیم و
 نیت قیلماشر ایدی. بوسفره باعث و بادی بوکه طائفه باغیه کرجهستان بعض صارب قلعهلرینه
 تحصن قیلوب دائما عسبان و طیمانندن فارخ اولمیوب گاه شاه کمراه طرفنه گاه
 پادشاه عالمیناه طرفنه التجادن خالی دکلر ایدی حتی بر دفعه شهنشاه ممالک ستان
 بغداد سفرینه روانه اولدقده وقت فرصتدر دیو کرجهیلر عظیم جمعیت ایلوب ارضروم
 بکدر بکیمی موسی پاشایی علی الفغله باصوب شهید دوشمرماشر ایدی لاجرم اقتضای
 ایلدیکه اوزرلرینه سفر اولنوب حقلرندن کئنه. سعادت و اقبال ایله دیار بیکره داخل
 اولدقرنده وزیر ثانی احمد پاشایه قرمان و ارضروم و ذوالقدریه و سیواس بکدر
 بکیلری و تحت یدنده کی زعما و سیاه سنجاق بکلری ایله بر مقدار در گاه
 معلا یکچییلری و عزیزان اغالری قوشیلوب اول طرفلره ارسال اولندی سردار نامدار
 دخی قطع منازل ایله ماه شعبانک اون طقوزنجی کوننده کرجهستان قلعهلرندن
 (تورتوم) قلعهسی اوزرینه واروب بر قاچکون محاصره دنصکره قبضه تسخیره کتوردی
 بوندن ماعدا قریبده (نجاه) و (مر خوی) نام قلعهلرک اهاالیسی خوفه دوشوب انلردخی
 استیمان ایله مفتاحلرین کتوردیلر بعده (اقچه حصار) نام قلعه استوار که دیار
 کرجهستانک کلیدی اعتبار اولنور ایدی اولدخی عون کردکار ایله فتح اولنوب
 و الحاصل اون بش پاره متعدد قلعه کیمی جبرالنوب و کیمی اطاعت و انقیاد
 ایتمکله برر سنجاقلق بر تخمین اوزره امراء کرآمدن برینه ویرلدی بعدذلک نصرت
 و افره و غنیمت متکاتره ایله عودت اولنوب حضرت پادشاه انجم سیاه محروسه آمد
 اوکنده چولک نام محله کرجهستانده کی لشکرک قدومنه مترقبیلر ایدی ماه شوالک
 ایکنجی کونی اردوی همایونه کلوب عسکر ظفر مقرونه قاوشدقرنده مومی الیه
 احمد پاشایه و بیله سنجه اولان امرایه التفات بی غایات اولنوب ترقیات و خلعتلر
 ایله بین الاقران ممتاز و سرافراز قلندیلر (لله الحمد) بر ایدن زیادهجه مدت قلیله
 ایچنده بونک کیمی فتوحات جلیله واقع اولوب سرحد اسلام امورینه بومقدار نظام
 و انتظام و یرلدکندنصکره هوالرده دخی برودت غالب و هرکسه و طن ارزوسی
 دوشوب عودته طالب و راعب اولمغله عاقبت استراحت و حضور عسکر منصور
 ایچون ماه مزبورک اوچنجی کونی منزل مرقومدن روم بهجت رسوم طرفنه توجه

میراجک و عینتاب و اطنه و قونیه اوزرندن ماه ذی الحجہ تک غره سندہ
دارالملک قسطنطنیہ شرف نزوللری واقع اولدی.

۵۱۴—۵۱۳ ۸۳۰

تاریخ
تاریخ

Н. Н. ШЕНГЕЛИЯ

СОЛАК-ЗАДЕ О ГРУЗИИ

Резюме

Сочинение османского историка XVII века Солак-заде Хемдеми (ум. в 1657) является немаловажным источником как по истории Османской империи, так и сопредельных с ней стран. В частности, как историк он важен и по истории стран Закавказья. В нем содержатся сведения по истории Грузии XV—XVII вв, а также имеется материал для изучения вопросов истории взаимоотношений Грузии с Османской империей. Солак-заде при повествовании о Грузии и о других странах пользуется сочинениями предыдущих историков.

В статье опубликованы отрывки турецкого текста из сочинения Солак-заде (صولاق زاده تاریخی، استانبول، ۱۳۹۷) с грузинским переводом и комментариями.

ბიზლი ალასანია

ქათიბ ჩელეზის „ჯიჰან-ნუმა“ და მისი ცნობები საქართველოს შესახებ

თურქული საისტორიო მწერლობის აღმავლობა XVII საუკუნეში დაკავშირებულია იბრაჰიმ ფეჩევის, ქათიბ ჩელეზის, ევლია ჩელეზის, მუსტაფა ნაიმას, აჰმედ მუნეჯიმ-ბაშისა და სხვათა სახელებთან.

ამავე პერიოდში ოსმალეთში განვითარების მაღალ დონეს აღწევს გეოგრაფიული ლიტერატურაც. მსოფლიო ბატონობაზე მეოცნებე თურქები განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენენ კოსმოგრაფიებით, ანუ აკად. ი. კრაჩკოვსკის განმარტებით, ისეთი „აღწერებით, ... სადაც გეოგრაფიას ეთმობა მხოლოდ ერთი ნაწილი ასტრონომიის, ანთროპოლოგიის, ზოოლოგიის, ბოტანიკის, მინერალოგიისა და ყოველგვარი მითოლოგიის გვერდით“¹.

კოსმოგრაფიულ-გეოგრაფიულ თხზულებათა შექმნაში თურქები ნოვატორები არ ყოფილან და, მსგავსად ირანელებისა, არაბული ტრადიციების გამგრძელებლად გამოდიოდნენ.

ეგვიპტის სულთნის სამფლობელოების შემომტკიცების შემდეგ XVI საუკუნეში, ეგვიპტიდან გამოტანილ არაბულ თხზულებათა ხელნაწერების შესწავლის საფუძველზე ოსმალებმა არაერთი ისტორიული და გეოგრაფიული ნაწარმოები შექმნეს.

ვ. ბარტოლდი სამართლიანად შენიშნავს: „XVI—XVII საუკუნეთა თურქეთმა სახელი გაითქვა არა მარტო სამხედრო ძლიერებით. კონსტანტინოპოლი მუსლიმანური სამყაროსათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კულტურულ ცენტრად იქცა“².

XVII საუკუნემდე თურქებმა შექმნეს რამდენიმე დამოუკიდებელი გეოგრაფიული ხასიათის ნაშრომი. XV ს-ში დაიწერა აჰმედ ბიჯანის მითოლოგიურ-კოსმოგრაფიული ტრაქტატი „დურრ-ი მაკუნჟ“ („მალული მარგალიტი“) და ამავე ტიპის ანონიმური თხზულება „მირათ ალ-ავალიმ“ („სამყართა სარკე“). აღნიშნულ ნაშრომებს დიდი ისტორიული ღირებულება არა აქვთ და ყურადღებას იქცევენ მხოლოდ როგორც დამოუკიდებელი ნაწარმოების შექმნის პირველი ცდა.

თურქული გეოგრაფიის შემდგომ განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ზღაოსნებმა ფირი რეისმა და სიდი ალი რეისმა ნაშრომებით: „მსოფლიო რუკა“ (1513 წ.), საზღვაო ატლასი „ბაპრიე“ (1523 წ.). „მუჰიტ“ („ოკეანე“ —

1 И. Ю. Крачковский, Турецкая географическая литература XV—XVII вев, избр. соч. М., 1957, т. IV, გვ. 591.

2 В. В. Бартольд. Культура мусульманства, Петроград, 1918, გვ. 102.

1554 წ.), გეოგრაფიული თხზულება „მირათ ალ-მამალიკ“ („ქვეყნების სარკე“).

XVI ს-ის თურქული გეოგრაფიის ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩითვალოს მეჰმედ აშიკის თხზულება „მანაზირ ალ-ავალიმ“ („საშქაროთა-სანახაობანი“ — 1598 წ.). მიუხედავად ამისა, ავტორი თავს ვერ აღწევს მის წინამორბედთათვის დამახასიათებელ ნაკლს და სრულიად არ ითვალისწინებს დასავლეთ ევროპის იმდროინდელ მიღწევებს. „ამ თხზულებამ ერთგვარად დაამთავრა ოსმალეთის გეოგრაფიული ლიტერატურის ორიენტალისტური პერიოდი, თუმცა მის ავტორს აშკარად ჰქონდა მიზანი, შეექმნა ნაწარმოები, რომელიც გეოგრაფიული ლიტერატურის ახალი აღმავლობის საფუძველი გახდებოდა“³.

მეჰმედ აშიკის ნაშრომის ხელნაწერები ძალიან იშვიათია და თითქმის შეუსწავლელი, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ ავტორს თავისი თხზულება მხოლოდ შავად დაუმთავრებია⁴.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, მცირე ტრადიციების მიუხედავად, XVIII საუკუნეში ოსმალეთში იქმნება საკმაოდ მნიშვნელოვანი თხზულებები გეოგრაფიის დარგში, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით ქათიბ ჩელებისა და ევლია ჩელების.

„ოსმალთა უდიდესი პოლიპისტორი“⁵ მუსტაფა იბნ აბდულაჰი (ქათიბ ჩელები, იგივე ჰაჯი ხალიფა), დაიბადა კონსტანტინოპოლში 1017 (1609) წ. 14 წლისა სამხედრო სამსახურში შევიდა და 1635 წლამდე მრავალ ლაშქრობაში მონაწილეობდა: ირანის ლაშქრობასა და ბალდაღის ალყაში (1626 წ.), არზრუმის გარემოცვაში (1627 წ.), მუჰამედ ფაჰას ჯართან ერთად სირიის ლაშქრობაში (1633—34 წწ.), მურად IV ხელმძღვანელობით ჩატარებულ ერევანის ბრძოლაში (1635 წ.) და სხვ.

ვინაიდან მუსტაფა იბნ აბდულაჰს ცხენოსანი ჯარის უწყებაში (suvari bas mukabele kalemi) მდივნის (katip) თანამდებობა ეკავა, მას ქათიბ ჩელები ეწოდა. მეცნიერებისადმი ინტერესმა აიძულა ქათიბ ჩელები ერთ ხანს (1635—1648 წწ) სამსახურისათვის თავი დაენებებინა და შესდგომოდა ლოგიკის, გრამატიკის, ასტრონომიის, გეოგრაფიის, მედიცინისა და სხვა დარგების შესწავლას. 1648 წლიდან იგი კვლავ დაუბრუნდა სამხედრო სამსახურს: მუშაობდა ჯარის მთავარ საფინანსო კანცელარიაში ხალიფას (მოადგილის) თანამდებობაზე.

³ F. Taeshner, Die geographische literatur der Osmanen. Zeitschrift der deutschen morgenländischen gesellschaft im auftrage der gesellschaft, Leipzig, 1923, გვ. 48.

⁴ И. Ю. Крачковский, დასახ. ნაშრომი, გვ. 597.

⁵ F. Babinger, Die geschichtsschreiber der Osmanen und ihre Werke. Leipzig, 1927, გვ. 196.

⁶ მის შესახებ იხ. А. Д. Новичев, История Турции, Ленинград, 1963, т. I, გვ. 170—172, 270—271; И. Ю. Крачковский, დასახ. ნაშრომი, გვ. 589—656; Resat Ekrem Kou, Türk tarihinin Elli büyük adamı, Ystanbul, 1953; Kâtib Celebi Kes-el-zunun, Yaltıkaya ile Lektör kilisli Rifat Bilge tarafından hazırlanmıştır. maarif matbaası, 1941 Birinci cilt, mukaddime; А. А. Папаян, Турецкие источники по истории Армении („Федаке“ и „Джиханнума“ Катипа Челеби), Проблемы экономики и истории стран Ближнего и Среднего Востока, М., 1966, стр. 212; Мустафа сенъ Абдулахъ, Хаджи Қалфа, Румелия и Босна, отъ ипмсото издание на Йосефъ фонъ Хамеръ перевел и снабдилъ съ объяснителни бележки Стоянъ Арчировъ, София, 1938. Предговаръ.

⁷ Celebi—ნიშნავს განათლებულ აღმაიანს.

ერთ-ერთი ლაშქრობის დროს, როდესაც ჯარი გამოსაზამთრებლად აღებში იდგა, ქათბ ჩელები მექაში ჩაეიდა, ე. ი. ჰაჯი შეასრულა, რის საფუძველზე-
დაც, ახალი თანამდებობის მიხედვით, ჰაჯი ხალიფა დაირქვა. სამხედრო ხანაში
სახურის გამო ქათბ ჩელების ხშირად უხდებოდა სხვადასხვა ქვეყნებში მყოფი
ზურობა. აქ იგი უშუალოდ ეცნობოდა მათ გეოგრაფიას, პოლიტიკურ-ეკონომიურ
მდგომარეობასა და ისტორიას, რამაც შემდგომში ასახვა ჰპოვა მის
ნაშრომებში.

მიუხედავად შედარებით ხანმოკლე ცხოვრებისა (გარდაიცვალა 1657 წ.),
ქათბ ჩელები იმდროინდელი მეცნიერების თითქმის ყველა დარგს შეეხო:
ღვთისმეტყველებას, პოლიტიკას, ლიტერატურას, გეოგრაფიას, ისტორიას,
სამართალს და სხვ.

ქათბ ჩელების მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან ჩვენთვის
ამჟამად საინტერესოა „ჯიჰან-ნუმა“ — „მსოფლიოს სარკე“, „კოსმორამა“⁸,
„Мирс показателъ“⁹, როგორც თარგმნიან სხვადასხვა ავტორები. გამომცემლის
ი. მუთეფერიკას სიტყვებით ისლამის ეპოქაში ამ წიგნის მკვლევარი მკითხველს
ჯერ არ ჰქონია, დღემდე მსოფლიო საგანძურში არ შესულა და არავის უნ-
ხავს¹⁰. თურქი მეცნიერი სელენი აღნიშნავს. „ჯიჰან-ნუმა“ აქამდე აღმოსა-
ვლეთში გეოგრაფიის დარგში ძირითად წიგნად ითვლებოდა¹¹. „ეს ის წიგნია,
ოსმალეთის გეოგრაფიის დარგში ეპოქა რომ დაიწყო“¹². — ასე აფასებს „ჯი-
ჰან-ნუმას“ გოქაი.

გეოგრაფიული ნაწარმოების წერა ქათბ ჩელების ორჯერ დაუწყია.
წიგნის პირველი ვარიანტი, რომელზედაც ავტორი 1645—50 წლებში მუშა-
ობდა, ძირითადად აღმოსავლურ წყაროებს ემყარებოდა, რის გამოც ქათბ ჩე-
ლების არასრულფასოვნად მიუჩნევია და აღარ დაუმთავრებია. მისი ხელნაწე-
რი შემონახულია არასრული სახით. ევროპაში გამოცემული პერარდ მერ-
კატორის „Atlas minor“-ის¹³ გაცნობისა და მისი თურქულად თარგმნის შემ-
დეგ ქათბ ჩელებმა, დაახლოებით 1655 წელს განაახლა „ჯიჰან-ნუმაზე“ მუ-
შაობა. მან ვერ მოასწრო წიგნის მეორე ვარიანტის დამთავრება, მაგრამ, მიუ-
ხედავად ამისა, იგი საქმაოდ „დასრულებულის შთაბეჭდილებას სტოვებს“¹⁴.

გარდა აღმოსავლური წყაროებისა, ავტორი ფართოდ იყენებს ევროპულ
ლიტერატურას. გეოგრაფიულ თხზულებებში გაბატონებული პტოლემეაიოსის
7 კლიმატისა და აბულ-ფიდას 28 სარტყელის (აკალიმი-ურფიეს) ნაცვლად

⁸ F. Taeshner, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

⁹ И. Ю. Крачковский, დასახ. ნაშრომი, გვ. 615.

¹⁰ ჯიჰან-ნუმა, გვ. 2.

¹¹ Hâmit Sadi Selen, Cihannümâ, „Kâtip Celebi hayatı ve eserleri hakkında inceleme-
ler“, Ankara 1957, გვ. 121.

¹² Orhan şaik Göküay, Kâtip çelebiden seçmeler, Ystanbul, 1968, გვ. 17.

¹³ გამოვიდა 1595 წ. ეს იყო ტრაქტატი სამყაროს შექმნაზე და 107 რუკა გეოგრაფიული
აღწერილობით. მათგან 102 პირადად პერარდ მერკატორის შედგენილი იყო. „შრომა წარ-
მოადგენდა განსაკუთრებულ მოვლენას და მსგავსი რამ არ მოიპოვებოდა მრავალი წლის მან-
ძილზე“. (А. З. Алейнер, А. Н. Агрионова, В. Б. Чуркин, Герард Меркатор,
М. 1962 გვ. 67.)

¹⁴ F. Taeschner, Zur geschichte des Djihannümâ, Mitteilungen des seminars für
orientalische sprachen an der Friedrich—Wilhelms—Universität zu Berlin Jahrgang XXIX.
Zweite Abteilung, Berlin 1926, გვ. 99.

„ჯიჰან-ნუმას“ საფუძვლად დაედო ევრობულ მეცნიერებაში მიღებული დღემის ნაწილებად დაყოფა.

1732 წელს სტამბოლში დაარსებულ სტამბაში „ჯიჰან-ნუმას“ პირველ წიგნად გამოცემა მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ნაშრომად მიაჩნდათ თურქებს აღნიშნული თხზულება. გამოცემელმა იბრაჰიმ მუთეფერიკამ წიგნს წაუძღვარა შესავალი და შეავსო ზოგიერთი ადგილი¹⁵. ჩანართი ტექსტის დიდი ნაწილი ამოღებულია აბუ ბექრ იბნ ბაჰრამ აღ-დინიშ-კის (გარდაიცვალა 1691 წ.) „დიდი გეოგრაფიიდან“ (ჯოღრაფიაი ქაბირ)¹⁶.

ქათბი ჩელების გეოგრაფიული თხზულების ავტორისეული ნუსხა არ არის მიკვლეული¹⁷, თუმცა თურქი მეცნიერი გოჭაი იძლევა სტამბოლის ერთ-ერთი ხელნაწერის აღწერას¹⁸, რომლის 159 გვერდი, მისი აზრით, ავტორის ხელითაა დაწერილი. ამიტომ, „ჯიჰან-ნუმაზე“ მუშაობის დროს ერთ-ერთი მთავარი ამოცანა გამოიყოფოდა ავტორისეული ნაწილი მოგვიანო ჰერიოდის დამატებებისაგან.

„ჯიჰან-ნუმაში“ ისევე, როგორც ყველა ამ ტიპის ნაწარმოებში ორი ძირითადი ნაწილი გამოიყოფა — კოსმოგრაფიული და გეოგრაფიული. წიგნის დასაწყისში აღნიშნულია თხზულების შედგენის მიზეზები, განმარტებულია მისი სახელწოდება და მნიშვნელობა. შესავალში ჩამოთვლილია „ჯიჰან-ნუმას“ წყაროები, განხილულია ასტრონომიისა და კარტოგრაფიის საკითხები.

უფრო მნიშვნელოვანია მეორე ნაწილი — ქვეყნების აღწერა, რასაც, ევროპელი გეოგრაფებისაგან განსხვავებით, ქათბი ჩელები აღმოსავლეთით, კერძოდ, იაპონიით იწყებენ. ავტორის განზრახვით, თანამიმდევრობა ასეთი უნდა ყოფილიყო: აზია, აფრიკა, ევროპა და ამერიკა. ამათგან წარმოდგენილია მხოლოდ აზია. თხზულება დაყოფილია თავებად.

ქვეყნების აღწერისას ქათბი ჩელები ძირითადად ერთნაირ ხერხს მიმართავენ. განსაზღვრავს ადმინისტრაციული ცენტრის გეოგრაფიულ მდებარეობას, აღნიშნავს მოსახლეობის სარწმუნოებას, ზნე-ჩვეულებებს, აღწერს ამ ქვეყნის ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, მადნეულს, დაბლობებს, მთებს, მდინარეებსა და ტბებს. გეოგრაფიულ მიმოხილვასთან ერთად ავტორი ხშირად იძლევა ამა თუ იმ პუნქტთან დაკავშირებულ მეტნაკლებად ვრცელ ისტორიულ ცნობას.

თხზულების შესავალში დასახელებულია ავტორები: ზაქარია იბნ მუჰამედ ყაზვინი (XIV ს.), მუჰამედ იბნ აჰმედ-ალ-მუჰადასი (XI ს.), ჰერარდ მერკატორი (XVI ს.) აბრაჰამ ორტელი (XVI ს.), სიფაჰი ზადე მუჰამედ ეფენდი (XVI ს.), მუსტაფა იბნ ალი (XVI ს.), აბულ-ფიდა (XIII—XIV სს.) იაკუთ აღ-

¹⁵ Selim Nüzhet Gerçek, Türk matbaacılığı I. Müteferrika matbaası, Ystanbul, 1939, გვ. 78; Osman Ersoy, Türkiye matbaanın girişi ve ilk basılan eserler, Ankara, 1959.

¹⁶ ნაშრომი წარმოადგენს პოლანდიელი მეცნიერების ვ. და ი. ბლუეს ლათინურად დაწერილ „Atlas major“-ის შემოკლებულ თურქულ თარგმანს 2 ტომად). ამ ნაშრომის შესახებ ა. ფაფაზიანი შენიშნავს: „ჯერჯერობით არ არის შესწავლილი საკითხი მისი... წყაროების შესახებ, გაურკვეველია, თუ რამდენად გადააკეთა იბრაჰიმ მუთეფერიკამ ეს შრომა“, (А. А. Папазян, Труды Катиба Челеби как источник по истории Армении (XVII в), Автореферат диссертации, представленной на соискание ученой степени кандидата исторических наук, Москва, 1967, გვ. 12).

¹⁷ Hamit Sadi Selen, დასახ. ნაშრომი, გვ. 121.

¹⁸ Orhan Şaik Gökyay, Kâtip çelebi, «Kâtip çelebi Hayati ve eserleri hakkında incelemeler», გვ. 69.

ჰამევი (XIII ს.), მეჰმედ აშიკი (XVI ს.), შერიფ მუჰამედ იბნ მუჰამედ ალი-ოღისი (XII ს.), ამინ აჰმედ რაზი (XVI ს.), ჰამდალაჰ ყაზვინი (XIV ს.) და სხვ.

„ჯიჰან-ნუმა“ ძირითადად კომპილაციური ხასიათის ნაშრომია. ტექსტურულად ეს ერთგვარად ამცირებს მის, როგორც წყაროს, ღირებულებას. მაგრამ თუ ვთხოვთ ვიხილოთ იმ გარემოებას, რომ იგი დაწერილია ფართო განათლების მქონე ჰიროზენების მიერ, რომელიც არა მარტო იყენებდა სხვადასხვა ენაზე არსებულ ლიტერატურას, არამედ მას საკუთარი დაკვირვებებით ავსებდა, ქათიბ ჩელების „ჯიჰან-ნუმა“ შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ ყველაზე სანდო და ანგარიშგასაწევ თხზულებად ოსმალურ წყაროებს შორის.

თხზულების 39, 40 და 41 თავები დათმობილი აქვს ამიერკავკასიის.

ჯიჰან-ნუმა¹⁹ ცნობები საქართველოს შესახებ მოთავსებულია 39 და მე-40 თავებში. საქართველოს გეოგრაფიული პუნქტები თხზულებაში წარმოდგენილია შემდეგი თანმიმდევრობით: 39-ე თავში დახასიათებულია თბილისი და მდინარე მტკვარი მისი სათავედან შესართავამდე, ქალაქების, სოფლებისა და მიდამოების აღწერით. მე-40 თავში განხილულია აფხაზეთი, მოტანილია რამდენიმე ისტორიული ცნობა, ასე მაგ., ფოთისა და ანაკლის ციხეების შესახებ; აღწერილია იმერეთი, ანუ, როგორც მას უწოდებს ავტორი, აჩიკ-ბაში, სამეგრელო (დადიანი), გურია, კახეთი (ზაგემი) და სხვ. ნაჩვენებია მათი საზღვრები და მოცემულია მოკლე ისტორიული ცნობები; შედარებით ფართოდ არის წარმოდგენილი ყარსისა და ახალციხის ვილაეტები.

„ჯიჰან-ნუმა“ მიხედვით თბილისის კოორდინატებია 83⁰ გრძედი და 43⁰ ვანედი. ამავე გრძელზეა თბილისი XIV ს-ის ირანელი ავტორის ჰამდალაჰ ყაზვინის¹⁹ თხზულებაშიც. თბილისის აღწერისას ქათიბ ჩელები უნდა იყენებდნენ ჰამდალაჰ ყაზვინის მონაცემებს, თუმცა არ იმოწმებს მას. ასე მაგალითად, ჰამდალაჰ ყაზვინი გადმოგვცემს, რომ თბილისში „მოდის მეტად კარგი პურეული, ხოლო ხილი ცოტა აქვს“²⁰. იგივეს ვკითხულობთ ქათიბ ჩელებისთანაც: „მისი პურეული კარგია, ხილი ცოტა“²¹. მტკვრის აღწერის დროს კი ქათიბ ჩელები პირდაპირ აღნიშნავენ, რომ ეყრდნობოდა ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობებს. „მტკვარს რომ უწოდებენ, დიდი მდინარე ყალიყალას მთებიდან მოდის... ირანში ჰამდალაჰის მიხედვით ორია. მცირე ტოტი შამქორის სახელწოდების ტბას ერთვის, ხოლო დიდი... იურთ ბაზარში არეხის წყალთან რომ გაერთიანდება, შირვანის ზღვაში შედის. მდინარეა, რომლის სიგრძე დაახლოებით 200 ფარსანგია“²².

¹⁹ The geographical part of the Nuzhat-al-Qulub composed by Hamd-Allah Mustaufi of Qazwin in 740/1340, translated by G. Le Strange, London 1919, გვ. 94; აღნიშნული გრძედის გამოთვლა ეკუთვნის მარლის ობსერვატორიის დამაარსებელს ნასირ-ედ-დინ ტუსის, რომლის საწყისი მერიდიანი მდებარეობს საშუალოდ 34° 30' დასავლეთით გრინვიჩიდან. თუ ნასირ-ედ-დინ ტუსის მიხედვით თბილისი 83⁰ გრძედზეა, მსოფლიოს დიდი საბჭოთა ატლასით იგი მდებარეობს 44°—49°-ზე. რაც 38° 11' სხვაობას იძლევა (Г. Д. Мамед-бейли, Основатель Марагинской обсерватории Насиреддин Туси, Изд. Ан. Азерб. ССР, Баку, 1961, стр. 124). აღსანიშნავია, რომ სულ სხვა კოორდინატები აქვს მოცემული XIII საუკუნის არაბ გეოგრაფს იაკუტს, რომელიც თბილისის 62 გრადუსზე ათავსებს (ე. ს. ხარულიძე, იაკუტის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1964, გვ. 38).

²⁰ ვ. ფ. უ. უ. რ. ი. ძე, ისთაბრი, პოდუდ ალა-აღემი, ჰამდალაჰ ყაზვინი, თბ., 1937, გვ. 23.

²¹ ჯიჰან-ნუმა, გვ. 394.

²² ჯიჰან-ნუმა, გვ. 396.

ჰამალაჰ ყაზვინის მიხედვით, „მტკვრის წყალი ყალიყალას მთებოდან გა-
მოდის და, გაივლის რა საქართველოში, ქალაქ ტფილისის შუაზე, არანში შე-
დის. მისი ერთი ტოტი შამქორის ტბას უერთდება, ხოლო უმეტესი ნაწილი ენ-
ბარჯის იურთ ბაზარში არევისა და ყარასუს წყალს უერთდება და ჯუშისაგან
ვილაიეთში ხაზართა ზღვაში შედის. ამ მდინარის სიგრძე ორასი ტყვესაა
ნება“²³.

ქათბო ჩელების ზოგიერთი ცნობა ეხმარება ევლია ჩელების: „მდინარე
მტკვრის ნაპირზე, ციცაბო კლდეზე, ერთმანეთის პირდაპირ ორი ციხეა, მათ
შორის მდინარე მტკვარი მოედინება“ (ევლია ჩელები²⁴). „თბილისი ციხე ქა-
ლაქია მდინარე მტკვარზე... კარები ერთმანეთის საპირისპიროდაა და მდინარე
მტკვარი მათ შორის გადის. ციხე ორ მხარეს მოუდის“²⁵. ევლია ჩელების გად-
მოცემით, „მტკვარი თავისი შენაკადებიანად 160 დასახლებულ პუნქტს ჩაუე-
ლის, არც ერთი მათგანისთვის სარგებლობას არ იძლევა“²⁶. ქათბო ჩელებისაც
აქვს აღნიშნული, რომ „არც ერთ იმ ადგილს, სადაც მდინარე გაივლის, შორწყ-
ყვის სარგებლობა არ აქვს“²⁷.

ცნობა იმის შესახებ, რომ თბილის-ქალაქს 3 კარი ჰქონდა, უნდა მომდინა-
რობდეს X ს. არაბი გეოგრაფის ისთახრის²⁸ თბილისის აღწერილობიდან, რასაც
იბნ ჰალკალიცი იმეორებს²⁹. ეს ცნობა არ შეესაბამება სინამდვილეს, ვინაიდან
„თბილისის საერთოდ ექვსი კარი ჰქონდა, ერთი კარი ავღაბარში იყო, დანარ-
ჩენი ხუთი — მტკვრის მარჯვენა მხარეზე“³⁰.

„ჯიჰან-ნუმას“ ცნობა, რომ თბილისი „ადრე ისლამის მოსახლეობამ და-
იპყრო, შემდეგ ქართველებმა უკან დაიბრუნეს და ისევ დაპყრობილ იქნა“³¹,
უნდა გულისხმობდეს არაბების მიერ თბილისის დაპყრობას, 1122 წ. დავით
ალმასენებლის მიერ მის განთავისუფლებას და 1226 წ. ჯელალედინისაგან ქა-
ლაქის კვლავ აღებას. გაურკვეველია რას ემყარება ქათბო ჩელები, როდესაც აღ-
ნიშნავს, რომ 1655 წლისთვის თბილისი შირვანს ექვემდებარებოდა³². ცნო-
ბილია, რომ 1606 წლიდან, როგორც ქართლის დედაქალაქი, ხოლო 1648 წლი-
დან — 1656 წლამდე, როგორც ქართლ-კახეთის ცენტრი, თბილისი უშუალოდ
ირანის გამგებლობის ქვეშ იყო.

თბილისის დახასიათებას ქათბო ჩელები, ტრადიციის მიხედვით, აბანოე-
ბის აღწერით ამთავრებს და აღნიშნავს: „აჯაიბ აღ-მასლუკათ-ში ამინ აჰმედი

²³ ვ. ფუთურძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

²⁴ ვ. ფუთურძე, ევლია ჩელების ცნობები თბილისის შესახებ, კრებ. „თბილისი, 1500“. თბ. 1958, გვ. 46; ვ. ფუთურძე, ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I. თბ. 1971, გვ. 295.

²⁵ ჯიჰან-ნუმა, გვ. 394.

²⁶ ვ. ფუთურძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 46; 296.

²⁷ ჯიჰან-ნუმა, გვ. 397.

²⁸ Н. А. Караулов, Сведения арабских писателей о Кавказе, Армении и Азербайджане. I Ал-Истахრი, «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», вып. 29, Тифлис, 1901, стр. 11.

²⁹ Н. А. Караулов, Сведения арабских геогр. IX и X веков о Кавказе, Армении и Азербайджане. «Сб. материалов для описания племен и местностей Кавказа», вып. 38, Тфл., 1907, 88.

³⁰ შამისა ბერძნისეილი, თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, თბ., 1965, გვ. 4.

³¹ ჯიჰან-ნუმა, გვ. 394.

³² იქვე.

მოგვიტხოვრობს, რომ ამ წყაროებიდან ერთ-ერთში თუ 10 კვერცხს ჩაღებთ, მოიხარშება, ერთი კი გაქრება³³ იმ ავტორთა შორის, რომელთაც ეწოდვნენ თხზულებები სათაურით „აჯაიბ ალ-მახლუკათ“, ვერ ვხვდებით ამინ აჰმედს³⁴. მაგრამ XVI ს-ის ირანელი ავტორი აჰმედ ამინ რაზი თავის თხზულებაში „ქაჰი იკლიმ“ იმოწმებს „აჯაიბ ალ-მახლუკათს“ და მოაქვს აღნიშნული ციტატა თბილისის აბანოების შესახებ³⁵. ამგვარად, „ჯიჰან-ნუმას“ ტექსტი უნდა შესწორდეს შემდეგნაირად: „ამინ აჰმედი მოგვიტხოვრობს, რომ „აჯაიბ ალ-მახლუკათ“-ის მიხედვით ამ წყაროებიდან ერთ-ერთში“... და ა. შ.

ვინაიდან „ჯიჰან-ნუმა“ შედგენილია 1655—57 წლებში, ხოლო თბილისის შესახებ მოტანილი ცნობები თითქმის არაფრით განსხვავდება X—XIV საუკუნეების არაბი და ირანელი გეოგრაფები მონაცემებისაგან, საფუძველს მოკლებული ჩანს ვ. მინორსკის ვარაუდი იმის შესახებ, რომ თითქოს ქათიბ ჩელე-ბისეული აღწერა თბილისისა 1630—35 წლებს მიეკუთვნება³⁶.

მე-40 თავში მოცემულია აფხაზეთის მოკლე აღწერა, რასაც წინ უძღვის აღნიშნა „დანართი“ (لاحه — lahika)³⁷. „ჯიჰან-ნუმას“ ტექსტში lahika-ს სათაურით აბუ ბეჭრის, ხოლო tazyil al-tabi-ს სათაურით გამოშვების მონაცემებია ჩართული³⁸. ამასთანავე მითითებულია მხოლოდ დასაწყისი ჩანართისა, რასაც შემდეგ პირდაპირ მოსდევს ქათიბ ჩელეების ტექსტი. ამიტომ ძირითადი ნაწილის გამოყოფა შესაძლებელი ხდება მხოლოდ მოვლენებზე, თარიღებსა და სტილზე დაკვირვების საშუალებით.

„აფხაზეთის მახლობლად ლაზების ტომია, მათ მახლობლად კი ლევენდის ტომი, რომელთა ცნობილი ციხეებია გრემი და ზაგემი“³⁹, მოგვიტხოვრობს აბუ ბეჭრი. ლაზების ტომში ავტორი, ჩანს, მეგრელებს გულისხმობს, ლევენდის ტომში კი, კახთა მეფის ლევან I-ის სახელის მიხედვით, კახელებს. ეს ცნობა სრულიად ეწინააღმდეგება ქათიბ ჩელეების მტკიცებას იმის შესახებ, რომ „ზაგემი თბილისის მხარეში ერთი ქვეყანაა“⁴⁰.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ აბუ ბეჭრი დაახლოებით იმავე წყაროებით სარგებლობდა, რითაც ქათიბ ჩელეები. ასე მაგ., სოხუმის აღწერა აშკარად მოგვაკონებს აბულ-ფიდას: „სოხუმი ყირიმის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარეობს. მისი მოსახლეობა მუსლიმები არიან... სოხუმიდან ტრაპიზონამდე 3 გადასარბენია.“⁴¹ თითქმის იმავეს იმეორებს აბუ ბეჭრიც. მის მიხედვითაც სოხუმი „შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარეობს. ამ ქალაქის მცხოვრებნი მუსლიმები არიან... ტრაპიზონიდან 3 გადასარბენია...“⁴² თუ აბუ

³³ ჯიჰან-ნუმა, გვ. 394.

³⁴ Н. Д. Миклухо-Маклай. Географическое сочинение XIII в. на персидском языке. Ученые записки ИВАН СССР, IX, 1954, 188.

³⁵ გვ. 298, جلد سوم، 1960، تهران، اثر امين احمد رازی،

³⁶ Enzyklopaedie des Islam, Leiden—Leipzig—1913. ტ. 4. გვ. 824.

³⁷ ჯიჰან-ნუმა, გვ. 414.

³⁸ F. Taeschner, Zur geschichte des Djihānnuma, გვ. 108; Orhan Şaik Gökyay, Kâtip çelebi, გვ. 67—68.

³⁹ ჯიჰან-ნუმა, გვ. 414.

⁴⁰ ჯიჰან-ნუმა, გვ. 415.

⁴¹ Géographie d'Aboulféda, traduite de l'arabe en français et accompagnée de notes par Stanislaw Guyard. Tome II. Paris, 1883, გვ. 143.

⁴² ჯიჰან-ნუმა, გვ. 214.

ბეჭრის მიხედვით, „აფხაზი... შავი ზღვის ნაპირებზე, ერთ მთაზე ზღვის ყუბურში ერთი მილის დაშორებით სოხუმის ჩრდილო-აღმოსავლეთითა“⁴³ აღუღწერიდასთან „აფხაზი.. არის ქალაქი მთებში, სრუტეში, რომელიც ხმელეთში შედის.. აფხაზი ერთი მილით სოხუმის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს“⁴⁴

XIV ს-ის არაბი ავტორი ალ-კალკაშანდრე ალბათ იმავე ქალაქს გულისხმობს, რასაც აბულ-ფრად და აბუ ბეჭრი, როდესაც განმარტავს, რომ საქართველოში ორი მეფეა, ერთი — თბილისში, მეორე — დადიანი, ფლობს ორ ქალაქს — სოხუმს და აფხაზს, ყირიმის ზღვის აღმოსავლეთით. ვ. სიზოვის აზრით, დასახელებული ქალაქი აფხაზი თავისი ისტორიული მნიშვნელობით ყველაზე მეტად ნიკოფსიას შეესაბამება⁴⁵.

აფხაზეთის აღწერას მოსდევს „გამომცემლის დანართი“ რამდენიმე დაუთარიღებელი ისტორიული ცნობით: „დალესტნის ხალხმა შირვანი დაიპყრო, შირვანის დედაქალაქი შემახა დაიკავა და ირანის შაჰებს ურჩობა გაუწია. აღმოსავლეთიდან ავღანელები გაჩნდნენ და რადგან სეფიანთა სატახტო ქალაქს მიადწიეს და გაიმარჯვეს, ამის გამო არეულობის ციფმა ქარამ შეარყია შაჰების ქვეყანა“⁴⁶.

როგორც ცნობილია, 1722 წელს შაჰ-სულთან ჰოსეინმა ისფაჰანი მაჰმუდს ჩააბარა. ისფაჰანის შემდეგ ავღანელებმა დაიკავეს ქაშანი, ყუმი, ყაზვინი, გოლფაიგანი და ცენტრალური ირანის სხვა ქალაქები⁴⁷.

„რაკი ირანის სახელმწიფო დამარცხებისა და განადგურების პირს იყო, — მოგვიტხოვროს მუთუფერიკა, — მოსკოვის მეფემ, რომელიც დიდი ხანია უთვალთვალებდა, დრო იხელთა... შირვანისაკენ გაემართა და შირვანის დერბენდი დაიპყრო ეშმაკობით“⁴⁸. როგორც ჩანს, აქ საუბარია პეტრე I-ის 1722 წლის სექტემბრის ვალაშქრებაზე დერბენდში.

დასათარიღებელია აგრეთვე „ჯიჰან-ნუმაში“ აღნიშნული ფაქტი ოსმალეზის მიერ თბილისის აღებისა. „ამ შემადრწუნებელმა ცნობამ ოსმალეთის სახელმწიფო პირები გამოაფხიზლა“, — განაგრძობს მუთუფერიკა, — „საქართველოს ქვეყნის დედაქალაქ თბილისის ციხის დასაპყრობად გაემუხრნენ და შირვანის ქვეყნის დედაქალაქ შემახასაც გამგებელი დაუნიშნა სახელმწიფომ. ამ მხარის ხალხი გადაიბირეს, კეთილი ღონისძიებებით მორჩილებსაკენ მოუწოდეს და რაკი ეს ქვეყნები ოსმალეთს შეუერთეს და დაუმორჩილეს, მოსკოვის მეფის ბოროტ განზრახვებს გზა გადაუკეტეს იმ მხარეში“⁴⁹.

ამ ფაქტსაც ადგილი ჰქონდა აგრეთვე XVIII საუკუნის 20-იან წლებში. ცნობილია, რომ 1723 წლის ვაზაფხულზე თურქებმა ომი გამოუცხადეს ირანს და „ივლისში მიეგებენ ბაქარ და იესე სარასკერს და ჩამოვიდა ოსმალი. ყურ-

⁴³ ჯიჰან-ნუმა, გვ. 214

⁴⁴ Abeulieda, გვ. 142.

⁴⁵ В. Сизов, Восточное побережье Черного моря. «Материалы по археологии Кавказа», вып. II, Москва, 1889, гв. 47.

⁴⁶ ჯიჰან-ნუმა, გვ. 404.

⁴⁷ М. С. Иванов, Очерк истории Ирана, М., 1952 гв. 84. იხ. აგრეთვე: Н. В. Пигулевская, А. Ю. Якубовский, И. П. Петрушевский, Л. В. Строева, А. М. Беленицкий, История Ирана с древнейших времен до конца XVIII века, Ленинград, 1958, гв. 312—313.

⁴⁸ ჯიჰან-ნუმა, გვ. 414.

⁴⁹ ჯიჰან-ნუმა, გვ. 414.

ყუთას მიეგება მამად ყული ხან, სარასკერს, მისცა ციხე ტფილისისა. სარასკერს მან ქართლი ბაქარს მისცა⁵⁰. ეს იყო ე. წ. „ოსმალობის“ დასაწყისი საქართველოში, რომელიც 1735 წლამდე გაგრძელდა.

საინტერესოა „ჯიჰან-ნუმა“ ცნობა ფოთის ანუ ფაშისა და ანკლავის ციხეების მშენებლობის შესახებ. ამ ციხეების აშენების თარიღის განსაზღვრა, შესაძლებლობას მოგვცემს დავადგინოთ ცნობის ავტორის ვინაობაც.

ცნობილია თურქების მიერ ფოთის ციხის აშენების ორი ფაქტი. პირველი მიეკუთვნება 1578 წელს: „ფაშისი ზღვას შეერთვის ორი ტოტით. ამ ტოტებს შორის არის კუნძული, რომელზედაც ოსმალებმა 1578 წელს ციხე ააგეს“... აღნიშნაუ არქანჯელო ლამბერტი⁵¹. იმავე თარიღს იმეორებს ფ. დიუბუა დე მონპერე: „მათ (თურქებმა — გ. ა.) 1578 წელს დააარსეს ფოთი ფაშისის შესართავთან და სოხუმ-კალე იმავე სახელწოდების ყურის სიღრმეში. ეს ორი ციხე, აშენებული ერთნაირი გეგმით, ფაშის რეზიდენციას წარმოადგენდა“⁵².

ფოთის ციხის მეორედ აშენება დათარიღებულია 1725 წლით. ვახუშტის ცნობით, „როინის თვალზედ, სამხრეთის კიდეა ზედა, არს ფოთის ციხე, რომელი აღაშენეს ოსმალთა წელსა ჩაკე (1725), ქართულსა უიგ, ნავსადგურობისათვის და დგანან მუნ მკდომარის ფაშით“⁵³.

„ჯიჰან-ნუმა“ ფოთის ციხის შესახებ შემდეგს გვაუწყებს: „ფაშის ციხე სპეციალურად იქნა აშენებული. რაკი ამ ადგილიდან თბილისისაკენ გზის გახსნით ვადვილდებოდა ფოთამდე ფლოტი მიმავალი საქურველის თბილისში უმოკლესი მანძილით გადატანა და შირვან-დაღესტნისათვის საქიროების დროს დახმარება, ზოგიერთი მცოდნე პირი გვაუწყებს, რომ ოსმალეთის სახელმწიფო ხუროთმოძღვარი ჰანირეჯი მეჰმედ აღა 1135 (1722/3) წელს იმ მხარის დასაზვერად გაგზავნეს“. ცნობაში მოთავსებული თარიღის მიხედვით ფოთის მშენებლობას ადგილი უნდა ჰქონოდა XVIII ს-ის 20-იან წლებში, კერძოდ, 1722/23 წლის შემდეგ, რაც სავსებით შეესაბამება ვახუშტის მიერ მოტანილ 1725 წელს. რაც შეეხება ანაკლიის ციხეს, ვახუშტი მის მშენებლობას ათარიღებს 1703 წლით: „ანაკლიას აღაშენეს ოსმალთა ციხე, ქრისტესა ჩღმ (1703 წ.), ქართულსა ტეა (391), აწცა უპყრადთ მათე“⁵⁴. მისივე მეორე ცნობით, „ანაკლიის აღმოსავლეთით ამ მდინარეზე არს რუსხს ციხე დიდშენი, შიგ წყარო გამოდინარე. აღაშენა ლევან დადიანმა ქრისტესა ჩქმზ (1647 წ.), ქართულსა ტლე. შემდგომად შემუსრეს ოსმალთა წელსა ჩაკე (1725), ქართულსა უიგ და ამის ქვით აღაშენეს ანაკლია უმტკიცესად“⁵⁵. ე. ი. 1725 წელს თურქებს აღუდგენიათ უკვე არსებული ანაკლიის ციხე. „ჯიჰან-ნუმაში“ არ არის მითითებული მშენებლობის თარიღი. მასში აღნიშნულია მხოლოდ, რომ „როდესაც სოხუმის მახლობლად ანაკლიის ციხეს აშენებდნენ, ბეჟან დადიანი, სამეგრელოს ხანი, მოვიდა და ურმებით სამსახური გასწია“⁵⁶.

50 ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, II, სპბ., 1854, გვ. 254.

51 არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, „მოამბე“. № 3, 1901, გვ. 62.

52 Ф. Дюбуа де Монпере, Путешествие вокруг Кавказа, Сухуми, 1937, стр. 117.

53 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 174.

54 ვახუშტი, დსახ. ნაშრომი, გვ. 167.

55 იქვე, გვ. 167—168.

56 ჯიჰან-ნუმა, გვ. 405.

არც XVI და არც XVII სს მანძილზე სამეგრელოს არცერთ მთავარს ბეჟანი არ რქმევია. ერთადერთი ბეჟან დადიანი არის XVIII საუკუნეში. „1715 წელს კვალად გიორგი მეფემ დადიანი გიორგი გარდაავდო, დასვა დადიანად ძე მისი ბეჟან... 1728 წელს მოკლეს ბეჟან დადიანი ოსმალთა, ძე მისი ოტორა დადიანდა“, — გვაუწყებს ვახუშტი⁵⁷. ე. ი. ანაკლიის ციხის მშენებლობას, რომელიც „ჯიჰან-ნუმას“ მიხედვით მონაწილეობდა ბეჟან დადიანი, ადგილი უნდა ჰქონოდა 1715-დან 1728 წლამდე, რაც ყველაზე მეტად უახლოვდება ვახუშტის მეორე ცნობაში მოცემულ თარიღს 1725 წელს.

ამგვარად, ცნობა ფოთისა და ანაკლიის ციხეების მშენებლობის შესახებ სცილდება XVIII საუკუნეს და ჩამატებული გამოცემის იბრაჰიმ მუთეფერიას მიერ. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ამ ტექსტის რთული გრძელი წინადადებები საგრძნობლად განსხვავდება ქათიბ ჩელეების, ან თუნდაც, აბუ ბექრი იბნ ბაჰრამის მარტივი და სადა ენისაგან.

მომდევნო აბზაცი, დაწყებული სიტყვებით „საქართველო არის ვილაიეთი...“ შემდეგ ჩანართამდე⁵⁸ ისევ ქათიბ ჩელეების უნდა ეკუთვნოდეს. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს როგორც მოვლენათა ქრონოლოგია, ასევე წერის სტილი (მარტივი წინადადებები, მასალის დალაგება).

ავტორი აღნიშნავს: „ზაგეში ერთი ქვეყანაა თბილისის მხარეში. მისი ძველი გამგებელი თეიმურაზი იყო. ახლა როსტომი მართავს. საქართველოს ხანების მეთათურია“. ეს ცნობა საესებით სწორია, ვინაიდან 1648 წლამდე კახეთს მართლაც თეიმურაზ I განაგებდა. ამ წლიდან კი იგი როსტომმა შეცვალა.

აბუ ბექრისა და ქათიბ ჩელეების კახეთის შესახებ ცნობათა შედარებით გამოირკვა, რომ უკანასკნელის მონაცემები მეტი სიზუსტით ხასიათდება. თუ ქათიბ ჩელეების მიხედვით „ზაგეში ერთი ქვეყანაა თბილისის მხარეში“, აბუ ბექრი მას შავი ზღვის სანაპიროზე ათავსებს.

ქათიბ ჩელეები მიზნად ისახავს შედარებით სრულად ასახოს საქართველოს ყველა კუთხე. თუმცა ვერ აღწევს თავს მოელ რიგ უზუსტობებსა და ისტორიული ფაქტების დამახინჯებებს, რაც ხშირად გეხვდება წყაროს სწორი ცნობების გვერდით. საქართველოს მხარეთა ჩამოთვლისას ავტორი „დადიანსა“ (دادیان) და სამეგრელოს (სამგ) სხვადასხვა კუთხედ მიიჩნევს: „აჩი ბაშს, დადიანს, მეგრელებსა და სხვა ყველას ქართველებს უწოდებენ“, — აღნიშნავს იგი⁵⁹. შემდგომ ამისა იგი ადგენს თითოეული კუთხის საზღვრებს და განმარტავს: „დადიანი შავი ზღვის ნაპირთან ახლოს აფხაზეთის მოსაზღვრე ერთი ქვეყანაა. მათი გამგებელი აფხაზებთან ყოველთვის იბრძვის. ერთი მხარე ფაშის მდინარეა“⁶⁰ (ე. ი. რიონი). ამგვარად, „ჯიჰან-ნუმაში“ მოხსენებული „დადიანი“ შეესაბამება სამეგრელოს მდებარეობას.

თუ „დადიანი“ სამეგრელოა, საინტერესოა საქართველოს რომელ კუთხეს გულისხმობს ქათიბ ჩელეები, როდესაც ლაპარაკობს სამეგრელოზე? მისი მონაცემებით, „სამეგრელო არის ნაპიე, რომელიც მდებარეობს იმ ადგილას, სადაც ფაშის მდინარე შავ ზღვას უერთდება, საზღვარი კი გონიოს ემიჯნება“⁶¹.

⁵⁷ ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 253—254.

⁵⁸ ჯიჰან-ნუმა, გვ. 416—417.

⁵⁹ ჯიჰან-ნუმა, გვ. 416.

⁶⁰ ჯიჰან-ნუმა, გვ. 416—417.

ე. ი. სამეგრელოდ ავტორი მიიჩნევს რიონსა და გონიოს შორის მოთავსებულ ტერიტორიას, რაც როგორც ცნობილია, მიეკუთვნება გურიას.

მოტანილი ციტატა, გურიის შესახებ კიდევ ერთ საყურადღებო ცნობას შეიცავს. როგორც ვნახეთ, ქათიბ ჩელების მიხედვით, სამეგრელო არის რიონსა და გონიოს შორის მოთავსებული ნაპიე. ამგვარად, ავტორი გურიის ფარგლებში გულისხმობს ბათუმსაც. მაგრამ ამავე თხზულების 429-ე გვერდზე, ტრაპიზონის ვილაიეთის აღწერაში ვკითხულობთ: „ტრაპიზონის და ბათუმის სანჯაყები გაერთიანებულ იქნა და საბეგლარბეგო გახდა. სანჯაყებია: ტრაპიზონი, გონიო, ბათუმი“, ე. ი. მეორე ცნობის მიხედვით, ბათუმი ტრაპიზონის ვილაეთის შემადგენლობაშია და არა გურიის.

რით არის გამოწვეული ცნობათა ამგვარი დაპირისპირება?

ცნობილია, რომ ქათიბ ჩელების ტექსტი მთავრდება ვანის ვილაეთის აღწერით⁶². დანარჩენი ნაწილი დართულია გამომცემლის მიერ და წარმოადგენს ძირითადად ნაწყვეტების აბუ ბექრი იბნ ბაპრამ აღ-დომიშის „დიდი გეოგრაფიკალი“.

ცნობა იმის შესახებ, რომ ბათუმი ტრაპიზონის ვილაეთის შემადგენლობაშია, ეკუთვნის აგრეთვე აბუ ბექრი იბნ ბაპრამს. იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნოდა XVII საუკუნისათვის ბათუმი, არსებობს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი. თურქი ავტორები კოჩი ბეი გორიჯელი, სოფიელი ალი ჩაუში და თანამედროვე მეცნიერი ი. უზუნჩარშილი გვარწმუნებენ, რომ ბათუმი ჯერ კიდევ 1582 წლიდან შევიდა ტრაპიზონის ვილაეთის შემადგენლობაში და XVII ს-ის წლებისათვის მასვე ეკუთვნოდა⁶³. იგივე აზრი გაიზიარა ი. სიხარულიძემ („ტრაპიზონის ვილაეთის შემადგენლობაში ჩანს ბათუმი XVII საუკუნის 40-იან წლებშიც“)⁶⁴.

ვ. იაშვილისა და ქ. ჩხატარაიშვილის მიერ წყაროთა შესწავლის საფუძველზე მიღებული დასკვნის თანახმად, ბათუმის დაპყრობა თურქებმა მხოლოდ XVIII ს-ის დამდეგს, კერძოდ, 1703 წელს მოახერხეს⁶⁵, ხოლო „XVII საუკუნის თურქულ წყაროებში მოხსენებული „ბათუმის ბეგლარბეგია“ იგივე ტრაპიზონს ბეგლარბეგია“⁶⁶.

⁶² Franz Taeschner, Zur geschichte des Djihännuma, გვ. 103; ჭიპან-ნუმა, გვ. 3; Orhan Saik Gökyay, Kâtip Celebi, გვ. 66.

⁶³ А. С. Тверитинова, Второй трактат Кочибей, Ученые записки ин-та востоковедения Москва—Ленинград 1953, т. VI, стр. 243; А. С. Тверитинова, Аграрный строй османской империи XV—XVII вв, Москва, 1963, стр. 25; Y. Uzuncarsili, Osmanli tarihi, Türk tarih kurumu yayinlarindan XIII seri, no 1602, Dünya tarihi, III cilt, 2 kisim. Ankara, 1954, გვ. 289—290.

⁶⁴ ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია. ბათუმი, 1958, გვ. 7.

⁶⁵ ვ. იაშვილი, აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ბათუმი, 1948, გვ. 21.

⁶⁶ ქ. ჩხატარაიშვილი, ტოპონიმ „ბათომის“ და ბათუმის მხარის ისტორიისათვის (თეზისები), ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XVII სამეცნიერო სესია, თბ., 1969 ამავე აზრს მხარს უჭერს შარდენის შემდეგი ცნობა: „30-ს შუა დღის უკან მივედით გონიოში. ფაზისიდან იქამდე 40 ვეი არის. მთელი ეს ნაპირი ძალიან მაღლობი და მთებიანია. ეს ადგილები ზოგი ტყით არის შემოსილი, ზოგი მოტიტვლებულია. ქვეყანა ეკუთვნის გურიელს. გურიელის სამფლობელოს უჭირავს ადგილი იმ მდინარეშივე, რომელიც გონიოდან ნახევარ ეჯზე ჩაშლის (ყ ა ნ შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1935, გვ. 42).

ქათბი ჩელების ზემომოყვანილი ცნობა სავსებით ადასტურებს იმ მკვლევართა შეხედულებას, რომლებიც XVII ს-ის შუა წლებისათვის ბათუმს გურიის ფარგლებში ათავსებენ.

ყარსის ეიალეთის აღწერას წინ უძღვის „დამატება“, სადაც როგორც იქნა თეფერია აღნიშნავს, „ჩართულია აბუ ბექრი იბნ ბაჰრამის თარგმნილი გეოგრაფიის ზოგიერთი ფრაზა“⁶⁷. ყარსის ეიალეთს კი მოსდევს არტანუჯის, ქალიზმანის და ახალციხის ეიალეთის აღწერა. აღნიშნულ ნაწილში საკუთრივ ქათბი ჩელების ტექსტის გამოყოფა საქმარის სიძნელეს წარმოადგენს, ვინაიდან აღწერილი მოვლენები არ სცილდება XVII ს-ის პირველ ნახევარს.

ყარსისა და ახალციხის ეიალეთებზე ცნობების შედარებისას ყურადღებას იქცევს ზოგიერთი ჩსჯაობა მათ შორის. თუ ერთ შემთხვევაში ნათქვამია, „ყარსის ჩრდილოეთით ახალციხე ესაზღვრება“⁶⁸, ახალციხის ეიალეთის აღწერაში ყარსი მოთავსებულია ახალციხის აღმოსავლეთით⁶⁹. ამავე დროს პატარა არტანუჯის შეტანილია, როგორც ახალციხის, ასევე ყარსის ეიალეთებში. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ ამ ორი ეიალეთის აღწერა შეიძლება ორ სხვადასხვა ავტორს ეკუთვნოდეს. თუ გავიზიარებთ ა. ფაღაზიანის მოსაზრებას, რომ თავი ყარსის შესახებ ქათბი ჩელების დაწერილია⁷⁰, მაშინ ახალციხის ეიალეთის აღწერის ავტორად აბუ ბექრი უნდა ვივარაუდოთ. მაგრამ „ჯიჰან-ნუმას“ ტექსტი არ იძლევა საფუძველს ამგვარი დასკვნისათვის. ქათბი ჩელები რამდენიმეჯერ აღნიშნავს, რომ ყარსი დიდი არმენიის შემადგენლობაშია: „მარაში მცირე არმენიიდან, ყარსი და არზრუმი დიდი არმენიიდან ცალკე თავებშია აღწერილი“; ანდა, „ამჟამად დიდი არმენია შედგება ვანის, ყარსისა და არზუმის ეიალეთებისაგან“⁷¹. ძნელი დასაჯერებელია, რომ იგივე ავტორი თავისი თხზულების სხვა ადგილზე ყარსის ეიალეთს საქართველოში ათავსებდეს და ირწმუნებოდეს, „ყარსი ქართული ეიალეთი“⁷²-აო.

ჩვენეი აზრით, ცნობები ახალციხის ეიალეთზე თვითონ ქათბი ჩელების უნდა ეკუთვნოდეს, ზოლო ყარსის, არტანუჯისა და ქალიზმანის აღწერა ამოღებულია აბუ ბექრის ნაშრომიდან.

ახალციხის ეიალეთის შესახებ „ჯიჰან-ნუმას“ ზოგიერთი მონაცემი გვაფიქრებინებს, რომ მის ავტორს ხელთ ჰქონდა აინი ალის „რისალე“. ქათბი ჩელები აღნიშნავს: ახალციხის ეიალეთში „656 ქილიჩია, 97 ზეამეთი, 559 თეზქერიანი და უთეზქერო თიმარი“⁷². ასეთივე რიცხვები მოაქვს აინი ალისაც⁷³.

„ჯიჰან-ნუმას“ ცნობების ანალიზი საფუძველს იძლევა შემდეგი დასკვნებისათვის:

67 ჯიჰან-ნუმა, გვ. 407.

68 იქვე.

69 იქვე, გვ. 408.

70 А. А. Паназян, დასახლებული ნაშრომი, გვ. 10.

71 ჯიჰან-ნუმა, გვ. 410—411.

72 ჯიჰან-ნუმა, გვ. 407.

73 Aynî Ali, Kanunname-i Al-i Osman, Osmanli Devleti arazi kanunlari. Ankara, 1962,

თხზულებაში არსებული მონაცემები საქართველოს შესახებ სამაგისტროს
ხოლო ქრონოლოგიურად სამ სხვადასხვა პერიოდს მიეკუთვნება: XVIII საუ-
კუნის 20-იან წლები (ავტორია „ჯიჰან-ნუმას“ გამომცემელი ი. მუთეფერრიკი)
XVII ს. შუა წლები (ავტორებია ქათიბ ჩელები და აბუ ბეკრ იბნ. ბაჰრამ ად-დიმიში)
და ცნობები, მომდინარე არაბ და ირანელ ავტორთა თხზულებიდან.
რამდენიმე უზუსტობის გამოკლებით „ჯიჰან-ნუმას“ მონაცემები სარწმუნ-
ბოა.

Г. Г. АЛАСАНИЯ

«ДЖИХАН-НЮМА» КЯТИБА ЧЕЛЕБИ И ЕЕ СВЕДЕНИЯ О ГРУЗИИ

Резюме

Среди многочисленных сочинений Кятиба Челеби особое место занимает комсографическая, географическая компиляция под названием «Джихан-нюма», составленная в середине XVII века.

Сочинение было издано в Стамбуле 1732 г., причем издатель Ибрагим Мютефферрика восполнил текст, привлекая частично и извлечения из «Большой географии» Абу Бекра ибн Бахрама ад-Димишки (XVII в.).

В настоящей статье изучены сведения «Джихан-нюма» о Грузии (в 39—40—41 главах). В частности, мы задались целью выявить источник каждого сообщения, установить их авторов и достоверность.

По хронологическому принципу сведения группируются следующим образом: относящиеся к середине XVII века (авторы Кятиб Челеби и Абу Бекр ибн Бахрам ад-Димишки), к 20-ым годам XVIII века (автор издатель И. Мютефферрика) и данные, заимствованные у арабских и иранских авторов.

В «Джихан-нюма» содержатся интересные сведения о городах Грузии (Тбилиси, Гори, Сухуми, Загеми, Греми), даны описания отдельных краев (Абхазии, Имерети, Мегрелии, Гурии, Кахети); попутно сообщаются также исторические справки (как то о постройке крепостей Поты, Анаклиа, о некоторых событиях 1723 года и др.).

Изучение и сопоставление сведений «Джихан-нюма» с данными других источников и специальной литературы дали нам возможность, с одной стороны, опровергнуть некоторые ошибочные мнения, касающиеся исторических сведений и границ Грузии (напр., относительно Батуми), а с другой стороны, установить достоверность ряда исторических фактов (о постройке крепостей Поты, Анаклиа).

მედიკოსი

სეფიანთა ჩხიძის „ცხოვრება მეფეთა“, როგორც წყარო სეფიანთა
სახელმწიფოს ისტორიისათვის

სეფიანთა სახელმწიფოს (1501—1722) სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიის ნარატიულ წყაროებს შორის, გარდა საკუთრივ სპარსულ ენაზე შედგენილი ნაწარმოებებისა, დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოელთა თხზულებებსაც; თუ XVI—XVII საუკუნეებში ირანში სპარსულ ენაზე შეიქმნა არაერთი პირველხარისხოვანი საისტორიო ნაწარმოები, XVII საუკ. დამლევისა და XVIII საუკ. პირველი მეოთხედის ისტორიისათვის სპარსულ ენაზე არ მოგვეპოვება არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ნაშრომი.

ეს არ არის შემთხვევით მოვლენა. სეფიანთა სახელმწიფოს საერთო პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ დაცემასთან ერთად სპარსული წყაროების სიღარიბე გაპირობებულა იმ პოლიტიკური ვითარებით, რომელიც შეიქმნა ირანში XVII-ის მიწურულსა და XVIII ს-ის პირველ მეოთხედში. სპარსულ მხატვრულ ლიტერატურასა და საისტორიო მწერლობას, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ირანის შაჰის კართან და ფეოდალური საზოგადოების მაღალ წრეებთან, ამ პერიოდში განვითარების უკიდურესად არახელსაყრელი პირობები შეექმნა.

ჯერ კიდევ შაჰ სოლეიმანის (1666—1694) მმართველობის ბოლო წლებში აშკარად შეიმჩნეოდა სეფიანთა სახელმწიფოს ეკონომიური და პოლიტიკური დაცემა. სავაჭრო გზების გადანაცვლებამ, კერძოდ, აფრიკის გარშემო ევროპიდან ინდოეთში მიმავალი საზღვაო გზის ათვისებამ, ირანზე გამავალ სახმელეთო სატრანზიტო გზას მნიშვნელობა დაუკარგა, ამიტომ მკვეთრად შეიკვეცა ირანის საშინაო და საგარეო ვაჭრობა, რამაც სახელმწიფო ხაზინას შემოსავალი მოაკლო. თანდათან ეცემოდა ირანის ქალაქების სავაჭრო მნიშვნელობა. უარესდებოდა ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა, გაიზარდა ქალაქის შრომელი მოსახლეობისა და გლეხთა ექსპლოატაცია ფეოდალების მიერ. ამავე დროს ვერ ვითარდებოდა ფეოდალთა მსხვილი მეურნეობაც. შაჰის ხელისუფლება გადასახადების გადიდებით ცდილობდა ხაზინის შემოსავლის გაზრდას, რაც იწვევდა მწარმოებელი მოსახლეობის გადატყვევას და ძირს უთხრიდა სოფლის მეურნეობას, ხელოსნობას, ვაჭრობას. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობა, რის გამოც იზრდებოდა უკმაყოფილება, გახშირდა აჯანყებები. ყველაფერი ეს კიდევ უფრო მეტად ასუსტებდა სახელმწიფოს¹.

¹ М. С. Иванов, Очерк истории Ирана, М., 1952, стр. 77—81. სეფიანთა სახელმწიფოს დაცემის ძირითადი მიზეზების შესახებ იხ. აგრეთვე И. П. Петрушевский,

სეფიანთა სახელმწიფოს სისუსტე განსაკუთრებით გამოვლინდა შაჰ სოლ-თან-ჰოსეინის დროს (1694—1722). უნებისყოფი და უნიჭო სოლთან-ჰოსეინი თითქმის არ ერეოდა ქვეყნის მართვაში და მის მაგივრად სხვები განაგებდნენ სახელმწიფოს. მისი გამგებლობის წლებში ირანი საბოლოოდ დააღდა დაეცა თების გზას, ხოლო შინაგანი მოვლენები ისე განვითარდა, რომ XVIII საუკუნის დამდეგს გახშირდა აჯანყებები ქალაქად თუ სოფლად; გაძლიერდა დაპყრობილ ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლა სეფიანთა ბატონობის წინააღმდეგ. ყველაზე სერიოზული ამ მხრივ იყო აჯანყება ავღანელებისა, რომელთაც XVIII ს. პირველ მეოთხედში დაიპყრეს ირანი და 1730 წლამდე ბატონობდნენ იქ.

ირანის კულტურის საერთო დაცემას XVIII საუკუნეში არ შეიძლებოდა არ შეეფერებინა ისტორიოგრაფიის განვითარება. მართლაც, სეფიანთა სახელმწიფოს ისტორიაში სოლთან-ჰოსეინი პირველი შაჰი იყო, რომელსაც თავისი ისტორიკოსი არ ჰყავდა; საზოგადოებრივი და კულტურული განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომ ავღანელებს არ შეიძლებოდა თავისი წრიდან ჰყოლოდათ საკუთარი ისტორიოგრაფია. ირანის ფეოდალურ საზოგადოებასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას კი ის მოჰყვა, რომ მათ ვეღარც ირანელი ისტორიკოსების სამსახურით ისარგებლეს. გარდა ამისა, როგორც პროფ. ვ. გაბაშვილი შენიშნავს, „სპარსული მწერლები ერიდებოდნენ დაეწერათ ირანის „ეროვნული სირცხვილის“ ისტორია² და ბოლოს, იმდენად მცირე ხანს და მერყევად ბატონობდნენ ავღანელები ირანში, რომ მათ უბრალოდ ვერც მოასწრეს თავიანთი სახელი რაიმე ნაშრომით დაეკავშირებინათ XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის ირანის ისტორიისათვის³.

სპარსული ისტორიოგრაფია ხელახლა აღორძინდა ნადირ-შაჰის დროს (1736—1747). ნადირ-შაჰს ჰყავდა თავისი ისტორიკოსები მოჰამედ ქაზიმისა და მირზა მეჰდი-ხან ასტარბადელის სახით. მართალია, მათ თხზულებებში ძირითადად ნადირის მეფობის ამბები აღწერილი, მაგრამ ზევრი მასალა მათში სეფიანთა სახელმწიფოს დაცემის თაობაზეც.

XVII საუკუნის დამლევისა და XVIII ს-ის პირველი მეოთხედის ირანის ისტორიისათვის უპირატესად დასავლეთეუროპულ, სომხურ და ქართულ ენებზე შედგენილი წყაროები გაგვიჩინა⁴. ამ თხზულებათა ავტორებს ხანგრძლივი დრო-

Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—начале XIX в., Л., 1949; К. З. Ашрафян, К вопросу о причинах упадка державы сефевидов, «Очерки по истории стран Среднего Востока» М., 1951, стр. 188—210; И. М. Рейснер, Падение державы Сефевидов и шествие афганцев на Иран (1722—1729). «Доклады и сообщения исторического факультета МГУ» т. 10, М., 1950, М. В. Пигулевская, А. Ю. Якубовский, И. П. Петрушевский, Л. В. Стрелева, А. М. Беленицкий, История Ирана с древнейших времен до конца 18 века, Л., 1958, стр. 297, 306—309. L. Lockhart, Nadir-Shah, London, 1938 стр. 1. კ. კუცია, სეფიანთა ირანის ქალები და საქალიწო ცხოვრება, თბ., 1966, გვ. 101—108.

² ვ. გაბაშვილი, იოსებ ქართველი — XVIII ს-ის დაღმარებული და ისტორიკოსი, „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 120.

³ თუ მხედველობაში არ მივიღებთ უცნობი ავტორის მიერ 1725 წელს სოლთან მაჰმუდის შეკვეთით შედგენილ თხზულებას „თახქირათ აღ-მულუქ“ („მეფეთა სამახსოვრო“), სადაც დაწვრილებით არის განხილული სეფიანთა სახელმწიფოს ადმინისტრაციული წყობილება (Tadhkirat al-muluk, translated by V. Minorsky; London, 1943, გვ. 113).

⁴ ამ წყაროების შესახებ იხ. Н. В. Пигулевская, А. Ю. Якубовский, И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 304—306. უნდა აღინიშნოს რომ ამ მიმოხილვის ავტორი პროფ. ი. პეტრუშევსკი საერთოდ არ ახსენებს ს. ჩხეიძის თხზულებას.

ის განმავლობაში მოუხდათ ყოფნა ირანში და თავიანთ ნაწარმოებებში აღწერეს საკუთარი თვლით ნანახი მოვლენები. სეფიანთა სახელმწიფოს ისტორიისათვის ამ მხრივ მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი წყაროა XVIII საუკუნის ქართული თველი ისტორიკოსის სეხნია ჩხეიძის საისტორიო თხზულება „ცხოვრება მეფეთა“⁵ თა“, რომელიც მოიცავს პერიოდს 1653 წლიდან 1739 წლამდე.

საისტორიო მწერლობაში სეხნია ჩხეიძე სათანადოდ შეაფასეს ჯერ კიდევ აკად. მ. ბროსემ⁶ და აკად. ივ. ჯავახიშვილმა⁷. სეხნია ჩხეიძის თხზულებას, როგორც ირანის ისტორიის წყაროს, განსაკუთრებულ მნიშვნელობს ანიჭებს პროფ. ვ. ვაბაშვილი⁸. მისი აზრით, სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ მნიშვნელობით შეიძლება გაუტოლდეს იოსებ ქართველის თხზულებას⁹, რომელსაც ჩვენ ჯერ-ჯერობით ფრანგი ისტორიკოსის მამი-კლერაკის, პროფ. ტ. ვეირის და პროფ. დ. ლანგის ნაშრომების მეშვეობით ვიცნობთ და რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი აღებული ხანის ირანის ამბები.

ინგლისელი მკვლევარი ლ. ლოკპარტი შენიშნავს, რომ იოსებ ქართველი ყველაზე მნიშვნელოვანი პირია თანამედროვე ავტორთა შორის, ვინაიდან იგი ცნობათა მთავარი მიმწოდებელი იყო მამი-კლერაკისა და სომეხი ისტორიკოსის სარგის გილანენცისათვის და დიდ დახმარებას უწევდა პოლონელ კათოლიკე

5 ს. ჩხეიძემ თავისი თხზულება ასე დაასათურა „ძლიერებითა ღვთისათა, ვიწყით ცხოვრება მეფეთა, მსმენელთათვის არა უნდომი ამბითა, უცხოთა ქვეყნისათა, არა მართლად ქართლისა, ჩემის თვალთხაზული. ზოგიერთი მნახავთაგან სმენითა“. „ცხოვრება მეფეთა“ პირველად გამოცა დ. ჩუბინაშვილმა (ქართლის ცხოვრება დასაბამითგან შეთხზებაზე საუკუნემდის, II, სპბ, 1854, გვ. 307—342). 1857 წელს მარი ბროსემ გამოცა მისი ფრანგული თარგმანი (Chronique de Sekhnia Tchkeidze, Histoire de la Georgie, depuis l'antiquite jusqu'au XIX-e siecle, II-e Parti. SPb. 1857, გვ. 7—54). 1913 წ. ზ. კეიზინაძემ დაბეჭდა დ. ჩუბინაშვილის მიერ გამოცემული ქართული ტექსტი (ჩხეიძე სეხნია, საქართველოს აღწერა, გამოც. ზ. კეიზინაძის მიერ. თბ., 1913). არსებობს გამოუცემელი რუსული თარგმანი შესრულებული ბ. სავარსამიძისა და ბ. გრიგორიევის მიერ პეტერბურგში (P. P. Орбели, Грузинские рукописи Института востоковедения АН СССР, I, М.—Л., 1956, № 8, ვვ. 23—24). ს. ჩხეიძის თხზულების ხელნაწერები დაცულია თბილისში („ხელნაწერთა აღწერილობა“. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები, კოლექცია, ტ. V, თბ., 1949, № 2304) და ლენინგრადში (P. P. Орбели, დასაბ. ნაშრ., № 7, 9).

6 M. Brosset, დასაბ. ნაშრ., გვ. 3—5.

7 ივ. ჯავახიშვილი, სეხნია ჩხეიძე, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 362—368. თუმცა უნდა ითქვას, რომ ივ. ჯავახიშვილი, ჩვენი აზრით, ზედმეტ სიმკაცრეს იჩენდა სეხნია ჩხეიძის როგორც ისტორიკოსისა და პიროვნების შეფასებაში (ამის შესახებ იხ. აგრეთვე დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, III, თბ., 1968, გვ. 202—206).

8 ვ. ვაბაშვილი, დასაბ. ნაშრ., გვ. 118—120. მისივე, იოსებ ქართველის ვინაობისა და მოღვაწეობის საკითხისათვის. თსუ შრომები, ტ. 116, თბ., 1965, გვ. 329.

9 იოსებ ქართველი და მისი თხზულებები საკმაოდ ცნობილია როგორც ევროპულ, ისე ქართულ ორიენტალისტურ ისტორიოგრაფიაში. იოსებ ქართველი 1717—1725 წლებში იმყოფებოდა ირანში და თვითმხილველი იყო „აშლილობის ხანის“ ირანის ისტორიის ბევრი მოვლენისა. იოსებ ქართველის თურქულ ენაზე შედგენილი თხზულების ხელნაწერი ინახება გლაზგოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მისი მოკლე შინაარსი ინგლისურად გამოაქვეყნა პროფ. ვეირმა (T. H. Wair, The Revolution in Persia at the beginning of the 18 th century. A volume of Oriental Studies presented to E. G. Browne, Cambridge 1922, გვ. 480—490). საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია იოსების რედაქცია ფრან-

მისიონერს, იეზუიტთა კოლეგიის პროკურატორს ისფაჰანში თადეუშ კრუსინსკისაც¹⁰. თავის დროზე, როდესაც მ. ხუბუა იკვლევდა XVII—XVIII სს. ქართულ-ირანულ ურთიერთობებს, მან შეუდარა სენნია ჩხეიძის საისტორიო ცნობების ზოგიერთ ცნობას ინგლისელი ისტორიკოსის ჯ. ჰანვეის თხზულებასათანადო ადგილები და დაასკვნა „ამ ორი ერთმანეთისაგან სრულად დამოუკიდებელი ავტორის ცნობათა იშვიათი იდენტობა“¹¹, მაგრამ ახლა უკვე ცნობილია, რომ ჰანვეის თხზულებების პირველი ნაწილი მთლიანად დამოკიდებულია მამი-კლერაქის ნაშრომზე. ზოგიერთი ადგილი ავტორს სიტყვა-სიტყვით გადმოუწერია მამი-კლერაქიდან, რომლის მთავარი წყარო თავის მხრივ იყო იოსებ ქართველი¹². ამიტომაც არის, რომ სენნია ჩხეიძის „მეფეთა ცხოვრებაში“ მოტანილი ცნობები წააგავს მამი-კლერაქის „სპარსეთის ისტორიის“ სათანადო თავების შინაარსს. უფრო მეტიც, ამჯერად უკვე ირკვევა XVIII ს-ის ორი ქართველი ისტორიკოსის სენნია ჩხეიძისა და იოსებ ქართველის ცნო-

გულ ენაზე (D. M. Lang, Georgia and the fall of the Safavi Dynasty, BSOAS, XIV, 3, 1952, გვ. 528; L. Lockhart, The fall of the Safavi Dynasty and the Afghan Occupation of Persia. Cambridge, 1958, გვ. 504—509). საკუთრად იოსებ ქართველის თხზულებათა გარდა, მისი ინფორმაციები ვაჟანტულია ფრანგი ისტორიკოსის მამი-კლერაქისა და სომეხი ავტორის სარგის გილანენცის ნაშრომებში, რაზედაც თვით ავტორებიც მითითებენ (La Mamyé-Clairac, Histoire de Perse, depuis le commencement de ce siècle, I Paris, 1750, გვ. V—VII. Дневник осады Исфагана афганцами, веденный Петросом ди Саргис Гиленец. Приложение к XVII-му тому записок императорской Академии Наук, № 3, СПб, 1870, стр. 3). ე. გაბაშვილი, იოსებ ქართველის ვინაობისა და მოღვაწეობის საკითხისათვის, თსუ შრომები, ტ. 116, თბ., 1965, გვ. 329—356; თ. ნატროშვილი, მასალები იოსებ ქართველის ბიოგრაფიისათვის, „მაინე“, 1969 № 5, გვ. 105—118. მისივე, ქართული ფეოდალური საზოგადოება და იოსებ ქართველი, „მაინე“, 1970, № 5, გვ. 47—66. მასალები იოსებ ქართველის შესახებ დაცულია თამარაშვილის პირად არქივში (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „პროპაგანდა ფიდეის“ წერილები, № 1091, № 1069), მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიციზმისა ქართველთა შორის, თბ., 1902.

¹⁰ L. Lockhart, დასახ. ნაშრ., გვ. 509. უნდა აღინიშნოს, რომ მამი-კლერაქი საერთოდ არ ყოფილა ირანში. იგი 1724—27 წლებში ცხოვრობდა კონსტანტინოპოლში და მხოლოდ მეგობრების — ფრანგი დიპლომატებისა და კონსულთა დახმარებით მოახერხა საქირო ცნობებისა და მასალების შეგროვება. მამი-კლერაქი შენიშნავს, რომ მოპოვებულ მასალათა შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო მისთვის იოსებ ქართველის რედაცია, რომელიც თვითონ ავტორმა ვადასცა მას. ეს იყო ოსმალეთის დიდი გეზირისათვის თურქულ ენაზე შედგენილი ვრცელი მემორანდუმის იტალიური თარგმანი (Relazione della Rivoluzione di Persia compost a dal Signor Giuseppe... Giorgiano. On terprte de console di Francia a Ispahan). გარდა ამისა, იოსებ ქართველმა მამი-კლერაქს ზეპირადაც მიაწოდა ძვირფასი მასალა (L. Mamyé-Clairac, დასახ. ნაშრ., გვ. V—VII).

¹¹ მ. ხუბუა, ქართულ-ირანული ურთიერთობიდან, ენიშის „მაიმბე“, ტ. V—VI, თბ., 1940, გვ. 261.

¹² ე. ჰანვეიმ 1743 წელს იმოგზაურა ირანში და ათი წლის შემდეგ გამოცა თავისი თხზულება (I. Hanway, An historical account of the British trade over the Caspian sea, London, 1753). ამჯერად, ჰანვეი არ ყოფილა თვითმხილველი XVIII ს-ის პირველ მეოთხედში ირანში მომხდარი ამბებიდან და მისი თხზულება არ წარმოადგენს პირველწყაროს ამ პერიოდის ისტორიის შესასწავლად. ავტორი აღნიშნავს, რომ მან თ. კრუსინსკის თხზულებიდან ამოიღო ცნობები, მაგრამ ს. ვეირის აზრით, თუმცა ე. ჰანვეის თავის წყაროდ კრუსინსკის თხზულება მიაჩნია, მაგრამ მისი თხრობა საქმიოდ ახლოსაა მამი-კლერაქის იმ გადმოცემებთან, სადაც იგი იოსებ ქართველის ტექსტს მისდევს. ამიტომ თავისთავად ძალიან ახლო კავშირი უნდა ყოფილიყო კრუსინსკისა და იოსებ ქართველის მონათხრობს შორისო (T. H. Wair, დასახ. ნაშრ., გვ. 490). იოსებ ქართველისა და კრუსინსკის ურთიერთობის საკითხი გამოიკვლიეს ლოკარტმა და ე. გაბაშვილმა ზემოთ დასახელებულ ნაშრომებში.

6. ქართულა წყაროთმოდენობა

ბათა „იშვითი იდენტობა“. მათ საერთო წყაროდ კი პროფ. ვ. გაბაშვილი ვარაუდობს ირანში მყოფ ქართველებს, რომელთაც უმაღლესი სახელმწიფო და სამხედრო თანამდებობები ეკავათ შაჰის კარზე და ავღანთა წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის აქტიური მონაწილენი იყვნენ¹³. ვ. გაბაშვილის აზრით „ირანის ისტორიის ამ მონაკვეთისათვის ყველაზე უფრო უხვი ცნობები უნდა ჰქონოდა ქართველ ისტორიკოსს. ასეთია სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“, ასეთივეა იოსებ ქართველის საისტორიო ნაწარმოებები. ეკვი არაა, რომ კრუსინსკის ცნობილი თხზულების მთავარ წყაროს წარმოადგენს ავტორის ურთიერთობა ქართველებთან, რადგან კარგადაა ცნობილი ირანში მყოფი ქართველი მეფე-ბატონიშვილების ურთიერთობის ხასიათი კათოლიკე მისიონერებთან. საინტერესოა, რომ იოსებ ქართველი დაახლოებით იქ გამოდის სპარსეთის ამბების თანადახსენებლად და თვითმხილველად, როდესაც სეხნია ჩხეიძე უკვე საშობლოში იმყოფება. იგი მხოლოდ 1722 წელს ბრუნდება ირანში, უკეთ თაგრინში, სადაც თავშესაფარი ჰპოვა ისფაჰანიდან გაქცეულმა სეფიანთა უფლისწულმა. ამრიგად, 1597—1725 წწ. ირანში მომხდარი ამბების აღმწერლად და შეიძლება ითქვას, ერთმეორის ერთგვარ გამგრძელებლად, გვევლინება ორი ქართველი ისტორიკოსი, რომელთა თხზულებების როგორც წყაროების, მნიშვნელობა „აშლილობის ხანის“ ირანის ისტორიოგრაფიაში აშკარა უნდა იყოს“¹⁴.

ცნობები სეხნია ჩხეიძის ბიოგრაფიისათვის მისსავე თხზულებაშია გაბნეული. მ. ბროსე ვარაუდობდა, რომ აზნაური სეხნია ჩხეიძე შთამომავალი უნდა ყოფილიყო მეფე სიმონ I-ის დროს, კერძოდ, 1591 წელს ქართლში გადმოსახლებულ ვინმე ქეიქაოს ჩხეიძისა¹⁵. სეხნია ჩხეიძე, მისივე სიტყვით, საქართველოს მეფის კარისკაცი იყო და გიორგი XI-ის ძმის „თავად ლევანის გაზრდილი და მერმე ქაიხოსროსთან შეზრდილი“¹⁶. „მას წილად ზედა ქართულ-ირანულ კულტურულ პოლიტიკურ ურთიერთობათა მეტად დამძულ (და მრავალმხრივ საინტერესო) პერიოდში ცხოვრება“¹⁷. სეხნია ჩხეიძე ქართველ მეფეთა და წარჩინებულთა დაახლოებული პირი იყო და მაღალი თანამდებობაც ეკავა. მნიშვნელოვანი სამსახურებრივი მოვალეობის გამო ხშირად უხდებოდა ირანში ჩასვლა. იმის გამო, რომ ს. ჩხეიძეს დიდხანს მოუხდა ირანში ყოფნა, „სპარსეთის საქმეები უფრო ვრცლად და უკეთ იცოდა, ვიდრე თავის საშობლოს ამბავი, ამიტომ მის ნაწარმოებში ირანის სახელმწიფო საქმეებს საპატიო ადგილი უნდა ჰქონოდა“¹⁸. ამ მხრივ ეს თხზულება მეტად მნიშვნელოვანია. მით უმეტეს, რომ, როგორც ითქვა, საკუთრივ სპარსულ ნარატიულ ძეგლებში შედარებით მწირი ცნობებია დაცული XVII საუკუნის დასასრულისა და XVIII ს-ის დასაწყისის ირანის ისტორიისათვის.

13 ვ. გაბაშვილი, იოსებ ქართველი — XVIII ს. დიპლომატი და ისტორიკოსი, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“ ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 178.

14 იქვე, გვ. 120.

15 M. Brosset, დასახ. ნაშრ., გვ. 1.

16 ს. ჩხეიძე, „ცხოვრება მეფეთა“, ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, გამოც. დ. ჩუბინი-შვილის მიერ, სპბ., 1854, გვ. 312.

17 მ. ხუბუა, დასახ. ნაშრ., გვ. 238.

18 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 364.

სეხნია ჩხეიძე აღნიშნავს, რომ მისი ნაამბობი უმეტეს შემთხვევაში „უჯალ-
ნახულია“, რაც მის ისტორიას უტყუარობის დაღს ასვამს. ხოლო ზოგიერთი ამ-
ბავი მას „მნახავთავან სმენითა“ დაუწერია. ეს უკანასკნელი გარემოება მან
საკუთრებით საყურადღებოა, რადგან თვით სეხნია ჩხეიძესაც კარგად ესტუმრ
ნია, რომ „სმენით“ მონათხრობს იმ შემთხვევაში აქვს ფასი, როცა მოამბე
თვითონ არის აღწერილი ამბის „მნახავი“¹⁹.

სეხნია ჩხეიძეს თავისი ნაწარმოები დალაგებული აქვს ქრონოლოგიური
თანამიმდევრობით და დიდი სიზუსტითაც. აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს,
რომ „სწორედ ქრონოლოგიური ცნობების სიუხვე შეადგენს სეხნიას ჩხეი-
ძის ისტორიის ღირსებას“²⁰. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „მომპირნე სტილით
არის ავტორის მიერ გამართული მთელი მოთხრობა შედარებით მოკლე მო-
ცულობის ნაშრომში“²¹.

ირანში ხანგრძლივად ყოფნას არ შეიძლებოდა თავისი კვალი არ დაემჩ-
ნია სეხნიას ჩხეიძის ენაზე. მ. ჯანაშვილის აზრით, „ენის მხრივ, თითქმის ერთ-
ნაირი წყლისა არის ქრონიკები თანამედროვეთა ვახუშტის, ფარსადან გორგი-
ჯანიძის, პაპუნა ორბელიანის, სეხნია ჩხეიძის, ომან მღვიანვეგის“²². სეხნია
ჩხეიძის, საისტორიო თხზულების ენას აშკარად ეტყობა სპარსულის გავლენა,
განსაკუთრებით ლექსიკას. სეხნია ხშირად ხმარობს ისეთ სპარსულ თუ არა-
ბულ სიტყვას, რომლებიც სხვა ისტორიკოსებთან არ გვხვდება (მაგ. ნასალი,
ჩირახოვანი, ბიბანი, სარდასტა, სევანი, ბაყალბანდი, ქულფათი, საია, სარაია,
ქარდავანი, მახმა და სხვ.). ეს სიტყვები ძირითადად ირანის ამბების აღწერის
დროს გვხვდება. მაგრამ მიუხედავად ამისა, სეხნია ჩხეიძე ვაცილებით უფრო
წმინდა ქართულით წერს, ვიდრე, ვთქვათ, ფარსადან გორგიჯანიძე.

სეხნია ჩხეიძე თანამიმდევრობით მოგვითხრობს ირანის შაჰის კარზე მოღ-
ვაწე ქართველებზე (გიორგი XI, ქაიხოსრო, ლევან, როსტომ ბატონიშვილე-
ბი, ვახტანგ VI), რომლებიც აქტიური მონაწილენი იყვნენ ავღანთა წინააღმდეგ
წარმოებული ბრძოლებისა. აღწერს ირანის და საქართველოს პოლიტიკურ
ვითარებას. გვამცნობს მათი ურთიერთობის ხასიათს, ირანის სოციალურ-
ეკონომიურ მდგომარეობას და ა. შ. განსაკუთრებულ ადგილს სეხნია უთმობს
ბელუჯთა და ავღანთა აჯანყებას, მათ შემოსევებს, საგანგებო ყურადღებას
იმსახურებს მისი ცნობები ცალკეული ქალაქების, კერძოდ, ისფაჰანის აჯანყე-
ბის შესახებ, საყურადღებოა სეხნია ჩხეიძის ცნობები ირანის ბუნებრივ პი-
რობებზე, ქალაქებზე, გზებზე. მიუხედავად იმისა, რომ სეხნია „ბიბანსა ში-
გან სიარულმა შეაწუხა“, მაინც კმაყოფილია ირანსა თუ ავღანეთში უცნობი
ადგილების ნახვით და გზადგზა აღწერს ქართველი კაცისათვის უცხო და
ძნელად გადასატან ცხელ ჰავას. ამ მხრივ აღსანიშნავია მის მიერ უდაბნოს
აღწერილობა ბამიდან სისტანის მიმართულებით. „იყო ბიბანი, შენობა არსა-
და, წყალსა სადაცა ვნახავდით, ამას ბრძანებდით, მლამე თევზის წვენი არი-
სო“.. „...მას ადგილსა წყალი არ იყო“ და როდესაც ბრძოლისაგან დაღლილ და
უწყლობით დამაშვრალ ქართველ მხედრობას სისტანის ხანი წყაროს გზას ას-

19 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 365.

20 იქვე, გვ. 365.

21 მ. ხუბუა, დასახ. ნაშრ., გვ. 241.

22 მ. ჯანაშვილი, ნაშრომი (საისტორიო საბუთების შესწავლილობა ჩვენში და ახლად
ამოჩენილი ახალი „ქართლის ცხოვრება“), ტფ., 1907, გვ. 7.



წყელის, მათ გოაცებას საზღვარი არა აქვს. „მიველით ადგილსა მას, სადაცა წყა-
რო გვითხრეს... ასეთი მარბილი იდგა ნადინარსა მის წყლისასა... კუჩქდრეცა...
იველოდა: წყალი იყო მწორე მარბილსაგან“.. შემდეგში კი სისტანსი ხანძარი მოხდა
პინძლა, „რაც ოდენ ბიაბანს გაეწყობოდა, მაგრამ წყალი ჰქონდა“²³.

ქალაქებს შორის მანძილის აღსანიშნავად ხეხიდა ჩხეიძე იყენებს „აღ-
აჯს“, „დღის სავალს“ (მაგ. „ვიარეთ აღაჯსა ორსა“, „ვიარეთ 12 დღის სავალი“
და ა. შ.). აღწერს ქირმანს („ქალაქი იყო მშვენიერი“), ყანდაპარს, ისფაჰანის
ბაზარს²⁴ და მისთვის საინტერესო მრავალ უცნობ ადგილს.

ირანის სამეურნეო და პოლიტიკური დაქვეითება, როგორც აღენიშნეთ,
შენიშნება უკვე შაჰ სოლეიმანის დროს: მისი ზეობის უკანასკნელ წლებში დი-
დად გაიზარდა სამოხელეო არისტოკრატის გავლენა. შაჰი ისე ვარ-
დაიცვალა, რომ ტახტის მემკვიდრე არ დაუსახელებია. კრუსინსკის
ტყმით, შაჰ სოლეიმანმა მემკვიდრის არჩევა მასთან ახლოს მდგომ პირებს მი-
ანდო²⁵. შაჰის ერთ-ერთი შვილი აბას-მირზა საკმაოდ ჰკვიანი, კარგი მეომარი და
გონიერი პოლიტიკოსი იყო. პირმოთნე და უნებისყოფო ჰოსეინს კი მმართვე-
ლობის ნიჭი და უნარი არა ჰქონდა. იგი დროს პარამუნასა და ქეიფში ატა-
რებადა და სახელმწიფო საქმეებიც ნაკლებად აინტერესებდა²⁶. მისი ყველაზე
საყვარელი გასართობი საქმე სასახლის ღია დანჯრიდან ეზოში, ხელოვნურ
ტბაში მოტურავე იხეებისათვის ისრის სროლა იყო²⁷. ჰოსეინს ბევრი მომხრე

23 ს. ჩხეიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 316.

24 ს. ჩხეიძემ აღწერა ისეთი საყურადღებო ნაგებობა, როგორცაა „შაჰის მოედანი“ ის-
ფაჰანში, თავისი სახელვანთქმული „ყაისარეი“ ბაზრით. ხეხიანს მიერ ნახსენები „ალიყაფუს“
სასახლე, „დარაზე თოხნი“, „ყაისარეი“ „შაჰის მოედნის“ არქიტექტურული ძეგლის ერთ მთლი-
ანობას შეადგენენ. ისფაჰანის განსაკუთრებული სილამაზე მდგომარეობს „შაჰის მოედნის“ გარ-
შემო განლაგებულ ორიგინალურად ნაგებ შენობებში. ეს ანსამბლი ერთმანეთს უკავშირდებოდა
ქუჩებით, რომლებიც დაფარულია მაღალი ჰალბებით, დასერილია წვრილი არხებით, „ალიყა-
ფუს“ სამეფო სასახლე ბრწყინვალე კართ მოედნის დასავლეთით მდებარეობს, სამხრეთით
„თოხნის კარი“, ხოლო ჩრდილოეთით „ყაისარეის“ ჰიშარი და სამეფო ბაზარი. „ყაისარეი“,
სამეფო ბაზარში შესასვლელი, აშენდა 1619 წ., ხოლო თვით ბაზარი შაჰ აბას I-მა მოგვიანე-
ბით დააარსა. ეს იყო თავისი დროისათვის მეტად დიდი და მდიდარი ბაზარი. ბაზარსაც შემდეგ-
ში ეწოდა „ყაისარეი“. (ს. ჩხეიძე, გვ. 322. Voyages du Chevalier Chardin en
Perse... t. VII, Paris, 1711. L. Honarfar, Historical Monuments of Isfahan. Tehran,
1967, გვ. 69; გვ. 87 — تاریخ عالم آرای عباسی تألیف اسکندر بیگ ترکمان تهران ۱۳۳۴)

25 შაჰ სოლეიმანს სიყვდილის წინ დაუბარებია ახლობლებისათვის, „თუ გინდათ ბრძო-
ლები, ქვეყნების დაპყრობა და შიშის ზარს სცემდით ყველას, შაჰად გამოაცხადეთ აბას-მირ-
ზა, ხოლო თუ კი შაჰის კეთილგანწყობილება და ქვეყანაში მშვიდობა გსურთ, აირჩიეთ სოლ-
თან-ჰოსეინიო“).

26 იქვე. ასეთსავე ცნობას იძლევა მამბ-კლერაქი (დასახ. ნაშრომი, გვ. X). ზაჰან მირზა,
შუქრ-ნამეე შაჰინშაჰი, უზბეკეთის მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნა-
წერი № 8990, უფ-41. ყაჯარი უფლისწულის ბაჰმან მირზასა და მისა საისტორიო ნაწარმოების
შესახებ იხ. А. Н. Гулиев, Об историческом трактате Бахман-Мирзы «Шукриамейе ша-
хишахи», კრებ. «Историкография и источниковедение истории стран Азии», вып. I, Л.,
1965, გვ. 131—136; А. Х. Аванесов, «Шукр-наме-йе шахишахи Бахмана-Мирзы, ქარ-
თული წყარომცოდნეობა, III, თბ. 1971, გვ. 316—320. ასეთივე ცნობას ვაწვდის დავით ბაგრა-
ტიანი.

27 T. Krusinski, გვ. 105.

ჰყავდა ჰარამხანაში, მის მხარეზე იყო სასულიერო და სამოხელეო არისტოკრატია. ამიტომ უპირატესობაც ჰოსიენს დარჩა.

უნებესყოფო და უუნარო გამგებლის ხელში კიდევ უფრო მეტად გაწვავდა ბრძოლა პირველობისათვის. ვინ იქნებოდა ქვეყნის ფაქტიურე მმართველი, ვისი გავლენის ქვეშ მოექცეოდა შაჰი და მისი ხელისუფლება სამხედრო, საერო თუ სასულიერო არისტოკრატის მთავარი საზრუნავი. ეი-ზილბაშ ხანებსა და სამოხელეო არისტოკრატის შორის გამართულ ბრძოლაში გამარჯვება უკანასკნელებს ხედათ, ხოლო შაჰი ფაქტიურად მოექცა საკუთრისების გავლენის ქვეშ, რომლებიც მარტო მიმდინარე წვრილმან საკითხებს კი არ არჩევდნენ, არამედ ომისა და მშვიდობის საქმესაც წყვეტდნენ²⁸.

შინაკლასობრივი ბრძოლა კიდევ უფრო მეტად ამძიმებდა ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას. გაუთავებელი ფეოდალური შინაომები, მოხელეთა ბოროტმოქმედებანი ჩვეულებრივი მოვლენა გახდა მაშინდელ ირანში. ყველაფერი ეს იწვევდა მწარმოებელი მოსახლეობის მდგომარეობის გაუარესებას, რასაც თან სდევდა გლეხთა მასობრივი აყრა-გაქცევა. ამან კი, თავის მხრივ, გამოიწვია სოფლის მეურნეობის მოშლა-გაჩანაგება. შაჰ ჰოსიენი შეძლებისდაგვარად შეუდგა მდგომარეობის გამოსწორებას. პირველ რიგში მან ყურადღება მიაქცია გლეხთა მიწაზე მიმავრების საკითხს²⁹. მაგრამ ეინადან შაჰი „თავათ ყმაწვილი იყო და მტერნი ამათნი ავად გამშინჯველნი“³⁰, სახელმწიფო საქმეებს ვერ ერეოდა და მისი ცდებიც ამოუგამოღება.

სეფიანთა დინასტიამ ფაქტიურად ჩამოშორდა ეიზილბაშური არისტოკრატია. თავის დროზე შაჰ აბას I-მა (1587—1629) მართალია, დაასუსტა ისინი, მაგრამ ეიზილბაშური ტომების ლაშქარი მიინც მთავარ სამხედრო ძალას წარმოადგენდა სახელმწიფოსათვის. ახლა სამხედრო არისტოკრატამ თითქმის მთლიანად დაკარგა თავისი გავლენა შაჰზე, ცენტრალურ ხელისუფლებაზე. უფრო მეტიც, მათ წარმომადგენლებს აძევებდნენ თანამდებობებიდან³¹. ეიზილბაში ხანების ჩამოშორება ნიშნავდა სეფიანთა სახელმწიფოს მთავარი სამხედრო ძალის დაკარგვას.

ჯერ კიდევ სოლეიმანის ზეობის ბოლო წლებში (1692—94 წწ.) სეფიანთა სახელმწიფოს შინაური წინააღმდეგობებით ისარგებლა გიორგი XI-მ და შაჰის ნებართვის მიუღებლად შეუდგა ქართლის სამეფოს გამგებლობას. ირანში კარგად იყო ცნობილი გიორგი მეფის მხნეობა და გამჭრიახობა. მას შეეძლო სათავეში ჩადგომოდა ანტიირანულ ძალებს და ამ რთულ ვითარებაში საშიშ ძალად მოვლენოდა სეფიანთა სახელმწიფოს. ირანისადმი მტრულად განწყობილ ოსმალეთსაც შეეძლო გამოეყენებინა ქართველი მეფე ირანის წინააღმდეგ ომ-

²⁸ К. Ашрафян, Падение державы Сефевидов, стр. 205.

²⁹ М. Р. Арунова, К. З. Ашрафян, Государство Надир-шаха Афшара, М., 1958, стр. 17. Пигулевская и др., დასახ. ნაშრ., გვ. 307.

³⁰ ს. ჩხეიძე, გვ. 311.

³¹ მხოლოდ ფათალი-ხანმა შეინარჩუნა პირველი ვაზირის თანამდებობა. მას არასოდეს შეუწყობია ცლა ხელში ჩაეგდო ძალაუფლება, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, გავლენა არ დაეკარგა შაჰზე (ს. ჩხეიძე, გვ. 322).

ში და თვითონ განემტკიცებინა პოზიცია საქართველოში, მით უმეტეს, რომ საამისო საბაზი კიდევაც ჰქონდა ოსმალეთს³².

სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა პოსეინის ტახტზე ასვლა, რომელმაც „ნი-
ყინა“ გიორგის მიერ „ძალად დაჭერა ტახტისა“ და მის დასამარცხებლად მხარე
რიცხოვანი ჯარით გაგზავნა განჯის ხანი ქალბ-ალ-ხანი, ცოტა ხნის წინ
სოლომანს ელჩობას რომ უწყევდა ოსმალეთის ხონთქართან³³.

შაჰის პოლიტიკის გამტარებლებმა მოახერხეს გიორგი მეფის ისტაპანში
გადახვეწა, რის შემდეგაც გიორგის ამაღლამ, სენხის სიტყვებით რომ ვთქვათ,
„რჯულ დაადგო“, ე. ი. შესლიმანობა მიიღო³⁴. გიორგის მსგავსი ძლიერი პი-

32 1687 წელს გიორგი XI თვითონ გადავიდა თურქში, ოსმალეთის სამფლობელოში, რაც
თვით შაჰის პოლიტიკით იყო გამოწვეული. შეშინებულმა შაჰ სოლიმანმა თხოვნით მიმართა
ხონთქარს და განჯის ხანი ქალბ-ალი-ხანი ელჩად გაუგზავნა: „რადგან ჩვენნი წყობა არი-
სო, ჩემი უფლი შენს საბატონოში არისო, მიმოქო“. ამ ცნობაში მოჩანს ანარეკლი იმ ბრძო-
ლისა, რაც XVI ს-ის ბოლოდან ნახევრიდან წარმოვიდა ირანსა და ოსმალეთს შო-
რის ამიერკავკასიის, ქურთისტანის, არაბეთის, ერაყისა და ამ ქვეყნებზე გამავალი
საეპო-საქარაუგო გზის ხელში ჩაგდებასათვის. ამ გზით კი ორივე სახელმწიფო თანაბრად
ყოფილი დინტერესებული — ხონთქარი ეპოტინებოდა გიორგი XI-ს, მაგრამ იმ დროს
საჭიროდ მიიჩნდა ირანთან 1639 წლის საზავო ხელშეკრულების დაცვა. მას ჯერჯერო-
ბით ძალა არ შესწევდა ახალი ომის გასაჩაღებლად, ამიტომ იგი თანახმა იყო გიორგი
გადაეცა შაჰისათვის. სუფიანთა სამფლო კარი სხვა დროსაც მოქცეულა ასე, როცა მა-
თი მოწინააღმდეგე, მანამდე მათთან ტყვედ მყოფი საქართველოს მეფე გამოუყენე-
ბით თავიანთი მტრების წინააღმდეგ (ამ შეიძლება დავასახელოთ სიმონ I-ის მავა-
ლითი. სხვათა შორის, სიუიანები ოსმალთა ტყვეობიდან მისი დახსნით ცდილობდნენ, რომ
იგი ოსმალებს ირანის წინააღმდეგ არ გამოეყენებინათ). მაგრამ ესეა გიორგის „ეგვიპტარები
მიუღგენ და აღარ დაანებეს და წაიღოდა ელჩი ცარიელი“. მასვე მიემხრნენ ქართველებიც
და გიორგის ქართლის დაკავება აღარ გასძნელებია. (ს. ჩ ხ ე ი ძ ე, გვ. 310; ვ. გაბაშვილი,
თბილისი XVI—XVIII საუკუნეების აღმოსავლურ წყაროებში), თსუ შრომები, ტ. 99, 1962,
გვ. 258; ვ. ჩ ო რ ი ე ვ ი, ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო, „ნარკვევები მახ-
ლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“, თბ., 1957, გვ. 335—337).

33 ს. ჩ ხ ე ი ძ ე, გვ. 311. ს. ჩხეიძის მონათხრობი ამ ამბებთან დაკავშირებით ძირითადად
ემთხვევა კათოლიკე მისიონერების ცნობებს. კათოლიკე მისიონერები წერენ, რომ გიორგი
მეფეს 2000 მეომრის გამოყვანა შეეძლო სპარსელების წინააღმდეგ. მათ კიდევ სძლედა თა-
ვისიანებს რომ არ ეღალატათ და სწორედ ამ ღალატის გამო გაშორდა იგი სამეფოსაცო,
რაც ისტორიულად დასაბუთებულია.

34 როგორც წყაროები მუთუთებენ, მიუხედავად იმისა, რომ იძულებული გახდა მუს-
ლიმანობა მიეღო, გიორგი XI ბოლომდე მაინც ქრისტიანი დარჩა. მ. თამარაშვილი მოგვიტო-
ხრობს, რომ გიორგი ურწმუნოთა იმ შორეულ ქვეყანაშიც დარჩა ერთგული კათოლიკური
სარწმუნოებისა, რომელიც სულით და გულთი მიიღო საქართველოში. იქ, როგორც ექიმე-
ბი და მოძღვრები სიკვდილამდე თან ახლდა ორი კაპუცინი პატრი (მ. თამარაშვილი,
ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 288). ამის შესახებ უფრო ვრცე-
ლი ცნობა აქვს კრუსინსკის. იგი სხვათა მონათხრობის საფუძველზე ამბობს: ეს მთავარი
ქრისტიანედ დარჩა და კათოლიკედ მოკვდა, როგორც მოგვიტოხრობენ, როდესაც მოკვდეს,
გულზე უპოვეს ჯვარი. საკვილის წინ წმინდა ზიარებაც მიიღო, რადგან მკურნალობის საბა-
ზით თან წაიყვანა ორი კაპუცინი პატრი რეზინადო და პატრი ამბროზიო მლანელი, რომე-
ლიც ჩემი დიდი მეგობარი და ნაცნობია (Krusinski, დასახელებული ნაშრომ., გვ. 83). მ. თამა-
რაშვილის არქივში, „პრობანანა ფიდეს“ მასალებში დაცულია გიორგი XI-ის წერილი რომ-
მის ჰა ინოკენტი XI-თან, დათარიღებული 1687 წლის 29 აპრილით, საიდანაც ირკვევა, რომ
გიორგი XI-ს კათოლიკობა მიიღია და თავის შვილს — ბაგრატსაც ავედრებს შაჰს: „ესეც
მინდა ღთსიანად კურთხეულის თქვენის ტახტის ნაპირს ეამორჩილო, რათა ესეც შეიღოდ თქვე-

როვნება შაჰ ჰოსეინს უფრო სკირდებოდა სეფიანთა წყალშემდგარი პოლიტიკის დასაცავად. საგლეხო მეურნეობის გაჩანაგება მოსპობას უქადაღ სეფიანთა სახელმწიფოს. როგორც წყაროები მიუთითებენ, მოსახლეობაზე გაწერილი გამოსაღები აქარბებდა ვადამხდელთა შესაძლებლობებს. ამის გამოც კარგად აჯანყებები დაპყრობილ ქვეყნებში, სადაც ვადასახადების სიმძიმე უნდა იქონიებდა სიმწვეავით ივრძობოდა. შაჰს არ გაჩნდა ისეთი ძალა, რომელზე დაყრდნობითაც შეძლებდა აჯანყებების ჩაქრობას და ძალაუფლების შენარჩუნებას. ამას თან ერთვოდა საშიშროება საქართველოდანაც. დაუსტებული სახელმწიფო ვერ გაუძლებდა ერთად რამდენიმე აჯანყებას. ამიტომაც ჯობდა გიორგი მეფის საქართველოდან შორს ყოფნა. გიორგის საქართველოდან მოცილებით შაჰმა ერთ-ერთი საშიში საფრთხე აიცილინა³⁵. იგი მიმართავდა პირმოთნობას, დიდძალი საჩუქრებით და თანამდებობების ბოძებით ცდილობდა ვასალური ქვეყნის, საქართველოს გამგებლისა და მისი ახლობლების გულის მოგებას.

შაჰ სოლთან-ჰოსეინმა გიორგი XI-ს უბოძა ქირმანის ბეგლარბეგობა, ხოლო მის ძმას ლევანს ქირმანის ნაიბობა მისცა³⁶. ქართული ელემენტის დაწინაურება სეფიანთა სახელმწიფოს პოლიტიკურ და სამხედრო სარბიელზე მჭიდროდა დაკავშირებული ჯერ კიდევ შაჰ აბას I-ის რეფორმებთან; შაჰ აბას I-ის მიერ შემოღებული წესის თანახმად, ქართველი ფეოდალი უნდა ყოფილიყო ისფაჰანის ტარულა, ყულარალასი. ამას გარდა ქართველ ფეოდალებს ეკავათ მთელი რიგი დიდი თანამდებობანი შაჰის კარზე. 1618 წლიდან მოყოლებული, თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე, ეს თანამდებობები უპირატესად ქართლის სამეფო სახლის წარმომადგენლებს ეჭირათ. შაჰ სეფი I-ის დროს კი (1629—1642) სახელმწიფო კაბინეტი, როგორც უცხოელი ავტორები მიუთითებენ³⁷, საერთოდ ქართული იყო. სეზნია ჩხეიძის თხულება კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ქართველი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწენი სეფიანთა სახელმწიფოს პოლიტიკურ

ნდა შეწყნარებულ იქნეს“. გიორგი XI სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ „ჩვენი საბატონო ალავი ყენს მორჩილობს და მის გარეშე ვერაფერს გაბედვენ“. ამიტომ არ შეეძლო მათი მტრისათვის „ბეერი ავი ექმნათ“ („პროპაგანდა ფიდეს წერილები“ № 1066). საბოლოოდ გიორგი XI-მ მოახერხა, რომ მის ძეს ბაგრატს თბილისში კათოლიკე მისიონერებთან ესწავლა (მ. თ. ა. მ. ა. რ. შ. ე. ლ. ი., დასახ. ნაშრ., გვ. 266), სადაც ლათინურ და იტალიურ ენებსაც ასწავლიდნენ (A Chronicle of the carmelites, London, 1939, გვ. 502—503) ასევე კათოლიკეა გიორგი XI-ის მძისშვილი ქიხოსროც. კრუსინსკის ცნობით, იგი „თბილისის, გორის, ვანჯის და თავრიზის მისიონერებს ყოველთვის მფარველობდა“ (კრუსინსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 87). საფრანგეთის კონსულმა ისფაჰანიდან პარიზში გაგზავნა ცნობა ირანის არეულობათა შესახებ, სადაც ქიხოსროს შესახებ წერდა: „ეს გენერალი ხოსრო-ხანი მძისშული იყო გიორგი ხანისა, რომელიც თავისთავა კერავში მოაკლევითა მირებისმა. ისინი ორივენი ქართველები და კათოლიკენი იყვნენ“... (T. Wair, გვ. 290).

³⁵ T. Krusinski, დასახ. ნაშრ., გვ. 87; შუქრ-ნამე, გვ. 42.

³⁶ ს. ჩხეიძე, გვ. 313.

³⁷ Voyage du Chevalier Chardin ed. Langles, Paris, 1811, V, გვ. 334; T. Krusinski, დასახ. ნაშრ., გვ. 11. იხ. აგრეთვე მინორსკი (Tadhkirat al-muluk გვ. 149). Дневник осады Исфагана... გვ. 3. Bellan, Shah-Abbas, I, sa vie, son histoire, Paris, 1932, გვ. 111—113. И. В. Пугулевская..., დასახ. ნაშრ., გვ. 273. ვ. გაბაშვილი, სეფიანთა სახელმწიფო, „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“, თბ., 1957, გვ. 244—245; ე. კუციბა, კავკასიური ელემენტი სეფიანთა ირანის პოლიტიკურ სარბიელზე, „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხბა“, თბ., 1963, გვ. 67. И. Петрушевский,

ცხოვრებაში. თსხულებიდან ირკვევა, რომ 1666 წელს შაჰ სოლთან სოფელი მანმა ისფაჰანის ტარულად ტრადიციისამებრ დაინიშნა ალექსანდრე შაჰისთვის. 1699 წელს ქირმანის ბეგლარბეგად შაჰ სოლთან-ჰოსეინმა დაინიშნა გიორგი XI, ხოლო ლევან ბატონიშვილი ქირმანის ნაიბად. 1701 წელს ბატონიშვილს ებოძა ირანის მდივანბეგობა; 1701—2 წლებში გიორგი XI-ის და ქართლი, ირანის სპასალარობა და ყანდაპარის ბეგლარბეგობა. 1703 წელს ქაიხოსრო ბატონიშვილი დაინიშნა ლევანის ნაიბად, ხოლო კონსტანტინე ერეკლეს ძე ისფაჰანის ტარულად. 1707 წელს ქაიხოსრო დაინიშნა ყანის ნაიბად და ისფაჰანის ტარულად. 1709 წელს გიორგი XI-ის ძმისწულს იესე ბატონიშვილს ებოძა ქირმანის ნაიბობა, ხოლო ქაიხოსროს ირანის სპასალარობა; ცოტახნის შემდეგ იესე ბატონიშვილს მიანდეს ქირმანის ბეგლარბეგობა, ხოლო როსტომ ლევანის ძეს ისფაჰანის ტარულობა. 1711 წელს იესეს, იგივე ალი-ყულიხანს ირანის თოფჩიბაშობა ებოძა. 1716 წელს ირანის სპასალარი უკვე ვახტანგ VI არის. 1722 წელს ბაქარ ვახტანგის ძეს სოლთან-ჰოსეინმა უბოძა ყულარაღასობა.

ისმის კითხვა, რატომ მიანცდა მიანც ქირმანის ბეგლარბეგობა და ნაიბობა უბოძა შაჰმა გიორგი XI-ს და ლევანს? ამ კითხვას გონიერულად პასუხობს თვით სეხნია: „არ ვეად მოიგონეს ქირმანის ამათი მიცემა... თურე ქირმანის ქვეყანა ბულუჯთაგან აოსრებულ იყენენ, რადგან, ეს მტერი ყვანდათ“³⁹. აქ შაჰ ჰოსეინმა ეშმაკური პოლიტიკა იხმარა. ქირმანის ბეგლარბეგონ ირანის სხვა მტრების წინააღმდეგ მიმართა. გიორგი XI-ს და ლევან ბატონიშვილს ახალი თანამდებობების წყალობით ირანის ტერიტორია უნდა დაეცვათ გარეშე მტრის — ბელუჯებისაგან.

ბელუჯები სეფიანთა სახელმწიფოს მიერ დაპყრობილ ტომთა იმ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ, რომლებიც ცხოვრობდნენ სახელმწიფოს საზღვარზე და მის სანახებში, სადაც ირანელი ფეოდალების ძალმომრეობა განსაკუთრებით მკაცრ ფორმებს ღებულობდა. ეს გამოიხატებოდა როგორც გადასახადების გაზრდაში, ისე რელიგიურ წინააღმდეგობაში⁴⁰. ეს იყო ძირითადი მიზეზი ბელუჯების აჯანყებისა და შემოსევების. ისინი ირანელთა ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ და იქნებ აღრინდელი ტერიტორიების დაბრუნებაც კი სურდათ⁴⁰.

Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении, т. 2, 89—144.

6. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ისტორიდან, გვ. 111—118.

სეფიანთა სახელმწიფოს შმართველი აპარატი საფუძვლიანადაა აღწერილი „თაზქირათ ალ-მულუქში“. ცალკეული თანამდებობანი განხილულია ისქანდერ მუნშის, მოჰამედ თაჰერე ვაჰიდის, შარდენის, ტავერაიის, რაუაელ დუ მანის, ბელჰანის და სხვათა თსხულებებში. ასევე შესწავლილია სამკოურ და ქცხოურ ორიენტალისტკურ ისტორიოგრაფიაში.

38 ს. წხეიძე, გვ. 314.

39 В. М. Массон, В. А. Ромодин, История Афганистана, II М., 1965, стр. 70.

40 ბელუჯები ისტორიულად მოსახლეობდნენ ირანის შთაგორიან ნაწილებში, ვაფანტული არიან აღდანთსა და ჰაიკისანში, ბელუჯისტანში. ბელუჯების შესახებ პირველი ცნობები მოეპოვებათ IX—X სს, არაბ გეოგრაფებს (იბნ-ხორდადბუჰი, მას, უდი, ისთახრი, იბნ-ჰაუკალი). იმ დროს ბელუჯები ცხოვრობდნენ ქირმანსა და სეისტანში. გვიან, სელჩუკებისა (XI ს.) და მონღოლთა (XIII ს.) დაპყრობების შედეგად ბელუჯები გადასახლდნენ ზემოთ დასახლებულ ტერიტორიებზე (М. Б. Пикулин, Белуджи, М., 1959, გვ. 17—

ბელუჯების წინააღმდეგ საბრძოლველად ისტაპანიდან ქირმანში შაჰ სეინმა ლევან ბატონიშვილი გაგზავნა. იმ „ათთოდე ქართველთან“ ერთად, მელნიც ლევანს გაატანეს, ამ ბრძოლის უშუალო მონაწილე იყო სეხნა, ჩეიძე. სეხნას მიხედვით, მანძილი ისტაპანიდან ქირმანამდე მათ 20 დღე უნდა იარეს (სხეანაირად ამ მანძილის დაფარვა იმ დროისათვის ალბათ შეუძლებელი იყო). ავტორი დაწვრილებით აღწერს ბრძოლის ეპიზოდებს, ქართველთა ვიკაცობას და თავგანწირვას, სიმხნევებს. განსაკუთრებით ამკობს ლევან ბატონიშვილს, რომელმაც გამჭრიახი გონებისა და მამაცობის წყალობით, ჯარის სიმცირის მიუხედავად, ბელუჯთა ბელადი მირ ზოსრო დაამარცხა ბანდარის მისადგომებთან, მეტად რთულ ადგილას, ისეთ ვითარებაში, სადაც ბელუჯებს „მრავალჯერ ამოეწყვიტათ და გაეჭყიათ ყიზილბაშნი“⁴¹.

ბელუჯების შემოსევები ხშირად მეორდებოდა, მაგრამ მათ აღვილად უმკლავდებოდნენ ლევან ბატონიშვილი და გიორგი XI. ბელუჯებს მალე ავღანელებიც შეუერთდნენ. მათ დაარბიეს ქაშანი. შაჰის ჯარმა ვერაფერი დააკლო ავღანთა და ბელუჯთა გაერთიანებულ რაზმს და დამარცხდა. გამარჯვებული ბელუჯები და ავღანელები კვლავ ბრძოლში გაგრძელებზე ფიქრობდნენ. შაჰი ახლა მთელ იმედებს გიორგი XI-ზე ამყარებდა. ამ უკანასკნელმა სისტანის ხანთან ერთად მეტად რთულ ვითარებაში კლდოვან ადგილას, სადაც საომრად კი არა, გზითაც არავის გაველო⁴², დაამარცხა და განდევნა ავღანელები და ბელუჯები. გიორგის თან ახლდა კარგად გაწვრთნილი ქართველთა ჯარი, რომელიც ბედის უკუღმართობის გამო ირანის ქალაქებს და სახელმწიფო საზღვრებს იკავდა.

ავღანელებმა მალე ისევ განაახლეს ბრძოლა. გიორგიმ გაგზავნა „ბამელი უსეინ ბეგი“ ქირმანის ჯარით, მაგრამ ის დამარცხდა. ავღანელებს უკვე მყარი პოზიცია ჰქონდათ და თავისი მრავალრიცხოვანი ჯარით მეტად საშიშ ძალას წარმოადგენდნენ ირანისათვის. გიორგი XI მარტო ვერაფერს გააწყობდა ძლიერი მტრის წინააღმდეგ, ამიტომ თავდაპირველად მან ბელუჯებთან შერიგების გზა არჩია⁴³.

სეფიანთა სახელმწიფო დიდი საშიშროების პირას იდგა. მისი აწეწილი საქმეების მოწესრიგება და ტრადიციული პოლიტიკის გაგრძელება მტკიცე ძალას, გამჭრიახ გონებას და დიდ შრომას მოითხოვდა. სეფიანთა დინასტიის უკანასკნელმა წარმომადგენელმა შაჰ ჰოსეინმა ავღანთა შემოსევების საფრთხის აღსაკვეთად 1704 წ. ყანდაპარში გაგზავნა გიორგი XI, რომელსაც ირანის სამეფო კარის წინაშე დიდი დამსახურებისათვის ებოძა „ქართლი, ირანის სახალარობა, ყანდაპარის ბეგლარბეგობა, გირიშქი“⁴⁴.

—24). ირანში დიდხანს მცხოვრები XVII საუკუნის ფრანგი კათოლიკე მისიონერის სასწინის ცნობით, ბელუჯები და ავღანები მოსახლეობენ მთებში და ცხოვრობენ როგორც პირველყოფილი ხალხი... ისინი არიან კარგი მეზობლები და მშვილდოსნები. ყანადობენ და არ ინდობენ ქარაენებს, მისდევენ მესაქონლეობას (*Voyage et Relation de l'Etat present du Royaume de Persie. Avec dissertation curieuse sur les Moers, Religion et Gouvernement de cet Etat. Par M. Sanson. Paris, 1695. გვ. 164*). ასევე ახასიათებს მათ კრუსინსკიც (დასახ. ნაშრ., გვ. 145).

41 ს. ჩხეიძე, გვ. 313.

42 იქვე, გვ. 318.

43 იქვე, გვ. 319.

44 იქვე, გვ. 320. შუქრ-ნამე, ფ. 42ბ: Krusinski, გვ. 67. ქ. ყანდაპარი და მისი

ყანდაპარში ამ დროს იბრძოდა ავღანთა ერთ-ერთი ტომის ბელადი მირსამანდარი. მას მოეკლა თამაზ სარდალი და დაემარცხებინა მასუღნან სარდალი, რომელიც შაჰის ბრძანებით იყო იქ წასული⁴⁵.

როგორც სანდო კაცი და იმ ქვეყნის ამბების კარგი მცოდნე, სტენდინგს⁴⁶ იძუებოდა ვაჟყვა მეფე გიორგის ყანდაპარზე ლაშქრობაში და ამ ქვეყნის მცვენი ყველი აღწერილობა დაგვიტოვა. იგი დაწერილებით აღწერს გზას ქირმანიდან ყანდაპარამდე, რომელიც ლაშქარმა უღაბნოზე საშინელ სიცხეში გაიარა. აქ სეხნია ჩხეიძე ავღანეთის ზაფხულის დამახასიათებელ სიტყვებს ცოტა არ იყოს გაზვიადებულად გადმოგვცემს. ამასთან ერთად აღწერს ყანდაპარის ციხეს, როგორც მეტად მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს, ხაზს უსვამს მის განსაკუთრებულ მდებარეობას, სიმტკიცესა და სიმაგრეს. მისი გადმოცემით, მალაღ ციხეს ვარშემორტყმული ჰქონდა სამი გალავანი და დატანებული ოთხი კარი: ქალაქი, სასახლე, მშვენიერი ბალები და მალაღ აზიდული ციხე მსახველთათვის დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა; ხოლო ერთი მხრივ ხანდაკი, უკან მინდორი და მეორე მხრივ კლდე, რომლის სიგრძე ერთი ალაჯი იყო, ციხეს მიუვალს ხდოდა⁴⁶.

წყაროები ადასტურებენ, რომ გიორგი მეფემ ყანდაპარში დიდი გავლენა და ძალა მოიპოვა, „ვინც ურჩნი იყვნენ დაიმონა და ერთგულს წყალობა უყვის“⁴⁷. გიორგიმ დიდი მოხერხებით გააყეთა ის, რისი გაკეთებაც ვერ შეძლეს ირანელებმა. მის ძლიერებაზე მიუთითებს თუნდაც ის, რომ შეშინებულმა მირსამანდარმა გიორგის „ფეშქაში“ გამოუგზავნა და შერიგება ითხოვა. „რადგან ღმერთს შენთვის ძლევა მოუტია და სახელოვანი ხელმწიფე ამ ქვეყანას გამოჩენილხარ, მიყვ წყალობა და ნახვა შენი მალისე, რაც ოდენ შენაცოდვარი მგ ქვეყანას მიქნია, შემინდე“⁴⁸. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სეხნიას ცნობით, გიორგი ყოველ შაბათს აწყობდა ქართველთა მეჯლისს, სამშაბათობით კი „თათრისას“⁴⁹. ქართველთა მხარულების ცალკე გამოყოფა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს გიორგი მეფის ძლიერებას.

განსაკუთრებული მეცადინეობითა და სიმკაცრით მან კარგა ხნით დაამყარა მშვიდობა ქვეყნის შიგნით და გარეთ. „საითყენაც ურჩნი იყო, უყვის ყათლამი“⁵⁰. უპირველეს ყოვლისა, წყაროები აღნიშნავენ, რომ მას ძველი მტრობა გაუღვივებია ავღანთა ტომების ღილზაულებსა და აბდალიებს შორის, რითაც ისე დაუსუსტებია აბდალიები, რომ აჯანყების თავი აღარ შერჩინათ. სეფიანთა მიმართ მტრულად განწყობილი აბდალიელთა ოჯახები ბელადები-

ოლქი შედიოდა სეფიანთა სახელმწიფოს გამგებლობაში უკვე 1657 წლიდან და მას შაჰის მოხელეები მართავდნენ (ფ. გორგიჯანიძის ისტორია, გამოც. ს. კაკაბაძის მიერ, „საისტორიო მოამბე“, II, თბ., 1925, გვ. 259).

⁴⁵ ს. ჩხეიძე, გვ. 320.

⁴⁶ ს. ჩხეიძე, გვ. 321. ყანდაპარსა და მის ისტორიულ მნიშვნელობაზე დაწერილებით იხ. მ. გ. გობედჯიშვილი, Сведения Сехина Чхендзе о Кандахаре, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, III, 1971, გვ. 273—277.

⁴⁷ ს. ჩხეიძე, გვ. 321; Krusinski გვ. 6, შუქრ-ნამე, ფ. 24ა.

⁴⁸ ს. ჩხეიძე, გვ. 322.

⁴⁹ იქვე, გვ. 321.

⁵⁰ იქვე.

ანად ათასობით ჰერათსა და ირანში გადაიყვანეს საცხოვრებლად. მათი ადგილები და საძოვრები ღილზაელებს დაუბრუნდათ⁵¹.

ამის შედეგად, მართალია, ავღანეთში ერთ ხანს მშვიდობა ჩამოვარდა, მაგრამ მალე სხვანაირად შეტრიალდა საქმე. ღილზაელები ისე გაძლიერდნენ, რომ „არად ინებეს სამსახური მეფისა“. ისინი უკმაყოფილონი იყვნენ მამი-კლერაჟის მიერ შემოტანილ თითქოს გიორგი მეფე თავდაპირველად მფარველობას უწევდა აბღალიებს. ამ წინადაზზე და ვადიდებულად ვადასახადების გამო მომხდარ პატარა აჯანყებებს ყანდაპარის ბევლარბეგი ადვილად ერეოდა, მაგრამ მას კარგად ესმოდა, რომ ავღანელები ადვილად არ დაშოშმინდებოდნენ, მით უმეტეს, რომ აჯანყების სულისჩამდგმელი იყო ყანდაპარის ქალანთარი, ღილზაელების ტომის მეთაური მირ-ვეისი.

გიორგი XI-მ, რომლისთვისაც აუცილებელი იყო თავისი ხელისუფლების განმტკიცება, მირ-ვეისი შაჰ ჰოსეინს გაუგზავნა და თან მისწერა — სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის მისი ყანდაპარში დაბრუნება მიზანშეწონილი არ არისო⁵². ამ ფაქტობრივობას შაჰმა ან ყური არ ათხოვა, ანდა თვითონ მირ-ვეისმა ეშმაკობით მოახერხა შაჰის გულის მოგება და სათანადო დახმარების მოპოვება ყანდაპარში დაბრუნებისა და გიორგი მეფესთან შერიგების მისაღწევად. შაჰმა მირ-ვეისს უშუამდგომლა გიორგისთან, „შეირიგეო და მიიჩნეო მის მართებულადო“⁵³, რითაც დიდი შეცდომა ჩაიდინა. თ. კრუსინსკი შენიშნავს, „შაჰ ჰოსეინი ვერ კიდევ ტახტზე იქნებოდა, ისე რომ მოქცეულიყო, როგორც ეს ბრძენი მმართველი ურჩევდო“⁵⁴.

მირ-ვეისმა საწაღელს პირმოთნობითა და ორბირობით მიადგინა. პირველად, სანამ ის შაჰის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, სდუმდა და ისე იქცეოდა, რომ მისი ორგულობა დაფარული ყოფილიყო. შემდეგ გადავიდა გიორგი მეფის მეხოტბეთა რიგში, რათა ამით შაჰის ნდობა მოეპოვებინა და, ბოლოს, როცა ეს მოახერხა, რაც, იოსებ ქართველის ცნობით, თითქოს 600 000 ეკიუდ დაუჯდა, ყოველნაირად ცდილობდა შაჰის გულში ეჭვი აღემრა ყანდაპარის ბევლარბეგის მიმართ⁵⁵. შაჰის ეჭვს გიორგის ერთგულებაზე აძლიერებდა

⁵¹ И. М. Рейснер. Развитие феодализма и образование государства у афганцев, М., 1954, 318. В. М. Массон, В. А. Ромодин, დასახელებული ნაშრომი, I, 33-70—71.

⁵² ს. ჩხეიძე მიუთითებს, რომ მირ-ვეისი გიორგიმ „ჩაჯრად“ გაგზავნა და არა როგორც ტყვე (ს. ჩხეიძე, გვ. 322). ასეთავე ცნობას გვაწვდის თ. კრუსინსკი: „გუბერნატორი დაკმაყოფილდა იმით, რომ წაიყვანა იგი (მირ-ვეისი) კარზე არა როგორც ტყვე, მაგრამ მინდ საკმაო მეთვალყურეობის ქვეშ, რადგან მას ადვილად შეეძლო გაქცევა. იმავე დროს გიორგი შეუთანხმდა შაჰს, რომ თვალს დივიდრდნენ და არასოდეს ნებას არ დართავდნენ მირ-ვეისს ყანდაპარში დაბრუნებულყო, თუ კი მას სურდა ამ პროვინციის შენარჩუნება (Krusinski, დასახ. ნაშრ., გვ. 166, 199). მამი-კლერაჟისა და ჰანევის ცნობით კი, მირ-ვეისი ბორჯილგაყარილი მიიყვანეს ისფაჰანში. აქ მამი-კლერაჟი იმოწმებს იოსებ ქართველის პირველ რეალციონს (Mamyre-Clairac, გვ. 13. Hanway, გვ. 25). ზოგიერთი წყაროს მიხედვით კი მირ-ვეისი თითქოს თავისი ნებთ წასულა ისფაჰანში გიორგის დასაბეზღებლად (М. Арунова, Гератское восстание, გვ. 155). იოსებ ქართველს თურქულ თხზულებაში დასახელებულია ქართველთა ჯარის რიცხვი—4000, რაც გამოტოვებულია მამი-კლერაჟის მიერ; ასეთი რიცხვი ჩვენ ცოტა გაზვიადებულად მჯეჯანია.

⁵³ ს. ჩხეიძე, გვ. 323.

⁵⁴ Krusinski, გვ. 166.

⁵⁵ იოსებ ქართველის ეს ცნობა ციტირებულია ლოკარტის ნაშრომის მიხედვით (L. Lockhart, დასახ. ნაშრ., გვ. 120). იოსებ ქართველი და თ. კრუსინსკი ერთნაირად მიუთით-

რუსეთის საკითხთან დაკავშირებით ისრაელ ორის ისტაპანში გამოჩენა, ამო-
მირ-ვეისმა საწადელს მიადნია. შაჰმა მექიდან დაბრუნებული მირ-ვეისი ყან-
დაპარში მხვერავად გაგზავნა და, როგორც ითქვა, გიორგისთან შუამდგომლობა
როლშიც გამოვიდა⁵⁶.

მირ-ვეისის ორპირობამ თავისი შედეგი გამოიღო. რაკი შაჰის ნდობა, მირ-
პოვა, მან შემოიკრიბა სეფიანთა სახელმწიფოს მტრები და 1709 წლის 29 აბ-
რილს, როდესაც გიორგის ჯარის უმეტესი ნაწილი გიორგის ძმისწულის ალექ-
სანდრეს მეთაურობით წასული იყო ავღანეთის ერთ-ერთი განდგომილი ტომის
აჯანყების ჩასაქრობად, ყანდაპარიდან „ორს მანძილზე“, დეპი შეისში, გაიძვე-
რულად მოახერხა გიორგის და მისი ახლობლების ამოწყვეტა, რასაც მოჰყვა
ქ. ყანდაპარის უტყარი იერიში და აღება⁵⁷. ს. ჩხეიძის ცნობის მიხედვით, მირ-
ვეისმა პირდაპირი შეტაკების დროს მოკლა ვაჟაკურად და მეღვრად მებრძო-
ლი გიორგი XI. მაგრამ სეხნია ჩეიძე ამ ამბების „თვითმხილველი“ არ ყო-
ფილა. იგი ამ დროს იმყოფებოდა საქართველოში ვახტანგ VI-თან, ამიტომ
თხზულების ეს ნაწილი სხვათა „მონაყოლით“ აქვს შესებული. ამ მხრივ უფრო
სწორი უნდა იყოს იოსებ ქართველის ცნობები. მართალია, ამ ხანებში იოსებ
ქართველიც არ იმყოფებოდა ირანში და მასაც ალბათ ირანში მყოფი ან ამ ომში
მონაწილე ქართველებიდან უნდა ჰქონდეს გაგებული ყანდაპარის ტრაგედიის
ამბავი, მაგრამ აქ იგი ძირითადად ემთხვევა თ. კრუსინსკის მონათხრობს. იოს-
ებ ქართველისა და თ. კრუსინსკის ცნობებით, მირ-ვეისმა პირდაპირ შეტა-
კების დროს კი არ მოკლა გიორგი მეფე, როგორც ამას სეხნია გვიამბობს,
არამედ მზაკვრულად, ლხინისა და ღრეობის შემდეგ, წინასწარ შედგენილი

თებენ უფროს საპურისზე და ფათალი-ხანზე, რომელთაც აღმოუჩინეს დახმარება მირ-ვეისს.
მათ სძულდათ გიორგი იმის გამო, რომ ქართველს ერგო ისეთი მდიდარი პროვინცია, როგო-
რიც იყო ყანდაპარი. ფარულად ისინი ყოველთვის ეძებდნენ მის საწინააღმდეგო შესაფერის
ნომენტს. მათი დახმარებით მირ-ვეისმა თავისუფლება მოპოვა და ყანდაპარში წავიდა გიორგის
სათვალთვალოდ (Mamyé-Clairac, გვ. 31. დამოუკმებულია იოსების პირველი რელატია,
Wair, გვ. 483; Krusinski, გვ. 223).

56 ს. ჩ ხ ე ი ძ ე, გვ. 323. Krusinski გვ. 168. С. Гилянениц, გვ. VIII. პროფ: ვერი
მიუთითებს, რომ იოსების თურქულ თხზულებაში გამოტოვებულია მირ-ვეისის ვითომდა შექაში
მომოლოცობა და დანტატიკური ისტორია რუსეთის ელჩის, ისრაელ ორის შესახებ. ხელნაწერ-
ი მოვეითხრობს, თუ როგორ მოახერხა მირ-ვეისმა ხანის ექვის გაუნატეცი. (Wair, გვ.
483. Mamyé-Clairac, გვ. 57. В. Массон, В. А. Ромодин, დასახ. ნაშრ.,
გვ. 71. И. М. Рейснер, დასახ. ნაშრ., გვ. 309. Возникновение и распад Дурранийской
державы, Очерки по новой истории стран Среднего Востока М., 1951, გვ. 65.

57 ს. ჩ ხ ე ი ძ ე, გვ. 325. იოსებ ქართველი გრცლად ვაღმოგვეცემს ამ ამბებს. მისი ცნო-
ბით, ავღანთა ტომმა უჩაი ვანაცხადა ხარკის გადახდაზე. მირ-ვეისმა გიორგის უჩრიხა მათი
ვანადგურება და, აშკარად, ყანდაპარიდან მოიცილა ქართველი მეომრები. შემდეგ მან დაპა-
ტრია გიორგი თავის სამფლობელოში, ყანდაპარის მახლობლად, რათა მიეღო მორჩილება და
საჩუქრები ორივე უჩრისაგან. ამავე დროს პატიება ითხოვა. გიორგი ხანდანში გაემა და წვე-
ულებს დროს, რომელიც ამ სტუმრობას მოჰყვა, ის და ყველა მისი მსლობელი დახოცეს
(Wair, დასახ. ნაშრ., გვ. 484). ნამი-კლერაკსაც იოსებ ქართველის ცნობა აქვს ვაღმო-
ცემული (Mamyé-Clairac, დასახ. ნაშრ., გვ. 65. Krusinski, გვ. 225). შემდეგ
მირ-ვეისმა გიორგის ტანსაცმელი ჩაიკვა და სხვასაც ასევე უბრძანა. ასე ვაღაცემული მხის
ჩასვლის ერთი საათის შემდეგ გამოჩნდნენ ციხე-სიმაგრესთან. ციხის მცველი, რომელმაც
იფიქრა ხანი დაბრუნდოდა, ჩამოვიდა ჩირაღდნით ხელში მათ შესაშვებად. ისიც შეაპყრეს და
მოკლეს და ციხე-სიმაგრე აღებულ იქნა. მეორე დღეს დაბრუნდნენ ქართველთა ჯარის ნაწილები,
მთებში რომ იყვნენ გაგზავნილი აჯანყების ჩასაქრობად და ნახეს, რომ ქალაქი მირ-ვეისს
დეაკვებინა (Wair, გვ. 4).

გეგმის მიხედვით. მირ-ვეისს მოუღუნებია გიორგი მეფის სიფხიზლე და როდესაც ყველაფერი წინასწარი მოფიქრებით მოამზადა, გარს შემოიკრიბა ავრანელები და ბელუჯები და სათანადო მითითება მისცა.

მართალია, წყაროები ამ ბრძოლის შესახებ ერთი შეხედვით ბუნებრივად ბულ ცნობას გვაწვდიან, მაგრამ ერთი რამ ყველგან ცხადია: აჯანყებული ავღანელების დასამორჩილებლად გაგზავნილი ქართველთა რაზმი უფლისწულ ალექსანდრეს მეთაურობით ყანდაპარში გამარჯვებული დაბრუნდა. აქ მათ დიდი შეტაკება მოუხდათ მირ-ვეისთან, რამდენჯერმე დაამარცხეს კიდევ იგი, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ბრძოლის ველი და თავი შეაფარეს გირიშქს, ციხე-სიმაგრეს, რომელიც აღრე შაჰ ჰოსეინმა გიორგი XI-ს უბოძა. სენნია ჩხეიძე დაწვრილებით აღწერს ქართველთა ამ ბრძოლის ეპიზოდებს. მისი ცნობით, მირ-ვეისმა ალექსანდრეს შეუთვალა: „წაიყვანე მეფის ქულფათი“⁵⁸. **كفر** მსახურს ნიშნავს, მაგრამ ამ შემთხვევაში „ქულფათში“ ალბათ იგულისხმებიან მოკლული მეფის სახელულნი: ქალები ბავშვები, მოხუცები, რომლებსაც მირ-ვეისმა ხელი არ ახლო ქონება კი თვითონ დაიტოვა.

ყანდაპარისათვის ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. შაჰ ჰოსეინმა ქალაქის აღება დააჯალა გიორგის ძმისწულს ქაიხოსროს და ამასთან ერთად უბოძა მას ქართლი, ირანის სპასალარობა, თავრიზი და ბარდავი. ბატონიშვილ იესეს შესაბამისად ებოძა ქირმანის ბეგლარბეგობა, ხოლო როსტომ ლევანის ძეს — ისფაჰანის ტარულბა⁵⁹. ქაიხოსროს დიდი ჯარი სჭირდებოდა მირ-ვეისის დასამარცხებლად რაც მნიშვნელოვან ხარჯებსაც ითხოვდა. შაჰი თავის მხრივ ყოველგვარ დახმარებას შეჰპირდა მას. ქაიხოსრომ, რომელსაც ალბათ ირანის ლაშქრის იმედი არა ჰქონდა, საქართველოდან დაიბარა ქართველთა ჯარი. მასვე შეუერთდა ბატონიშვილ იესეს და როსტომის ჯარი და ალექსანდრეც გადარჩენილ ქართველთა რაზმით⁶⁰.

ქაიხოსრომ ჯარი შეკრიბა მეშქედში და იმავე წელს დაიძრა ყანდაპარისაკენ („იარა მეფემ ხოსრო და ჩავიდა ყანდაარსა“). მას მირ-ვეისის დამარცხება არ გასჭირვებია („მივიდა ციხესა ყანდაარისასა, შემოება მირ-ვეისი, გაემარჯვა მეფესა. ამოსწყვიტეს მრავალი“). ბრძოლა მომდევნო წელსაც გაგრძელდა. მირ-ვეისმა ეშმაკობას მიმართა. გაიქცა და ჩაიკეტა ციხეში, შემდეგ კი მოულოდნელად დაესხა თავს ქაიხოსროს. მაგრამ ქართველებმა „აღრე შეუტყვეს და დაემზადნენ“. ამ ბრძოლაში დახოცეს მირ-ვეისის ძმა და ძმისწული. თვითონ მირ-ვეისი კი გაიქცა. ბრძოლა თანდათან მწვავე ხასიათს ღებულობდა. ამ ბრძოლას 1711 წ. 27 სექტემბერს შეეწირნენ მეწინავე რაზმში მყოფი ბატონიშვილი ალექსანდრე და რამდენიმე ქართველი დიდებული. ცოტა ხნის შემდეგ კი, 1711 წლის ოქტომბრის დასაწყისში, მირ-ვეისი მთელი თავისი ლაშქრით შეება ქაიხოსროს და მის ჯარს. სენნიას სიტყვით, „შეიქნა ომი ფიცხელი“. ირანის ჯარი გაეცა ქაიხოსროს⁶¹, მაგრამ მან მაინც არ დაიხია უკან. „მიქუსლა ცენი,

⁵⁸ ს. ჩხეიძე, გვ. 325.

⁵⁹ იქვე, გვ. 326.

⁶⁰ წყაროები მიუთითებენ, რომ ქაიხოსროს ჰყავდა 30000 ირანელისა და 1200 ქართველისაგან შემდგარი ჯარი.

⁶¹ „გამოქცა თათრის ჯარი მეფესა, დარჩნენ ზოგნი ვინმე ქართველნი“ (ს. ჩხეიძე, გვ. 326).

შეერთა შიგა, ვითარცა ქორი კაჯახსა გუნდისასა“. ეს შეტაკება საბუნდისწერო აღმოჩნდა ქართველი ბატონიშვილისათვის: ვათხრილ რუში ცხენმა წაიბორძიკა და წაიქცა. ამით ისარგებლეს ავღანელებმა და ხმლით აეუწყეს ქვეყანასა“⁶². (რა ჰსცნეს ცხენის-წაქცევა, წამოეხვიენენ, დაჩეხეს ხმლითა)⁶². უნდა იქნებოდეს

ამრიგად, ყანდაპარი საბოლოოდ გადავიდა ავღანთა მფლობელობაში. მისი დაბრუნება შეძლო მხოლოდ ნადირ-შაჰმა 1738 წელს.

სეხნის ცნობით, ქახოსროს სიკვდილის შემდეგ ქართლის გამგებლობა ვახტანგ VI-ის ხელში უნდა გადასულიყო, მაგრამ რადგანაც მან უარი თქვა სარწმუნოების გამოცვლანე, ის ქირმანში გაიწვიეს, ქართლის გამგებლობა კი მის გამაჰმადიანებულ ძმას იესეს მისცეს⁶³. ქირმანში ვახტანგი დიდხანს არ დარჩენილა. 1716 წელს იგი იძულებული გახდა მიეღო მაჰმადიანობა და სახელიც — უსეინ-ყული-ხან. სანაცვლოდ, ტრადიციისამებრ, ქართლის მეფობასთან ერთად მას უბოძეს ირანის სპასალარობა, თავრიზი და ბარდავი⁶⁴.

პოლიტიკური არეულობით ირანში ისარგებლა პირველმა ვეზირმა, შაჰის ფაზრდილმა ლეკმა ფათჰ-ალი-ხანმა, „შამხლისა სახლის კაცთაგან“. მან განიზრახა ძალაუფლების ხელში ჩაგდება. ეს არ გამოჰპარვია შაჰ ჰოსეინს, რომელიც იმ დროს იმყოფებოდა თეირანში (ალბათ ამ გარემოებამაც შეუწყო ხელი პირველ ვეზირს). შაჰ ჰოსეინმა ფათჰ-ალი-ხანი „დაიჭირა და დასთხარა თვალები და იავარპყო ქონება მისი“⁶⁵. სეხნია ჩხეიძის ცნობა ძირითადად ეთანხმება სხვა წყაროებში აღწერილ ამბავს შაჰის პირველ ვეზირზე. ამ ცნობის საფუძველზე ნათლად ჩანს შაჰის უმწეო მდგომარეობა. ჰოსეინს ნაკლებად ეპუებოდნენ და ძალაუფლების ხელში ჩაგდება სურდათ შაჰის კარზე აღზევებულ დიდ მოხელეებს. ამიტომ იყო, რომ შაჰ ჰოსეინმა ვასალურ ქვეყნებს შორის ყველაზე უფრო ძლიერი საქართველოს გამგებლები პირმოთენობით და საჩუქრებით გადაიბირა და მათი დახმარებით ცდილობდა ქვეყანაში მდგომარეობის გამოსწორებას.


ირანის სახელმწიფოს უშიშროების მიზნით ლეკების აჯანყების ჩაქრობა დაევალა ვახტანგს, რომელიც სათანადოდ მოემზადა კიდევაც ამ ბრძოლისათვის. მაგრამ ბრძოლის დაწყების წინ მას უბრძანეს უკან დაბრუნებულიყო, ხოლო ლეკთა აჯანყების ჩაქრობა შირვანის ხანს დაევალეს. ლეკებს ეს ამბა-

62 ს. ჩხეიძე, იქვე. რაც შეეხება შაჰის მიერ ქახოსროს ლაშქრობისათვის გამოყოფილ თანხას, იოსებ ქართველის ცნობით, ნახევარზე მეტი მიითვისა შაჰის პირველმა ვეზირმა სუნიტმა ფათჰ-ალი-ხანმა. აღრე მან ხელი შეუწყო მირ-ვეისს მისი ზრახვების განხორციელებაში და ახლაც აწკარად გამოდიოდა ქართველთა წინააღმდეგ (T. Wair, გვ. 485).

63 ს. ჩხეიძე, გვ. 326.

64 იქვე, გვ. 327. ვახტანგ VI-ის შესახებ საკმაოდ ვრცელი ცნობები მოგვითხრობს თ. კრუსინსკისაც, რომელიც ვახტანგთან დაახლოებული პირი ყოფილა. ს. ჩხეიძის და თ. კრუსინსკის ერთნაირად აღნიშნავენ, რომ ვახტანგს არ სურდა მაჰმადიანობის მიღება. როგორც კრუსინსკი ვაძმოვეცემს, თურმე ვახტანგ VI-ს კათოლიკობის მიღება უნდოდა კრუსინსკის ხელით, მაგრამ გამოუვალი მდგომარეობის გამო გამაჰმადიანდა. მაინც, ერთ-ერთი საუბრის დროს ვახტანგ VI გამოუტყდა კრუსინსკის, რომ თემცა სხეულით მუსლიმანი გავხდი, მაგრამ სულით ისევ ქრისტიანი ვარო (Krusinski, დასახ. ნაშრ., გვ. 105).

65 ს. ჩხეიძე, გვ. 328. იოსებ ქართველის თურქულად დაწერილი რელაციონის მიხედვით ფათჰ-ალი-ხანმა დაიპყრო შირვანი, შემახა არღებილი, მაგრამ შემდეგ ის დაამარცხა მოჰამედ-ყულიმ (ვახტანგმა), პირველი ვეზირის თანამდებობა ჩამოართვეს და თვალები დაიხარეს (Wair, დასახ. ნაშრ., გვ. 486).



ვი ძალზე ესია მოვინათ, „რადგან ლომის ხელისაგან მოერჩითო, ყოზილბაშო ხმალი ჩვენ ვიცითო“⁶⁶. ლეკებმა დანაქალი შეასრულეს, შირვანის ხანი დაამოკცხეს, მოკლეს და შირვანიც დაიკავეს⁶⁷.

განაწყენებული ვახტანგ VI კი, მოუხედავად იმისა, რომ ირანთან დასაწყისად დამოკიდებულება ავალბდა ლაშქრით დახმარებოდა სიუხერესს, შემდეგში აღარ მიეშველა გაჭირვებაში ჩავარდნილ შაჰ ჰოსეინს, რომელსაც დამოუკიდებლად აღარ შეეძლო ავღანელთა წინამძღოლ მაჰმუდისათვის წინააღმდეგობის გაწევა. საფიქრებელია, რომ ვახტანგ VI კარგად გრძნობდა ირანის მდგომარეობას, ხედებოდა, რომ შაჰს ახლა მისთვის არ ეცალა და დასჯასაც ვერ გაბედავდა, როგორც ეს ხდებოდა ადრე, შაჰ აბას I-ის დროს.

სეხნია ჩხეიძეს კარგად ესმის შაჰის ბრძანების უეცარი შეცვლის მიზეზი: „მაგრამ რა ღმერთი კაცს გაუწყრება, ჰკუცა დაიფანტება, თვარა რა საბრუნებელი იყო: ეფიქრებნათ, „თუ მეფემ ვახტანგ ჰარი დაიჭირა, ქვეყანასაც ის დაიჭერსო“⁶⁸. სეხნია ჩხეიძე რეალისტურად, საქმიანად აფასებს მოვლენებს. ის კარგად ხედავს სეფიანთა სახელმწიფოს დაცემის ნიშნებს და სულაც არ აჭარბებს ვახტანგ VI-ის ძალების და საერთოდ ქართველი მხედრობის მნიშვნელობას⁶⁹.

მირ-ვეისის გარდაცვალების შემდეგ (1715 წ.) სეფიანთა სახელმწიფოს წინააღმდეგ დიდი ბრძოლა გააჩალა მისმა შვილმა მაჰმუდმა, რომელც 1717 წ. ყანდაზარის მმართველი გახდა⁷⁰. ასევე აღსდგნენ დაღესტნელები, ჰერათში გადასახლებული აზღალიები და სხვა ტომები. ნახევარი საუკუნის წინ შაჰ აბას II-მ გადაკვეთილი თანხა დაუნიშნა ლეკებს იმ პირობით, რომ ისინი შეწყვეტდნენ თავდასხმებს მეზობელ ქვეყნებზე. შაჰ სოლთან-ჰოსეინის დროს კი ამ ფულის მითვისება დაიწყეს შაჰის მოხელეებმა. ამიტომ საუკუნის დასაწყისიდან ლეკებმა, ჰარელებმა, თალაელებმა დაიწყეს თავდასხმები საქართველოსა და შირვანზე. გარდა ამისა, შიიტები არბევდნენ შირვანის სუნიტ მოსახლეობას. შირვანელებმა თურქეთის სულთანს სთხოვეს დახმარება, ბევრი თურქეთშიც გაიქცა, დარჩენილები კი მზად იყვნენ ასაჯანყებლად⁷¹.

ბელუჯებმა კვლავ დაიწყეს ქირმანისა და ლურის დალაშქვრა⁷². 1721 წ. 4 ათასი ბელუჯი თავს დაესხა ბენდერაბასს. ქალაქის გაძარცვის შემდეგ მათ მონიდომეს ინგლისელებისა და პოლანდიელების ფაქტორიების დარბევა, მაგ-

66 ს. ჩხეიძე, გვ. 329.

67 იქვე.

68 იქვე.

69 ასეთ მოსაზრებას უცხოური წყაროებიც ასაბუთებენ. ქ. პატკანიანი, ამ წყაროებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ვახტანგის დროინდელ საქართველოს დიდ სამხედრო-პოლიტიკურ შესაძლებლობებს: „ვახტანგ-ხანს რომ მარჯველ გამოეყენებინა პირობები, მისთვის მისი ქართველებით ძველი არ იქნებოდა სპარსეთიდან გაედევნა ავღანები და ეთამაშა ის როლი, რომელსაც შემდეგში თამაშობდა ნადირ-შაჰი. სპარსეთის დამპყრობლებს შიშს ჰგვირდით თუნდ ერთი გამოჩენაც ქართველთა მხედრობისა, რომლის ძალაც არაერთხელ უგემნით საკუთარ სამშობლოში“ (Дневник осады Исфагана афганцами, შენ. 85).

70 ს. ჩხეიძე, გვ. 329. იოსებ ქართველის ცნობით, მაჰმუდს მექლისის დროს მოუკლავს თავისი ბიძა და მის ადგილზე დამჯდარა (Wair, დასახ. ნაწი., გვ. 486).

71 Lockhart, დასახ. ნაწილი.

72 იოსებ ქართველის ცნობით, ბელუჯებმა ავღანელებთან ერთად მოაწყეს ქირმანზე ლაშქრობა (Wair, გვ. 486).

რამ დამარცხდნენ და უკან დაიხიეს. 1720 წელს აჯანყდა ლურასტანი და ქუთისტანი. შაჰს განუდგა მელიქ მაჰმუდ სისტანელიც. 1721 წელს შირვანელი სუნიტები აჯანყდნენ ჰაჯი დაუდის მეთაურობით. აჯანყებამ მოიცვა ხუდუდბეგის ვაჭრები. ირანის სახელმწიფოს თანდათან ძალა ეცლებოდა და დიდ მწიფობას ვაჭრების გაწევის თავი აღარ ჰქონდა⁷³. ამით ისარგებლა მირ-მაჰმუდმა, დიდი ჯარი შეჰყარა და 1721 წელს დაძრა ისფაჰანისაკენ, შაჰმა „გააგება ჯარი, აღაჯსა სამსა“⁷⁴. მაგრამ ავღანელებმა სასტიკად დაამარცხეს შაჰის ლაშქარი, რომლის მხედართმთავრებს შორის განხეთქილება და წინააღმდეგობა სუფევდა. ავღანელებმა დიდი სამხედრო უპირატესობა მოიპოვეს. მართალია, მათ იერიშით ქალაქების აღების გამოცდილება არ ჰქონდათ, მაგრამ მაჰმუდმა ისფაჰანს ალყა შემოარტყა, დადგა ჯულფას, „შეუკრა ყოველგნით გზა და შეწუხდა ისპაანი შიმშილითა“. ირანის შაჰს არ დაეხმარა არც ერთი ოლქის მმართველი, არც ერთი ხანი და დამოკიდებული ქვეყნების გამგებელი. გაქირვებაში ჩავარდნილ შაჰ ჰოსეინს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შემწეობა არ აღმოუჩინა ვახტანგ VI-მაც, რომელიც ამ დროს ერთმორწმუნე ქრისტიანული რუსეთიდან ელოდა დახმარებას. 1722 წლის 10 ოქტომბერს შაჰ ჰოსეინი დანებდა და თავისი გვირგვინი და ტახტი მაჰმუდს დაუთმო⁷⁵. ამის შემდეგ ავღანელებმა მალე მთელი ცენტრალური ირანი დაიკავეს და ფაქტიურად ბოლო მოუღეს სეფიანთა სახელმწიფოს.

გარდა პოლიტიკური ისტორიის ფაქტებისა, რომლებიც ძირითადად ირან-საქართველოს, ირან-ავღანთა და ირან-თურქეთის ურთიერთობათა ისტორიის საკითხებს ეხება, სენია ჩხეიძეს საყურადღებო მასალა მოეპოვება აგრეთვე XVIII საუკუნის დამდეგის ირანის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის შესასწავლად. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართველი ისტორიკოსის ცნობები სეფიანთა სახელმწიფოს სატახტო ქალაქის ისფაჰანის მცხოვრებთა აჯანყების შესახებ 1707 წ. მაის-ივნისში. ჩვენი ავტორი თვითმხილველია ამ ამბებისა და შესანიშნავად ვაღმომგვცა იმდროინდელი ირანის მიმე მდგომარეობა, ხალხის დამშვიდების მწვავე შემთხვევა და მისი ღრმა სოციალური შინაარსი. ს. ჩხეიძის მოთხრობა ისფაჰანის აჯანყების შესახებ განსაკუთრებით ძვირფასია საისტორიო მეცნიერებისათვის, რადგან სხვა წყაროებმა არ შემოგვიჩინეს ცნობები ამ აჯანყებაზე.

თავის ისტორიის მანძილზე სეფიანთა სახელმწიფოს ქალაქების არაერ-

⁷³ В. А. Массон, В. А. Ромодин, История Афганистана, II. М. 1965, გვ. 74—75. М. Р. Арунова, К. З. Ашрафян, Государство Надир-шаха Афшара. гв. 54—55. И. М. Рейснер, Возникновение и распад Дурранийской державы, гв. 66—67.

⁷⁴ ს. ჩხეიძე, გვ. 329.

⁷⁵ ს. ჩხეიძე, გვ. 30. იოსებ ქართველი იმ დროს, როდესაც ავღანელებმა დაიპყრეს ისფაჰანი, იმყოფებოდა სასახლეში და საკუთარი თვლით ნახა როგორ დაადგა თავზე შაჰ ჰოსეინმა მირ-მაჰმუდს სეფიანთა სამეფო გვირგვინი. იოსების ცნობით, შაჰს გარეთ აცდევინეს თითქმის ზაათნახევარი. შემდეგ მაჰმუდს მიუმართავს მისთვის „ნუ ნალელობთ, ეს ადგილი ღმერთის ბედს წერის მიხედვით მსოფლიოში ხელიდან ხელში გადადის, თქვენ ახლა ჩემი მამის ადგილას ხართ, გარდა ამისა, თქვენი დახმარების და დარიგების გარეშე მე ვერაფერს გაგებდბო“ (Wair, გვ. 490).

თი აჯანყება ახსოვს⁷⁶. მაგრამ განსაკუთრებით გახშირდა აჯანყებები სოლონ-პოსეინის დროს. აჯანყების მიზეზი ხშირად იყო შიმშილი, გამოწვეული სურსათის სიძვირით. იმის გამო, რომ არ იყო არავითარი კონტროლი, არცთუ იშვიათად შაჰის მოხელენი თვითონვე უწყევდნენ ფასს სურსათ-სანოვანებს⁷⁷. ამიტომ ლარბები ზოგჯერ პურსაც კი ველარ ყიდულობდნენ, რასაც შემდეგ მისი მისდევდა. ამის მაგალითია ისფაჰანის ზემოაღნიშნული აჯანყება, რომლის მთავარი მიზეზიც მოსახლეობის დამშევა უნდა ყოფილიყო.

სეხნიას ცნობით, 1707 წლის 9 ივნისს ისფაჰანიდან მამათში (მეშქედში) მოვიდა ჩაფარი, რომელმაც შაჰს „ისფაჰანის ხალხის უყუღდგომა და შიმშილით შეწუხება, ხელმწიფის ალაყადის კარის ქვით ჩაქოლვა“⁷⁸ აცნობა. ამავ დროს ისიც აუწყებს, რომ ხალხი მოითხოვდა „ყენის ძმის“ მოყვანას. ხალხი გრძობდა შაჰ პოსეინის უნიათობას, ის მიაჩნდა ქვეყნის დაცემის, საერთო გაჭირვებას მიზეზად, ამიტომ მოითხოვდა მის მაგიერ ჰეიანი და საქმიანი აბა-მირზას გაშვებას.

მეშქედში, შიიტთა მერვე იმამის ალი რეზას საფლავთან სალოცავად მისული შაჰ პოსეინი, რომელიც აქ ჯერ კიდევ 1706 წლიდან იმყოფებოდა მთელი თავისი 60000-იანი ამალით⁷⁹, სავონებელში ჩავარდა.

ისფაჰანის აჯანყების ჩაქრობა შაჰმა დაეალა ქაიხოსროს, რომელსაც ამასთან დაკავშირებით მისცა „ნაიბობა ყენისა და ტარულობა“. ქაიხოსრო ქართველთა რაზმით გაემართა აჯანყების ჩასაქრობად. სეხნიას ცნობით, რაზმმა მეშქედლიდან ისფაჰანამდე 40 დღის ჭავალი გზა 12 დღეში დაფარა. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ აჯანყება დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში გრძელდებოდა, რაც მოსახლეობას უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა.

თავის დროზე აკად. ივ. ჯავახიშვილი ისფაჰანის ამ აჯანყებას „ვაჭართა გაფიცვას“ უწოდებდა⁸⁰. მართლაც, როგორც ჩანს, ეს იყო ეგრეთ წოდებული

76 Н. В. Пигулевская, А. Ю. Якубовский и др. *დასახ. ნაშრ.*, გვ. 260—262, 296. К. З. Ашрафян, *Падение державы Сефевидов (1502—1522)*, გვ. 188—210.

77 XIV—XVII სს. სპარსულ წყაროებში იხსენიება სავადასახადო ტერმინი თარქი. როგორც ა. აღიზაღემ გამოარკვია, დროდადრო სახელმწიფო მოხელეები თარქის ძალით საბაზრო ფასებზე უფრო იაფად იქნდნენ ვაჭართაგან სხვადასხვა საგნებს და, პირიქით, ზოგჯერ ისინი ვადიდებულ ფასებში იძულებით მიჰყიდდნენ მათვე სახელმწიფო საწყობებში დავროვილ საქონელს, უპირატესად სანოვანებს (А. А. Али-Заде, *Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII—XIV вв.* Баку, 1956, გვ. 244—246). საინტერესოა აღნიშნოს, რომ თარქი ვეხვდება აგრეთვე სიმონ I-ის 1594 წ. და როსტომ მეფის მიერ 1633 წ. გორის სომეხი სამღვდლოებისათვის მიცემულ ორენოვან სითარხნის წიგნების სპარსულ ტექსტებში (ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ვ. ფუფუჩიძის გამოც., თბ., 1958, გვ. 104. *Персидские документы Матенадарана*, I, вып. I, Ереван, 1956. Составил А. Д. Папазян. გვ. 195). ასევე შაჰ აბას I-ის 1606 წ. (*Персидские документы матенадарана*, I, вып. 2. Ереван, 1959. გვ. 314) და შაჰ აბას II-ის 1647 წ. ფირმანა (იქვე, გვ. 356).

78 ს. ჩხეიძე, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 322.

79 კრუსინსკის ვადმოცემით, შაჰის მომლოცობა მეშქედში დაჯდა უფრო მეტი, ვიდრე ყველა ლაშქრობა ყანდაჰარისათვის. ყველა სოფელი, რომელიც კი მათ გაიარეს ისფაჰანიდან მეშქედამდე, ძირღვესიანად გაანანავეს (Krusinski, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 227).

80 ივ. ჯავახიშვილი, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 367.

ბაზრის ხალხის, უფრო სწორად, ქალაქის წვრილი ვაჭრების გაფიცვა, რომელ-
თაც შეწყვეტეს ქალაქისათვის პურის მიწოდება⁸¹.

სენია ჩხეიძე ისტაჰანის მოსახლეობის უკმაყოფილების ძირითად მიზე-
ზად ასახელებს შიმშილს, რამაც პირველ რიგში შაჰის მოხელეებს შეეხო⁸².
ბრაღი. კერძოდ, შაჰის პირველი ვეზირის ხელთ იყო სურსათ-სანახევით, პირ-
ველ რიგში კი ხორბლით ვაჭრობის მონაპოვია. ვეზირი იძენდა ხორბალს, ინ-
ხავდა მას, შემდეგ კი თავისი ხელქვეითების მეშვეობით გაზრდილ ფასში
ჰყიდდა. ცხადია, ხაბაზებს არ შეეძლოთ ხორბლის ასე ძვირად შესყიდვა. ამის
გამო შეპურებმა პროტესტის ნიშნად დაკეტეს დუქნები. ქალაქში პურის გა-
მოცობა და გაყიდვა შეწყდა, რამაც ქალაქის მოსახლეობის სამართლიანი უკმა-
ყოფილება გამოიწვია. დამშუფლი ისტაჰანელები აჯანყდნენ და კეტებით შეი-
არაღებულგმა შაჰის სასახლეს მიაშურეს.

ქალაქის ხელისუფალთ ვერ შეძლეს ამოხებული ხალხის დაშოშმინება
და მეშვედში, შაჰთან აღრინეს მაცნე. სოლთან-ჰოსეინის მიერ ისტაჰანში გა-
გზავნილ ქაიხოსროს ქალაქის მოსახლეობა სიხარულით მიეგება და ლოცავდნენ
„შიმშილის მორჩენისათვის“. გაფიცული ვაჭრები კი, როგორც ჩანს, დაშინ-
დნენ, რადგან მას სხვა დროსაც „ბევრი ნასალი ექნა“ და მისი დიდი რიდი
ჰქონდათ.

მეორე დღეს ქაიხოსრო ქალაქში გავიდა და სასტიკი ზომები მიიღო აჯან-
ყებულთა მიმართ („ზოგი დახივა მუცელზედა, ზოგი ყურით მიიბა დარაბასა,
ზოგი დასქედა ნალ-ლურსმინთა“).

სენია ჩხეიძე პირდაპირ არ წერს, სახელდობრ, რომელი დამნაშავენი და-
საჯა ქაიხოსრომ, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ პირველ რიგში წვრილი ვა-
ჭარ-ხელოსნები დაისჯებოდნენ. თუმცა გამორიცხული არ არის შესაძლებლობა,
რომ ხორბლის გადამმალავი ვეზირის ხელქვეითებიც დაესაჯათ. ასეთი მკაცრი
ზომების წყალობით მაღალ ფასებში გასაყიდად გადანახული „ხვარბლით აივ-
სო“ ისტაჰანის ქუჩები და „ყაისარია“ ბაზრის შესასვლელი, თხუთმეტი დღის
განმავლობაში სულ ღია იყო. ისტაჰანში კვლავ გაჩნდა პური და მოსახლეობაც
დამშვიდდა.

სენია ჩხეიძის ცნობა იმის შესახებ, რომ ქაიხოსროს სხვა დროსაც ბევ-
რი ნასალი ექნა⁸³, გვაფიქრებინებს, რომ ამავ პერიოდში ისტაჰანში ან ირანის
რომელიმე სხვა ქალაქშიც უნდა ჰქონოდა ადგილი მსგავს მოვლენებს.

XVIII საუკუნის I მეოთხედის ირანში მეტად მძიმე სოციალურ-ეკონომი-
ური ვითარება იყო. ამიტომ აჯანყება აჯანყებას სცვლიდა. საბოლოო არც 1707
წლის ისტაჰანის აჯანყება აღმოჩნდა. მართალია, აჯანყება თავის დროზე ჩააქრეს

81 მსგავსი შემთხვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში ადრეც ყოფილა. მაგალი-
თად, ნიზამ ალ-მულქის ცნობით (XI ს.), ერთხელ ქ. ლანჯანში ხაბაზებმა შეწყვეტეს პურის
გაყიდვა; როდესაც მოსახლეობამ იჩილა სულთან იბრაჰიმთან, ხაბაზებმა მიზეზად სასახლია
შთავარი ხაბაზის არაკანონიერი მოქმედება დასახელეს. იგი ყიდულობდა ხორბალს და ფჭვილს,
ინახავდა ბედელში და შემდეგ ზედმეტად ყიდდა, რამაც ქალაქის ხაბაზების უკმაყოფილება
გამოიწვია. სულთანმა შთავარი ხაბაზი სიკვდილით დასაჯა, გადანახული ფჭვილი კი დაურიგ-
დათ შეპურებს (Низам ал-мульк, Снасат-наме, Перевод Б. Н. Заходера, გვ. 48).
ზემოთ მოტანილ ცნობას ყურადღება მიიქცია რ. კაენაქემ (იხ. მისი ქალაქები, ხე-
ლოსნობა და ვაჭრობა X—XI სს-ში, „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“,
თბ., 1957, გვ. 152).

მაგრამ ცოტა ხნით. იგივე განმეორდა 1717 წლის აპრილში, ისევ სატახტო ქალაქ ისფაჰანში.

მოსახლეობამ კვლავ უპურობის გამო წამოიწყო შფოთი. ქალაქელები აჯანყდნენ იმიტომ, რომ სოფლიდან შემოზიდულ ხორბალს ძალიან მაღალ ფასად შეიძინებდნენ. 3000 აჯანყებული ხელკეტებით და ქვეებით შეიპყრებულ ქალაქში მართა შაჰის სასახლის კარის ჩამოსახსნელად. მაგრამ შაჰი ამჯერად პარამუნაში დაიმალა და აჯანყებულები არ გამოუდგენ მას. გვიან ღამით კი ჰოსეინი 4 კაცით ფარაბაზადში, თავის ქალაქგარეთა სასახლეში გაიპარა⁸².

ფასების განუწყვეტელი ზრდა, პურით სპეკულაცია — აი, ძირითადი მიზეზი მოსახლეობის უკმაყოფილებისა ყველა შემთხვევაში. კრუსინსკის ცნობით, ხელისუფალნი ხშირად თვითონ იყვნენ მღელვარების მოთავენი, რათა მათ ახალი მიზეზი მისცემოდათ მოსახლეობის დასაჯარიმებლად და გასაძარცველად⁸³.

ამრიგად, სეხნია ჩხეიძის ცნობა „ისფაჰანის აჯანყების“ შესახებ პირდაპირი მოწმობაა იმ ფაქტისა, რომ ქალაქელები, კერძოდ ისფაჰანელი შპრომელები, პურის სიძვირის გამო დამშეული იყვნენ, რასაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელს უწყობდნენ თვით შაჰის პირველი ვეზირი და მისი ხელქვეითნი.

„ცხოვრება მეფეთა“ ძვირფას ცნობებს გვაწვდის იმ ხალხებზე, რომლებიც სეფიანთა ირანს უმართავდნენ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლას ოდინდელი თავისუფლების დაბრუნებისათვის. ესენი იყვნენ ბელუჯები, ავღანელები და სხვა ხალხები. სეფიანთა ირანი გვევლინებოდა იმ იმპერიების როლში, რომლებიც იარაღის ძალით აღმოცენდებოდნენ ხოლმე, მაგრამ მალე ირღვეოდნენ ცალკეული პროვინციების ეკონომიურად შეუქცევადობისა და გამეფებული ჩაგვრის გამო. და მართლაც, სეხნია ჩხეიძის ნაშრომის მიხედვით კარგად ჩანს, თუ როგორი სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ირანს ავღანელთა აჯანყებებმა და შემოტევამ. განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე უძლური აღმოჩნდა ირანის სამსახურში იძულებით ჩათრეული ქართველთა მხედრობაც და თვით ირანის ჯარის ნაწილებიც.

М. Г. ГОБЕДЖИШВИЛИ

«ИСТОРИЯ ЦАРЕЙ» СЕХНИА ЧХЕИДЗЕ КАК ИСТОЧНИК ПО ИСТОРИИ ГОСУДАРСТВА СЕФЕВИДОВ

Резюме

Грузинские средневековые нарративные и документальные источники содержат достоверный материал по социально-экономической и политической истории стран Ближнего Востока. Среди них следует назвать историка XVIII в. Сехниа Чхеидзе, сочинение которого, «История царей», является важным первоисточником как по истории Грузии, так же и Ирана конца XVII — начала XVIII вв.

Сехниа Чхеидзе был современником и участником большинства описанных им событий, а о том, чего не видел сам, повествует со слов очевидцев.

⁸² ЦГАДА, Персидские дела, 1715, № 2, гл. 158а.

⁸³ Krusinski, დასახ. ნაშრ., გვ. 116.

Как известно, собственно персидские нарративные источники сохранили сравнительно скудные сведения по истории Ирана конца XVII — начала XVIII вв., поэтому «История» грузинского автора заслуживает внимания в первую очередь обилием материала по истории государства Сефевидов.

По долгу службы С. Чхеидзе часто приходилось бывать в Иране и Афганистане в свите грузинского царя, главнокомандующего иранскими войсками Георгия XI. При этих посещениях он подметил много интересных фактов и явлений из истории Ирана, о которых повествует в своем сочинении. В частности заслуживают внимания сведения С. Чхеидзе о происходивших в различных областях государства Сефевидов волнениях, особенно о восстании жителей Исфахана в 1707 г., о деятельности Георгия XI-го в Кандахаре в должности беглярбега, о причинах распада государства Сефевидов и др.

В настоящей статье рассмотрены сведения Сехниа Чхеидзе по истории грузино-иранских и ирано-афганских отношений. На основе данных сведений становится возможным изучение некоторых вопросов социально-экономической и политической истории Ирана.

მაიის ბარძნიშვილი

ქალაქური ეკონომიკის ტერიმინოლოგიიდან: დანიმი

XVIII საუკუნის თბილისის შესახებ არსებულ დოკუმენტურ მასალაში ხშირად იხსენიება სიტყვა დანიმი. დანიმი სპარსული წარმოშობისაა და სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ათის, მეათედის ნახევარს (აღ — აა; აა — ათი; ნი — ნახევარი), ანუ ერთ მეოცედს, რაიმე თანხის ხუთ პროცენტს¹. „დასტურლამალში“ ეს სიტყვა რამდენჯერმეა დამოწმებული. მაგრამ მისი მნიშვნელობის სრული გარკვევის საშუალებას ეს ძეგლი არ იძლევა. „დასტურლამალში“ განსაზღვრულია მხოლოდ ის, თუ როგორ მოიხმარებოდა დანიმი, მაგრამ რას წარმოადგენდა თვით დანიმი ამის შესახებ „დასტურლამალი“ არაფერს ამბობს.

დანიმი „დასტურლამალში“ შემდეგ კონტექსტში მოიხსენიება:

1. სალაროს ნაზირს „ეძღვევის... დანიმზედ თუმანზედ ორი შაური“².
2. „გერაქიარალის დანიმზედ თუმანზედ ორი შაური“³.
3. „სალაროს მუშრებისა... დანიმზედ შაური ერთი“⁴.
4. „დანიმისა არის: თუმანზედ ათი შაური ავა. ხუთი შაური გერაქიარალისა არის, ორი შაური ნაზირისა არის და ერთი შაური მუშრებისა არის“⁵.
5. „დანიმისა ორი შაური მოლარეთხუცისა“⁶.
6. გერაქიარალი „რასაც დახარჯავს, თუმანზედ ათი შაური დანიმი თავის თომრისა“⁷.

ყველა ამ მაგალითით ჩვენ ვიგებთ, რომ სახელმწიფო დანიმით მიღებულ შემოსავალს უნაწილებს სხვადასხვა მოხელეს. ეს მოხელეებია: სალაროს ნაზირი, გერაქიარალი, სალაროს მუშრები, მოლარეთხუცესი, ნაზირი, მუსტოფი და მუშრები. თვით დანიმის რაობას კი „დასტურლამალი“, როგორც ითქვა, ვერ გვიჩვენებს. დანიმის რაობას გვიჩვენებს თბილისური დოკუმენტები. აქ ეს სიტყვა გვხვდება უძრავი ქონების ნასყიდობის წიგნებში. ასეთ საბუთებში ხშირად გვხვდება გამოთქმები „დანიმის ხარჯი“, „დაპნიმის ნახევარი“, „დაპნიმის დავთარი“.

რომ დანიმი ხუთი პროცენტია თანხისა, ეს სიტყვიდანაც ჩანს. მაგრამ გა-

¹ დასტურლამალი. პ. უმიკაშვილის გამოცემით, ტფ., 1886, თანდართული ლექსიკონი. დანიმი განმარტებული აქვს როგორც „მეათედის ნახევარი“ აგრეთვე ივ. სურგულაძის (ქართული სამართლის ძეგლები, თბ., 1970. გვ. 785).

² დასტურლამალი. ი. სურგულაძის გამოცემით, ქართული სამართლის ძეგლები, თბ., 1970. გვ. 650¹⁰.

³ იქვე, 650³.

⁴ იქვე, 653¹⁶.

⁵ იქვე, 653⁴⁻⁶.

⁶ იქვე, 653⁶.

⁷ იქვე, 654⁹⁻¹¹.

სარკვევია რა თანხის ხუთი პროცენტი დანიმი, ვინ იხდის ამ ხუთ პროცენტს და ვის სასარგებლოდ იხდის.

ამის გასარკვევად მივმართოთ საბუთებს.

თბილისში 1772 წელს სახლის გამყიდველი გურგინბეგიანთ ^{სტეფანო} ასეთ პირობას უდებს ამ სახლის მყიდველ ოსეფა ჰეკიმოვს: „სახლის ყველა ხარჯი და დაჰნიმი შენ, ოსეფა, უნდა მისცე“⁸. სახლის კიდევ სხვა გამყიდველი იაგორ ყალოვი ასეთ პირობას უდებს სახლის მყიდველს: „სიგლის ხარჯი და დაჰნიმის ნახევარი მე უნდა მიეცე და ნახევარი შენა“⁹.

ორივე ამ ამონაწერიდან გარკვევით ჩანს, რომ დანიმი უძრავი ქონების ყიდვის გაფორმებასთან დაკავშირებული ხარჯია. დანიმი თანხაა, რომელსაც იხდის მყიდველი ან კიდევ მორიგების თანხმად მყიდველი და გამყიდველი შუაზედ იყოფენ.

იოსებ ყორანაშვილმა ალა-მაჰმად-ხანის შემოსევისას მთელი თავისი საბუთები დაკარგა. მაშინ მან ერეკლე II-ს სთხოვა ქალაქში წარმოებულ ნასყიდობათა განახლება. ერეკლემ 1796 წლის 12 ოქტომბერს ამ ნასყიდობათა აღდგენა მიანდო დანიმის დავთრის მოშველიებით ქალაქის მელიქს დარჩიას: „მე-ლიქო დარჩიავ, ყორანაშვილს ... იოსებს რაც ქალაქში მამულის ნასყიდობის სიგლები ჰქონია, სრულად დაჰკარგვია. და ახლა განახლებას ითხოვს. დაჰნიმის დავთარი გასინჯე. რომელიც ნასყიდობა ექნებოდა, იმ დავთარში ეწერება და იქიდან დაკარგულის სიგლების მაგიერი ნასყიდობის სიგლები გაუახლებინე და მოეცი. დაჰნიმის დავთარში ყველა გარჩევით ეწერება“¹⁰.

აქ ჩვენს წინა გარკვეული მითითება იმაზე, რომ ქალაქში უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ფაქტები აღნუსხული ყოფილა სპეციალურ დოკუმენტში, რომელსაც „დანიმის დავთარი“ ერქვა. თუ კი ზემოთხსენილი საბუთების მიხედვით დანიმი ყიდვის გაფორმებასთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილია, მაშინ დანიმის დავთარში უნდა აღნუსხულიყო თვით დანიმის ოდენობაც.

ზემოთქმულიდან ნათელია: დანიმი 5 პროცენტი თანხისა, ამ 5 პროცენტს იხდის მყიდველი (ან მყიდველი და გამყიდველი შუაზე იყოფენ), დანიმი შეტანილია ე. წ. დანიმის დავთარში. ესლა გასარკვევი დარჩა შემდეგი: რა თანხის ხუთი პროცენტი დანიმი და ვის სასარგებლოდ გადაიხდება ის.

დანიმის რაობას სრულიად უეჭვოდ გვირკვევს საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცული ერთი საბუთი¹¹. ეს საბუთი უნდა წარმოადგენდეს სწორედ დანიმის დავთრის ნაწყვეტს. საბუთი დაწერილია 61 სმ სიგრძისა და 16 სმ სიგანის ქალღალღზე. ქალღალღს ზედა ნაწილი წაგლეჯილი აქვს. საბუთი დაწერილია ერთი და იგივე ხელით. ოღონდ სხვადასხვა მეტრით. საბუთი შეიცავს ქალაქში წარმოებულ ნასყიდობათა აღნუსხვას. თითოეული ნასყიდობა ცალკე მუხლადაა გამოყოფილი. ჩვენამდე მოღწეული ტექსტი 31 ასეთ მუხლს შეიცავს. ამთავან 14 მუხლი recto-ზეა მოთავსებული, დანარჩენი 17 კი verso-ზე. საბუთის ყოველი მუხლი ერთნაირი კონსტრუქციით არის შედგენილი. თითო-

⁸ საქ. ც. ა. ფ. 1450. დავთარი. № 56, საბუთი № 186.

⁹ იქვე, დავთარი № 6, საბუთი № 127.

¹⁰ იქვე, დავთარი № 11, საბუთი № 153.

¹¹ საქ ცენტრ. არქივი. ფ. 1448, საბუთი № 4682. ეს საბუთი გამოქვეყნებულია კრებულში: დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის. წიგნი პირველი. შეადგინეს ნიკო ბერძენი-შვილმა და მაისია ბერძენიშვილმა თბ., 1962. გვ. 252—254.

ველში მოხსენებულია თუ ვინ ვისგან რა იყიდა (საქმე ეხება მხოლოდ უძრავ ქონებას) რა ფასად, რამდენი ვადისადა დანიმი და ბოლოს განსაზღვრულია თუ როგორ იქნა მოხმარებული იგი. დანიმის 10 პროცენტი ქალაქის მოურავს ეძლევა, დანარჩენი კი მიდის სამეფო სარქარში. სამეფო სარქარისათვის განკუთვნილი თანხა ნაშთის სახით მუხლის მარცხენა არეზეა გამოტანილი (როგორც წესი, ქართულ ანგარიშწარმოების საბუთებში საანგარიშო თანხა ყოველთვის მარცხენა არეზეა ხოლმე გამოტანილი).

საბუთის ყოველი მუხლი, როგორც ითქვა, ერთნაირად არის აგებული. მაგალითისათვის მოგვყავს მეორე მუხლი (პირველი მუხლი საბუთისა ნაკლებია) „ლაზარიანთ ხუცის სახლი ზოპრბაბანთ პეტროსამ იყიდა 5^ლ (8 თუმანი)¹² ამისი დანიმი 5 (4 მანეთი). შაჰყულიხანისა¹³ უ (ორი აბაზი). დარჩა საბატონო 3 (3 მანეთი და 3 აბაზი)¹⁴. ამ მუხლის ბოლოს, ისევე როგორც ყველა დანარჩენი მუხლის ბოლოს, დასძლეულია მელიქისა და მამასახლისის ბეჭდები.

უკვე ამ მაგალითიდან ჩანს, რომ დანიმი სახლის ფასის ხუთი პროცენტი (8 თუმნის 5 პროცენტი უდრის 4 მანეთს), ხოლო დანიმის 10 პროცენტი (აქ 40 კაპ.) ქალაქის მოურავისაა, დანარჩენი დანიმისა (3 მან. 60 კაპ.) კი საბატონოა.

საბუთი, როგორც ითქვა ნაკლებია. მას აკლია თავი ნაწილი. ამიტომ საბუთის შედგენის თარიღი და დანიშნულება აღინიშნული არ არის. მაგრამ ორივე ამ კითხვაზე პასუხს თვით ტექსტის მონაცემები იძლევიან.

საბუთში იხსენიება შაჰყულიხანი. შაჰყულიხანად იწოდებოდა ქალაქის მოურავი გივი ამილახვარი. გივი ამილახვარი ქალაქის მოურავად დაამტკიცა თეიმურაზ II-მ 1752 წლის 10 იანვარს¹⁵, 1754 წლის აპრილში კი გივი ამილახვარი გარდაიცვალა¹⁶. ასე რომ, რაკი ჩვენი საბუთი გივი ამილახვრის მოურავობის ხანისაა, ამიტომ იგი შედგენილ უნდა იყოს 1752 წლის იანვრისა და 1754 წლის აპრილის შუალედში. მაგრამ შესაძლებელი ხდება ამ შუალედის კიდევ უფრო დავიწროება. საბუთის ყოველ მუხლს, როგორც ითქვა, ამტკიცებენ მელიქი და მამასახლისი. საბუთის პირველ ათ მუხლს უზის მელიქი საპაკისა და მამასახლისი პაპას ბეჭდები. მე-12 მუხლიდან დაწყებული კი საბუთის ამტკიცებენ მელიქი საპაკა და მამასახლისი დავითი. 27-ე მუხლიდან მელიქი საპაკა სხვა ბეჭედსა ხმარობს. მანამდე მისი ბეჭდის წარწერა ასეთი იყო: „მელიქი საპაკ“. ახლა კი იცვლება ბეჭდის ფორმაც და წარწერაც: „მელიქი საპაკ. 1753“. ამით შეიძლება დავასკვნათ, რომ საბუთის ბოლო ნაწილი — 27—31 მუხლები — 1753 წელსაა შედგენილი, წინა მუხლები კი ამაზე უწინარეს. ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტებით დავითი ქალაქის მამასახლისად იხსენიება 1752 წლის მაისიდან 1753 წლის აპრილამდე. 1753 წლის მაისიდან კი მამასახლისობას უბრუნდება პაპა, რომელიც ამ პოსტზე იყო დავითის მამასახლისობაზე ადრეც. ასე რომ ჩვენი საბუთის 12—13 მუხლები, დავით მამასახლისის ბეჭდით დამტკიცებული, 1752 წლის მაისის შემდეგ იქნება შედგენილი

¹² ასოს თავზე ასეთი ნიშნის ~ მოთავსება მაჩვენებელია იმისა, რომ ეს ასო რიცხობრივად უდრის თუმანს, 5 უდრის 50 მანეთს, ხოლო 5 — 50 თუმანს.

¹³ შაჰყულიხანი ქალაქის მოურავი გივი ამილახვარია.

¹⁴ ეს უკანასკნელი რიცხვი მარცხენა არეზეა ვაჭანილი.

¹⁵ დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის. გვ. 242—243.

¹⁶ პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. საქართველოს ცხოვრება. მეორე გამოცემა ზ. კვიციანიის მიერ. თბ. 1913. გვ. 208.

ვიდრე 1753 წლის მაისამდე (როცა საპაქმა ბეჭედი გამოცვალა). საბუთის პირველი ათი მუხლი (მე-11 მუხლს ბეჭედი სრულიად არ უზის) შედგენილი იქნება 1752 წლის მაისის უწინარეს, ამავე წლის იანვრის (შაპულისხანის გამგეობის) შემდეგ. ამრიგად, ეს საბუთი თარიღდება 1752 წლის იანვრიდან 1753 წლის აპრილის შუალედით. ე. ი. ამ საბუთში აღნუსხულია ქალაქში წარმოებული ნასყიდობები 1752 წლის იანვრიდან 1753 წლის მაისამდე.

ჩვენამდე მოღწეული სახითაც ეს დანიშნის დავთარი სრულიად ნათელს და უეჭველს ხდის, თუ რას წარმოადგენდა დანიში ქალაქის სინამდვილეში. ქალაქში უძრავი ქონების მყიდველი სამეფო სარქარში იხდის ნაყიდი უძრავი ქონების მთელი ფასის ხუთ პროცენტს — დანიმს. ჩვენი საბუთის ყველა მუხლში ეს პროცენტული შეფარდება ზუსტად არის დაცული. ირკვევა ისიც, თუ როგორ მოიხმარებოდა ეს გადასახადი: დანიშის ერთი მეათედი ქალაქის მოურავისაა¹⁷, ცხრა მეათედი კი სამეფო ხაზინისა.

ქვემოთ მოგვყავს საბუთიდან ამოღებული რიცხობრივი შეფარდება.

გაყიდული უძრავი ქონების ფასი (მანეთობით)	დანიში	მოურავის წილი	ნათი სარქარში
500	25.00	2.50	22.50
80	4.00	0.40	3.60
240	12.00	1.20	10.80
80	4.00	0.40	3.60
250	12.50	1.25	11.25
200	10.00	1.00	9.00
220	11.00	1.10	9.90
100	5.00	0.50	4.50

და ასე შემდეგ¹⁸

ქალაქში შედგენილ ნასყიდობათა წიგნებზე დაკვირვება ცხადსა ხდის, რომ ამ ნასყიდობის წიგნის საბოლოო დამამტკიცებელი ქალაქის მელიქია. მელიქი ორჯერ ბეჭდავს საბუთს. ერთხელ როგორც მოწმე საბუთის ბოლოს, სხვა მოწმეებთან ერთად, ამ მოწმეებში პირველი მელიქია, მეორე მამასახლისი, შემდეგ ქეთხუდები და ბოლოს გამყიდველის მეზობლები და საბუთის დამწერი. აქ მელიქი თავის დიდ ბეჭედს ასვამს. მეორედ მელიქი საბუთს ამოწმებს საბუთის მარცხენა არეზე, აქ იგი უეჭველად აღნიშნავს ყიდვა-გაყიდვისას წამოჭრილ განსაკუთრებულ მომენტებს და პატარა ბეჭდით ბეჭდავს¹⁹, ასე მაგალითად, 1771 წლის ნასყიდობის წიგნის (ეს წიგნი მიცემულია ამსარქისიანთ ოპანენუსაგან მეფის ხაბაზ თარხანასადმი) მარცხენა არეზე მელიქი აწერს: „ეს სახლის

¹⁷ მოურავის შემოსავლის ეს ნაწილი შეტანილი არ არის ე. წ. „მოურავის სარგოში“ (საქართველოს სიძველენი, II, გვ. 522).

¹⁸ ეს შეფარდება ყველა მუხლში სწორია. მხოლოდ 21-ე მუხლში (ფასი 160 მან., დანიში 8 მან., მოურავისა 80 კა.) ნათში შეცდომაა გაპარული. უნდა იყოს 7 მან. 1 აბაზი. არის კი 7 მან.

¹⁹ მაგალითად, ჩვენს საბუთში მოხსენებულ მელიქ საპაის დიდ ბეჭედს ასეთი წარწერა აქვს: „მიწა ხარ და მიწადვე იქვე. მელიქი საპაქ“. პატარა ბეჭდის ზედწერილი კი ასეთია: „მელიქი საპაქ.“

ასეთივე განსხვავებაა მელიქ-მამასახლისი ავეტიქის ბეჭედებში. დიდი ბეჭდის ზედწერილია: „მონა ლთისა. ბანდა მეფისა ირაკისა მელიქ-მამასახლისი ავეტიქი“. პატარა ბეჭდისა კი ასეთი: „მელიქ-მამასახლისი ავეტიქი“.



პატრონი მოვალე იყო და უილაჯო. მოქალაქე მსყიდველი ვერ იშოა და ამის მიზეზით მას (ე. ი. სამეფო ყმას) მიჰყიდა²⁰.

არგზე დასმული მეღიქის ბეჭედი საბოლოო დამამტკიცებელ ძალას იქონიებდა საბუთს. უნდა ვიფიქროთ, ეს ბეჭედი მაშინ დაესმებოდა საბუთს, როცა ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებულ ყველა სიძინელს ბოლო მოეღებოდა და როცა სიგლის ყველა ხარჯი, მათ შორის დანიმიც, უკვე გადახდილი იქნებოდა.

სიგლის ხარჯს ანუ საბეჭდავს (გასამრჯელოს იმ პირთათვის, ვინც საბუთს ამტკიცებდა) და დანიმს, როგორც წესი, მყიდველი იხდიდა. „სიგლის ყველა ხარჯი და დანიმი შენ ოსეფა (მყიდველმა) უნდა გაიღო“²¹. „ამ სიგლის დაპნიმი და საბეჭდავიც შენ (მყიდველმა) გაიღე“²². ურთიერთ გარიგების საფუძველზე შესაძლებელი იყო აგრეთვე სიგლის ხარჯისა და დანიმის გაყოფა მყიდველ-გამყიდველს შორის. საერთოდ სიგლის ხარჯი საკმარისად მაღალი იყო. 1775 წლის ერთი საბუთის მიხედვით 165 მანეთად გაყიდული ღუქნის ნასყიდობის წიგნის „სიგლის დაპნიმი და საბეჭდავი“ უდრიდა 23 მანეთს²³. რაკი ჩვენ ვიცით, რომ დანიმი ღუქნის ფასის 5 პროცენტია, ადვილად გასაგებია საბეჭდავის ხარჯიც. $165 \text{ მანეთიდან დანიმი იქნებოდა } 8 \text{ მანეთი და } 25 \text{ კაპიკი. } 23 - 8.25 = 14.75$. ე. ი. სიგლის საბეჭდავის ხარჯი ამ შემთხვევაში შეადგენს 14 მანეთსა და 75 კაპიკს.

მეფეს შეეძლო დანიმი სულ არ გამოერთმია ამა თუ იმ პირისათვის, ეჩუქებინა სახლის მყიდველისათვის. მაგ., ჩვენი დავთრის. 25-ე მუხლში ვკითხულობთ: „შეენათ პაპას ღუქანი ექიმი ოსეფამ იყიდა. დაპნიმი ბატონმა აჩუქა“. ან კიდევ 28-ე მუხლში: „თუთულას შვილი მოსესას სახლი პატრებმა და ფირყულაანთ ნაზარამ იყიდეს. ამის ნახევარი დაპნიმი მეფემ პატრებს აჩუქა და ნახევარი მე მამცა“²⁴. ეს უკანასკნელი გამთქმა მუხლისა „ნახევარი მე მამცა“ გვირკვევს, რომ დანიმის დავთრის შედგენა და უძრავი ქონების მყიდველისაგან დანიმის აღება ქალაქის მეღიქის მოვალეობა ყოფილა.

დანიმის დავთრას ანგაროშწარმოების გარდა იურიდიული ძალაც ჰქონდა, რამდენადაც მისი საშუალებით შესაძლებელი იყო დაკარგული ნასყიდობის წიგნების აღდგენა.

ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ უძრავი ქონების გაყიდვა გარკვეულ შემოსავალს აძლევდა სახელმწიფოს. ამიტომაც იყო, რომ სახელმწიფო ხელს უწყობდა ქალაქში უძრავი ქონების გაყიდვას. ვალში ჩაფლულ მოქალაქეს მეფე ნებას აძლევდა გაეყიდა სახლ-კარი კანონით გათვალისწინებული ნორმების დარღვევითაც კი და ისე დაეფარა ვალები. ასეთი წესის დარღვევა იყო მაგალითად მოქალაქის სახლ-კარის მიყიდვა ყმისათვის და პირიქით ყმისა მოქალაქისათვის.

ქალაქში უძრავი ქონების ყიდვისას გადასახადის არსებობას ადისტრუტებს XIX საუკ. დასაწყისში რუსეთის ხელისუფლების ინიციატივით ჩაწერილი „სა-

20 დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, გვ. 339—340.

21 საქ. ც. ა. ფ. № 1450, დავთარი № 6, საბუთი № 127.

22 იქვე, დავთარი № 1, საბუთი № 22.

23 საქ. ც. ა. ფ. 1450, დავთარი № 1, საბუთი № 22:

24 აქ სახლის ორი მყიდველია: პატრები და ფირყულაანთ ნაზარა. მეფემ შედავათი მხოლოდ პატრებს მისცა. ფირყულაანთ ნაზარა კი იხდის დანიმის ნახევარს, თავის წილს.

ქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებული წესნი“. ამ ძველის პირველ მუხლში ვკითხულობთ: „და მხოლოდ ტფილისსა შინა ნასყიდობის სიგელი დაიწერებოდა ტფილისის მელიქის კაპიტულაციით... და რ უ ბ ლ ზ ე დ ე რ თ ი შ ა უ რ ი პ ო შ ლ ი ნ ა, — ე კ ლ ე ს ი ა ს ა მ ო ლ დ ე რ ა დ ა, — გამოერთმეოდათ, მათის შერიგებისამებრ, მსყიდველს ან გამსყიდველს მეფის სასარგებლოდ“²⁵. ჩვეულებითი სამართლის ამ მუხლითაც უძრავი ქონების ყიდვისას გადასახადი შეადგენს გაყიდული ქონების ფასის ერთ მეოცედს, ხუთ პროცენტს. მართალია, ჩვეულებითი სამართლის მითითებით ნასყიდობის ვაფორმების ეს ხარჯი მხოლოდ თბილისში არსებობდა²⁶, მაგრამ ნასყიდობის გარკვეული პროცენტის სახელმწიფოს მიერ აღების ეს წესი არ შეიძლება არსებულიყო მხოლოდ თბილისის სინამდვილეში. სახელმწიფო თავის წილს იღებდა უძრავი ქონების გაყიდვისას აგრეთვე ქალაქის იქითაც და მართლაც, ბოლნისის მიმართ არსებობს დასტურლამალის გარკვეული მითითება, რომ „რაც მამული გაისყიდვის, თუმანზედ ათი შაური“ აიღება²⁷. აქაც შეფარდება ისეთივეა, როგორც ქალაქში. სახელმწიფო გაყიდული მამულის ფასის ხუთ პროცენტს იღებს. ორივე შემთხვევაში მყიდველზე დადებული ეს გადასახადი საკმარისად მაღალია.

თუ ქალაქში ნასყიდობის გადასახადს ქალაქის მოურავი და სამეფოსარქარი ინაწილებდნენ (ჩვენ არ ვიცით, კონკრეტულად რაში მოიხმარებოდა დანიშნის ცხრა მეათელი), ბოლნისში სახელმწიფო შემოსავლის ეს წყარო ნაწილდებოდა სხვადასხვა მოხელეთა სარგოდ. „ნაცლის სარგო: მამულის გასყიდვაში თუმანზედ აბაზი და ერთი შაური... მამასახლისის სარგო: ...მამული რომ გაისყიდოს, თუმანზედ შაური ხუთი“²⁸.

ეს გადასახადი (პირობით „დანაში“) წააგავს დასავლეთ ევროპაში XVII საუკუნის დასაწყისში შემოღებულ და აქედან პეტრე I-ის მიერ რუსეთში გადმოტანილ ე. წ. „საგერბო გადასახადს“. ეს გადასახადი იმაში მდგომარეობდა, რომ ყოველგვარი იურიდიული აქტი იწერებოდა ფასიან გერბიან ქალაქებზე. ქალაქის ფასი დამოკიდებული იყო აქტით გათვალისწინებული თანხის სიდიდეზე. ასე მაგ., რუსეთში ასმანეთიანი ნასყიდობა ფორმდებოდა 50 კაპიკის ღირებულების გერბიან ქალაქებზე, 1000 მანეთისა — 5 მანეთიან ქალაქებზე, 100 000-ისა 50 მანეთიან ქალაქებზე. საგერბო გადასახადი აქ ყველგან 0,05%-ს უდრის²⁹. ანუ ეს გადასახადი ათჯერ უფრო დაბალია, ვიდრე თბილისის სინამდვილეში არსებული.

მაგრამ ნასყიდობისას სახელმწიფოსაგან გარკვეული პროცენტის აღების წესი გაცილებით უფრო ძველია. მონღოლური დამლა, მაგალითად, ყოველგვარ ნასყიდობაზე გულისხმობდა 3%-ს საყაენო გამოსაღებს.

25 ი. დოლიძე, საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბ., 1960, გვ. 41—42
 26 იქვე, გვ. 41
 27 დასტურლამალი. ქართული სამართლის ძეგლები. ივ. სურგულაძის გამოცემით. გვ. 587.
 28 იქვე, გვ. 487—588.
 29 ირბი გადასახადის ეს ფორმა საკმაოდ დიდ შემოსავლას აძლევდა სახელმწიფოს. მაგ., ინგლისს — 9,6 მილიონ სტერლინგს წელიწადში, საფრანგეთს — 252,8 მილ. ფრანკს, ავსტრიას — 64 მილ. კრონს (1911 წლის მონაცემებით). რუსეთში შემოსავალი ამ გზით სწრაფად იზრდებოდა. 1848 წელს საგერბო შემოსავალი უდრიდა ათ მილიონ მანეთს, 1912 წელს კი — 81 მილიონ მანეთს.

М. М. БЕРДЗНИШВИЛИ

ИЗ ТЕРМИНОЛОГИИ ГОРОДСКОЙ ЭКОНОМИКИ ДАНИМИ

Резюме



Даними (слово персидское دانیمن — половина десятой доли, т. е. 5%) это сбор, взимаемый с каждого покупателя недвижимого имущества в пользу государства в размере 5 процентов стоимости покупаемого имущества. Даними целиком поступал в государственную казну. В случае, когда покупалось имущество в городе, 10 процентов даними уплачивалось городскому правителю (моурави).

ბენიამინ სილაგაძე

ოსგალეთის აღმოსავლეთის პროვინციების სმრასკმრის,
მუჰაკამად სალივის მიმართვა კავკასიის მუსლიმი
მოსახლეობისადმი

XIX ს-ის 20-იან წლებში რუსეთმა „აღმოსავლეთის საკითხის“ თავის სასარგებლოდ გადაწყვეტა მოინდომა. დრო საამისოდ თითქოს ხელსაყრელი იღვა. 1812—1813 წწ. სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრებამ, ფრანგების გაქეზებამ მათ მიერ მიტაცებული ევროპის ქვეყნებიდან, ნაპოლეონის დიქტატურის დამხობამ და საფრანგეთში მონარქიის აღდგენამ რუსეთს კიდევ უფრო გაუთქვა სახელი, საგრძნობლად გაზარდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი. ამაზე აშკარად მეტყველებს როგორც ვენის კონგრესის მთელი მიმდინარეობა და მისი გადაწყვეტილებები, ასევე ამ გადაწყვეტილებათა დასაცავად 1815 წელს პარიზში ხელმოწერილი ე. წ. „საღმრთო კავშირის აქტი“, რომელიც მის სულისჩამდგმელ რუსეთის იმპერატორს ჰეგემონობას ანიჭებდა და უფლებით მოსავდა, „Status quo-ს“ შენარჩუნების მიზნით, აქტიურად ჩარეულიყო ევროპის ქვეყნების საშინაო საქმეებში.

ცხადია, როცა „საღმრთო კავშირის“ მონაწილე ქვეყნების (ავსტრიის, პრუსიის, საფრანგეთის) პოლიტიკური მესვეურნი, კერძოდ, ავსტრიის იმპერატორი ფრანც I და პრუსიის მეფე ფრიდრიხ ვილჰელმ III, რუსეთსა და მის იმპერატორს ასეთი უფლებებით მოსავდნენ, ვარაუდობდნენ, რომ მას თავიანთი სასიცოცხლო ინტერესებისათვის — მონარქიის შესანარჩუნებლად და რევოლუციის წინააღმდეგ გამოიყენებდნენ. და უნდა ითქვას, რომ ისინი ვარაუდში არ შემცდარან. როგორც შემდგომმა ამბებმა ცხადყო, რუსეთმა მართლაც შეასრულა „ევროპის ქანდარმის, ე.ი. ევროპის ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის სულთამხუთავის“ სავალალო როლი¹. მაგრამ იგი თავისი ამადლებული, პრივილეგიური მდგომარეობის გამოყენებას სულ სხვა მიზნისათვის უფრო ფიქრობდა. მას აღმოსავლეთში გაბატონება სურდა და, რაკი ამ საქმეში ევროპის სახელმწიფოთაგან მაშინ ხელშეშლელი არავინ ეგულვებოდა, ოსმალეთის წინააღმდეგ ამოქმედდა. 20-იანი წლების დასაწყისში ეს მოქმედება ოსმალეთის იმპერიაში შემავალ ბალკანელი ხალხების, კერძოდ, სერბებისა და ბერძნების მხარდაჭერაში გამოიხატა. ცოტა ხნის შემდეგ კი (1826—1827 წლებ-

1 ი. ა. ფედოტოვი, სსრ კავშირის ისტორია (დამხმარე სახელმძღვანელო VIII კლასისათვის), თბ., 1969, გვ. 34. „საფრანგეთის XVII: ს დასასრულის რევოლუციის დროიდან ცარიზმის სავარყო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ხდებოდა ბრძოლა რევოლუციური ზომიარობის წინააღმდეგ საზღვარგარეთის ქვეყნებში — ცარიზმი ევროპის ქანდარმად იქცა“ (მ. ვ. ნეჩკინა, პ. ს. ლიბენგრუბი, სსრ კავშირის ისტორია, თბ., 1970, გვ. 290):

ში მან (მოქმედებამ) უფრო სერიოზული ხასიათი მიიღო. ამ დროისათვის რუსეთმა მოახერხა ანტიოსმალურ ბრძოლებში ჩაება ინგლისი და საფრანგეთი, რომლებმაც რუსეთთან ერთად დაივიწყეს „საღმრთო კავშირის აქტი“ ნაიპის ვალდებულება მონარქიის დაცვისა და გამანათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, ბერძენი ხალხის დაცვა ითავეს და თურქეთის სულთანს მაჰმუდ II-ს საბერძნეთის დამოუკიდებლობა მოსთხოვეს. ამ ფაქტმა ოსმალეთის მთავრობა აღაშფოთა და რაკი იცოდა, რომ ყოველივე ეს რუსეთის ინიციატივით ხდებოდა, მის მიმართ საგანგებო ღონისძიება გაატარა — უარი თქვა რუსეთთან დადებული 1774 წლის (ქუჩუკ კაინარჯის), 1783 წლის (სავაჟრო), 1813 წლის (ბუქარესტის), 1826 წლის (აკერმანის) ხელშეკრულებებით ნაიპის ვალდებულებების შესრულებაზე და რუსეთის გემებს ბოსფორ-დარდანელის სრუტეებში თავისუფალი მიმოსვლა, ხოლო რუს და რუსეთის ქვეშევრდომი ქვეყნების ვაჭრებს ოსმალეთის ტერიტორიაზე შესვლა აუკრძალა. ამავე დროს, მთელ იმპერიაში დაიწყო ანტირუსული პროპაგანდა და გამალებული მზადება „საღმრთო ომისათვის“. რუსეთის არაერთგზის გაფრთხილებას, რომ ოსმალეთს ხელი აეღო ამგვარ პოლიტიკაზე და შეესრულებინა მასთან დადებული ხელშეკრულებებითა თუ კონვენცია-შეთანხმებებით ნაიპის ვალდებულებები, წარმატება არ მოჰყოლია. ომი გარღვეული გახდა და 1828 წლის გაზაფხულზე ის კიდევაც დაიწყო. 26 აპრილს ნიკოლოზ I-ის მიერ გამოქვეყნებულ მანიფესტს ოსმალეთისათვის ომის გამოცხადების შესახებ მოჰყვა საომარი მოქმედების დაწყება. 7 მაისს რუსეთის ჯარებმა ბალკანეთშიც და ამიერკავკასიაშიც გადალახეს სახელმწიფო საზღვარი. ამის პასუხად სულთანმა მაჰმუდ II-მ, დივანის თანხმობით, 20 მაისს ომი გამოუცხადა რუსეთს, გამოსცა მანიფესტი „ვიაურთავან“ მუსლიმური ქვეყნების გათავისუფლების შესახებ და როგორც „შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა 31 მაისს ნაწილი თავისი ჯარებისა ჩრდილოეთის მხარის სერასკერის (მთავარსარდლის) პუსენ ფაშას მეთაურობით ბალკანეთისაკენ გაგზავნა, ხოლო ნაწილი კი ამიერკავკასიისაკენ. ამიერკავკასიის მიმართულებით მოქმედ ოსმალეთის ჯარების სარდლობა აღმოსავლეთის მხარეთა სერასკერს, საიდ მუჰამად სალიპს დაეკისრა. მას სულთნისაგან დავალებული ჰქონია თბილისისა და მთელი ამიერკავკასიის დაპყრობა, რაც დასტურდება დოკუმენტური მასალებით, კერძოდ, მისი მიმართვის წერილით ჩეჩნეთ-დაღესტანისა და ქარის მუსლიმი მოსახლეობისადმი. მიმართვის ტექსტი დაწერილია არაბულად, ინახება საქართველოს სსრ სახელმწიფო ცენტრალურ ისტორიულ არქივში, ფონდი № 11, საარქივო № 8, „Дело дипломатической канцелярии при главноуправляющем Закавказским краем. О войне с Оттоманскою Портою, 1828—1831 гг.“. ეს საქმე, რომელშიაც მიმართვის წერილია ჩაკერებული, ჩასმულია 36×24 სმ ზომის ნაცრისფერ, სქელ, მუყაოს ყდაში და შედგება 263 ფურცლისაგან. ტექსტი მიმართვისა მოთავსებულია 173-ე გვერდზე. დაწერილია შავი მელნით, 43,5×30,5 სმ ზომის უხაზო, ლურჯი ფერის ქაღალდზე და შედგება სულ 31 სხვადასხვა ზომის სტრიქონისაგან. სტრიქონები არასწორხაზოვანი და მარცხნივ ოდნავ ზემოთ აწეულია. ინტერვალი მათ შორის ყველაზე ერთნაირი არ არის. ქაღალდი, რომელზეც მიმართვის ტექსტია დაწერილი, დიდიხანს ყოფილა ორად დაკეცილი, რის გამოც ნაკეცი ადგილი დაზიანებულია და, მიუხედავად იმისა, რომ იგი ამჟამად რესტავრირებულია, XIII სტრიქონის

დასაწყისში რამდენიმე სიტყვა მაინც არ იკითხება. ზოგან შემოიხრება გრაფიკული წესების დარღვევაც. ტექსტის დასაწყისში, პირველი სტრიქონის გარეშე, მარჯვნივ დასმულია 4,5 სმ დიამეტრის მრგვალი ბეჭედი, რომლის შუაგულში გარკვევით იკითხება სერასკერის გვარი და სახელი "السيد محمد صالح" (ას-საიდ მუჰამად სალი), ხოლო მის ირგვლივ სპარსულად წერია "من رهن تو من قرار تنو انم کرد || احسان ترا شدر تنو انم کرد || كبر تن من رهان شود هر موئی || يك شكرتو لدم در تنو انم کرد"

„შენს სიკეთეს მე ვერ დაუდგები ღირსეულად//. მადლის მოგებასაც ვერ შევძლებ//. ჩემს ტანზე თმის ყოველი ღერი რომ ამეტყველდეს//, შენს მადლობას მაინც ვერ გამოსთქვამს სრულად“². მრგვალი ბეჭედი, ოღონდ უფრო მცირე ზომისა (1 სმ დიამეტრის) დასმულია წერილის ტექსტის ბოლოს, მარცხნივ, 31-ე სტრიქონის გასწვრივ. იგი წარმოადგენს ას-საიდ მუჰამად სალიძის ხელრთვას³. საერთო არე, რომელიც მიმართვის ტექსტს უკავია 38×22,5 სმ უდრის. შინაარსი ტექსტისა ასეთია:

بسم الله الرحمن الرحيم

الحمد لله رب العالمين و صلى

الله على محمد و على آله و اصحابه

جامعين⁴ ||

من الوزير الاعظم و الصدر الافخم⁵ ناظم امور التوتة الاسلامية و صاحب
عساكر الشوكة العثمانية و حافظ حدود الاسلام و المسلمين⁶ و من بر⁷ الامور
الدولة و الدين || سرعسكر جوانب الشرق و تقه الله تعالى على اهلك الكفرة

² ბეჭდის სპარსული წარწერა ამოიკითხა და გვითარგმნა კ. ტაბატაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

³ როგორც ეს, ისე ზემოაღნიშნული ბეჭედი და მასში მოთავსებული სპარსული წარწერა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ისინი სპეციალურად დამზადებული ბეჭედები კი არ უნდა იყვნენ, არამედ ხელით შესრულებული.

⁴ დედანში ეს სიტყვა ზევით არის აწეული. გარდა ამისა მასში ასო (აღეფი) გამოტოვებულია და შემდეგაა მიწერილი სიტყვის ქვეშ, მაგრამ არა თავის ადგილას: **جمعين**

⁵ სიტყვის სამი უკანასკნელი ასო კარგად არ იკითხება, რადგან ტექსტი ამ ადგილას დასვრილია შავი მელნით.

⁶ დედანში ეს სიტყვა სტრიქონს ზევითაა აწეული და ასო | (აღეფი) მიწერილია ასო **س**-ს ქვეშ **المسلمين** სა-სთანავე, ამ სტრიქონის ყველა სიტყვა **المسلمين** შემდეგ დაწე-

რილია ერთმანეთის თავზე, ქვემოდან ზევით, ვერტიკალურად.

⁷ დედანში სიტყვა **بر**: დაწერილია **من**-ის თავზე ისე, რომ **س**-ს წერტილი **ن**-ს ქვეშაა, ხოლო **ر**-ს თავილი **ب**-ს თავზე.

المشركين بحرمه خاتم النبیین⁸ الى جميع اهل الايمان⁹ من اهلى داغستان خصوصاً
 قضاة و غزاة و علماء و كبراء و صلحاء و عقلاء و شجعان و شبان جماعات
 جوار و اوار و جاجان حفظهم الله تعالى من شر اعداء الدين و حسن¹⁰ عواقب¹¹ ۥ ۥ
 اموركم و امور المسلمين بحرمه سيد المرسلين اما بعد فاعلموا راحمكم الله تعالى
 قد كنتم طوائف المسلمين الخالصين الرسخين على مذهب اهل السنة و الجماعة¹² ۥ ۥ
 مشهورين فى اجراء حكم الاسلام و الجهاد و الغزوة و الشجاعة و كنتم الى هذه
 الدولة الاسلامية محاضا الصيانة اديانكم صواحب الاتقياد و الاطاعة¹³ ۥ ۥ و ان هذه
 الدولة العلية قد عزم فى هذه¹⁴ السنة على اهلاك الكفرة و المشركين¹⁵ و اخراجهم
 عن جميع ممالك المسلمين شرقاً و غرباً صاغرين مقهورين ۥ ۥ و اخلاص جميع اهل
 الايمان¹⁶ من ظلم تلكم الفجرة الملحدين بعناية رب العالمين فصدر امر خليفة الرحمن
 على جميع من فى الارض من اهل الايمان بخروجهم ۥ الى قتال اهل الشرك او
 الطغيان و أمرت من قبله العالى على فتح مدائن المسلمين و تخليصاً من
 ايدى الكفرة المشركين حتى تنصب باذن ۥ الله العزيز و اياتنا العلية فى بلدة تفليس
 و نظهر بمشيئة الله الكريم ديار المسلمين من دنس جنود ابليس و ها انا قد خرجت
 باذن الله¹⁷ ۥ ۥ تعالى فى غرة ذى الحجة الحرام الى قتال الكفرة اللئام مع¹⁸ جنودنا
 المنصورة و عساكرنا المظفرة الموفورة و ارسلت الى طرفكم هذا الكتاب¹⁹ ۥ ۥ لتبلغ

8 نسين: داგანში ეს სიტყვა დაწერილია ასე:

9 الايمان: დედანშია

10 დედანში ეს სიტყვა სტრიქონს ზევით არის დაწერილი.

11 დედანში ეწინა სიტყვის თავზეა მოთავსებული. იგი გაყოფილია და ბოლო ორი ასო წინა სამი ასოს თავზეა ატანილი, რითაც დარღვეულია არაბული მართლწერის წესი, რომლის მიხედვით სიტყვის გაყოფა-გადატანა დაუშვებელია.

12 დედანში სიტყვა დაწერილია წინა სიტყვის თავზე.

13 დედანში ეს სიტყვა სტრიქონის ზევითაა აწეული. ის გაყოფილია და ბოლო ორი ასო ზის სიტყვის წინა ნაწილის ალლა-ს თავზე.

14 დედანშია: هاده

15 დედანშია: المشركين

16 დედანშია: الايمان

17 დედანში სიტყვა სტრიქონს ზევით არის აწეული.

18 დედანშია: مع

19 დედანში-ის ბოლო ასო სტრიქონს ზევითაა და სიტყვის სხვა ასოების თავზეა მოთავსებული.

عليكم من خليفة الله الملك الغلاب فاذا وصل اليكم كتابي هذا و علمتم ما صدر من
 الدولة الإسلامية على جميع المسلمين ماذا يجب ... و اهداء الدولة و الدين و
 تجادلوا معهم ليلاً و نهاراً سرّاً و جهراً الاء على بكلمة الله المبين فالوجب و المفروض
 عليكم ان تخرجوا جميعاً لاهلاك المشركين و تحاربوا معهم بما استطعتم ملق كثنين
 على رب العالمين و اقتلوهم حيث ثقتموهم²⁰ و اخرجوهم من حيث اخرجوهم و
 شباو معهم و قود النيران و اضربوا سيوفكم رقاب اهل الظلم و العصيان كما هو
 دابكم و عادتكم الى هذا || الزمان و لا تنظروا اقول الجبلا المرتدين و لا تعبوا
 اكاذيبهم انهم و الله لشياطين كما قال الله جلّ جلاله انما ذالكم الشيطان || يخوف
 اوليائه فلا تخافوهم و خافوني ان كنتم مؤمنين ولا تغتروا بقوة المشركين و كثرتهم
 انهم عند الله و عند دولتنا العالية شئ حقير و ان || اخرجهم عن ديار المسلمين بمشية
 العزيز لشي يسير و اعتبروا في قول الله تعالى و لا يغرنك تقلب الذين كفروا
 في البلاد || متاع قليل ثم ماء ولهم جهنم و تبسر المهاد فمن تكاسل منكم في هذا
 الامر و تخالف عن هذا السفر المظفر و اختار التقاعد في بيته || و طلبوا الراحة و
 الخير من ماله تجارته فلا جرم انه عدو الله و عدو رسول الله و عدو خليفة
 الله و لا تقارق بعد || ذالكم بينه و بين اعداء الله و سيعلم الذين ظلموا انتى²¹ منقلب
 ينقلبون و على الله فليتوكل المتوكلون و ان امراءكم الاقدمين || الاكرمين نوح
 خان و ابنه قد وصل الى الدولة العلية و بلغا مبلغاً لم يبلغ اليه احد عند حضرة
 الشوكه البية و عرضا اليه²² || الجميع²³ مطالبكم و خلوصكم الى الدولة الاسلامية و جميع
 ما فعلتم من المحاربات و المقاتلات مع اعداء الشريعة²⁴ المحمدية هم²⁵ فعلم خليفة ||
 الرحمن ادام الله دولته الى اخر الزمان حقايق المالك و دقايق احوالكم و عهد

20 პირის ნაცვალსახელი ზევითა დაწერილი. სტრიქონის ზევითა დაწერილი.

21 დედანში ეს სიტყვა ბუნდოვნადაა დაწერილი, ამდენად ჩვენი წაკითხვა პირობითია.

22 დედნის დამწერელს სიტყვა მთილანად ვერ დაუტყვია სტრიქონზე და სამი ასო სტრიქონის ზევით აუტანია.

23 დედანში ეს იდეალი დასვრილია მელნით და სიტყვის დასაწყისი არ ჩანს.

24 დედანში ამ სიტყვის პირველი ასო მესამე ასოს ქვეშაა მოთავსებული.

25 ეს „ზამირ აღ-ინშარა“ უნდა იყოს



عهداً فيما أنه لا يفارقكم عن سائر ممالكه المحروسة²⁶ || و لن يخرجكم بعد الآن عن
 دياركم ايضا عن ديار دولته العلية في المقاتلة و المصالحة
 بد || الابدین بعناية رب العالمين فكونوا واثقين الى عهده القويم و انه و الله لهو
 الفوز العظم و قد بعثت اليكم هاذه الرساله²⁷ || بواسطة الامير الكبير²⁸ و الرئيس
 الشهير اية الجد و المناعة مصدر العز و الشجاعة الخالص الصادق الى الدولة العلية²⁹ || مصطفى
 خان الشرواني و انه و كئناه من طرف الدولة العلية الى جهتكم الحلية فثقوا قوله و
 امتثلوا امره و ارسلوا³⁰ || رسلكم ورسالكم و اظهروا اليه جميع مطالبكم و ما ربكم فانه ان
 شاء الله تعالى يباغ جميعها الي و الى الدولة العلية || و يتم اموركم كما هو مقتضى
 مرامكم من طرف الشوكه البهية باذن الله العلى العظم و توكلوا على الله الكريم
 انه على كل شئ قدير || نعم المولى و نعم النصير

السيد محمد صالح

სახელითა ალაპისა მოწყალისა და მწყალობელისა, დიდება ალაპს
 ქვეყნიერების გამგებელს, დალოცავს ალაპი მუჰამადს და მიმდევრებს მისას.
 დიდი ვაზირის, სახელგანთქმული მხედართმთავრის, ისლამის სამყაროს
 საქმეთა მომწესრიგებლის, ოსმალეთის უძლეველი ჯარების უფროსის, ისლამისა და მუსლიმთა საზღვრების დამცველის, სახელმწიფო საქმეებისა და სარწმუნოების კეთილისმყოფელის. აღმოსავლეთის მხარეთა სერასკერისაგან.
 უზენაესმა ალაპმა შთააგონა ურწმუნოებისა და წარმართების მოსპობა
 ყველა მორწმუნე ხალხს, ვინც ცხოვრობს დაღესტანში, განსაკუთრებით ყადებს,
 მეომრებს, სწავლულებს, უხუცესთ, მორწმუნეებს, საუკეთესოებს, ბრძენებს,
 მამაცებსა და ჭაბუკებს: ჭარებებს, ავარებსა და ჩეჩნებს, დაიცავს მათ უზენაესი ალაპი სარწმუნოების დღემანთა ბოროტებისაგან და კეთილად დააბოლოებს როგორც თქვენს, ისე ყველა სხვა მუსლიმის საქმეებს.

შემდეგ აი რა: ცნობილია, რომ უზენაესი ალაპის შეწყვენით თქვენ ხართ ქვეშარტი მუსლიმების განსაკუთრებული ჯგუფის — სუნას სექტის ხალხი, ისლამის მოთხოვნილებათა ერთგული შემსრულებელნი, სარწმუნოების მტკი-

26. დედანში ეს სიტყვა გადატანილია. მისი უკანასკნელი ორი ასო სტრიქონს ზევითაა ატანილი და ზის წინა ორი ასოს თავზე.

27. წერილის დამწერს ეს სიტყვა ვერ დაუტევია ხაზზე და გადაუტანია ისე, რომ მხოლოდ პირველი ასო დატოვებული იმავ სტრიქონზე დანარჩენი ოთხი ასოდან ორი ასო პირველის თავზე დაწერილი, ხოლო ორი კი მათ ზევით.

28. დედანში: **الكبير**

29. აქაც სიტყვის მხოლოდ პირველი ასოა დატოვებული იმავ ხაზზე, დანარჩენი ასოები კი სტრიქონის ზევითაა ატანილი.

30. არსლოა სტრიქონს ზევითაა ატანილი და ორადაა გაყოფილი. ბოლო 4 ასო წინა ასოების თავზეა მოთავსებული.

ეცემიველი, მამაცი საღვთო ბრძოლებში, მომხრენი ჩვენი მფალაი პორტასი, რომელსაც ვადაწყვეტილი აქვს დაიცვას თავისი სარწმუნოება.

მალე პორტას წელს ვანზრახული აქვს დაიძრას ურწმუნოთა მისსაძრებელად და მათ ვასაძეველად ყველა მუსლიმური ქვეყნიდან აღმოსავლეთითა და დასავლეთამდე და დღვის შეწყვენით იხსნას მუსლიმთა რელიგია ურწმუნო ერეტიკოსთა დამცირებისაგან. ასეთი ბრძანებით მიმართა სულთანმა ყველას, ვინც არის დედაშიწზე მართლმორწმუნე, რათა აღსდგენენ ურწმუნო ტირანთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მე კი მებრძანა დაუყოვნებლივ დაპყრობა მუსლიმთა ქალაქებისა, მათი გაწმენდა ურწმუნო წარმართთაგან და ალაჰის ნებართვით ჩვენი უძლეველი დროშის აღმართვა თბილისში, აგრეთვე განთავისუფლება მუსლიმთა ქვეყნებისა ეშმაკის ჯარების ქუჩყისაგან.

და აი მეც გამოვემართე ალაჰის ნებით, მაღალიმცა იგი, ზუ-ლ-ჩაჰჯას დასაწყისში. ჩვენი ძლევაშოსილი რეგულარული და ირრეგულარული ჯარებით ურჯულოთა შესამუსრავედ და ვაგზავნით ამ წიგნს თქვენს მხარეში, რათა გაცნოთ ალაჰის მოადგილე უძლეველი სულთნის ბრძანებას. როდესაც ეს ჩემი წიგნი თქვენამდე მოაღწევს და შეიტყოთ რასაც პორტა გწერთ მუსლიმთა შეკრების შესახებ, ვალდებული ხართ (მაშინვე დაიწყოთ ომი ურჯულოთა წინააღმდეგ) ქვეყნისა და სარწმუნოების დასაცავად და გაუმართოთ ბრძოლები მათ დღე და ღამე, აშკარად და ფარულად, ენდეთ ალაჰის ნათელ სიტყვას. თქვენვე გეცნობათ და ვალდებული ხართ, რომ აღსდგეთ წარმართების წინააღმდეგ, ებრძოლოთ მანამდე, სანამ არ გააძევეთ იქიდან, საიდანაც გაძევებული ხართ თქვენ³¹. გამოიჩინეთ გამირობა და მშითა და მთვართი ვასხივოსნებულ ბრძოლებში დაჰკარით ხმლები კისერზე თქვენს მტრებს, როგორც მოძალადეებსა და ურჩებს. ნუ ენდობით ბრიყვებს და სარწმუნოებისაგან განდგომილთა ცრუ სიტყვებს. ვფიცავარ ალაჰს, რომ ისინი სხვა არა არიან თუ არ სატანები და როგორც ალაჰმა თქვა—დიდება მას, სატანები ნამდვილად ემუქრებიან თქვენს მოდგმას, მაგრამ ნუ გეშინიათ მათი, არამედ გეშინოდეთ ჩემი. თუ მორწმუნენი ხართ არ შეგაცდინოთ ურწმუნოთა სიმრავლემ და ძალამ. ჭეშმარიტად ისინი ალაჰის და ჩვენი მაღალი პორტას წინაშე არაარობანი არიან და მათი განდევნა მუსლიმთა ქვეყნიდან თქვენთვის ნამდვილად არაა ძნელი. პატივი ეცით ალაჰს, მაღალიმც არის ის, და ნუ ვააწყადებთ. ვინც თქვენს შორის ამ საქმეში გამოიჩენს სიზარმაცეს, ლაჩრობას, ჩამორჩება ძლევაშოსილ ლაშქრობას, ამჯობინებს შინ მშვიდად ჯდომას და ჭონების მოხვეჭას ვაქრობით, ის უსათუოდ არის მტერი ალაჰის, მისი მოციქულის, მოადგილის³² და არაა განსხვავება ასეთებსა და ალაჰის მტრებს შორის. ალაჰის შეწყვენით სულ მალე გაიგება ვინც არიან ბოროტნი და მერყენი.

31 ამ მიზნის მისაღწევად თურქი აგენტები აღრეც მოქმედებდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში, რაც ვარკვეით ჩანს კავკასიის ხაზისა და შავიზღვისპირეთის ჯარების სარდლის, გენერალ ემანუელის მიერ პასკევიჩისადმი 1828 წლის 17 ივნისს ვაგზავნილი პატაკიდან, რომელშიც აღნიშნულია: „ჩვენეთში გამოგზავნილი თურქეთის აგენტები ყოველ ღონეს ხმარობდნენ ჩვენს წინააღმდეგ ამ ხალხის ასაჯანყებლად... ეს აგენტები, რომლებსაც თან ჰქონდათ მუჰამედ წინასწარმეტყველის დროშა, წინადადებას აძლევდნენ (ჩვენს მიერ) ჯერ კიდევ დაუპირილი ბელ ჩეჩნებს დაძრულიყვენ რუსეთის ქვეშევრდომობაში მყოფი მშვიდობიანი აულებსაკენ, შეერთებინათ ისინი და გაერთიანებული ძალებით ემოქმედათ ჩვენს საწინააღმდეგოდ“ (ЦИАГ, фонд № 11, дело дипломатической канцелярии при главноуправляющем Закавказским краем. О войне с Османскую Портою, 1828—1831 гг. Т. I., 25).

32 იგულისხმება მუჰამადის მოადგილე სულთანი, რომელიც ხალიფობას იხემებლ.

თქვენი ყოფილი მოწყალე ამირები ნუჰ-ხანი და მისი ვაჟი უკვე მაღალ პორტას კარზე მივიდნენ³³ და მისალწველს მიადწიეს ისე, როგორც არაის არასოდეს არ მიუღწევია. მათ წარუდგინეს მის ბრწყინვალე გვირგვინოსნობა თქვენი თხოვნები და ყოველივე, რაც გაგიკეთებიათ მუსლიმთათვის. მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში. მოწყალე ხალიფამ, — დაე დღეგრძელდეს ალაჰმა იმპერია მისი, — შეიტყო თუ არა ეს, პირობა დასდო, რომ მუდამ გიმთარველებთ, შეგიწყალებთ, და არასოდეს — არც ბრძოლებისა და არც მშვიდობიანობის დროს არ გაგაძევებთ იმპერიის ფარგლებიდან. სამაგიეროდ, რაკი ღმერთის მოწყალეობით სარგებლობთ, თქვენ მოვალენი ხართ მტკიცედ შეასრულოთ მიცემული დაპირება.

აი უკვე გიგზავნით ამ წერილს უდიდესი ამირის, სახელოვანი წინამძღოლის, უმამაკესის, ძლიერისა და პორტას უერთგულესი მეგობრის, მუსტაფა-ხან შირვანელის³⁴ მეშვეობით, რომელიც ნამდვილად არის პორტას ვაჟი³⁵ თქვენი მხარის საზოგადოებაში. ენდეთ მის სიტყვას, შეასრულებთ მისი ბრძანებები, გაუგზავნეთ რწმუნებულები, ცნობები და მოასხენეთ მას ყოველივე, რაც კი გაქვთ სათხოვნი თქვენ და თქვენ უფროსებს. ის კი, თუ უზენაესმა ალაჰმა ინება, თავის მხრივ ყველაფერს შეატყობინებს პორტას და (ეუკანასკნელი) დააკმაყოფილებს თქვენს საქმეებს შესაძლებლობისა და საჭიროების მიხედვით. მიენდეთ მოწყალე ალაჰს. ჭეშმარიტად ის არის ყოვლის შემძლე, კეთილისმყოფელი და დამცველი.

საიდ. მუჰამად სალიჰი³⁶.

³³ ნუჰ-ხანი და მისი ვაჟი სტამბოლში ჩასულან 1827 წელს, რაც ჩანს დოკუმენტური წყაროს ცნობიდან, რომელშიც ნათქვამია: „ამას წინათ ყარაჩაელებმა თავიანთ სამფლობელოზე გავლით ყუბაში, ზოლო იქიდან ანაპაში გაისტუმრეს ჩვენს წინააღმდეგ მთის ზღობის ასაჯანყებლად ჩენეთში მყოფი ნუჰ-ხანის ვაჟი“ (Рапорт ген.—Л. Эмануеля ген. Паскевичу, от 30-го декабря 1827 года № 1961, „АКАК“, т. VII, стр. 875). ცხადია, ჩენეთიდან ანაპაში ჩასულ ნუჰ-ხანს ვაჟს გზა სტამბოლისაკენ უნდა ჰქონოდა.

³⁴ მუსტაფა-ხანი 30 წლის განმავლობაში მართავდა შირვანს. ამ უკანასკნელის რუსეთთან შეერთების (1806—1813 წლებში) პირველ წლებში იგი რუსეთის ერთგული მსახური იყო. შემდეგ კი, როგორც თვითონ აღნიშნავს, ზოგერთმა ვარემოებამ ეს კეთილი სამსახური ღალატით შეაცვლევინა (იხ. Прошение Мустафа хана к кн. Долгорукову, „АКАК“, т. VII, стр. 451) და 1820 წელს 300 კაცით ირანს გადაიხვეწა („АКАК“, т. VII, ч. I, стр. 811—812). 1826—1828 წლებში, ირანსა და რუსეთს შორის საომარი მოქმედების დროს, იგი თავის ცხენოსანთა რაზმით რუსების წინააღმდეგ იბრძოდა (Предписание ген. от инж. Ермолова к ген.—М. фон Крафтне от 25 го августа 1826 г., № 307, „АКАК“, т. VII, стр. 519), მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. ირანის დამარცხების შემდეგ მუსტაფა მულაში იყო და ერთხანს იქიდან ეწეოდა ძირგამომთხრელ საქმიანობას („АКАК“ т. VII, стр. 451—2), ხოლო როცა დარწმუნდა, რომ ასეთი გზით ის თავის სამფლობელოს ვეღარ დაიბრუნებდა, რუსებს ბოდიში მოუხდა და საშობლოში დაბრუნების ნებართვა სახოვა („АКАК“, т. VII, стр. 451—2), რაც როგორც ჩანს, მიუღია კიდეც, იგი შლ. არაქის ნაპირს დასახლებულა და 1844 წელს იქვე გარდაეცვლია — დაკრძალულია ქ. შემახაში („АКАК“, т. V, стр. 1110).

³⁵ ვაჟი ილი — რწმუნებული, ნლობით აღჭურვილი ბერი, მოადგილე.

³⁶ წერილს თარიღი არ უნის, მაგრამ იგი ნამდვილად დაწერილი უნდა იყოს 1828 წლის ივნისის შუა რიცხვებში, რაც ვარკვევით ჩანს თვით წერილის შინაარსიდან, კერძოდ იქიდან, სადაც წერია: „მაილმა პორტამ მუსლიმური ქვეყნებიდან წელს განიზრახა... ურწმუნოთა გაჩეუება... და უკვე გამოეცხადეთ სალაშქროდ... ზულ-ჰიჯას დასაწყისში“. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ოსმალეთის მთავრობამ რუსეთის წინააღმდეგ ომი დაიწყო 1828 წლის 31 მაისს. ამ წელს კი ზულ-ჰიჯას თვე დადგა 14 ივნისს, შაბათს.

წერილის შინაარსი უეჭველად ადასტურებს, რომ ოსმალეთის მთავრობას განზრახული ჰქონდა რუსეთის გაძევება კავკასიის ქვეყნებიდან, ამ ქვეყნების დაპყრობა, ოსმალეთის იმპერიაში შეყვანა და მათი ქრისტიანულ მცხოვრებლებს ომის მოქცევა მაჰმადის რჯულზე. ამდენად, ამ დოკუმენტს, რომელიც დღემდე ინახება ნადაც ვიცი, ახლა ქვეყნდება პირველად, გარკვეული მნიშვნელობა აქვს თურქეთის საგარეო პოლიტიკის შესასწავლად („ბანისლაშიზმისა“ და „ბანთურქიზმის“ შესასწავლად). იგი სასარგებლო იქნება იმათთვისაც. ვინც რუსეთ-ოსმალეთის 1828 — 1829 წლების ომის შესწავლითაა დაინტერესებული.

Б. Г. СИЛАГАДЗЕ

ОБРАЩЕНИЕ СЕРАСКИРА ВОСТОЧНЫХ ПРОВИНЦИЙ
ОТТОМАНСКОЙ ИМПЕРИИ МУХАММЕДА САЛИХА К
МУСУЛЬМАНСКОМУ НАСЕЛЕНИЮ КАВКАЗА

Резюме

В работе публикуется арабский текст и грузинский перевод обращения командующего турецкими войсками, действовавшими на кавказском фронте, «Дагестанскому народу, особенно Джарскому, Аварскому и Чеченскому казиям, эмирам, опытным, способным и храбрым людям, старшинам и другим молодцам» (ЦГИА, ф. № 11, архив № 8, л. 173). Письмо написано в июне 1828 г. Из него явствует, что во время войны с Россией в 1828—1829 гг. турецкое правительство ставило задачей привлечь на свою сторону мусульманское население Кавказа. С их помощью турки надеялись нанести поражение русским войскам, изгнать их из Кавказа и занять г. Тбилиси.

მასიმი ბერძენიშვილი

წერილი „რამე რუსთაველიანთის“ და მისი ავტორი ლ. ა.—დ

„ლ. ა. — დ“ ინიციალებია იმ უცნობი ავტორისა, რომელმაც 1829 წლის 21 იანვარს ქართულ გაზეთ „ტფილისის უწყებათა“ მესამე №-ში დაბეჭდა წერილი სათაურით „რამე რუსთაველისათვის“.

ეს ლიტერატურული ფაქტი ჩვენი დროის საზოგადოებისათვის ცნობილი შეიქნა მარტო 1948 წელს: ლენინგრადელმა მეცნიერმა მუშაქმა ა. აბრამი-შვილმა ამის შესახებ ვრცელი ცნობა დაბეჭდა წიგნის პალატის ორგანოს — „ბიბლიოგრაფიის მოამბის“ 4—5 №-ში, ხოლო 1955 წელს მანვე „ლიტერატურულ ძიებათა“ IX ტომში გამოაქვეყნა თვითონ წერილის უკვე სრული ტექსტი. ამ პუბლიკაციის წყალობით „რუსთაველიანთა“ შეივსო და ჩვენი წარსულის ცოდნასაც რამდენიმე ახალი შტრიხი შეეძინა, რადგან „რამე რუსთაველისათვის“ შიგ ჩაქსოვილი აზრებით უდავოდ მნიშვნელოვანი დოკუმენტია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიისათვის.

მაგრამ ჭერ ვიკითხოთ: ვინაა წერილის უცნობი ავტორი, ლ. ა.—დ.? ამ საკითხის გარკვევას 1948 წელსვე შეეცადა ა. აბრამიშვილი. იგი წერდა: „ჩემი ყურადღება მიიქცია შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი წერილის ავტორმა (ლ. ა.—დ.), რომლის ინიციალების გახსნაც მე ვერასვხივთ ვერ მოვახერხებ-ო და იქვე სქოლიოში შენიშნავდა: „ლ. ა. — დ. ლ. საშა (ალექსანდრე) — ლ.? ალექსანდრე დ (ოდაე) (დოდაშვილი). ენა ძლიერ ჩამოგავს დოდაშვილისას და საფიქრებელია მის კალამს ეკუთვნოდეს-ო“¹. მოსალოდნელი იყო, რომ 1955 წელს „რაიმე რუსთაველისათვის“ ტექსტის პუბლიკაციის დროს, ა. აბრამიშვილი თავის წინართ წერილში ამ საკითხს ასე თუ ისე კვლავ შეეხებოდა. მაგრამ რატომღაც სრული დუმით გვერდი აუარა.

1952 წელს ამ საკითხს შეხო ამბერკი გაჩეჩილაძე: მან პირველი ინიციალი „ლ“ ლავრენტად ამოხსნა, დეფიზით გაყოფილი „ა. — დ.“ კი არდაზიანის გვარის პირველ და მესამე ასოდ მიიჩნია და ამრიგად წერილის ავტორად ლავრენტი არდაზიანი გამოიყენა?²

ხოლო 1954 წელს მ. გოცაძე ამბ. გაჩეჩილაძის ვერსიას დუმით შეხვდა და მარტო ამას შენიშნავდა: „ჰგონიათ, რომ აქ შეიძლება იყოს სოლ დოდაშვილი“-ო³. თვითონ კი რა ჰგონია ავტორს, ეს მკითხველისათვის უცნობი დარჩა.

ასეთია ვითარება ამ საინტერესო წერილის ავტორის ვინაობის ირგვლივ. და ჩვენც იმ აზრით შევყოვნდით ამაზე, რომ ცხადი იყოს, რამდენად უსარგებ-

¹ ვიცავთ გრაფიკულ სიზუსტეს.

² ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, გვ. 184, შენიშვნა.

³ ქართული ეურნალისტიკის ისტორია, გვ. 145.

ბლოა „ნიეტრალობა“ საკითხის გამორკვევისას და მეთოდოლოგიურად შეტყნარებელია ნებისმიერი გახსნა ინიციალებისა.

ამ შემთხვევაში დეშიფრაცია უნდა ეთანხმებოდეს იმ ინდიციებს, ანუ ნიშნებს, რაც ავტორის ვინაობის გასარკვევად მოგვცა თვითონ „ტფილისის უწყვერბათა“ რედაქციამ თავის შენიშვნაში რუსთაველზე წერილის დაბეჭდვისას. იქ კი შემდეგს ვკითხულობთ: „მუხლი“ ესე დაწერილ არს როსიულსა ენასა ზედა ერთისა ახალგაზრდა კაცისა მიერ, რომელიც ჭერეთ ჰსდგას ზღურბლსა ზედა სწავლისა და ქვეყნისასა“—ო⁴ მაშასადამე, ეს ვინმე ლ. ა. — დ. 1829 წ. 21 იანვარს, როცა იბეჭდება მისი ნაწარმოები, ახალგაზრდა კაცია და რაც ხახგასამელია — სწავლას ამთავრებს. „ჭერეთ ჰსდგას ზღურბლსა ზედა სწავლისა და ქვეყნისასა“ სწორედ იმას ნიშნავს, რომ ავტორი ჯერ „ქვეყანაში“ ე. ი. ცხოვრებაში არ გამოსულა, ჯერ არა აქვს სწავლა დამთავრებული, აპირებს კი ცხოვრებაში გამოსულას, „ზღურბლზე დგას“, სწავლისა და ცხოვრების მიჯნაზე იმყოფება, ერთი სიტყვით, ის აბიტურიენტი ია. ამ მომენტს კი არც ა. აბრამიშვილი ითვალისწინებს და არც ამბ. გაჩეჩილაძე უწყვეს ანგარიშს.

ახლა ვკითხვით: შეიძლება ეს ითქვას სოლომონ დოდაშვილზე, რომელიც 1829 წელს უკვე კიი ხნის გამოსული იყო ცხოვრებაში? იმან ხომ 1827 წელს დაასრულა სწავლა და მაშინვე გადააბიჯა „ზღურბლს“, დაიწყო „ცხოვრება“, მასწავლებლობა! ან შეიძლება ლავრენტი არდაზიანზე ითქვას, რომ 1829 წელს ის იდგა „ზღურბლსა ზედა სწავლისა და ქვეყნისასა“? რასაკვირველია, ვერ ვიტყვით, რადგან თვით ამბერკი გაჩეჩილაძის „ნარკვევებიდან“ ვიცით, რომ არდაზიანმა სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა 1831-ში, სემინარია კი — მხოლოდ 1837 წელს⁵. ამიტომ უნდა უკუვადოთ სოლ. დოდაშვილის ავტორობის აზრიც და ლავრ. არდაზიანისაც, მით უმეტეს ვინმე საშა თუ ალექსანდრე დოდავი-დოდაშვილისა. ასეთი ვინმე არც ყოფილა მაშინ დოდაანთ გვარში; ეს ცნობილი ამბავია 1902 წლის მერე, როცა განსვენებულმა ექვთაყაიშვილმა მოგვცა დოდაანთ გენეალოგია, თუმცა არა ზუსტი⁶.

ავტორის ვინაობის დადგენისას ანგარიში უნდა გაეწიოს ერთ მომენტსაც, სახელდობრ, „ტფ. უწყებათა“ რედაქციის შენიშვნას: „მასზედა (ე. ი. წერილის ავტორზე) იყო მოქმედება მასწავლებლისა“—ო. ამბერკი გაჩეჩილაძემ ასეთ მასწავლებლად, ვავლენა რომ იქონია ავტორზე, მიიჩნია სოლომონ დოდაშვილი. მართალიცაა: მაშინდელ ქართველ მასწავლებლებს შორის „ტფ. უწყებათა“ რედაქცია-გამომცემლობასთან ახლოს იდგა მარტო სოლ. დოდაშვილი, სხვას კი არავის ვიცნობთ.

გარდა ამისა, წერილის რეალიებიც სწორედ სოლ. დოდაშვილის ზეგავლენას ვეჩვენებენ. მაგრამ ამაზე მერე.

ამრიგად: წერილის — „რამე რუსთაველისათვის“ — ავტორი, ინიციალებით ლ. ა. — დ. საძიებელია მარტო 1829 წლის აბიტურიენტებს შორის და ისიც მხოლოდ კეთილშობილთა სასწავლებლის მოწაფეებში, რადგან სოლომონ დოდაშვილი, რომლის „მოქმედება იყო“ ავტორზე, 1829 წელს სწორედ აქ ასწავლიდა, სხვაგან კი არსად ყოფილა.

⁴ მუხლი ნიშნავს სტატიას, საგაზეთო წერილს.

⁵ დაბეჭდილია „ზღურბლსა“ შევასწორეთ მართებული ფორმით „ზღურბლსა“.

⁶ ციტირებ. შრომა, გვ. 173, 177—179:

⁷ Описание рукописей общества грамотности, т. 1, в. 1-ый, стр. 199—200.

ისიც არის მხედველობაში მისაღები, რომ წერილის ავტორი — აბიტურიენტი სწავლა-წარმატების მხრივ ძლიერი მოწაფე უნდა ყოფილიყო: სუსტი ვერც შესძლებდა საგაზეთო წერილის შეთხზვას და არც მასწავლებელი გამოიდგებოდა მაინც და მაინც თავს ასეთი მოწაფის სამწერლო ასპარეზზე გამოყენისათვის.

ახლა ვნახოთ, სოლ. დოდაშვილის მოწაფეებს შორის 1829 წლის საბუნდობრ რომელი აკმაყოფილებს იმ რეალიებს, რედაქციამ რომ მოგვცა თავის შენიშვნაში? სამწუხაროდ, სასწავლებლის არქივის დეფექტურად დაცვის გამო სრული სია 1829 წლ. მოწაფეებისა, კერძოდ კი აბიტურიენტებისა, არ მოიპოვება. სამაგიეროდ გვაქვს გაზეთში გამოქვეყნებული ოფიციალური ცნობა 1829 წლის წარჩინებულ მოწაფეთა შესახებ. ამ ცნობიდან ჩანს, რომ 1829 წლ. იენისის 6-ს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მოწაფეთა საჯარო გამოცდის დროს სწავლა-წარმატების მხრივ თავი გამოუჩინა მეექვსე კლასის მოწაფეს ლუარსაბ არღუთინსკი-დოლგორუკოვი⁸. ერთი მხრით მისი სახელისა და გვარის დასაწყისი ასოები, ხაზი რომ გავუსვით, საცხებით შეესაბამება წერილის ავტორის ინიციალებს — „ლ. ა. — დ“ —ს; მეორე მხრით მისი მეექვსე-კლასელობაც გვიჩვენებს, რომ ის იყო სწორედ 1829 წლის აბიტურიენტი, რადგან მეექვსე კლასი უმაღლესი, გამოსაშვები კლასი იყო ამ სასწავლებელში; ხოლო მესამე მხრით მისი მოთავსება წარჩინებულ მოწაფეთა სიაში თავისთავად ადასტურებს სწავლაში მის წარმატება-ძლიერებას. ამიტომ „რამე რუსთაველისათვის“ წერილის ავტორად უნდა მივიჩნიოთ ეს ლუარსაბ არღუთინსკი-დოლგორუკოვი: ის საცხებით შეეფერება რედაქციის მიერ ნაჩვენებ ნიშნებს; ინიციალებიც ემთხვევა მის სახელსა და გვარს, წარჩინებული მოწაფეც არის და — რაც მთავარია — აბიტურიენტიც; 1829 წ. იანვარში, წერილის დაბეჭდვისას, ის მართლაც „იდგა ზღურბლსა ზედა სწავლისა და ქვეყნისასა“.

ოღონდ საჭიროა აღინიშნოს, რომ წარჩინებულ მოწაფეთა სიაში ეს აბიტურიენტი მართო ერთი გვარით (кн. Луарсаб Аргутинский) არის მოხსენიებული, მეორე დამატებითი გვარი (დოლგორუკოვი) კი გამოტოვებულია.

მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არავითარ დაბრკოლებას ფორმალურადაც კი არ უქმნიდა ახალგაზრდა ავტორს წერილზე სრული გვარის ინიციალები მოეწერა. და აი რატომ. ცნობილია, რომ თავადი არღუთაშვილები ერეკლე II-ის დროიდანვე ცდილობენ თავიანთ გვარს წაუმატონ ძველი გვარიც მხარგრძელებისა და ასე ჩაეწერონ რუსეთის „ღეროლდიაში“. 1783 წ. 28 აგვისტოს ერეკლე ასეთ მოწმობას გასცემს: „...ვინათგან ყოველი ჩინებულება შთამომავლობითი დამტკიცების სიძველითა გვართათა და ჩინებულებითა წინაპართა, ამისთვის არა უმიზეზო არს, რათა ჩვენნიერი წამება მისცემოდათ არღუთანთ, რომელ არიან მხარგრძელნი, ვითარმედ არიან სომხითსა და ივერიასა შინა გვარნი დიდნი და ჩინებულნი, ვითარცა სწამებენ ისტორიანი ჩვენნი და უფროსად ისტორია მეფეთა თამარისა და რუსუდანისა თავადთა ზაქარია ამირსპასალარისა და იოანე ათაბაგისათვის... ვითხოვ საიმპერატორო კარისაგან, რათა ღეროლდსაცა შინა როსსიის კეთილშობილთასა აღრიცხულ იქმნას მხარგრძელად“⁹. ამიტომაც იყო, რომ პავლე იმპერატორმა 1800 წ. 22 მარტს

⁸ Газ. «Тифлисские ведомости», 1829 г., № 24.

⁹ საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი Н-609, ფ. 106v-107r (ბირი). დედანი კი რუსული თარგმანით გამოსცა ლ. მელიქსეთ-ბეგმა (Христианск. Восток, т. VI, в. 3, 1922, стр. 342-343) და მეორედ სომხური თარგმანით. საქართველოს

ცნობილ იოსებ პატრიარქს, ამ გვარის შვილს, მის ძმებს ზოსეს და ბეჟანს და მისწულებს ნება მისცა წოდებულიყვნენ „Аргутинский-Долгоруков“-ად¹⁰. ასე რომ, როგორც ვთქვით, ფორმალურადაც კი სრულიად ბუნებრივი იყო ლუარსაბის მხრივ გვარის ინიციალებით ხელისმოწერა: ლუარსაბ არტუთინსკი-დოლგორუკოვი (ლ. ა. — დ).

ასევე ბუნებრივად მოჩანს. ამ ლუარსაბ არტუთინსკი-დოლგორუკოვზე „მოქმედება“ სწორედ სოლომონ დოდაშვილისა როგორც მასწავლებლისა. იმიტომ კი არა მარტო, რომ დოდაშვილი მას სწორედ ქართულ სიტყვიერებას ასწავლიდა და რუსთაველზე ცნობებსაც ეს მისცემდა. არც იმიტომ მარტო, რომ სოლ. დოდაშვილი ქართველ მასწავლებელთა შორის ერთადერთი იყო, რომ „ღვ. უწყებებში“ თანამშრომლობდა. ამ აპრიორულ მოსაზრებათა გარდა „მუხლის“ ანუ საგაზეთო წერილის ავტორზე სწორედ სოლ. დოდაშვილის და არა სხვა ვისიმე „მოქმედების“ სასარგებლოდ ლაპარაკობს, როგორც წყნად გავკვრით ვთქვით, წერილის რეალიზაცი. მაგალითად, იონა ხელაშვილის მოხსენების ფაქტი. ავტორი თავის წერილის ბოლოში წერს: „წარმოვადგინე რა მოკლედ უმთავრესი შრომა და თვისება დიდისა ამის შწერლისა, არა ძალშიძს, რათა არა განუცხადო მემამულეთა ჩემთა სახელნი მათნი, რომელთაცა შრომანი ენისა ჩვენისა განმდიდრებისათვის, მოქმედებანი სარგებლობისათვის და თვისებანი¹¹ კეთილისათვის მამულისა ღირს არიან პატივისცისა: ანტონი და იონა, რომელთაცა თხზულებანი, სამწუხაროდ ჩვენდა, არიან ჯერეთ ხელნაწერნი“. საიდან და ვისი საშუალებით იცნობს „მუხლის“ ავტორი კერძოდ იონას, შორეულ პეტერბურგში გადახიზნულს, და მის „შრომებს ენისა ჩვენისა განმდიდრებისათვის“, განსაკუთრებით კი მის „მოქმედებათ სარგებლობისათვის და თვისებათ კეთილისათვის მამულისა“?

ცხადია, მხოლოდ სოლომონ დოდაშვილისაგან, თორემ სხვა გზით რომ ჰქონოდა ავტორს ეს ცნობა მიღებული, მაშინ ანტონ I-ის გვერდით მოიხსენიებდა, ვთქვათ, დოსითეოზ ჩერქეზიშვილს, იონან ოსეს-ძეს, ამბროსი ნეკრესელს, დავით რექტორს და არაერთს სხვას ფილოსოფიურად განსწავლულს და არა მარტო იონას. ხოლო თუ ახალგაზრდა ავტორის „მუხლში“ მარტო იონას ვხედავთ, ეს შეიძლება აიხსნას მართლაც „მასწავლებლის მოქმედებით“, სწორედ სოლ. დოდაშვილის გავლენით თავის აბიტურიენტ-მოწაფეზე. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ სოლომონ დოდაშვილი, იონა ხელაშვილის აღზრდილი, მხურვალე მოთაყვანე იყო ამ გამოჩენილი მწიგნობრისა, პატრიოტისა და დემოკრატისა, რაც სოლომონის წერილებიდან მოჭარბებითაც კი ჩანს. იმიტომ სრულიად ბუნებრივი იქნება იმის ფიქრიც, რომ მაღლიერი სოლომონი, ენთუზიასტი და პატრიოტი, თავის მოწაფეებსაც, კერძოდ „მუხლის“ ავტორს, მოუთხრობდა იონას ღვაწლსაც და მოზარდ ათბაში მის სახელს უხევედა. იონას სახელის ჩართვა პატრიოტულ „მუხლში“ თავისებური რეალიზაციაც კი იყო სოლომონის მხრივ იმისა, რასაც იონა ავალბდა მას, საქართველოსკენ მომავალს, 1827 წ. 12 აპრილს: „მესამე შეთხოვნა ჩემი ესე არს, რათამცა ისტორიასა შინა შენსა მეცა მომიხსენო და

მეფის ერეკლე II და რუსეთის იმპერატორის პავლე I სიგელები მხარგრძელთადმი საისტორიო მოამბე, I 1945, გვ. 22.

¹⁰ ლ. ველიქთ-ბეგი, საქართველოს მეფის ერეკლე II და რუსეთის იმპერატორის პავლე I სიგელები მხარგრძელთადმი (საქ. ცენტრარქივი, „საისტორიო მოამბე“ I, 1945, გვ. 22)

¹¹ დაბეჭდილია: „თვისებანი“.

თხზულებათა შინა, შესაბამე სადაც ჯერ იყოს¹². და აი წერილი — „რამე რუსთაველისათვის“ — სწორედ ერთ-ერთი ისეთი თხზულებაა, სადაც მართლაც „შესაბამე ჯერ იყო“ იონას მოხსენება და აკი არის კიდეც ნახსენები სოლომონის მოწაფის ნაწარმოებში და ისიც ფრიად საპატიო აღვიდაც, ანუ I-ის გვერდით! აი ამ დეტალში მკვლევრება სწორედ სოლ. დოდაშვილისა და არა ვინმე სხვის „მოქმედება“ ანუ გავლენა წერილის ავტორზე, შეტადრე იუ მოვიგონებთ, რომ იონას „მოქმედებანი სარგებლობისათვის“ განსაკუთრებით და „თვისებანი კეთილისათვის მამულისა“, აქ რომაა გაკვრით ნახსენები, პირველ რიგში ცნობილი უნდა ყოფილიყო სოლომონისათვის.

წერილის ავტორზე სწორედ სოლომონ დოდაშვილის „მოქმედებას“ გვიჩვენებს აქ ლომონოსოვის გახსენებაც. „რამადა შეეხების საკუთრად ენასა, რუსთაველმა სძლივა უჩვეველთა სიმძლევათ, ვითარცა რუსეთის ლომონოსოვიან“ — ვკითხულობთ „მუხლში“. დოდაშვილიც ხომ ასევე აღტაცებით წერს სხვადასხვა ქვეყნის სახელოვან შვილებზე, „რომელნი აღაშენებენ მეცნიერებასა და განაშენებენ ენასა დიდითა სიმდიდრითა ლექსათა“, და ამით შორის ახსენდება ლომონოსოვიც¹³.

ასე რომ ეს ორი რელიაიც „მუხლისა“ აშკარად გვიჩვენებს, რომ ლუარსაბ არღუთაშვილზე „მოქმედება მასწავლებლისა“ ნამდვილად იყო სწორედ დოდაშვილის შემოქმედება ანუ გავლენა და არა სხვა რომელიმე მასწავლებლისა.

ეს შეტ სიმტკიცეს აძლევს ზემოთ გამოთქმულ აპრიორულ მოსაზრებებს (დოდაშვილი იყო სწორედ ქართული სიტყვიერების მასწავლებელი და დოდაშვილივე მასწავლებლებში ერთადერთი იყო, რომ „ტფ. უწყებებში“ თანამშრომლობდა).

ამასთან ერთად არ შეიძლება ხაზი არ გავსვათ გაზეთის რედაქციის პოზიციასაც ახალგაზრდა ავტორის მიმართ. სხვა არა იყოს რა, ეს საუცხოო ილუსტრაციაა ქართველი და რუსი საზოგადოების კეთილი ურთიერთობისა. რედაქციის პოზიცია კი გამოვლინებულია მის შენიშვნაში, წერილს რომ აქვს დართული. „შევრთავ მუხლსა ამას განხალისებისათვის მისისა (ე. ი. ავტორისა. მ. ბ.) და კმაყოფილებისათვის მემამულეთა. სასურველ არს, რათა სხვანიცა შეუდგენ მაგალითსა მისსა და აღანთონ გონებათა შინა თვისთა ჩანთელი მეცნიერებისა დიდებისათვის მამულისა და ბედნიერებისათვის თავისა თვისისა, რომელთაცა შრომანი დაშთებანი უკვდავად შთამოვებისათვის“.

ამ სიტყვებში ნათლად ჩანს ახალგაზრდა ავტორის წახალისება, აგრეთვე სხვათა შეგულიანებაც („სხვანიცა შეუდგენ მაგალითსა მისსა“); ეხედავთ პროპაგანდასაც სწავლა-განათლების სასარგებლოდ („აღანთონ გონებათა შინა თვისთა სანთელი მეცნიერებისა“), რაც რედაქციის აზრით ხელს შეუწყობს როგორც მამულის განდიდებას („დიდებისათვის მამულისა“), ისე თვით დამწერის ბედნიერება-წარმატებას („შრომანი დაშთებანი უკვდავად შთამოვებისათვის“). რედაქციის შენიშვნაში ხაზგასმულია აგრეთვე ქართველების გამხნევა: წერილი იბეჭდებოდა „კმაყოფილებისათვის მემამულეთა“. მართლაც ამ წერილის დაბეჭდვით ავტორის თანამემამულეებს უმეველად უნდა ეგრძნოთ სულიერი კმაყოფილება, სასიქადულო პოეტის გახსენებით უნდა განეცადათ

¹² საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, S—27583.

¹³ ხელნაწერთა ინსტიტუტი, H-226, ფურც. 105—106. ლექსი აქ „სიტყვის“ შენიშვნაშია.

ეროვნული ღირსებისა თუ სიამაყის გრძობა. თვითონ წერილის ორილდე ადგილიც — ამას ქვემოთ ენახეთ — ამ „ჩაყოფილებას შემამულეთა“ აშკარად გვიდასტურებს.

რედაქციის ამ შენიშვნაში ცხადად იგრძნობა ახალგაზრდა ავტორის მიმართული გულთბილი განწყობილება და აგრეთვე თანაგრძნობა, თუმცა მფარველობითი იერით, ერთობ ქართველობისადმი.

საინტერესოა: ვინაა შენიშვნის ავტორი? ამისთვის გავამახვილოთ ყურადღება შენიშვნის შემდეგ სიტყვებზე: „მას ზედა (ე. ი. ავტორზე) იყო მოქმედება მასწავლებლისა და განვანახალისე მე, რათა ჰსთარგმნოს მუჭლი ესე ბუნებისთა ენასაცა ზედა მისსა, რომელიცა გარემოვზღუდე... შევერთა ვე მუჭლსა ამას...“ ავტორი „განვახალისეო, რათა ჰსთარგმნოს მუჭლი ესე ბუნებისთა ენასა ზედა მისსა“, ე. ი. ქართულადო. მაშ, განმახალისებელი ყოფილა არაქართველი, რუსი. მეორე: პირველპირიანი ზმნები განვახალისე, გარემოვზღუდე, შეერთა — გვიჩვენებენ, რომ იგი არის გაზეთის მესაჭე, მისი ხელმძღვანელი, მისი რედაქტორი. ასეთი კი იყო სანკოვსკი პავლე სტეფანის ძე.

სანკოვსკის ბიოგრაფიას და მის ლიტერატურულ საქმიანობას მკითხველი შეიძლება გაეცნოს პროფ. მიხ. ალ. პოლივექტოვის (გარდ. 1942 წ. 21 დეკ.) შრომით „Европейские путешественники по Кавказу 1800—1831 г.г. (საქ. ცენტრარქივის „საისტორიო მოამბე“, 2 თბ., 1946, გვ. 48—50). ოლონდ ორი რამ უნდა შევნიშნოთ. სანკოვსკი საქართველოში ჩამოვიდა 1824 წელს (იხ. მისი წერილი „Миндальные деревья“ გაზეთი „Тифл. Ведсм.“ 1829 г. № 13, стр. 3) და არა 1823 წ.-ში მერე: გარდაიცვალა ის არა 1832 წ. 19 ოქტომბერს, არამედ 15 ოქტომბერზე ადრე. უკვე ამ დღისით გრიგოლ ორბელიანს რუსეთში სწერენ შინიდან: „ცოცხლების ანბავი ეს არის. ახლა სანკოვსკი მოკვდა, თამარის მასლი, პავლე სტეფანიჩი, რომელიც გაზეთებს ბეჭდამდა“. აქ ნახსენებში თამარი კი არის გრიგოლ ორბელიანის ალალი ბიძაშვილი, თამარ, ასული იაკობ ორბელიანის, რომელიც ცოლად ჰყავდა პავლეს ძმას — ანდრია სანკოვსკის, მაშინ კავკასიის საარტილერიო ბრიგადის ოფიცერს. ეგებ ამ გარემოებასაც რამე წილი ედოს რუსი ლიტერატორის იმ სიმბათიაში ქართველის მიმართ მკაფიოდ რომ ჩანს მის ზემორე შენიშვნაში და თვით წერილის დაბეჭდვის ფაქტითაც მელაენდება.

წერილი კი ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით მართლაც მნიშვნელოვანია.

დავიწყოთ იქიდან, რომ ავტორმა თავისი წერილი თავდაპირველად დაწერა რუსულად. ეს უკვე იმას გვიჩვენებს, თუ რა რიგ ეწაფება ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა რუსულ ენას და როგორი გავლენა მოუხდენია მას ჩვენს მოზარდ თაობაზე. რედაქტორის რჩევით ქართულად თარგმნილსაც აშკარად ეტყობა რუსულის ეს გავლენა ლექსიკის მხრივ. აი მაგალითები: „სტუმართმეფყნარება“ (гостеприимство); „შობელთაგან საშუალოხსა მდგომარობისათა“ (от родителей среднего состояния) და არა „საშუალო შეძლებისა“, როგორც იტყვიან ხოლმე ასეთ შემთხვევაში; „მოგვებრი“ (вслешный); „მზეთა განათლებისათა“ (светочей знания); „კეთილმოქმედა“ (благоговорительница); „კეთილმადრეკლება“ (благосклонность); „შემძლებელი“ (могучий) „გაბედვა-სარგებლობისა“ (решимость использовать); „ვართ თანასწორნი ჩვენი-

სა საკუთრებისადმი—ენისადმი“ (равнодушны, გულგრილნი); „ველობლით ვაძლავებთა“ (владела ключом). ყველა ეს სიტყვა რუსულით გადმოთარგმნულია, ხოლო უკანასკნელი ხალასი რუსიციზმია; ვფლობ რას და არა რით.

ისიც ხაზგასასმელია, რომ ავტორი, სარწმუნოებით სომეხ-გერმანულ-ქართულ კულტურაზე აღზრდილი და თავს ქართველად გრძნობს, მისი უფროსი საკმაო უქვეყნოებით გვიჩვენებს, რომ ქართული ის ამაყობს, ქართული პოეზიის დაკნინება მას გულს უქლავს და სწადია მისი წარმატება. ეს თასავე იცა: სარწმუნოებით სომეხები — თუმანიშვილები, ბეგთაბეგიშვილები, ყორღანაშვილები, ბებუთაშვილები, ლორის მელიქიშვილები, არღუთაშვილები და სხვანი მრავალნი მანამდეც, მაშინაც და ნაწილობრივ მერეც თავს ქართველებად გრძნობენ, ქართული კულტურა მათი მშობლიური კულტურაა, რადგან საუკუნეთა მანძილზე მათ ოჯახებში ქართული ადათ-ჩვეულებები იყო მიღებული და ქართული ენა და წიგნი ბატონობდა. ეს კარგად ჩანს თუნდაც იმ ფაქტიდან, რომ სომეხთა ბატონობის ნერსესის ლოცვის სომხური ტექსტი 1843 წელს ქართული ასოებით დაიბეჭდა (ქართული წიგნი 187, გვ. 102). მიზეზი ცხადია: სომხური ანბანი აქაურმა სომხობამ არ იცოდა. არმენისტი ლ. მელიქსეთ-ბეგი პირდაპირ წერს: „სასულიერო შინაარსის სომხური ხელნაწერები ქართული ტრანსკრიბციით გავრცელებული იყო საქართველოში ღვთის მსახურების მოთხოვნებიდან დასაკმაყოფილებლად, რამდენადაც საქართველოში მყოფ სომეხთა სამღვდლოების შესამჩნევი ნაწილი სომხური წერა-კითხვის უცოდინარი იყო“-ო (თსუ შრომები, XXVI B. 1944, გვ. 191) ზღმეტი არ იქნება აქვე გავიხსენოთ ერთი წერილმანიც: 17 წლის დავით ბებუთაშვილს, სახაზინო ექსპედიციის მოხელეს, ერთერთმა უფროსმა „ГРУЗИН-ГОСПЯТЫЙ“ უწოდა და შეურაცხყოფილმა ბებუთაშვილმა სილა გააწნა თავზედ უფროსს. ქართველად გრძნობდა თავს და მიტომ. შემდეგში იგივე ბებუთაშვილი იუნკერის მუნდირს გაიხდის, და ქართულ ჩოხა-ახალუხში გამოეწყობა და ალექსანდრე ბატონიშვილთან სპარსეთში გაქცევას დააპირებს, ისევე როგორც იმ დროის არაერთი ქართველი ახალგაზრდა¹⁴. რატომ? მიტომ რომ ბებუთაშვილის ფსიქოლოგიაც მათნაირია. ერთი სიტყვით, კონფესიონალურ მომენტს ვაღაწევეტი მნიშვნელობა ეროვნული შეგნებისათვის მაშინ არა ჰქონია.

ამიტომ არც უნდა გვეუცხოვოს ის აზრები, რომელნიც წერილში გვხვდება, ვთქვათ, აი ეს: რუსთაველი „არს ნიჭი, რომლისაცა მამული არს ყოვლადი განათლებული სოფელი“. რომ რუსთაველის სამკვიდრებელი („მამული“) არის მთელი განათლებული ქვეყანა, სამყაროო („ყოვლადი განათლებული სოფელი“), ყველას შეუძლია თქვას, იმასაც, ვინც თავს ქართველად არა გრძნობს, მაგრამ შესწევს კი უნარი ღირსეულად დაფასოს მაღალპოეტური ქმნილება. ასევე ქართულ სულისკვეთებას არ გვიმჟღავნებს ფაქტის უბრალო კონსტატაცია: „ღმობერი ჩვენი არავინ უწყის და ჩვენ არა თუ ოდენ ვამართავნობთ მით, არამედ არ ვუწყით არსებობისათვის მისისა“.

მაგრამ როცა ეს გულისტკივილს გამოსთქვამს ენის დაქვეითებაზე და სწუხს მშობლიური პოეზიის მივიწყების გამო, ეს უკვე უფრო მეტს გვეუბნება, ვიდრე სინამდვილის მარტო აღნუსხვას. აი მოვუსმინოთ ავტორს: „საწუხარ

¹⁴ Ген-лейт. Давид Осипович Бебутов. Военный сборник, 1867 г. № 6, стр. 251, 252.

არს, რომელ შეცვლილი წელთა და გარემოებათა მიერ აწინდელი თქმაობა ჩვენი განაშორებს ჩვენგან უმეტეს და უმეტეს სიცხადესა და სიწმიდესა აზრისასა რუსთაველის ენისასა. ნუ უკვე ესე იქმნებისა კმა მიზეზად ჩვენისა თვისმართლობისათვის და მისთვის, რათამცა მივსცეთ დავიწყებასა ჩვენს ბუნებრივი პოეზია? არა! ასეთი წრფელი აზრი და გულგამგმირავი სიტყვა შეუძლია აღმოთქვას მარტო იმან, ვინც ქართულ კულტურაზე აღზრდილი, ვისაც თანეიდანვე თავის თავი ქართველად უგრძენია, ვისაც გულს უწყყლავს მისი დროის უხარბიელო სინამდვილე. ჩავუყვირდეთ აი ამ ფრაზას: სამწუხაროა, რომ წლებისა და გარემოებისაგან შეცვლილი ახლანდელი ჩვენი სალაპარაკო ენა („თქმაობა“) უფრო და უფრო გვაშორებს რუსთაველის ენის სიცხადესა და სიწმინდესაო. რის თქმა უნდა ავტორს გადაკვრით თქმული და შებურთული სიტყვებით: „წელთა და გარემოებათა მიერ შეცვლილი აწინდელი ჩვენი თქმაობა“? მიხვედრილობა დიდი არაა საჭირო ავტორის დაბურთული აზრის გაგებისათვის: ჩვენი სასაუბრო ენა რუსთაველისას დააცილა ბედკრულმა დრომ და მძიმე პოლიტიკურმა ვითარებამ. მაგრამ რა დროს და ვითარებას გულისხმობს ავტორი: თამარის მერე თანდათან დაქვეითებისა და დაკნინების ხანას, — XIV XVIII საუკუნეებს, თუ ახალ დროს, XIX საუკ. პირველ მეოთხედს მარტო?

ჩვენ გვაქვს საბუთი უკანასკნელი ვივარაუდოთ. ჰომეროსის შესახებ იგა ამბობს: „განვლეს ათასთა წელთა, განვილიან ათასნი საუკუნენი და ათასნი განათლებულნი ერნი აძლევენ და მისცემენ სათანადოსა ხარკსა ნიჭსა მისსა“. ჰომეროსის პოეზიის ამ ქეშმარიტ დებულებას ჩვენი ავტორი იქვე, უშუალოდ აგრძელებს ასეთი ფრაზით: „საბერძნეთი, მაწარმოებელი ღომეროსისა, ფრიად უელვარეს არს რომისა, რომელმაცა დაიმორჩილა მსოფლიო“—ო. რატომ დასჭირდა ავტორს ამ პოლიტიკური მომენტის ჩართვა, ურთიერთ დაპირისპირება თელი ძველი მსოფლიოს დამპყრობი რომისა და „ღომეროსის მაწარმოებელის“ ანუ წარმოშობი საბერძნეთისა? რის თქმა სწაიდა ავტორს, როცა ამბობს: ეს დამორჩილებული საბერძნეთი, ჰომეროსის სამშობლო, გაცილებით უფრო ბრწყინვალეა ქვეყნის დამპყრობ რომზეო? უმეკველია ეს ანალოგონი გვიმეღანეცს ავტორის ფარულ აზრს, დღიური სინამდვილით ნაკარანხევს, გვიმხელს მის პატრიოტულ გრძნობას: მართალია, რუსთაველის სამშობლო ცარისტული რუსეთისაგან დამორჩილებულია, მაგრამ ის „ფრიად უელვარეს არს“. ვიდრე დამპყრობით, პირველი მეორეზე მეტად ელვარებსო. ესაა უკვე ეროვნული ღირსება-შეგნების გალვივება, ეროვნული უპირატესობის გრძნობის აღძვრამკითხველის გულსა და გონებაში. თუ არ ასე, სხვა მხრივ საბერძნეთ-რომის დაპირისპირება, ამ ორი ქვეყნის კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთ მიმართების ჩართვა და ვახსენება რუსთაველის შესახებ ლიტერატურულ ტრაქტატში სრულიად მეტი და უადგილო ჩანს.

სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, რომ პირველ შემთხვევაშიც, როცა ჩვენი ავტორი ახსენებს „წელთა და გარემოებათა მიერ შეცვლილი აწინდელი ჩვენს თქმაობას“, იგი გულისხმობს არა შორეულს წარსულს რუსთაველის სამშობლოსას, არამედ თავისი დროის დუხჭირ სინამდვილეს, როცა ქართულ ენას, ქართულ ლიტერატურას, ერთობ ქართულ კულტურას საფრთხე გადაგვარებისა გაუძლიერდა. ხოლო გაუძლიერდა მითომ, რომ ის „დაიმორჩილა“ სხვამ, უფრო დიდმა, თუმცა ეს მასზე „ფრიად უელვარეს არს“.

წერილის სხვა კუბიურებიც ადასტურებენ ჩვენს აზრს.

ოლონდ დამაფიქრებელია კი და თუ არ მამულის სიყვარულით და მისი წარმატების სურვილით, ვერც მარტივად აიხსნება ის გულის წუხილი, რომელიც იგრძნობა შემდეგ სტრიქონში:

„ლომერი ჩვენი არავინ უწყის და ჩვენ არა თუ ოდენ ვამბობთ, რომ მით, არამედ არ ვუწყით არსებობისათვის მისისა. არა დაამტკიცებნა ესე, რომელ აქამომდე ჩვენ ვერ მივწვდით ქეშმარიტსა ფასსა ტალანტისა?! და რომელ ვფლობდით რა გასაღებითა ძველისა საუნჯისაგან, ჩუშნ აქამომდე არა გვაქვინდა გაბედვა სარგებლობისა?!“

„შეუძლებელ არს, — განაგრძობს ავტორი, — რათა არ აღვიართოთ რომელ თვთ ჩუშნ ვართ მიზეზი ჩვენისა არამოძრაობისა გზასა ზედა აღმოვბილებისასა ქმნილებათა შინა გონებისათა. მუშთა აქამომდე ვერ ჰპოვეს სტუმართშეწყნარება — ნამდვლ ჩუშნ, არა ყოველნი ვართ ესრეთ თანასწორნი ჩვენისა საკუთრებისადმი — ენისადმი.“

„არა დიდი საზოგადოება ქართველთა, მყუარებელთა ერის დიდებისა და პოეზიისათა, აღტაცებით კითხულობს რუსთაველსა, გარნა საუბედუროდ აღტაცებასა თვისსა გარდასცემენ რაოდენცა უშორეს, ესოდენ უმცირეს გამგონესა შთამომავლობასა მისსა.“

„ვეწუხარებო, რომელ მე პირველსა მსურს თქმად მისთვის, ვინაფთვან არავის აქამომდე მოუცია ჩვენთვის სრულიადი შემეცნებაჲ ცხოვრებისათვის დიდისა ამის კაცისა, რომელსაც, უდიდებოეს მამული თვისი და ბრძენი მეფა, მისი ვრცელითა გონებითა, პოეტიკებითა ტალანტითა და მოგებრითა კალმითა თვისითა“.

ავტორი, როგორც ვხედავთ, მიუდგომლად გვიხატავს თავისი დროის ქართული მწერლობის ვითარებას. ჩვენს ტალანტებს ვერ ვფასებთ და, თუმცა გვაქვს ძველი საუნჯის გასაღები, მაინც ვერ გავიხედია ამ მამაბაპეული მემკვიდრეობის გამომზეურება, არ ვიცნობთ იმ დიდი კაცის ცხოვრებას და შემოქმედებას, ვინც თავისი ფართო განათლებით („ვრცელითა გონებითა“), დიდი პოეტური ნიჭით და მომხიბლავი ენით („მოგებრითა კალმითა“) ასახელა სამშობლოც და ბრძენი მეფეც. მარტო პატარა, ვიწრო წრე ქართველობისა, რომელსაც უყვარს დიდება ერისა და პოეზიისათა, — ამბობს გულსტიკვილით ჩვენი ავტორი — აღტაცებულა რუსთაველით, მაგრამ ისიც თავის აღტაცებას უზიარებს მეტად მცირე რიცხვს მსმენელებისას: რაც დრო გადის, უფრო და უფრო კლებულობს ასეთების რაოდენობაო.

არას ვამბობთ იმაზე, რომ მთლიანად წერილი, მიძღვნილი რუსთაველისადმი, გვიჩვენებს რუსთაველოლოგიის მამინდელ დონეს იმდენად იქნებ არა ავტორისას, რამდენადაც თვითონ მასწავლებლისას, რომლის „მოქმედებითა“ ანუ გავლენით შეითხზა და დაიბეჭდა ეს „მუხლი“.

ამ ლიტერატურული ნაწარმოების საზოგადოებრივ-ისტორიული იხტერესი, ჩვენის ფიქრით, უმთავრესად მდგომარეობს იმაში, რომ ცხოვლად წარმოგვიდგენს თვითონ მასწავლებელს სოლომონ დოდაშვილს. იგი გვევლინება ჩვენ როგორც იდეური მასწავლებელი, მგზნებარე პატრიოტი და აღფრთოვანებული ტრიბუნი, ვინაიდან მოწაფის ნაკალმარში ასახულია მასწავლებლისგან ათვისებული იდეები: ყრუ უკმაყოფილება გადაგვარებით („წელთა და გარემოებათა მიერ აწინდელი თქმაობა ჩვენი“), ეროვნული სიამაყე (საბერძნეთი ფ'დ ელვარე არს რომისა, რომელმაცა დაიმორჩილა მსოფლიო) და უკანასკნელ, სურ-

ვილი სულიერი ძალთა აღმადრენობისა—წინსვლისა და იმისა, რომ აღმატებულობის, ე. ი. სხვის ჯობნის გემო თუ მისწრაფება ჩვენში საფუძვლიანად დამკვიდრდეს, — ეს იდეები, უფრო მასწავლებელ დოდაშვილისაა, ვიდრე წყნარილის ავტორისა და ამიტომ განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი ამოღებული დოგმებიც დირებულებას.

მერე ეს ხდება როდის? 1829 წლის 21 იანვარს, სახელდობრ მაშინ როცა არც ოქრობირ ბატონიშვილი ყოფილა ჩამოსული საქართველოში (ის ჩამოვიდა 1829 წლის 1 სექტემბერს და წავიდა აქედან 1830 წ. 3 ივნისს), და არც პოლონეთის აჯანყებას ეფეთა ჯერ. ეს კი გვიჩვენებს სოლომონ დოდაშვილის პატრიოტულ-პოლიტიკური აზროვნებისა და განწყობილების სრულ დამოუკიდებლობას.

М. Д. БЕРДЗНИШВИЛИ

ПО ПОВОДУ СТАТЬИ «КОЕ-ЧТО О РУСТАВЕЛИ» И ЕГО
АВТОРА Л. А. — Д.

Резюме

В 1829 г. 21 января в III номере грузинской газеты «Тифлисские ведомости» была напечатана статья «Кое-что о Руставели» подписанная инициалами Л. А. — Д. Устанавливается, что Л. А. — Д. — выпускник Тбилисского благородного училища 1829 года Луарсаб Аргутинский-Долгоруков. Сама же статья была написана под влиянием и руководством учителя грузинской словесности того же училища Соломона Додашвили.

ზაზა ალექსიძე

არსენი საფარელის „განყოფისათვის ქართლისა და სამხეთისა“

I

ხელნაწერები

აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება არსენი საფარელის თხზულების, „განყოფისათვის ქართლისა და სამხეთისა“, ოთხი ხელნაწერი (A-691, A-735, H-24, S-3270).

1. A-691 მოზრდილი, ნუსხურით ნაწერი კრებულია „ფუტკარის“ სახელწოდებით. მასში არსენი საფარელის ნაწარმოებს უკავია 67—78 გვერდები. პირველი ცნობა და მოკლე აღწერილობა ამ ხელნაწერისა, რომელიც მაშინ შემოქმედის მონასტერში ინახებოდა, გამოაქვეყნა დ. ბაქრაძემ¹. უფრო ვრცელად იგი აღწერა თ. ყორღანიძემ თავის ქრონიკებას (სადაც დამატების სახით გამოაქვეყნა მთლიანად თხზულება) და ხელნაწერთა აღწერილობის მეორე ტომში².

თ. ყორღანიძე ხელნაწერს ხელის მიხედვით XVII ს-ის დასაწყისით ათარიღებს. მისი ვარაუდით იგი გადაწერილი უნდა იყოს იაკობ ღუმბაძის (1647—1712) მიერ, რომელიც ქართულ მწერლობაში ცნობილია შემოქმედელის, სამებელის სახელით. ამის საფუძველს თ. ყორღანიძის აძლევს ხელნაწერის მინაწერი „ეპა, შენ, დიდსა და ზესთა აღმატებულსა, ცათა მობაძავსა საყდარსა შემოქმედისასა, ერთარსებით ქებულსა, სამებით დიდებულსა ხატსა ღვთაებისასა, ჩვენ, მსასობელმან თქუენმან, შენმავე მიტროპოლიტმან ღუმბაძემან იაკობ, შემოგწირეთ წმიდა ესე „ფუტკარი“³, მაგრამ ამ მინაწერის ხელი მხოლოდ ერთი შეხედვით შეიძლება გაივიდეს მთლიანად ხელნაწერის ხელთან. სულ მცირე დავკვირებაც კი საკმარისია, რომ ცხადი გახდეს: მინაწერი და კრებული სხვადასხვა ხელით არის შესრულებული. ამიტომ იაკობ ღუმბაძეს მხოლოდ „ფუტკარის“ შეწირვის პატივი შეიძლება მიეწეროს.

ქვირინიშნის მიხედვით, ხელნაწერი თარიღდება XVI ს-ის პირველი ნახევრით, ვინაიდან ამავე ქალაქზეა დაწერილი თარიღიანი ხელნაწერები: ცსსა № 400—1534 წ., ხელნაწერთა ინსტიტუტი S-312—1541 წ.⁴. ამრიგად, A-691 იაკობ ღუმბაძის გადაწერილი არ არის და XVI ს-ის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს.

A-619, როგორც შემონახულ ხელნაწერთაგან უძველესი, ჩვენ ძირითადად მივიჩნით ტექსტის დადგენისას და A ლიტერით აღვნიშნეთ, ხელნაწერ-

¹ Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Аджаре. СПб., 1878. გვ. 156—8; დ. ბაკრაძე, ისტორია საქართველოსი, ტფ., 1889, გვ. 226—227.

² თ. ყორღანიძე, ქრონიკები, I, ტფ., 1892, გვ. 301—332; Ф. Жордания. Описание рукописей Тифлисского Церковного Музея, II, Т. 1902.

³ თ. ყორღანიძე, ქრონიკები, I, გვ. 301.

⁴ ცნობისათვის მაღლობას მოვახსენებთ რ. პატარიძეს.

ში ტექსტი ხშირად დაზიანებულია, მელანი გადასულია, მაგრამ მეტ-ნაკლები შრომის დახარჯვით წაკითხვების აღდგენა უმეტესად მაინც შესაძლებელია სხვა ხელნაწერების დაუზიანებლად კი. ხელნაწერისათვის დამახასიათებელია „შ“სა და „ბ“-ს აღრევა („აბდიბო“ ნაცვლად „აბდიშოსი“, „უბაქნისა“ ნაცვლად — „ოშაკისა“, „ბულ[ა]კათ“ ნაცვლად „შოლაკათისა“, „ნაშოკელი“ ნაცვლად „ნაბიკელისა“ || „ნაბუჟელისა“ და სხვ.) „ა“ — „ა“ (ბუნებრივად, მოაკლებოდეს, მ-შასახლისნი, ერთობაჲსა მგზამნ, იხილ და სხვ.), „ო“ — „უ“ („უბაქნისა“ ნაცვლად „ოშაკისა“, „ბულ[ა]კათ“ ნაცვლად „შოლაკათისა“), „ე“ — „მ“ (წარტყუშნეს, უკუშ, უშტუელად და სხვ.).

2. A—735-ც ნუსხურად ნაწერი კრებულია. არსენი საფარელის თხზულება მოთავსებულია 1—10 გვერდზე, თ. ყორდანის აღწერილობით, ხელის მიხედვით, იგი თარიღდება XVIII ს-ის დასასრულით. ასეთ თარიღს მხარს უჭერს ქალაქის ჰვირნიშანიც. იმავე ჰვირნიშანი ქალაქი გამოყენებულია შემდეგი ხელნაწერებისა და დოკუმენტებისათვის ხელნაწერთა ინსტიტუტი A-105—1697 წ., Ad-974—1696 წ.

A—735-ს ჩვენ B ლიტერი მივაკუთვნეთ, თუმცა უსაფუძვლო არ არის ლ. მელიქსეთ-ბეგის დაკვირვება, რომ იგი შემორჩენილ ხელნაწერებს შორის ყველაზე უკეთესია: 1. ყველა ის ადგილი, რომელიც A ხელნაწერში დაზიანებულია, B-ში ადვილად იკითხება. 2. A ხელნაწერის გადამწერს ან უფრო დეფექტური დედანი აქვს ხელთ, ან კიდევ (და ეს უფრო მოსალოდნელია) თვითონ მისი გადამწერი უფრო უყურადღებოა, ვიდრე B-სი. რამდენჯანმე მას გამოტოვებული აქვს ტექსტში მთელი წინადადებები ორ ერთსა და იმავე სიტყვას შორის. მაგალითად:

1. A ძმ მხოლოდ მამისაგან შობილი და არა ქმნული.

B ძმ მხოლოდ, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ნათელი ნათლისაგანი, დმრთისაგან ქეშმარიტისა შობილი და ქმნული.

2. A ესე რაჲ ცნეს ქეშმარიტად კვირონ კათალიკოზმან, აბაჲ ჰერთა კათალიკოზმან, და იქმნა ცილობაჲ....

B ესე რაჲ ცნეს ქეშმარიტად კვირონ კათალიკოზმან, აბაჲ ჰერთა კათალიკოზმან და გრიგოლი სივენელთა ეპისკოპოსმან, და იქმნა ცილობაჲ...

3. A სამნი არიან, რომელნი წამებენ: სული, სისხლი და წყალი, რამეთუ წყლითა დავეზიარებით.

B სამნი არიან, რომელნი წამებენ: სული, სისხლი და წყალი, რამეთუ წყლითა ნათელ-ვიდებთ ერთგზის ცხორებად საუკუნოდ და ყოველადვე განჰვაზავებთ კეთილად მსახურებითა სასუქელსა მას წყლითა და ვეზიარებით...

მოტანილ მაგალითებში სრულიად გამორიცხულია ტექსტის განვრცობა B-ს გადამწერის მიერ. ჩვენს წინაა კარგად ცნობილი ლიტერატურული ან ისტორიული ფაქტები, რომლებსაც კონტექსტი აუცილებლად მოითხოვს, ხომ წარმოუდგენელია, მაგალითად, რომ ნიკეა-კონსტანტინეპოლის სარწმუნოების სიმ-

* რ. პატარიძე, „Tre Lune“: პალეოგრაფიული ძეგანი, II, თბ., 1969, გვ. 68.

ბოლოს აკლდეს ანტიარიახული ფორმულა: „მამისაგან შობილი, უწინარეს სატყუნეთა“!

B ხელნაწერს ახასიათებს ყველა ის ორთოგრაფიული სიკრულე, რომელიც სთან დაკავშირებით აღვნიშნეთ, ოღონდ გაცილებით უფრო უხვად. სებურებაა ისიც, რომ სრულად დაწერილ სიტყვას, თუ „ა“-ს მაგიერ „ა“-ს გამოყენებული, გადამწერი თავზე ქარაგმის ნიშანს უსვამს. მაგ: „ბუნება“^ა „ა“. B ხელნაწერი საკუთარ სახელებსაც უკეთ წერს A-ზე. მაგ. თავიდან იგი იწყებს არასწორი „აბდიბოს“ წერას, შემდეგ გადადის სწორ „აბდიშოზე“. უფრო სწორად წერს შემდეგ სახელებსაც: გოგოვიტელი (A გოგვიტელი), არარატი (A არრატი), შოლოკათ (A ბულკათ), უშკანისა (A უბაკნისა), ნაბიკელი, (A ნაშიკელი).

ყოველივე ამის მიუხედავად, ძირითად ტექსტად მივიჩნით A, ვინაიდან B საერთო გამში უფრო დაახლოებულია ახალ ქართულთან როგორც მორფოლოგიის, ისე ორთოგრაფიის თვალსაზრისით. ყველა ვარიანტი სქოლიოშია მითებებული.

ამრიგად, ქრონოლოგიურად A ხელნაწერი B-ს მთელი საუკუნენახევრით უსწრებს წინ, მაგრამ იგი მაინც არ არის მისი დედანი. A-ს ნაკლები ადგილების B-ში დამოწმება ამის უტყუარი ნიშანია. გადაკრით თქმა ძნელია, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, ამ ორი ხელნაწერის გადამწერთ ხელთ ერთი საერთო დედანი უნდა ჰქონოდათ. ამას გვაფიქრებინებს ორივე ხელნაწერში ერთნაირად დეფექტური ან ბუნდოვანი რამდენიმე წინადადება:

1. A ...რამეთუ ბირველთა მათ შინა და რომელთა ენუქის ძე ებერისა გინა ნაქორისთა კაცნი შეპყრობილნი ფრიაღითა საცთურითა ეშ[მაკისადათ]...

B ...რამეთუ ბირველთა მათ შინა და რომელთა ენუქის ზე ებერისა გინა ნაქორისთა კაცნი შეპყრობილნი ფრიაღითა საცთურითა ერისა მიერ

2. AB ...და ვითარცა იხილეს ქართველთა და ჰერთა კათალიკოზმან კვრიონ მცხეთისამან, რამეთუ ხელითა...

უნდა იყოს... და ვითარცა იხილეს კათალიკოზმან ქართველთა კვრიონ მცხეთისამან და კათალიკოზმან ჰერთა აბაზ, რამეთუ ხელითა...

ერთ დედანს გვაგვარაუდებინებს აგრეთვე ძირითადად ერთნაირი ორთოგრაფიული შეცდომები საკუთარი სახელების დაწერილობისას.

საინტერესოა, რომ B ხელნაწერში ალაგ-ალაგ ტექსტი სხვა ხელით არის ჩაწერილი. ჩანაწერები, ჩანს, A ხელნაწერის მიხედვით არის გაკეთებული. მაგალითად, A-ს უწერია „მარეგუმელი იოანე“ (ნაცვლად „მაირეგომელი იოანესი“), გამორჩენილი „ი“ A-ს გადამწერს სიტყვისათვის ქვეშ მიუწერია. B-ს გადამწერს კი შეცდომა ვერ შეუმჩნევია და მხოლოდ ამ ადგილას გვაქვს მცდარი „მარეგუმელი“.

3. S-3270 სხვადასხვა ქალაღზე მხედრულად ნაწერი კრებულია. ზოგი ქალაღის კვირნიშანი XVIII ს-ისაა. არსენის თხზულება კი XIX ს-ში უნდა იყოს გადაწერილი. იგი შეცდომით არის კრებულში ჩაყინებული თავსა და ბოლოში (4v-დან ტება 62r-ზე). 1895 წელს ხელნაწერზე მ. საბინის მიუწერია: „ამის დაბოლოება გადატანილ შეცდომით იქმნა ბოლოს ამ წიგნის“. S-3270 გადაწერილია B ხელნაწერიდან მრავალი შეცდომით. ამიტომ მისი ჩვენებები სქოლიოში აღარ შეგვიტანია.

4. H-24 მხედრულად ნაწერი კრებულია. იგი გადაწერილია A ხელნაწერიდან შთავარ-დაიკონ სოფრონის მიერ მ. საბინინის დაკვეთით. იქვე ერთვის მ. საბინინის მიერ რუსულ ენაზე შესრულებული თარგმანი არსენი საფარელის თხზულებისა.

H-24 ნარედაქტირებია (მ. საბინინის მიერ?). ზოგჯერ თვითონ ტექსტში შეტანილი შესწორებები გადაწერისას (მაგკუენი — მაიოკონიანი), ზოგჯერ ტექსტის მონაცემი გადაშლილია და ზევიდან აწერია რედაქტორისათვის მისაღები წაიკთხვა (ივლიანეს ალიკარნელისანი — იულიანეს ვალიკარანსელი-სანი). ზოგჯერ ტექსტში მცდარი ვლოსებია გაკეთებული: „...კანონთა ვანწესებათა წმინდისა ნერსეს+შნორალ, რომელ არს მიმადლებული“. რედაქტორსვე შეუსწორებია მცდარი „ნაშიეკელი“ „ნაბიეკელი“. H-24-ის ვარიანტებიც შეცდომების მეტს არაფერს შეიცავს („მამარეგუემელის“ ნაცვლად წერია „მეორე გემული“ ან „მარე გემული“, კუერნი — კუერინ, ფილაქსონი — ფელიქსინი, სიენელნი — საენელნი, ჩოქხი — ჩახვი და სხვ.). ამიტომ სქოლიოში არც ის არის ასახული.

5. ვახუშტი ბაგრატიონის დროს, როგორც ჩანს, არსებობდა არსენი საფარელის თხზულების სხვა ხელნაწერიც. თავისი ნაშრომის („ტომობა და შთამომავლობა ქართველთა“) ერთ-ერთი ხელნაწერის კიდეზე იგი აკეთებს შემდეგ მინაწერს: „ამ ყამთა ცილება იქმნა ქართველთა და სომეხთა შორის სარწმუნოებისათვის. ხოლო კვრონ ანუ სკვიონ კათალიკოსმან ქართლისამან ვანდეგნა ცორტავს კათალიკოსი (sic) შუშანიკის საფლავისაგან მწვალებლობისათვის სომეხთა. და იქმნა უმეტესი განყრილებაჲ, ხოლო ჰერეთი იქმნა სომეხთა წვალებად მიდრეკილი. ესრეთ სწერენ ეკლესიის მემატიაენი ქართველნი“. ამ სიტყვებში ვახუშტი, სხვა წყაროთა შორის, არსენის „განყოფისათვისაც“ გულისხმობს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ჩვენ სხვა ქართული წყარო არ ვიცით, რომელშიაც კიონისა და ცურტავის ეპისკოპოსის კონფლიქტის შესახებ იქნებოდა ცნობები. თუ ასეა, მაშინ ვახუშტის ხელთა აქვს ხელნაწერი. რომელშიც წერია „კკრონ“ „კკროინისა“ და „ცორტავი“ „ცურტავის“ ნაცვლად. არსენის თხზულების ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებში კი ასეთი ვითარება არა გვაქვს⁷.

II

ტექსტის პუბლიკაცია

არსენი საფარელის „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“ დღემდე ერთხელ არის გამოცემული თ. ყორდანიას მიერ. პუბლიკაცია არ არის კრიტიკული. იგი ეყრდნობა მხოლოდ A ხელნაწერს. როგორც გამომცემელი აღნიშნავს, მის დროს B ხელნაწერის ადგილსამყოფელი უცნობი იყო. თ. ყორდანიას გამოცემის ნაკლი ძირითადად სწორედ ამით განისაზღვრება. ამას გარდა, ტექსტი გამომცემლის მიერ არ არის საკმაოდ შესწავლილი კრიტიკულად: არასწორად არის ზოგჯერ გახსნილი ქარაგმები, მცდარად არის დასმული სასვენი ნიშნები; უსწოროდ არის წაიკითხული საკუთარი სახელები, გამოტოვებულია ცალკეული სიტყვები, ხშირია კორექტურული შეცდომები, რაც, რა თქმა უნდა, ტე-

⁶ ხელნაწერთა ინსტიტუტი A-756, 14r.

⁷ იხ. ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკლევითა და კომენტარებით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბ., 1968, გვ. 142, 175.

ქსტის სწორად გაგებას აძნელებს. მიუხედავად ასეთი ნაკლისა, თ. ჟორდანიას გამოცემას თავის დროზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ნახევარ საუკუნეზე მეტი ემსახურებოდა სპეციალისტებს.



III

თარგმანები

არსენი საფარელის თხზულებიდან ნაწყვეტები პირველად გერმანულ ენაზე გამოაქვეყნა პ. გუსენმა,⁸ ხოლო გერმანული თარგმანიდან შერჩეული ადგილები სომხურად გადაიღო ნ. აკინიანმა და დამატების სახით დაურთო თავის წიგნს „კირიონ ქართლის კათალიკოსი“⁹.

1910 წელს მ. თამარაშვილმა „ქართული ეკლესიის ისტორიაში“ შეიტანა ერთი ნაწყვეტის ფრანგული თარგმანი არსენის ნაწარმოებიდან¹⁰.

1934 წელს ლ. მელიქსეთ-ბეგმა თითქმის სრულად გამოაქვეყნა სომხურ ენაზე „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“, გამოტოვა მხოლოდ დოგმატური საკითხების შემცველი ადგილები¹¹. ლ. მელიქსეთ-ბეგის თარგმანი იმით არის საყურადღებო, რომ იგი შესრულებულია სამი ხელნაწერის (A-691, A-735 და S-3270) გათვალისწინებით, რაც მას კრიტიკულად შესწავლილი ტექსტის ღირებულებას ანიჭებს. ლ. მელიქსეთ-ბეგის თარგმანი ზოგჯერ არ უნდა იყოს ზუსტი, რის შესახებაც ლაბარაკი გვექნება ცალკე გამოძვენებულ ტექსტის კომენტარებში.

1936 წელს ნ. აკინიანმა გამოაქვეყნა კაპიტალური ნაშრომის—„მოძღვარი ელიშე და მისი სომეხთა ომის ისტორია“-ს II ტომი, რომელსაც დაურთო ნაწყვეტი არსენი საფარელის თხზულებიდან, გადმობეჭდილი ლ. მელიქსეთ-ბეგის სომხურ ენაზე თარგმნილი ტექსტიდან¹².

„განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“ ფართოდ გამოიყენა ე. გარიტმა თავის ნაშრომში *La Narratio de rebus Armeniae*. მან თ. ჟორდანიას გამოცემიდან გადმობეჭდა ვრცელი ციტატები და დაურთო ფრანგული თარგმანი¹³.

H-24 ხელნაწერი არსენი საფარელის თხზულების ქართულ ტექსტთან ერთად შეიცავს მის სრულ თარგმანს რუსულ ენაზე, რომელიც შესრულებულია მ. საბინინის მიერ. რუსული თარგმანი ითვალისწინებს სამ ხელნაწერს. ამიტომ არის, რომ A ხელნაწერის ზოგი ნაკლები ადგილი მას შევსებული აქვს B-დან, ზოგი კი ისევ ნაკლები დარჩენია. მ. საბინინის თარგმანის მრავალრიცხოვანი შეცდომები გამოწვეულია უმეტესად მთარგმნელის მიერ ნაწარმოებში მოთხრობილი ფაქტებისა და პირების სუსტი ცოდნით. ტექსტში მთარგმნელი ხში-

⁸ H. Goussen, *Die georgische Bibelübersetzung: Oriens Christianus*, VI, Roma, 1906, გვ. 315—317.

⁹ ნ. მ. კ. ხ. ნ. ნ. ნ., სკიპინი ხაყიქიძე ქრავ, ქიხნა, 1910, გვ. 290—291.

¹⁰ M. Tamarati, *L'Eglise géorgienne*, Rome, 1910, გვ. 241.

¹¹ L. Melikseti-Bek, *ქრავ აეკიკინხერ ჯაყათთან ქს ნაქქქ მათქნ*, I, სპ., 1934, გვ. 34—47.

¹² ნ. მ. კ. ხ. ნ. ნ., სკიპ: ქარეაყხო ს ქრ ჟათიკინ ჯაყე ათათხაყჩ, ქიხნა, 1936, გვ. 761—762.

¹³ *La Narratio de rebus Armeniae*, édition critique et commentaire par Gérard Garitte, Louvain, 1952, გვ. 130—133, 176—177, 226—228, 255—256, 269—271, 278—283, 300, 302.

რად უმატებს თავის განმარტებებს, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში მცდარია.



ახალი პუბლიკაცია დაყოფილია პარაგრაფებად და დანომრილია რომაული ციფრებით. ტექსტის პარაგრაფებად დაყოფა შემდეგში გავვიადვილებს ზუსტ მითითებებს, როდესაც თანდათანობით გამოვაქვეყნებთ არსენი საფარელის ტრაქტატის კომენტარებს. არსენის ტექსტის ამგვარ დაყოფას ჩვენ დავესახეთ უ. გარიტს¹⁴.

¹⁴ La Narratio de rebus Armeniae გვ. 17—18.

თქმული¹ წმიდისა მამისა ჩუენისა არსენისი², მცხეთელ³ კათალი-
 კოზისა⁴, რომელი იყო სანახაგებთან სამცხისათა⁵, საზარით:

განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა

I. კაცო ღმრთის-მოყუარენო, რომელი იშვებით ემბაზისაგან ცხოველისა, ყოვლად⁶ წმიდისა და დიდებულისა კათოლიკე ეკლესიისა⁷, სარწმუნოებასა ზედა წმიდისა სამებისა, რომელი დადევს წმიდათა მოციქულთა შეურყეველად, და ძირ-უბნ⁸ დათესულსა მათსა, ყოვლად ქებულთა წმიდათა და მღვდელთ-მოძღუართა, ქეშმარიტითა და მართლითა სარწმუნოებითა, და წამეს, ვითარცა⁹ ერთითა პირითა, ექუსთა მათ შინა კრებათა¹⁰, რომელთა მიერ პირ-ველ ზრახვიდა თვთ თაგალი ღმერთი, და განაწესეს¹¹ ესრეთ და გუასწავეს ჩუენ:

მამა¹² ყოვლისა-მპყრობელი, დამბადებელი ყოველთა არსთა — ხილულთა და უხილავთა¹³; ძე¹⁴ მხოლოა¹⁵, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ნათელი ნათლისაგანი, ღმრთისაგან ქეშმარიტისა შობილი¹⁶ და არა ქმნილი, სწორი მამისა¹⁷ და თანა-მოქმედად მამისა¹⁸ ყოველსავე, რომელმან აღსასრულსა ჟამთასა შეიმოსა სიმდაბლით უძლური კაცება¹⁹ ჩუენი საძოსა²⁰ შინა წმიდისა ქალწულისასა, ჯუარს-ეცუა²¹ და მოკულა ქეშმარიტად და არა საოცრად, ბუნებითა კორცთათა, და ღმერთებისა ძალთა აღდგა და თანა-აღადგინა²² დაცემა²³ ჩუენი პირველი²⁴, ამაღლდა მუნვე მამისა, და კუალად²⁵ მოვიდეს განსჯად ცხოველთა და მკუდართა დიდებითა²⁶, კორცთა მით, რომელ ჩუენგან მიხუნა; და სული წმიდაა, უფალი ცხოველს-ყოფელი²⁷, მამისაგან გამომავალი და ძისა თანა თაყუანის-ცემული, თანასწორი მამისა და ძისა²⁸, თანა-მოქმედად საუკუნეთა რომელი იტყოდა პირითა წინაწარმეტყუელთათა ყოველსავე მომავლსა; და ერთი წმიდა²⁹ და დიდებული კათოლიკე ეკლესია³⁰, რომლისაგან განიდევნეს ყოველი მწვალებელი სიბრმითა უკეთურებისათა³¹, რომელსა შინა იდიდების წმიდა სამებად მარადის მართლითა აღსარებითა.

II. ხოლო ვითარ განდგეს სომეხნი მართლისა³² სარწმუნოებისაგან, ესე არს მიზეზი:

ვითარ ყოველთა კრებათა იოვის ვინმე თითო³³ წინაღმდგომი საქმითა საეშმაკოდა და აზნის ახალ-სახეობითა ღუარძლი წვალებისა³⁴, ეგრეთვე წმიდასა კრებასა ქალკიდონისასა³⁵ გამოჩნდეს ორნი მგელნი მძენვარენი,

1 თქმული B. 2 არსენ-ს-ჯ A, არსენისი]-მოდღურისა B. 3 მცხეთე A. 4 კათალიკოზისა AB. 5 ს-მცხისთა A, სამცხისთა B. 6 ყოვლად] შეილად AB. 7 ეკლესიისა B. 8 ძირ-უბნ] ძირ-უბნე A, ძირ-უბნენ B. 9 ვითარცა] ყოველთა B. 10 კრებ-თა B. 11 განაწეს-სა. 12 მამა B. 13 უხილავთა B. 14 ძე AB. 15 მხოლო B. 16 უწინარეს ყოველთა... შობი-ლი]-A. 17 მამისა AB. 18 მამსა] მათდა B. 19 კაცება B. 20 საძო ს A. 21 ჯუარს-ეცუა B. 22 თანა-აღადგინა B. 23 დაცემა B. 24 პირველი]-B. 25 კუალად]-A. 26 დი-დებით B. 27 ცხოველს-ყოფელი A. 28 ძისა B. 29 წმიდა B. 30 ეკლესია AB. 31 უკე-თურებისა B. 32 მართლთა B. 33 თითო B. 34 წვალებისა AB. 35 ქალკიდონისა AB.

განხეშებულნი ეშმაკისანი — ევტკჳი და დიოსკოროს. ვითარ არიოზ, მკეცღოზ³⁶ და ნისტორიოს სამთა³⁷ მათგან კრებათა დაიწყებენს შეჩუენებულნი და წაწყმდეს, ეგრეთვე ესე ორნი საწყალობელნი +ხ-თა წინააღმდეგს საღმრთო-ათა შურითა აღგზებულთა, რომელთა შორის მკვდრ იყო ქრისტე, და მათ შინა შეჩუენებულნი წაწყმდეს და მიზეზ ბოროტისა ექმნნეს ურიცხვთა სულთა ზებაროთა.

III. ხოლო ვითარ ზედა-მიწიენით³⁸, გულისკმაჲ-ყავთ³⁹ — განყოფაჲ⁴⁰ სომეხთაჲ⁴¹ ქართლისაგან უეჭულად⁴² აღწერე წიგნსა ამას შინა.

ჟამთა არკადი მეფისათა ბერძენთა ზედა და სომხითა მეფობასა არშაკისა იცვენს სომეხნი ნაწლად ბერძენთა, სჯულსა ზედა მათსა⁴³ მტკიცედ, ვითარცა ასწავა მათ წმიდამან გრიგოლი პართელმან. და სიმხნით ეპყრა ქუეყანაჲ⁴⁴ მათ⁴⁵ ფრიადითა ღუაწლითა მოახლეობისაგან სპარსთაჲსა⁴⁶, და მეფენიცა ბერძენნი შეეწოდეს ლაშქრითა და ოდესვე მცველად უღგიან ძალითა დიდითა მახლობელად.

და ესრეთ იყო საქმე მათი: ხოლო მეფემან არკადი, ძემან თეოდოსისმან⁴⁷, დაიციონა საქმე მათი და მოურინეს სპარსნი სომეხთა და იოტნეს ქუეყანით მათით. და ლტოლვილნი მრავალ ჟამ მწირობდეს ელეკეციით კერძოთა ქუეყანათა და ევედრებოდეს არკადის, რაათამცა მოუვლინა ძალი, რომლითა შეუძლონ დაპყრობად ქუეყანაჲ⁴⁸ თვისი; და არა ისმინა უფალმან ვედრებაჲ მათი. მაშინ იძიეს ღონე სომეხთა და მოხარვე ექმნნეს სპარსთა. და არწმუნეს მეფესა სპარსთასა ფიცისა მიერ და თავს-ღებით მოწყუედა⁴⁹ ბერძენთაგან და შეერთებად მათდა, და განიხარა ფრიად მეფემან ესე და მრავლითა სიხარულითა და ბოძითა უკუნსა⁵⁰ ქუეყანაჲ მათი. და⁵¹ დაყვეს სომეხთა რააოდენიმე ჟამი მშვიდობით მართლითა სარწმუნოებითა.

IV. ხოლო ეშმაკმან⁵², რომელი მარადის ჰბრძავს სიკუდილად კაცთა ნათესავსა, აღძრა ნათესავი⁵³ უღმრთოჲ⁵⁴ ნისტორის წვალებისაჲ⁵⁴ და დიდძალითა ქრთამითა ოჭროსაჲსათა ითხოეს მეფისაგან კეთილად მიქცევად სომხითი⁵⁵ სჯულსა მათსა⁵⁶. და განდრიკეს გული მეფისაჲ⁵⁷ და არწმუნეს ესრეთ, ვითარმედ: „რაჟამს პოონ ჟამი სომეხთა მიქცევად კუალად ბერძენთავე, არა ერიდნენ ყოვლადვე ფიცსა, არცა თავს-ღებითა სიყუარულისათვის და სიმტკიცისა სჯულისა, და მოიციცხოს საქმე შენი მათ მიერ. არამედ უცვალე სჯული და დაჰქსენ შორის მათსა სიყუარული უკუნისამდე, რომელიცა იქმნა მახითა ეშმაკისაჲსათა“. და აიძულნა მეფემან პეროზ სომეხნი მსახურებად სჯულისა ნისტორის უღმრთოჲსაჲსა⁵⁸. ხოლო სომეხთა ყოვლადვე არა თავს-იდევს, არამედ პრქუეს⁵⁹ მეფესა მოციქულითა ესრეთ, ვითარმედ: „ნუ იყოფინ ყოვლად ესე ჩუენდა არა ხოლო ქუეყანისათვის, არამედ თავთა და შვილთა ჩუენთა ტყუობისა⁶⁰ და სიკუდილისა“.

ხოლო მეფე იქცა კუალად სხუად⁶¹ მანქანებად და განუცხადა საქმე თვისი განყოფისათვის ბერძენთაგან და ესრეთ მიუვლინა მოციქულნი, ვითარმედ: „ერთი ორთავანი ყავთ — ანუ გამოირჩიეთ ყოველთა ასურთაგან სჯული თვნიერ

36 მკეცღოზი B. 37 ამათა A. 38 ზედა-მიწიენით B. 39 ყოთ B. 40 განყოფა B. 41 სომეხთა AB. 42 უეჭულად A. უეჭულად B. 43 მათსა]-B. 44 ქუეყანა B. 45 მათი AB. 46 სპარსთასა B. 47 თეოდოსისმან B. 48 ქუეყანა B. 49 მოწყუედა B. 50 უკუნ-ცა A, უკუნსა B. 51 და]-A. 52 ეშმაკი AB. 53 უღმრთო B. 54 წვალებისა AB. 55 [სომხ]ითი A. 56 ~ სომხითი სჯულსა მათსა მიქცევად B. 57 მეფისა AB. 58 უღმრთოთასა B. 59 მიპრქუეს B. 60 ტყუობისა A. ტყუობისა B. 61 ~ სხუად კუალად B.

მელქთაძასა, რომელნი არიან სჯულითა ბერძენ, ანუ დაუტყვევთ ქუეყანაჲ⁶² თქუენი და ივლტოდეთ ჩუენგანს⁶³.

მაშინ სომეხნი შეწუხნეს ფრიად⁶⁴ ორსავე ამას სახესა ზედა და შეწყინეს⁶⁵ ურვამან და იქმან⁶⁴ ანჯამობაჲ შორის მათსა მრავალთა დღეთა. და მკაცრად⁶⁶ სჯიეს ესე ნერს კათალიკოსსა, რომელსა ეწოდა მიჯინ⁶⁵. და ჰრქუა მეფემან სომეხთისამან და ყოველმან ერმან, ვითარმედ: „უმჯობესი ჩუენი შენ უწყირაჲცა ჰბრძანო უმჯობესი, სულთა დაუყუდნებლად⁶⁶ დავემორჩილნეთ ბრძანებთა შენთა“. ხოლო მან საწყალობელმან დაამონნა სულნი კორცთა და არა მიხედნა ყოვლადვე საუკუნეთა გუემათა და შეუბათა⁶⁷ და არა ოსმინა კმაჲ უფლისაჲ სახარებისაგანი, ვითარმედ: „უკუეთუ ყოველი სოფელი შეიძინო და სული შენი მოიკლა, რაჲ მისცე მისი ნაცვალიო?“ არამედ აზრახა მსგავსი თვისი პირუტყუებრ⁶⁸. და ესრეთ ჰრქუა: „უმჯობეს არს ჩუენდა სიკუდილი, ვიდრე—ლა ქამსა ამას კულად-მიქცევად⁶⁹ ბერძენთა და მეორედ დაგდებად ქუეყანისა და მოწყუედა⁷⁰ ჩუენი მწირობით“. და ყოველი ზრახებდა მისი იყო საწუთროჲ და ამპარტავენად.

და მიუვლინეს⁷¹ მეფესა მწუხარებით და ითხოვეს სჯული იაკობთაჲ⁷², რამეთუ სხუანი ყოველნი ურკრეს შეჰრაცხნეს. ხოლო „ცოდვამ მცირე აღორძინდის⁷³ უფროჲს დიდისა უღებებასა⁷⁴ შინა“ — ვითარცა წერილ არს. ხოლო მეფე დაჯერებულ იქმნა და მოუვლინა მოძღუარნი იაკობნი ბოროტნი ცხრანი, ვითარცა მელნი მცბიერნი⁷⁵, ვითარცა თქუა სიბრძნემან ღმრთისამან სოლომონის მიერ. და მათ განრყუენს ქუეყანაჲ სომხითისაჲ⁷⁶, შრომილი წმიდისა გრიგოლისი, მრავლითა ღუაწლითა და ცრემლითა მისითა მორწყული⁷⁷. რომელთა სახელები ესე არს: აბდიშოა⁷⁸, პეტროზ მკაწრველი, სკმონ ბოროტი, იაკობ. და თანა ჰქონდეს წიგნი ფილაქსოსისნი, ივლიანესნი ალიკარნელისანი, ტომოთე კუერნი⁷⁹ და სევეროს ნაბიკელი⁸⁰.

და ყვეს კრებამ ქალაქსა შინა დვისს, და შესძინეს ხაჩეცარი (ესე არს⁸¹: სამწმიდარსსა შორის შეჰმატეს⁸² ჭუარი, დააჩემეს ვნებამ ღმრთეების ძალსა უენებელსა⁸³, და უკუდავსა — სიკუდილი) და განდგეს მართლისაგან და ჰუმარტისა სარწმუნოებისა და უცხო იქმნეს და განისხნეს წმიდისაგან და დიდებულისა სამოციქულო კათოლიკე ეკლესიისა, რომელ არს თავი სარწმუნოებისა⁸⁴ და დედა⁸⁵ ყოველთა მორწმუნეთამ სიტყვასაგან უფლისა, რომელი უბრძანა წმიდასა მოციქულსა პეტრეს, ვითარმედ: „შენ ზედა ევოს მტკიცედ სარწმუნოებამ ჩემიო“. ჰუმარტად უცხო იქმნეს ცოდვითა მათითა დედისაგან ღმრთისა⁸⁶ და განაწესეს არაჯორი მუნვე დვისს, რამეთუ თქუეს: „ესე არს დღე პირველი სარწმუნოებისა ჩუენისაო“. და შესძინეს კულად ბოროტი ბოროტსა და ნებით დაიწყენეს თავნი, რაჲთა არა ეზიარნენ კრებასა⁸⁷ ქალკილონისასა. და განისხნეს სრულიად პირისაგან ღმრთისა⁸⁸, რამეთუ პირველთა მათ შინა და რომელთა ენუქის ძე⁸⁹ ებერისა, გინა ნაქორისთა კაცნი, შეპყრობილხი ფრიადითა საცთურითა ეშმაკისათა⁹⁰, შეკრულ იყვენეს მსახურებითა კერ-

62 ქუეყანა B. 63 ფრიად B. 64 შეიქმნა B. 65 მეჯინ A. 66 სულთა დაუყუდნებლად ჩუენითა დაუყუენებლად A. 67 შეუბათა A, შეშბათა B. 68 პირუტყუებრ AB. 69 მიქცევა B. 70 მოწყუედა A, მოწყულდა B. 71 მოუვლინეს B. 72 იაკობთა A. 73 აღორძინდეს B. 74 უღებებას AB. 75 [მცბ] იერნი A. 76 სომხითისა B. 77 მორწყული A. 78 აბდიშო A, აბდიშო B. 79 კუერნი AB. 80 ნაშეკლი A. 81 ესე არს]— B. 82 შეჰმატეს B. 83 უენებელ A. 84 სარწმუნოებისა AB. 85 დედა A, დედა B. 86 ღმრთისა უკუე B. 87 კრებასა B. 88 განის [ხნეს... ღმრთისა] A. — 89 ზე A. 90 ეშმაკისათა] ერისა მიერ B.

ბთაფთა და ვითარცა ბნელსა შინა ფეშუებითა⁹¹ და⁹² ფილოსოფოსო-
ბისა რაჲსმე მიდევნითა მიდრკეს ბოროტად და დააფიყდა ღმერთი;
გინა თუ სიგარძაჲსაგან ეამათასა დაეწიებულ იქმნა შორის მათსა მტენებელსა⁹³
ღმრთისაჲ გარნა სულგრძელებითა ღმრთისაჲთა ხოლო ჰურიათუ და მწიფი⁹⁴
ბელთა შეეჩქუეფა ბნელი, სიტყვსაებრ იობისა; მოეხვია ჰრული თუალთა და
დაბრმა უგულსიქმოჲ გული მათი; ჰხედვიდეს⁹⁵ ყოველსა დიდებასა ღმრთისა
და პირის-პირ მტერად აღუდგეს კეთილთა და მადლთა მისთა მინიჭებულთა:
„ოჲ, ფრიადსა მას მეცნიერებასა და გარდარეულსა სიბრმესა“, ვითარცა თქუა
საღმრთომან წიგნმან.

V. და ვითარცა იხილეს კათალიკოზმან ქართველთა კვირონ მცხეთისამან
და კათალიკოზმან ჰერთა აბაზ,⁹⁶ რამეთუ კელითა აბდიშო⁹⁷ ასურისაჲთა კრებაჲ
ყვეს სომეხთა ქალაქსა⁹⁸ დვინსა⁹⁹ და შეჩუენებულნი¹⁰⁰ განდგეს აღსარებისაგან
წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა და განეყენაეს ოთხთა საპატრიარქოთაგან და
გარდააქციეს აღთქუმაჲ¹⁰¹ იგი, რომელი დაუღვა წმიდამან გრიგოლი კესარია
ეკლესიასა, უკუნისამდე არა განშორებდა მისგან წელთ-დასხმაჲ¹⁰² ეპისკოპო-
სებისაჲ¹⁰³ სომხითისაჲ. და რამეთუ სომხითმან ბრძანებაჲ მოიღო საპარსთა მე-
ფისაგან კელთ-დასხმაჲ¹⁰⁴ ეპისკოპოსებისაჲ თავით თვსით, ესე რაჲ ცნეს ჰეშ-
რიტად კვირონ კათალიკოზმან, აბაზ ჰერთა კათალიკოზმან და გრიგოლი სიე-
ნელთა ეპისკოპოსმან¹⁰⁵, და იქმნა ცილობაჲ დიდი შორის სომხითისა და ქარ-
თლისა. ქართველნი ეტყოდეს, ვითარმედ: „წმიდამან გრიგოლი საბერძნეთით
მოგუტა ჩუენ სარწმუნოებაჲ, რომელი თქუენ დაუტევეთ აღსარებაჲ მისი წმი-
დაჲ და დაემორჩილენით აბდიშოს¹⁰⁶ ასურსა და სხუათა ბოროტად მწვალებელთა.
და სერაპინთა¹⁰⁷ იგი სამწიდაარსობით დიდების-მეტყუელებმა¹⁰⁸ შეაშფოთეთ
და უკორცოსა, გამოუთქმელსა წმიდასა სამებასა შორის ჰქადაგეთ ჭუარი და
ვნებაჲ ვითარცა საბელაიხოზთა¹⁰⁹, და იქმნენით მოწაფე ბოროტთა მოძღუართა
და არა დაემორჩილენით სარწმუნოებასა წმიდისა გრიგოლსსა, დააჩემეთ ვნე-
ბაჲ უვნებელსა სამებასა¹¹⁰, ვითარცა მოგუტა განცოფებულმან მკაწრვალმან პე-
ტროზ ანტიოქელმან“.

მაშინ სომეხთა შეასმინეს ქართლი მეფესა თანა სპარსთასა, ვითარმედ
ჰრომთა უპურია სარწმუნოებაჲ და ესე ცილობაჲ იყო შორის სომეხთა და
ქართველთა¹¹¹ დღეთა ნერსე კათალიკოზისა სომეხთასა და აღსრულებასა ნერ-
სესსა. ნერსე, რომელსა ეწოდა „შუაჲ“, განიდა ბოროტად ცხოვრებისაგან და
დაჯდა აბრაჰამ საყდარსა¹¹² მისსა და განდგენა კვირონ ქართლისა კათალიკო-
ზმან¹¹³ მოსე ეპისკოპოსი¹¹⁴ ცურტავისაჲ საყდრისაგან თვისსა, რომელი დეე-
დგინა წმიდასა შუშანიკსა¹¹⁵ ნაწილსა თანა სომხითისასა. და ითხოვა აბრაჰამ
კვირონისგან საყდარი მისი, ხოლო იგი არა ერჩდა მას. და განზუნდა ცილო-
ბაჲ იგი შორის მათსა, და მოუწოდა აბრაჰამ მღღელთა არარატისათა¹¹⁶ და
ჰრქუა მათ: „ანუ შეაჩუენეთ¹¹⁷ კრებაჲ ქალკილონისაჲ, ანუ განედით სამკვდრე-

91 ფეშუებითა AB. 92 და] + და A. 93 ჰხედვიდეს B. 94 კათალიკოზმან ქართველთა...
ჰერთა აბაზ] ქართველთა და ჰერთა კათალიკოზმან კვირონ მცხეთისამან AB. 95 აბდიშო AB.
96 ქალაქსა] ქუეყანასა A. 97 დვინსა AB. 98 შეჩუენებულნი AB. 99 აღთქმა B. 100 კელთ-
დასხმა B. 101 ეპისკოპოსებისა A, ეფისკოპოსებისა B. 102 კელთ-დასხმა B. 103 გრიგოლი
სიენელთა ეპისკოპოსმან]—A. 104 აბდიშოს A. 105 სერაპინთა AB. 106 დიდების-მეტყუე-
ლებნი B. 107 საბელაიხოზთა A. 108 სამება B. 109 ქართველთა A. 110 საყდარსა] +
ზდა B. 111 კათალიკოზმან] + და A. 112 ეპისკოპოზი B. 113 შუშანიკს B. 114 არ-
რატისათა A. 115 შეაჩუენეთ A, შეაჩუენეთ B.


ბელით თქუენით¹¹⁴ და რომელი დაემორჩილნეს, ვითარცა წერილ არს, „დიდებამა ურთიერთას¹¹⁶ მიიღეს და დიდებამა მხოლოსა ღმრთისა¹¹⁷ შეურაცხევას“, და შეაზუნეს წმიდამ იგი კრებამ და ჭუარი შორის წმიდასე¹¹⁸ და დაწესეს და რომელნიმე არა დაემორჩილნეს და განისხნეს სამ¹¹⁹ მათით და უცხოებით აღესრულნეს.

VI. შემდგომად აბრაჰამისა დაჯდა კომიტოს, რომელი იყო მდიდარ და მონარკე სამოსელთა და საჯდართა ზედა, რომელიცა თულთაგან პატიოსანთა ბიერილთა შეამკობდა თავსა კურთხისასა¹¹⁸. ამან უფროს ყოველთასა შესძინა ცილობამა კრებასა ზედა¹¹⁹ ქალკიდონისასა და მისცა შვიდი საეპისკოპოსო¹²⁰ ჰელსა ქუეშე პერთა კათალიკოზისასა და შეიერთა იგი და შეჩუენებად¹²¹ სცა კრებამა ქალკიდონისა¹²²; და მისცა ჭუარი სიენჯლთა ეპისკოპოსსა, რათა ვიდოდის ჭუართა წინაშე მისსა ვითარცა კათალიკოზი და განუფართნა ნაწილი მისნი; და კუალად სხუთაცა ეპისკოპოსთა განუერცნა ნაწილი მათნი და ესრეთ შეიერთა ყოველი სომხითი წინა-აღმდგომად კრებისა ქალკიდონისასა, და მაარეგუემელი¹²³ ვინმე, დაწყული იოჰანე, რომელსა ეწოდა რეცა-მოდლუარ, აღ-ქურა წიგნთა წინა-აღსადგომელთა კრებისათვს წმიდისა ქალკიდონისასა და აღუთქუა მას შემდგომად თვსა დაჯდომამა¹²⁴ საყდარსა მისსა, და თარგმანებად სცნა წიგნი მწვალბებელი: ტიმოთე აღექსანდრიელისანი, რომელსა ეწოდა „აუტრნი“,¹²⁵ და პეტროზ¹²⁶ მკაწრვალისანი, რომელსა ეწოდა „მგელი“, და სევეროსისნი და სხუთა მწვალბებელთანი. და სახელად დაწერნა: „თქუმული“¹²⁷ მართლმადიდებელთა მოძღუართანი — წმიდისა საპაქისი და მოსესი“, და ამით ტყუილითა¹²⁸ დააჯრა ქუეყანამ ყოველი სომხითისა¹²⁹ და მრავალნი საკითხანნი გამოთქუნა და სახელს-დგა თვსად და ეგრეთვე კანონნი და წესნი პირველნი ცვალნა და თვთ დაუსხნა მრუდნი, რომლითა აიშალა ძეგლი და ვერ დაამტკიცეს ახალი, არამედ ყოველი კაცი თვს-თვს სახეობს ვიდრე მოაქამოდე. და ესე ყოველი ქმნა კელითა განციფებულისა იოჰანე მაარეგუემელისათა¹³⁰, და რომლისათვს დაშურა, ვერ მოეთხვა ჭორციელსაცა საწადელსა მისსა, რამეთუ ესე ყოველი ბოროტი საყდრისათვს იმბაცუა და არა¹³¹ იგო.

არამედ ქრისტეფორე ვინმე დაჯდა, რომელი იყო მტერ მაარეგუემელისა¹³², და განმწარდა სულითა იოჰანე. და კუალად გარდაადღს იგი მიზეზითა რამათამე და ელხინა იოჰანეს. და აქამთცა¹³³ არა მიხუდა საყდარი, რამეთუ ეზრა დაიპყრა და უფროს¹³⁴ შეაწუხა სული მისი მზაკუვარი, რამეთუ „ნებამ მოშიშთა მისთამ¹³⁵ ყვის უფალმან“, ხოლო „უკეთურნი დღედ რისხვასად¹³⁶ დაჰმარხნის“. და ესე ვითართა ზაკუვითა განდიდნა პირველმოქსენებული იგი კომიტოს და ეუფლა ნაწილსა ზედა წმიდისა გრიგოლისსა, და მაარეგუემელისა¹³⁷ მიერ აღავსო¹³⁸ ქუეყანამ სომხითისა¹³⁹ სიკუდილისა მომტყუებელითა¹⁴⁰ სწავლითა.

VII. აქა უკუე¹⁴¹ აღესრულა ჩუენებამ იგი წმიდისა გრიგოლისი, რომელი აუწყა მას სულმან წმიდამან, ვითარმე: „რომელნიმე ცხოვართაგანნი უკუნ-იცეს და მგელ იქმნეს და ზედა მოეტევენს ცხოვართა და დაბძარნეს უწყა-

116 ურთიერთარს A. 117 ღმრთისა AB. 118 კურთხისასა AB. 119 კრებასა ზედა]—A. 120 საეპისკოპოსო A. 121 შეჩუენებად A. შინ-ზად B. 122 ქალკიდონისა B. 123 მაარეგუემელი AB. 124 დაჯდომა B. 125 ტურნი AB. 126 პეტრეს A. 127 თქუმულად AB. 128 ტყუილთა A. 129 სომხითისა A. 130 მაარეგუემელისათა AB. 131 არა B. 132 მაარეგუემელისა AB. 133 აქამთცა B. 134 უფროს B. 135 მასთა AB. 136 რისხვად A. 137 მაარეგუემელისა AB. 138 აღავსო AB. 139 სომხითისა AB. 140 მომტყუებელითა A, მომტყუებულთა B. 141 უკუე AB.



ლოდ¹⁴². ეგრეთვე აღესრულა ჩუენება იგი¹⁴² წმიდისა საპაქისი¹⁴³, რომელ იხი-
ლა¹⁴⁴ ბირთვ ოქრომასა¹⁴⁵ და ინაფორი ზედა წმიდასა საკურთხეველსა. რამე-
თუ ავოცასა თანა მეფობისა არშაკთასა აელო მღდღობადაცა წმიდისა¹⁴⁶ კურთ-
გოლის ნათესავისა¹⁴⁵ და ეყენეს ქარტასა მას ოქროწყინელთა¹⁴⁷ (ესე
ნი¹⁴⁷; და შექორცილმან დაიხყრა ადგილი იგი ოქრო-ბრწყინველთა¹⁴⁸ (ესე)
არს: რომელნი შეუღღეს მაარეგუემელისა¹⁴⁹ მოძღურებასა¹⁵⁰).

ხოლო არამცირედი აღთქუმადა¹⁵¹ ყო ხუასრო მეფემან ნერსე კათალიკოზისა
ზომართ, რომელსა ეწოდა „შუა“¹⁵² (ესე არს სომხურად „მიჯინ“), რომლითა
შეარყია უფლისკმოა¹⁵³ გული მისი, ქმნა კრებაჲ პირველი ღვინს და განეშო-
რნეს სჯულითა ბერძენთა და იერუსალემს¹⁵⁴ ხოლო ქართლი ყოველი და მე-
ოთხედი სომხითისა¹⁵⁵ განეყენეს ჳელთ-დასხმასა მღდღობისასა სომეხთაგან,
არამედ ჰერნი და სიენელნი ჟამ ერთ განეყენეს და კუალად შეერინნეს ნერ-
სეს ვისმე, რომელი წუერთა¹⁵⁶ ოქრო-ცხებულ¹⁵⁷ ჳყოფდა.

VIII. ქმნა კრებაჲ სომეხთა კათალიკოზმან იოჰანე¹⁵⁸ მანაწყერტს¹⁵⁹ და
წყლისა¹⁶⁰. რთვაჲ¹⁶¹ და ჰურისა ცომი გააშორნა წმიდასა საიდუმლოსა¹⁶², და ბა-
ლარჯი და ურწყოჲ დაამტკიცა, რომელი არა ესწავა წმიდათა კრებათაგან
პირველთა, და წინა-აღუდგა¹⁶³ საღმრთოთა წერილთა, რომელსა იტყვს წმიდაჲ
მოციქული: „სამნი არიან, რომელნი წამებენ: სული, სისხლი და წყალი“. რა-
მეთუ წყლითა ნათელ-ვიღებთ ერთგვის ცხოვრებად საუკუნოდ და ყოვლადვე
განჰვაზავებთ კეთილად მსახურებითა სასუმელსა მას¹⁶⁴ წყლითა და ვეზიარე-
ბით მისატეველად და საქსრად. და სოლომონ თქუა: „უსხი თჳსი დაკლა და
განაზავა ტაკუკითა თჳსითა ღვნოჲ და მორწმუნეთა ჰრქუა: მოვედით და სუთ
ყოველთა“. და დიდი ათანასი იტყვს, ფსალმუნსა განჰმარტებს¹⁶⁵: „სასუმელი,
ჳელთა შინა უფლისათა, ურწყული საგვე არს სხმულითა. ურწყოჲ¹⁶⁶ ღმრთე-
ებასა მოსწავებს და სხმული იგი — კაცებასა (ესე არს წყალი), რამეთუ პირველი
სიმდაბლე ღმრთეებასა თანა შერევნა¹⁶⁷ იყო უძღურისა ბუნებისა ჩუენისა¹⁶⁸.
და ესე მოასწავებს ორსა ბუნებასა¹⁶⁹ ღმრთეებისა და კაცებისა ქრისტესსა.
და ამით ჳერ-არს განაზავებად ღვნისა¹⁷⁰“. და ეპიფანე კჳპრელი მოასწავებს ამ-
სვე სახესა, რომელ იტყვს: „შენ ხარ მღდელ უკუნისადმე წესსა მას ზედა მელ-
ქაზედეკისსა, რამეთუ მელქიზედეკ პურსა და ღვნოსა შესწირვიდა არა უცო-
მოსა, არცა¹⁷¹ ურწყოსა, და ამისთვის¹⁷² ვცანით მისი მღდღობისა სახე“. და
წმიდაჲ ბასილი იტყვს წმიდათა საიდუმლოთა მეორესა, ვითარმედ: „აღილო
პური და ამაღლებული მიგაიყრა შენ, ღმერთსა-მამასა; აკურთხა, განტეხა და
მისცა მოწყვთა. აგრეთვე სასუმელი, მოსთულებელი ვენაქისა¹⁷³, აღილო, გა-
ნაზავა და მისცა კურთხეული მოწყაფეთა თჳსთა“.

IX. ხოლო მრავალსახე იყენეს წვალეზანი მათნი — საბელიანოსნი, იაკო-

142 იგი—A. 143 საპკისი A. 144 იხილ^ა A. 145 ოქროსა B. 146 ნათესავისა AB.
147 რადანი AB. 148 ოქრო-ბრწყინველთა A, ოქრო-ბრწყინველთა B. 149 პირველ-
შელოსა A, მარეგუშელოსა B. 150 მძობ^ბსა A, მოძღურობასა B. 151 აღთქ-მა B. 152 შუაჲ
AB. 153 უფლისკმო B. 154 იშ^ლმა AB. 155 სომხითისა AB. 156 წუშ^რთა AB.
157 ოქრო-ცხებულ A. 158 იე AB. 159 მწყერტს AB. 160 წყისა A. 161 რთვა B.
162 სა^ღდუმლოსა A. 163 წინააღუდგა^ჲ სი A. 164 წყლითა ნათელ-ვიღებთ... სასუმელსა
მას—A. 165 განმარტებს B. 166 ურწყო B. 167 შერევნა AB. 168 ჩ^ენისა AB.
169 ბუნებასა AB. 170 ღვნისა AB. 171 არამედ B. 172 მისთვის B. 173 ვენაქისა AB.

იგი მწვალლებელი მოძღუარნი წარავლინენს ყოველსა ასურეთსა ხარებად უკუნისამდე, ბერობად ერთობით წვალებად მათი და მეტრაპოლიტად¹⁹⁹ თვსად დიდგინეს²⁰⁰ ალიკარნელისად²⁰¹ მის²⁰² კელმოკუდარისად²⁰³, და ზოგთა²⁰⁴ შოას²⁰⁴ კერძთად²⁰⁵, სხუად ვინმე.

X. ხოლო ყოვლადე არასადათ აქუნდა წამება პირველ მამათაგან და კრებათა²⁰⁶ წინა-აღმდგომად კრებისა ქალკიდონისაჲსა და ორთა ბუნებათა²⁰⁷ უფლისა²⁰⁸ ჩუენისა იესუ²⁰⁹ ქრისტესთა, და თვთ იცოდეს²¹⁰ საღმობად გულისა მათისა²¹¹, რამეთუ განშორებულ იყენეს ჭეშმარიტებისაგან, რომელი ესწავა წმიდისა გრიგოლისგან მართალი და სამი ოდენ წელი გარდასრულ იყო კრებითგან ქალკიდონისაჲთ²¹² და მერმე წმიდაჲ საპაკ და მასტოც შეილისშვილინი²¹³ გრიგოლისნი, და ყოველნი მოწაფენი მათნი, და მოძღუარნი მათნი, რომელთა პირველნი წიგნნი თარგმნენს ნეტართა ლეონტი და იოსებ, წინამწღუართა სომხეთისათა, და სხუათა ურიცხუთა წმიდათა, და იქელი წმიდაჲ დასთესეს მათ შორის, ხოლო მათ ფიცხელი ეკალი ნეფსით განაწონეს სულთა მათთა და ერსა უბრალოსა, და თვთ მოსე ქერდულმან მიუთხრა წარწყმედაჲ²¹⁴ მათი და არცა მისი ისმინეს.

XI. ამისა შემდგომად გარდაცდეს ქამნი რაოდენნიმე. მოკულა ვაჰან მამკუენი²¹⁵, რომელმან სიმკნითა თვსითა დაიპყრა მარზანობად სპარსთაგან და ძებნა სამართალნი ქრისტეანეთანი, თრდატ მეფისაგან²¹⁶ დადებულნი წესნი ეკლესიათანი და გლახაკთანი, უკუ-მოიხუნა²¹⁷ სოფელნი და უხარკოდ განათავისუფლნა.

აქაჲთგან სპარსთა მარზანთა დაიპყრეს სომხითი და შეურაცხ-იქმნა წესი საქრისტიანოჲ, და ეკლესიათა განგებაჲ აღიკოცა²¹⁸, და აზნაურთა კელმწიფებდაჲ დაეცა სპარსთა მარზანთაგან, და კათალიკოზნი და ეპისკოპოსნი²¹⁹ განდრკეს სიმართლისაგან და კანდიერებაჲ მოიღეს სპარსთაგან წინა-აღმდგომად აზნაურთა, და ხარკსა სოფელთასა თვთ გარდაიკნიდეს, რამეთუ ეპისკოპოსთა და ქორეპისკოპოსთა მიანდგეს ჭუეყანაჲ²²⁰, ვითარცა მორჩილთა მეფეობისა სპარსთაჲსა²²¹. და რომელთამე კათალიკოზთა და ეპისკოპოსთა მეფენი სპარსთანი დაიშვილნეს და ძეობილად უწოდდეს კავადს და ხუასაროს. რომლისათვისცა მსაჯულებდა მთავრობისაჲ²²² თვთ მიიტაცეს და არა სამართლისაებრ კანონთაჲსა²²³, არამედ თვისსაებრ ნებისა იქტეოდეს და საჰმარი ეკლესიათაჲ²²⁴ არა ვითარ დაწესებულ იყო ეკლესიათათვის, არამედ საჰმარად თვსა და კაცთა საჩუენებელად განაბნევდეს, რომლისათვის ეპისკოპოსნი ყოველნი და მამასახლისნი ყოველნი მიქცეს ღმრთისა გასარიხელსა ამოქსა შესაძინელსა²²⁶ სათნოებითა მეფეთა უღმრთოთაჲთ²²⁷. და მერმე აზნაურნი და ერისაგანნი მიბაძეთა²²⁸ მათითა განეშორნეს ყოვლადე კანონთა, განწესებულთა წმიდისა ნეტრესთა²²⁹ და წმიდისა საპაკისთა, რომელ²³⁰ დღეთა ვაჰან მამკუენისათა²³¹ დაესხნეს²³², ერთგობის წელიწადსა წინა სახლთა ყოველთა დიდებულთასა ყოფად საჰსენებელ²³³ ერ-

199 მეტრაპოლიტად A. 200 და დგინეს B. 201 ალიკარნელისა B. 202 მის| იგი AB. 203 კელმოკუდარისა B. 204 აბღ-ბო ს A, აბღ-შოს B. 205 კერძთა A. 206 კრებ თა B. 207 ბნ-ბ თა B. 208 უფლისა B. 209 იესუ—A. 210 იცო[დეს] A, ცოდეს B. 211 მათისა AB. 212 ქალკიდონისათ B. 213 შეილიშვილი A. 214 წარწყმედა B. 215 მამკუენი AB. 216 მეწიითგან AB. 217 უკ-მო-ხუნა B. 218 აღკოცა AB. 219 ეპისკოპოსნი B. 220 ჭუეყანა B. 221 სპარსთასა AB. 222 მთავრობისა AB. 223 კანონთა B. 224 ეკლესიათა AB. 225 მ-მასახლისნი A. 226 შესაძინელსა A. 227 უღმ-რთოთა A, უღმრთოთათა B. 228 მიბ ძებით B. 229 ნეტრესთა AB. 230 რ-ად(?) A, რ-ლ B. 231 მამკუენისათა AB. 232 დაესხნენ B. 233 სასხენებელი A.

თისა ვისმე წმიდათაგანისა, რაათა განისუენონ²³⁴ გლახაკთა, სნელთა და კი-
ვეულთა, ობოლთა და უპოვართა²³⁵ აღაპითა სახლთა შინა მათთა სადამდებელად
ღმრთისა.

ესე ყოველი განაქარვეს თავთა თვსთა შესაძინელისათვის²³⁶ და დაქსნდა²³⁷
და დაირღუა ყოველისა სულიერისა კეთილისა ჩუეულებად²³⁸ და წესულად დაიწყეს²³⁹
კვდრა ბოროტმან მიდღენდელად²³⁹ დღედმდე და იქმნეს საეპისკოპოსონი ვი-
თარცა საკერპონი. და მივიდიან აზნაურნი კარად საეპისკოპოსოდ და არა ჰპოვი-
ან²⁴⁰ ეამი შესლვად, და შეიქტიან სირცხვლეულნი, ვითარცა კარისაგან სპარ-
სთა მარზაბანთაჲსა²⁴¹ და უფროჲსლა²⁴², რომლისათვის ვერღარა დაითმინეს შე-
ურაცხება იგი ფრიად²⁴³.

XII. ვარდან მამკუენმან²⁴⁴, რომელსა „ჩოქხი“ ეწოდა (რომელ არს „ურჩ“) და ნათესავთა მისთა, აზნაურთა შერაცხილთა, მოკლეს სურენ ვინმე, მარზაბანი სპარსი, და სახლები მისი²⁴⁵ მოწუეს²⁴⁶ ცეცხლითა; და დედა-წულითურთ ლტოლვილნი წარვიდეს კოსტანტინეპოლის²⁴⁷, და წარვიდეს და შეიწყნარნა კეთილად²⁴⁸ მეფემან²⁴⁹ ისტენიანე. ხოლო ივინი არა ეზიარნეს მათ თანა. და დაუკვრდა მეფესა ესე და ივითხა მიზეზი. ხოლო მათ უთხრეს, ვითარმედ: „ცი-
ლობაჲ იქმნა კრებისათვის ქალკიდონისა, და მოძღვართა²⁵⁰ ჩუენთა არა შეი-
წყნარეს“. და ბრძანა მეფემან მოწოდებაჲ მოძღვართა²⁵¹ და ეპისკოპოსთა სომ-
ხითისათა, რაათა გამოიკითხონ და ცნან მართალ.

და შემოკრბა²⁵² კრებაჲ დიდი კოსტანტინეპოლის და²⁵³ ფრიადი გამოწუ-
ლილვაჲ²⁵⁴ ყვეს. და განმართლდა სამართალი და აღიარეს ყოველთა ერთობით
კრებაჲ ქალკიდონისაჲ²⁵⁵. და თვთ სომხიონან ყოველმან დაწყევა და შეაჩუენ-
ნეს მგობარბ²⁵⁶ მისი და შეერთნეს მათ თანა, და ითხოვეს მეფისაგან კეთილად
დასავლისა²⁵⁷ კარი სოფიასა²⁵⁸ აღშენებად²⁵⁹ ფასითა თვისითა, რამეთუ მას
ოდენ ეამსა აშენებდეს მას. და მიანიჭა მეფემან საწადელი მათი, და მათ მისცეს
ფასად შენებისა ვეცხლი წმიდაჲ ათი ბეკერი და სახელად უწოდეს კარი სომხითი-
საჲ²⁶⁰ ვიდრე მოაქამომდე.

და მოიქცეს კრებისა მისგან და მოიწიენეს სომხითს და რომელთამე გულს-
მოდინედ შეიწყნარეს და დემორჩილნეს ერთობასა²⁶¹, და რომელთამე ვი-
თარცა გუელთა²⁶² უფროჲსლა²⁶³ შესძინეს აღძრვაჲ ერისაჲ²⁶⁴ და შფოთი ბირე-
ბითა მაჲრეგუემელითსაჲთა²⁶⁵. და ესე იქმნა დღეთა იოჲანე კათალიკოზისთა.

XIII. ამისა შემდგომად მაეროკ კეისარმან წარავლინა მუშელ²⁶⁶ მამკუე-
ნი²⁶⁷, დიდი ზორაეარი სომხითისაჲ²⁶⁸, და მისცა სამეფოჲ²⁶⁹ სომხითისაჲ²⁷⁰
ხუასროს²⁷¹. ხოლო ხუასროვ დვინითგან ყოველი დაამორჩილა კეისარსა და
იქმნა მშველობაჲ შორის მათსა. და მუშელს ნიჭი დიდძალი მისცა და წარავ-
ლინა იგი სამეფოდ. და ვითარ მიიწია მუშელ კოსტანტინეპოლის²⁷², და დაემ-

234 განისუენონ AB. 235 უპოვართა A. 236 შესძინელისათვის A. 237 დაქსნდა A.
238 ჩუეულებად AB. 239 მიქლენდელად A. 240 პოეან B. 241 მარზაბანთისა B.
242 უფროსლა B. 243 ფრიად A. 244 მამკუენმან AB. 245 მისი მათი მათი A. 246 მო-
წუეს A. მოწუეს B. 247 კოსტანტინეპოლის A, კოსტანტინეპოლის B. 248 კეთილად + მორწმუ-
ნენი B. 249 მეფემან]—B. 250 მოძღვართა B. 251 მოძღვართა B. 252 შემოკრბა AB. 253 და]—B.
254 გამოწულილვა B. 255 ქალკიდონისა AB. 256 მგობარი B. 257 დასავლისა A. დას-
ვლისა B. 258 კართა სოფიასა B. 259 აღშენებდ B. 260 სომხითისა B. 261 ერთობი-
სა AB. 262 გუელთა AB. 263 უფროსლა B. 264 აღძრვა ერისა B. 265 მაჲრეგუე-
მელისათა AB. 266 მუშელ]—B. 267 მამკუენი B. 268 სომხითისა B. 269 სამეფო B.
270 სომხითისა AB. 271 ხუასროს A. 272 კოსტანტინეპოლის A. კოსტანტინეპოლის B.

თხვა დღესასწაული ჭურთა აპყრობისა²⁷³, და არა ეზიარა იგი მათ თანა და ყოველივე²⁷⁴, რომელნი-იგი²⁷⁵ მის²⁷⁶ თანა იყვნეს. და იკითხა მეფემან და აღწყყეს, ვითარმედ: „კრებისათჳს ქალკიდონისა და ორთა ბუნებათა ქრისტტსისა“. ხოლო მეფემან ჰრქუა²⁷⁷, ვითარმედ: „უწინარეს შენსა წარდქან და მისთანათა აზნაურთა ყოველთა შეიწყნარეს კელითა მოძღუარითა²⁷⁸ და მრაველთა გამოძიებითა წერილთადათა²⁸⁰“. ხოლო მუშელ ჰრქუა: „ნულუკუე²⁸¹ უმეტრებითა. გინა შიშითა თქუენითა, არამედ უკუეთუ ბრძანოს ქრისტეს-მოყუარებმან მეფობამან შენმან და სიმაართლით შუამდგომელ იქმნე²⁸², ჰპოო ამისათჳს ჭეშმარიტი მოძღუართა ჩუენთავან“.

და უბრძანა მეფემან კათალიკოზსა სომხითისასა მოსეს და ყოველთა ეპისკოპოსთა, რადათა მოვიდენ კონსტანტინეპოლის და კულაღდ გამოიწულილონ და დაემტკიცოს მართალი. ხოლო მოსე კათალიკოზი არა დაემორჩილა²⁸³ წარსლვად²⁸⁴, არამედ ესრეთ ჰრქუა მოციქულთა: არა²⁸⁵ წილად-ვკედ მდინარესა აზატსა, რომელ არს საზღვარი სპარსთა²⁸⁶, არა ვკამო ფურნიდი ბერძენთა და არცა ვსუა თერმონი მათი“. და ეგრეთვე ეპისკოპოსთა ვასპურაგანისათა, რომელნი იყვნეს საეკლემფიფოსა ქუეშე სპარსთასა, არა ინებეს წარსვლა²⁸⁷.

ხოლო ეპისკოპოსი ტარონისა²⁸⁸ და ყოველნი ეპისკოპოსნი, რომელნი იყვნეს ჭელსა ქუეშე ბერძენთასა, მსწრაფლ მიიწინეს სამეფოდ და კულაღდ ყვეს გამოძიება და დაამტკიცეს მეორედ კრებაჲ ქალკიდონისა²⁸⁹ წინაშე მავრიკ მეფისა ერთობით ყოველთა, და აღიარეს ორი ბუნებაჲ ქრისტტსი ჭეშმარიტი, და დაწერეს ფიცი ერთობასა²⁹⁰ ზედა უკუნისამდე²⁹¹ და წარმოვიდეს.

და ვითარ მოვიდეს სომხითს, არა შეიწყნარა მათი მოსე კათალიკოზმან და სხუათა ეპისკოპოსთა, რომელნი იყვნეს სპარსთა კერძონი. და განიყო სომხითი და ამათ დაიდგინეს კათალიკოზად იოჰანე²⁹² გოგვიტელა²⁹³. და მიერიტვან მრაველთა წინა-აღდგომითა ვიდოდეს კრებისათჳს ქალკიდონისა და ორთა ბუნებათა²⁹⁴ ქრისტტსს, უფლისა ომრთისა ჩუენისათა, ათოთხმეტ²⁹⁵ წელ, ვიდრე აღსრულებამდე მავრიკი²⁹⁶ მეფისა.

XIV. და პირველ-მოქსენებულმან²⁹⁷ აბრაჰამ კათალიკოზმან ოდეს განასხნა არარატი²⁹⁸ მღღელნი იგი და იოჰანე²⁹⁹ კათოლიკე წმიდისა მამასალისი (შოლოკათ³⁰⁰ უქმიან წმიდასა კათოლიკესა და მიტრს წმიდასა რიფსიმესა³⁰¹) და ოშაკნისა³⁰², და ელვიარდისა და არამუნთა³⁰³ და გარნისისა და ყოველთა მონასტერთა და ყოველთა არარატისათა მძლავრებითა, რომელთამე შეჩუენებულ სცა წმიდაჲ იგი კრებაჲ.

და შემდგომად სამისა წლისა იქმნა ჰომი იგი ბასიანიასა³⁰⁴, რომელსა იძლიენნეს იონნი სპარსთავან და წარტყუენეს³⁰⁵ ქალაქი კთორიჯი ჰაშტენისა³⁰⁶, და მეოთხესა წელსა — კარუ-ქალაქი, ფოკა უღმრთოესა კეისრისა³⁰⁷, რამეთუ დაკოცნა ძენი მავრიკ მეფისანი, მახვლითა ასპარეზსა განიყვანნა.

273 აპყრობისა B. 274 ყოველი B. 275 იგი—B. 276 მისი მათ A. 277 ჰრქუა B. 278 მღღელ-მოძღუართა B. 279 თქნათა A, თქნათა B. 280 წერილთათა B. 281 ნულუკუე AB. 282 იქმნე AB. 283 დაემორჩილად A. 284 წარსლვად]—A. 285 რა B. 286 სპარსთა B. 287 წარსლვა B. 288 ტარონისა AB. 289 ქალკიდონისა AB. 290 ერთობასა AB. 291 უკუე A, უკე B. 292 იე AB. 293 გოგვიტელა A. 294 ბნუთა B. 295 ათორმეტ B. 296 მავრიკ B. 297 მოქსენებულმან A. 298 არარატი 299 იე AB. 300 ბულკათ] A, შულკათ B. 301 რიფსიმესა AB. 302 ბაკნისა A, უშაკნისა B. 303 არამონთა AB. 304 ბასიანისა A, ბასიანისა B. 305 წარტყუენეს A, წარტყუენეს B. 306 აშტენისა A, ჰაშტენისა B. 307 კეისრისა AB.

ამას წელსა წარტყუნა³⁰⁸ კარუ-ქალაქი აჰმადისგან და იოჰანე კათალიკოზნი, რომელი იყო ნაწილსა ბერძენთასა. და ამსვე წელსა განასხნა მოსე კათალიკოზმან მღვდელნი თვისისა კელისაგან, იოჰანეს კერძნი, და წარვიდეს რომელნიმე ტაოს, რომელნიმე იონთა თანა³⁰⁹ და მათ უწოდიან შოლუკუნი³¹⁰ ნუფი³¹¹ თარცა იხილა³¹¹ წმიდამან გრიგოლი ჩუნებაჲ იგი, ოდეს განეხუნეს³¹² ნათელი გარდამოქდა მას ადგილსა.

XV. და მერმე წარტდეს რაოდენნიმე ეჰმნი. მოვიდა ჰერაკლე მეფე სომხითს და იხილა³¹³ წვალეზაჲ სომეხთაჲ³¹⁴ და ფრიად შეწუხნა წარწყმედისა მათისათვის უნებლიებით მიქცევითა. და ბრძანა კრებაჲ დიდი ყოფად ეპისკოპოსთა და მოძღუართა³¹⁵ სომხითისათა და მიწერა წიგნი ეზრა³¹⁶ კათალიკოზისა და აზნაურთა, რაჲთა შემოკრბენ კარუ-ქალაქს და გამოიძიონ სარწმუნოებაჲ კრებისათვის ქალკილონისა და ცნან ჰეშმარიტად ორი ბუნებაჲ ქრისტესი სომეხთა. და მოიწივნეს ყოველნი ერთობით³¹⁷ წინაშე მეფისა და გამოიწულილეს მესამედ მრავლითა ძიებითა და დაამტკიცეს მართალი. და დაემორჩილნეს სომეხნი ფიცით ჰელით-წერილითა, რაჲთა არღარავის წინა-აღუდგენ ცილობად მისთვის.

და ვითარ უკ-მოიქცეს დვინს, მიიქცეს მასვე ვენებასა წყმედულსა, რამეთუ მოძღურებისა ადგილი მათი იგი იყო და თქვან მუნ შინა მართალი ყოველი კულ-რეუნი³¹⁸. ხოლო იგივე მადრეგუმელი³¹⁹ აღსძრვიდა ვითემე მონაზონთა მწვალებელთა და სტეფანეს, ეპისკოპოსსა³²⁰ გარდამანისასა³²¹, და მათუსალას, ქერდულსა სიგნელსა, და სხუაჲ ვინ პოის მღვდელი, რომელნი არა დახდომილ იყვნეს კრებასა³²² მას, რაჲთა არა ეზიარნენ ეზრა კათალიკოზისაგან, და რომელნი მის თანა შეერთებულ იყვნეს. შემდგომად დღეთა რაოდენთამე მოვიდეს სტეფანე ეპისკოპოსი³²³ და მათუსალა ეზრა კათალიკოსისა და ეზიარნეს მათ თანა. ვითარცა ესმა ესე ბერსა ბოროტსა მადრეგუმელსა, რამეთუ შეერთნეს იგინი ეზრას³²⁴ და მათუსალა იკურთხა სიგნისა ეპისკოპოსად, დიდითა შეურაცხებითა ავინებდა სტეფანეს და ქერდულსა და იტყოდა: „უმცირეს არს მიდრეკაჲ³²⁵ ეზრასი³²⁶ ცთომისა თქუენისა³²⁷, რამეთუ იგი ანუ შიშითა მეფეთაჲთა³²⁸, ანუ მეცნიერთა კაცთა მიახლებითა მიდრეკა სჯულისაგან, ხოლო თქვენ ცუდად დებისა და სათნოებისათვის წარსწყმდით უკურნებელად“.

და ვითარ ცნა ესე ეზრა, მოუწოდა მას ბერსა ბოროტსა და პრქუა წინაშე ყოველთა: „გიქმე შენ სამგზის, და მათუსალას³²⁹ სამგზის, და სტეფანეს, ვითარმედ ქუეყანისა მოძღუარნი და მეცნიერნი თქუენ ხართ, მოვედით და სიტყუა-უგეთ მეფესა; და არა მოხუედით³³⁰. და აწ ჩუენსა გაგებულსა წინა-აღუდგები კადნიერად. ჩუენ, რომელი ჰეშმარიტად გამოვიძიეთ³³¹ წიგნთა და მოძღუართაგან მართალი, შევიწყნარეთ ორი ბუნებაჲ უფლისა³³² ჩუენისა იესუ ქრისტესი — სრული ღმრთეებითა³³³ და სრული კაცებითა, ერთი ეგუამი და ერთი ხატი განუყოფელი განგებულებითა; და წიგნი წმიდათა მამათა პირველთანი.

308 წარტყუნა AB. 309 ~ რომელნიმე იონთა თანა, რომელნიმე ტაოს A. 310 შულა-კა A. შულაკთ B. 311 იხილა A. 312 განეხუნეს B. 313 იხილა A. 314 სომეხთა B. 315 მოძღუართა B. 316 ეზრა A. 317 ერთობით + ყოველნი A. 318 კულ-რეუნი A. 319 მადრეგუმელი A, მადრეგუმელი B. 320 ეპისკოპოსი B. 321 გარდამანისას A. 322 კრებაჲ B. 323 ეპისკოპოსისა AB. 324 და მათუსალა ეზრა... იგინი ეზრას — A. 325 მიდრეკა B. 326 ეზრასი B. 327 ცთომისა თქუნსა A, ცთომისა თქუნსა B. 328 მეფეთა B. 329 მათუსალა A. 330 მოხუედით AB. 331 განვიძიეთ B. 332 უა B. 333 ღმრთეებით B.

რომელნი აღმოვიკითხებით, ამას წამებდეს და ჩუენ დავემორჩილებით ბრძანებათა³³³ მათთა და შევიწყნარეთ კეთილისა მიმართ. და აწ არავე³³⁴ წარსულ არს საღმრთონი წიგნი ჩუენთანა არიან, მოვიხუენთ და ქემშარიტი ვისწვით³³⁵. და ვითარ დაუქშა პირი წამებითა წიგნთადათ, აღმოიბოყინა სიმყარაღუქმისა³³⁶ ბოროტისა წვალებისაჲ, და თქუა: „ღონედ არა შევიწყნარო ეგე წყარალო, მისსაჲს ტორიანთა შეჰმატეს ეგე წმიდათა წიგნთაო“. და აღძრა წვალებად სიტყუათა³³⁷ მრავლითა, რომელ მოუყუსთათა მისთა ვერ შეარწყუნა და განისწავლნეს ურთიერთას და მას უწოდდეს მადარევენლად თჳსნი მოუყუსნი სახელად სოფლისა თჳსისა. ხოლო იგი წარვიდა საბერძნეთს მისევე წინა-აღღვომისათჳს და ისწავა მცირედ ენაჲ³³⁸, რადათამცა მით მიზეზითა არწმუნა სომეხთა უფროას-რე. და მოიქცა სომხითსევე, უძკრეს პირველისა წვალებდა და უმზირადა უეჭუელად³³⁷ შემდგომად ეზრახას³³⁸ დაპყრობად მისსა საყდარსა შეწევნითა დიდ-დიდთა კაცთადათა და ნებითა მწვალებელთადათა, ქადებითა მათითა წინა-აღღვომისათჳს ქალკიდონისა კრებისა.

ხოლო შემდგომად³³⁹ ეზრახას³⁴⁰ დაიპყრა საყდარი ნერსე იშხნელმან, კაც-მან ღირსმან და მართალ-მორწმუნემან, ნებითა ღმრთისადათა. და განიწირა სრულიად სასოებისაგან ბერი იგი იოჰანე³⁴¹ მზაკუარი³⁴², და უფროასად ამისთვის, რამეთუ ზიარებდა³⁴³ ეხილვა ნერსე საბერძნეთს მცდისა თანა კოსტანტინე მცირისა. და არავე დასცხრა წინა-აღღვომად და სიტყუად ამას, ვითარმედ ეზრახსებრე³⁴⁴ შესცთა ნერსეცა შემდგომად³⁴⁵ ქალკიდონისა, რომლისთვისცა მოუწოდა ნერსე მას³⁴⁶ წინაშე ეპისკოპოსთა და მოძღუართა მრავალთა და აზნაურთა მრავალთა. და დიდი გამოძიებაჲ ყვეს ცილობისა მისთვის და დაასა-ჯეს მათ ყოველთა განჯდაჲ მისი ქუეყანი³⁴⁷ ვითარცა მაცთურისა³⁴⁸. განაძო წმიდამან კათალიკოზმან ნერსე რისხვით, და თეოდორე, რმტონთა უფალმან, ერისთავმან სომხითისამან, მეღი სპილენძისაჲ მტკრვალი დასდვა ნიშნად³⁴⁹ შუბლსა მისსა წვალებისათჳს ორთა თანა მონაზონთა, მოუყუსთა მისთა. და წარვიდა ოტებული კავკასისა³⁵⁰ მთასა და მუნით უკ-მოიქცა მსწრაფლ, რამეთუ არა შეიწყნარეს იგი მთეულთა მათ კაცთა, რამეთუ იყვენეს იგინი კერპთ-მსახურ. და გარდამოვიდა³⁵¹ კანბეჩანს და დაემკვდრა ქვესა შინა მცირესა, რომელსა პრქვან კევი სომხითისაჲ³⁵². და მრავალნი დაიმოწაფნა არა თუ მას შინა ოდენ, არამედ ამიერ მტკურისა³⁵³ — არარატს³⁵⁴, გარდამანს, ძორფორს³⁵⁵ და სომხითს, და მრავალნი ქმნნა მონაზონ უწყესოთა³⁵⁷ მით³⁵⁸ მოძღურებითა, და აღავსო³⁵⁹ ქუეყანაჲ³⁶⁰ წვალებისა ღუარძლითა.

და შემდგომად სიკდუილისა ნერსე კათალიკოზისა მივიდა არარატს³¹⁶ და-მოწაფებულთა მათ მისთა თანა. დღეთა ანასტას კათალიკოზისათა³⁶² და შემ-დგომად სიკდუილისა ანასტასისა შემოკლა სომხითს მსგავსად მკეცისა თჳსსავე სოფელსა პირველსა ბიჯნისს³⁶³ და მადარევეანს სავსე მითვე წინა-აღღვომითა და წვალებითა, და მუნ მოკუდა დაძულებული³⁶⁴ ძალი³⁶⁵ ბოროტი დღეთა ძ'ხ'ღ-ს

335 არავე B. 336 კცთა B. 337 ენა B. 338 უშქუელად AB. 339 ეზრახა B. 340 შემდგომად[არამედ B. 341 ეზრახა A, ეზრახა B. 342 ირე A. 343 მზაკუარი AB. 344 ზიარებდა B. 345 ეზრახსებრე AB. 346 შდ AB. 347 მსს]და AB. 348 ქუეყანი AB. 349 მაცთურისა B. 350 ნიშნად A. 351 კავკასისა B. 352 მოვიდა B. 353 სომხითისა AB. 354 მტკურისა B. 355 არარატს A. 356 გარდამანს A. 357 ძორ[ფ]ორს A, ძორფორს B. 358 უწყესოთა AB. 359 მით] + მიერ B. 360 აღავსო A. 361 ქუეყანა B. 362 არარატს A. 363 კათალიკოზისათა A. 364 ბიჯნის AB. 365 დაძულებული AB. 366 ძალი—B.

წლისა, წარმდები და განმჯრწნელი³⁶⁶ სომხითისაჲ, და მოწაფენი მისნი³⁶⁷ დაბერებით ეამ ერთ მადრევანს, ელივარდს³⁶⁸ და თეოდორე-წმიდას. და მერმე ისრაელ³⁶⁹ კათალიკოზისაგან და გრიგოლ ერისთვისა განისხნეს და უკანდნეცს³⁷⁰ ყოველსა სომხითსა, აქა და იქი, ქალაქთა და სოფელთა, საცთურაჲ კაცთა ვიდრემდე დღენდელად დღედ და მოაქამომდე.

367 განმჯრწნელი AB. 368 მისნი + და AB. 369 ელივარს A. 370 იცლ B.

ალექსანდრე გამყრელიძე

1971 წლის 28 აგვისტოს გარდაიცვალა ალექსანდრე გამყრელიძე, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე უკანასკნელი 5 წლის მანძილზე, ხოლო მანამდე — 20 წელიწადი ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.



ალექსანდრე გალაქტიონის ძე გამყრელიძე დაიბადა 1918 წლის 30 ოქტომბერს შშრომელი, პატიოსანი და დარბაისელი მოქალაქეების ოჯახში.

საშუალო განათლება მიიღო თბილისის 26-ე საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1936 წელს წარჩინებით. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დასავლეთ ევროპის ენათა და ლიტერატურის განყოფილებაზე ინგლისური ენისა და ლიტერატურის

სპეციალობით. ახალგაზრდა, რომელიც საშუალო სკოლაშივე გამოირჩეოდა ნიჭით, ცოდნის სიყვარულითა და სიბეჯითით, კარგი ხელმძღვანელის ხელში მოხვდა — საქართველოში ინგლისური ფილოლოგიის ფუძემდებელი, მრავალმხრივ განათლებული სპეციალისტი, მეტისმეტად თავისებური და სწავლადუნარიანი პიროვნება, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ერეკლე ტატიშვილი ედგა სათავეში იმ განყოფილებას, სადაც ალ. გამყრელიძე სწავლობდა. მასწავლებელსა და მოწაფეს შორის მალე დამყარდა ძალიან მკიდრო კონტაქტი, რომელმაც გადაწყვეტი როლი ითამაშა ალექსანდრე გამყრელიძის პიროვნების ჩამოყალიბებაში, მისი შემდგომი მოღვაწეობის წარმართვაში.

1941 წელს უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ ალექსანდრე გამყრელიძე ერეკლე ტატიშვილის რჩევით შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში კლასიკური ფილოლოგიის სპეციალობით. ასპირანტურის სრული კურსი მან გაიბრა ს. ყაუხჩიშვილის ხელმძღვანელობით და დაამთავრა 1944 წელს. ასპირანტობის დროიდან ალექსანდრე გამყრელიძე კითხულობდა ლექციებს ბერძნულ და ლათინურ ენებსა და ანტიკური ლიტერატურის ისტორიაში, ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო შემდეგ თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში, იგი იყო შესანიშნავი ლექტორი, პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე და მომთხოვნი მასწავლებელი.

1945—65 წლებში ალ. გამყრელიძე მუშაობდა მეცნ. აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის და შემდეგ მის ბაზაზედ შექმნილ წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. ამავე დროს მას ინსტიტუტში ჰქონდა სხვადასხვა დატვირთვა — ის იყო ინსტიტუტის სწავლული მდივანი, ადგილკომის თავმჯდომარე, პარტიუროს მდივანი და სხვ. ყველა ამ მოვალეობას ალექსანდრე გამყრელიძე პირნათლად და მისთვის დამახასიათებელი კეთილსინდისიერებით ასრულებდა.

ალექსანდრე გამყრელიძე ღრმა ერუდიციისა და მრავალმხრივ მეცნიერული ინტერესების მქონე მოღვაწე იყო. სრულიად ახალგაზრდა იგი დაინტერესდა ძველი ბერძნული სალიტერატურო ჟანრების საწყისების კვლევით წინაბერძნული მოსახლეობის კულტურის საკითხებთან დაკავშირებით, უფრო კონკრეტულად — ძველი ბერძნული ელევგის გენეზისის საკითხით და 1948 წელს მან ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ტირტეოსის საბრძოლო ელეგიები“ (მასალები ძველი ბერძნული ელევგის გენეზისის საკითხისათვის, 10 თაბ). შრომაში ავტორი ასახულებს დებულებას ძველი ბერძნული ელევგის მცირეაზიული წარმოშობის შესახებ და ამ დებულების ნათელსაყოფად დაწვრილებით განიხილავს როგორც ბერძნული ელევგის მასალას, ისე მის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას (უძველესი ხანიდან უახლოეს გამოკვლევებამდე).

შემდეგი ხანის სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა უმთავრესად ეხება საქართველოს შესახებ ბიზანტიელი და რომაელი მწერლების ცნობების შესწავლას, თარგმნას, კომენტირებას და პუბლიკაციას; საქართველოსა და რომის, საქართველოსა და ბიზანტიის ჟურთიერთობის საკითხებს.

ამ დარგის ნაშრომთა შორის აღსანიშნავია „ნიკიფორე კონსტანტინეს-
ლელის ცნობები ირაკლი კეისრის საქართველოში ლაშქრობის შესახებ“
(დაბეჭდილია კრებულში „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა-
თვის“ ნაკვ. 31, 1955 წ.), სადაც გამოვლენილია ქართულ სამეცნიერო ლიტერა-
ტურაში მანამდე უცნობი ისტორიკოსის ცნობები ირაკლი კეისრის საქართველო-
ში ლაშქრობის შესახებ; ამ ძეგლის ცნობები შეპირისპირებულია სხვა წყაროების
ცნობებთან, კერძოდ ძველ ქართულ ლიტერატურაში ცნობილ საისტორიო
ძეგლთან, რომელიც კონსტანტინოპოლის იმ დროს მომხდარ გარემოცვას ეხება
და საგულისხმო დასკვნებია გაკეთებული როგორც ამ ძეგლის წარმომავლობა-
ზე, ისე მასში გადმოცემული ამბების სარწმუნოობის შესახებ. ალ. გამ-
ყრელიძის აზრით, ნიკიფორეს ტექსტის სათანადო ადგილზეა ძალიან ჰგავს ქარ-
თული ძეგლის ნაწილები და შესაძლებელი ხდება ზოგი ქართული ბუნდოვანი
ადგილის გამართვაც კი. მაგრამ, მიუხედავად ამისა მკვლევარი ასკვნის იმასაც,
რომ აღნიშნული ბერძნული ძეგლი არ უნდა იყოს ქართულის უშუალო წყარო.

ამავე რიგისაა ალ. გამყრელიძის მიერ 1960 წელს გამოქვეყნებული ნა-
შრომი „მიქელ პანარეტოსის ტრაპიზონის ქრონიკა“, ბერძნული ტექსტი ქარ-
თული თარგმანით, შესავლითა და ვრცელი კომენტარებით („მასალები საქარ-
თველოსა და კავკასიის ისტორიისთვის“ ნაკვ. 33, 1960 წ. გვ. 1—98). მიქელ პა-
ნარეტოსი ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს ტრაპიზონის იმპერიის ის-
ტორიის შესწავლისათვის. ტრაპიზონის იმპერია კი, როგორც ცნობილია. საქარ-
თველოს მაშინდელი მთავრობის ხელისშეწყობით დაარსებული სახელმწიფოა,
რომელიც მთელი თავისი არსებობის მანძილზე მჭიდრო ურთიერთობაში იყო
ჩვენს ქვეყანასთან. ამავე დროს ისიც მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ტრაპიზონის
იმპერია ძველთაგანვე ქართველური ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე
ჩამოყალიბდა და ამდენად ამ მხრივაც მნიშვნელოვანია ამ ძეგლის ტექსტის ჯე-
როვანი მეცნიერული გამოცემა და შესწავლა.

ალ. გამყრელიძის დიდი შრომა აქვს დახარჯული, რათა ქრონიკის ბერძნული
ტექსტი სათანადო მეცნიერული სრული აპარატით გაემართა იგი ითვალისწი-
ნებს ის ძეგლის გამომცემთა კითხვა-სხვაობებს და ცდილობს ზოგიერთი შეს-
წორებაც შეიტანოს დამახინჯებული ტექსტის გაგებაში. ფილოლოგიურად კარ-
გად გამართულ ბერძნულ დედანს შვენიერი ქართული თარგმანი ახლავს.
გამოკვლევასა და ვრცელ კომენტარებში საქართველოსა და ტრაპიზონის სა-
მეფოს ურთიერთობასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი უახლეს სამეცნიერო
ლიტერატურაში გამოქვეყნებულ მოსაზრებათა ნიადაგზე ახალ, ზოგ შემთხვე-
ვაში თავისებურ, სწორ გაშუქებას პოულობს.

შეიძლება ითქვას, რომ ადრინდელი, ალ. ხახანაშვილის გამოცემა რუსული
თარგმანითურთ ამ გამოცემის შემდეგ მხოლოდ ბიბლიოგრაფიულ მნიშვნელო-
ბას ინარჩუნებს.

ალ. გამყრელიძის გამოკვლევა, „გიორგი აკროპოლიტესი და მისი ცნობები
საქართველოს შესახებ“ XIII ს-ის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწისა და მწერ-
ლის გიორგი აკროპოლიტესის ცხოვრებისა და თხზულებების შესწავლის სა-
ფუძველზე დაწერილი ნაშრომია, რომელშიც მკვლევარი ბიზანტიელი მწერ-
ლის ძენწი, მაგრამ სარწმუნო ცნობების (ისტორიკოსი მის მიერ აღწერილი
ამბების თანამედროვეა) ანალიზის საფუძველზე საქართველოს ისტორიისათვის
ზოგ საინტერესო დასკვნას აკეთებს.

გიორგი აკროპოლიტის თხზულების ცნობებისა და ბასილი უზოსმორღლის იმ ადგილის ანალოზის საფუძველზე, რომელიც საქართველოს მეფეს კარზე გაზრდილ კომინოსების მიერ ტრაპიზონისა და შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთ მონაპოვოს სანაპიროს სხვა ქალაქების დაპყრობას ეხება, ალ. გამყრელიძე მართლიანად ასკვნის, რომ ქართული საისტორიო თხზულების ცნობები ფრიადსანდო უნდა იყოს, როგორც იმ ნაწილში, რომელიც თითქმის სრულიად ეთანხმება ბიზანტიურ წყაროს, ისე სხვა ადგილებშიც, რომელთა შემოწმება ჯერჯერობით ვერ მოხერხებულა.

ამავე ხასიათის ნაშრომთაგან აღსანიშნავია „ლაონიკოს ხალოკონდილის და მისი ცნობები საქართველოს შესახებ“, რომელშიაც შესწავლილია ბიზანტიის იმპერიის დამხობის ხანის ერთ-ერთი მეისტორიის ცხოვრება და მის თხზულებაში დაცული ცნობები საქართველოს შესახებ.

ამ ცნობათა ანალოზი ალ. გამყრელიძეს საშუალებას აძლევს ჯერ ერთი, გამოავლინოს საქართველოს ისტორიისათვის საინტერესო მასალა, და მეორე — წვლილი შეიტანოს იმით ამ მწერლის ცხოვრების შესწავლის საქმეში. მაგ., ხალოკონდილის წიგნში შამადავლე დადიან გურიელის ხსენება სამართლიანად აფიქრებინებს მკვლევარს, რომ ეს ცნობა დამადასტურებელია ამ საისტორიო ძეგლის XV ს-ის 70-იანი წლების შემდგომ დაწერისა, რადგან ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში შამადავლეს მთავრად დაჯდომა სწორედ ამ ხანებზე ადრე არ იგულისხმება.

ასევე შესწავლილი ალ. გამყრელიძის მიერ იმავე ხანის მეორე ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსისა და სახელმწიფო მოღვაწის „გიორგი ფრანძის ცნობები საქართველოს შესახებ“. ამ ისტორიკოსის ცნობები განსაკუთრებით იმითააა ჩვენთვის მნიშვნელოვანი, რომ იგი თვითონ იყო მაშინდელ საქართველოში როგორც ბიზანტიის იმპერატორის ელჩი და საგანგებო მოციქული და საქართველოს შესახებ უმეტესად თავისი თვალით ნახულსა და განცდილს გამოგვცემს.

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მუშაობის მეორე პერიოდში ალ. გამყრელიძე ძირითადად სწავლობდა რომაელ მწერალთა ცნობებს საქართველოს ისტორიის შესახებ.

როგორც ცნობილია, ვ. ლატიშევის კრებულში *Scythica et Caucasica*, II, ერთგვარად თავმოყრილია ამგვარი მასალა, მაგრამ იგი სადღესოდ რამდენადმე მოძველებულია. ამდენად ისტორიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილების წინაშე იდგა საკითხი თვითოეული, საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით საინტერესო ავტორის მონოგრაფიულად შესწავლისა.

ალ. გამყრელიძემ მოასწრო დამუშავება ისეთი პირველხარისხოვანი რომაელი ისტორიკოსებისა და მწერლებისა, როგორებიც არიან კორნელიუს ტაციტუსი, პლინიუს უფროსი, პომპონიუს მელა, ამიანუს მარცელინუსი, პომპეუს ტროგუსი, ავუსტუსის მესტორიენი და სხვ. ყველა ეს ნაშრომი შესრულებულია უახლესი გამოცემების მიხედვით — მოყვანილია ლათინური ტექსტი, თავისი კითხვა-სხვაობებით, მისი ქართული თარგმანი, რასაც წინ უძღვის ვრცელი გამოკვლევა და თან ახლავს დაწვრილებითი, ვრცელი კომენტარები.

ამათგან ზოგიერთი უკვე გამოქვეყნებულია. მაგ., „ამიანე მარცელინე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ“ შესულია „გეორგიის“ I ტომში („გეორგიკა“, I, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები და-

ურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1961, გვ. 75—165). ამიანუს მარცელინუსი, საყოველთაოდ მიღებული აზრის თანახმად, მსოფლიოს უდიდეს მწერლად ითვლება ტაციტუსიდან მოკიდებული დანტემდე და ამავდროულად დროს ისიც ვასათვალისწინებელია, რომ ობიექტურობითა და ფართო ისტორიული თვალთახედვის თვალსაზრისით ამიანუსს ამჯობინებენ ტაციტუსს. საქართველოს ისტორიის შემსწავლელთათვის განსაკუთრებით ღირებულება ის, რომ ამიანუსის დიდი ყურადღებით ეპყრობა პროვინციათა ცხოვრებას. ზოგ საკითხს, რაც ალ. გამყრელიძის გამოკვლევაშია შეტანილი, მანამდეც ექცეოდა ისტორიკოსთა ყურადღება, ზოგი კი ალ. გამყრელიძემ შეიტანა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში (კამარები, ქანებისა და რომაელთა კავშირი, რომისა და სპარსეთის ომში იბერების მონაწილეობა და სხვ.)

„პომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ“ (გამოქვეყნებული კრებულში „ქართული წყაროთმცოდნეობა“, I. 1965 წ.) ვრცელ და სერიოზულ გამოკვლევება საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვანი რომაელი ავტორის შესახებ. ალ. გამყრელიძის გამოკვლევებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა პომპონიუს მელას მიერ „გეორგილების“ ხსენება ცნობილი მოხსენების გვერდით (როგორც ჩანს, ეს იგივე პლინიუსის „გეორგები“ არიან), რაც შესაძლოა ქართველური ტომებისათვის შემდეგ ხანებში გავრცელებული სახელწოდების აღრინდელი გამოყენება იყოს; ამას გარდა უნიკალურია პომპონიუს მელას მიერ ფასისის დამაარსებლის, თემისტაგორა მილეტელის ხსენება; მართალია, სხვა წყაროებიც აღნიშნავენ ფასისის კოლონიზაციას მილეტელთა მიერ. მაგრამ ასე კონკრეტული ცნობა სხვას არავის აქვს. ასევე მნიშვნელოვანია პომპონიუს მელას მიერ ხსენება კასპიის კარისა და არმენიის კარისა (ორივე სამხრეთ მთიანეთშია და არა კავკასიონის ქედის მიდამოებში), რისთვისაც ვ. ლატიშევს თავის დროზე არ მიუქცევია ყურადღება).

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა ძვირფას წყაროს წარმოადგენს საერთოდ მსოფლიო ისტორიისათვის კორნელიუს ტაციტუსი (50—117 წწ) და კერძოდ კიდევ საქართველოს ისტორიისათვის. მისი როგორც „ანალები“ ისე „ისტორიები“ მრავალ მნიშვნელოვან საკითხთან ერთად ეხებიან საქართველოს საგარეო და საშინაო ცხოვრებას, ძირითადად ახ. წ. I-ს-ისას (ფარსმანი, რადამისტი, მიპრდატი...). ისინი შეიცავენ უნიკალურ მასალას, რომელიც შეუქს ჰფენს იბერიისა და რომის ურთიერთობას, იბერიის საგარეო პოლიტიკას და სხვ., რის ვათვალისწინების გარეშეც ძნელია ამ პერიოდის საქართველოს ისტორიაზე სწორი წარმოდგენის ქონა. ალ. გამყრელიძის 15-თაბახიანი ნაშრომი „ტაციტუსი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ“ ჩაბარებულია წარმოებაში და, იმედია მალე გამოქვეყნდება.

ასევე მზადაა გამოსაქვეყნებლად ალ. გამყრელიძის ნაშრომი „პლინუს უფროსის ცნობები საქართველოს შესახებ“ (12 თაბ.), სადაც მონოგრაფიულადაა შესწავლული ამ მნიშვნელოვანი, მეტიმეტად რთული ავტორის თხზულება და ბევრი საინტერესო ცნობა. საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვანი მასალა საგულდაგულოდ არის გაანალიზებული და სხვა ბერძნულ-რომაულ ცნობებთან შეჯერების საფუძველზე დადგენილი.

ალ. გამყრელიძის სამეცნიერო ინტერესები არ შემოიფარგლებოდა ბერძნულ-რომაულ-ბიზანტიური სამყაროთი. პირიქით, ის შეიძლება ითქვას, რომ ბერძნულ-რომაული კულტურა, მწერლობა მას აინტერესებდა არა მხოლოდ თა-

ვისთავად, არამედ როგორ ფონი, როგორც წყარო ქართული კულტურის, საქართველოს ისტორიის საკითხების რკვევისას.

მას აქვს ნაშრომები, რომლებიც საკუთრივ საქართველოს ისტორიის შესახებ თხზება ეხება, ქართულ წყაროთა ანალიზზე დაფუძნებული. ამ მხარეზე უნდა აღვნიშნავთ მისი წერილები: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთაინს ერთი ადგილის წაკითხვისათვის“ (მიმოხილველი, II, 1951 წ.) და „თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულების ერთი ადგილის გარკვევისათვის“ („მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 30, 1954 წ.).

პირველი მათგანი ეხება „ისტორიათა და აზმათა“ იმ ადგილს, სადაც მოხსენებული არიან თამარის მამის, გიორგი III-ის მოკავშირენი, ქვეშევრდომნი და მეგობარნი და სადაც მოყვანილია ჩაღხის სახელი „ბერეთანი“. ალ. გამყრელიძეს ეეჭვება სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, თითქოს ეს სიტყვა წარმოადგენს „ბერიუთელი“-ს დამახინჯებულ ფორმას და იგი ტოვებს „ბერეთანი“-ს, ან „ბერიუთელი“-ს, რაც მიაჩნია აბაშთა და არაბთა ქვეყნებთან ახლოს მდებარე ქვეყნის თუ ქალაქის მცხოვრებთა აღმნიშვნელ სიტყვად.

მეორე სტატია ეხება ბასილი ეზოსამოძღვრის თხზულების იმ ადგილის განმარტებას, სადაც ნახმარია სიტყვა „საბელი“, სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე გაურკვეველი. სტატიაში სრულიად დამაჯერებულად არის გამოკვლეული, რომ ეს ადგილი ეხება თამარ მეფის შედარებას ლეგენდარულ ბიბლიურ საბას ღედოფალთან.

საქართველოს ისტორიისათვის ფრიალ მნიშვნელოვანი ეპიგრაფიკულ ძეგლებისადმი მიძღვნილი ალ. გამყრელიძის ორი წერილი: „უძველესი ქართული წარწერების აღმოჩენა პალესტინაში“ და „ახლად აღმოჩენილი ლათინური წარწერა ფარსმან მეფისა“, რომლებიც ქართულ ენაზე პირველი წერილობითი გამოხატულება პალესტინასა და იტალიაში მოპოვებული ამ საყურადღებო აღმოჩენების შესახებ.

სხენებული წერილები შეიცავენ ავტორისეულ საინტერესო მოსაზრებებსაც, როგორცაა მაგალითად, ქართულ წარწერაში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაცია და წარწერის დათარიღება, აგრეთვე ცდა ლათინური წარწერის ზოგი დაზიანებული ადგილის სავარაუდო აღდგენისა და სხვა.

შუა საუკუნეების სახელგანთქმული სასულიერო რომანის „ბალავარიანის“ კვლევის პრობლემებს ეძღვნება ალ. გამყრელიძის რამდენიმე წერილი, რომელთა შორის აღსანიშნავია: „კამათი ბალავარიანის გარშემო (ქურნალი „ცისკარი“, 1958, № 3) და „ბელგაელი მეცნიერი ბალავარიანის ერთი საკითხის შესახებ“. პირველ მათგანში განხილულია ბერძნული ბალავარიანის თაობაზე ბოლო ათეულ წლებში უცხოეთში დიდად გახმაურებული მეცნიერული კამათის საკითხები და მოსაზრებანი ამ კამათში მონაწილე ორი მთავარი ჯგუფისა, რომელთაგან ერთი ცნობს ექვთიმე ათონელის ღვაწლს ბერძნული ვერსიის შექმნაში, მეორე კი ცდილობს გააბათილოს ქართულ-ბერძნულ-ლათინურ წყაროების ის ცნობები, პირველი ჯგუფის მკვლევართა მოსაზრებებს რომ ადასტურებენ.

მეორე წერილში ალ. გამყრელიძე მეცნიერული საბუთიანობით აკრიტიკებს და უუაღვრებს ბელგაელი ქართველოლოგის პროფ. ე. გარიტის ნაშრომში წამოყენებულ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ეშვს ქვეშა დაყენებულ გიორგი ათონელის „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრების“ ცნობილი ადგილი — ექვთიმე ათონელმა ბალავარიანი ქართულიდან ბერძნულად თარგმნაო.

ალ. გამყრელიძე გიორგი ათონელის თხზულების ხსენებული ანალიზისა და სხვა მნიშვნელოვანი წყაროების დამოწმებით საკმაოდ დამაჯერებლად ამტკიცებს უ. გარიტის ამ მოსაზრების შეცდომას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1965 წლიდან ალ. გამყრელიძემ ხელნაწერთა ინსტიტუტში, სრულიად ბუნებრივია, რომ ამასთან დაკავშირებით მის მოღვაწეობის სფერო თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც უნდა შეცვლილიყო. იგი დიდი ინტერესით ჩაება საინსტიტუტო მუშაობაში. მონაწილეობდა და ხელმძღვანელობდა ისეთ ტექსტების მომზადებას გამოსაცემად, როგორცაა „მრავალთავი“, ძველი პალიმფსესტები, ბიბლიის წიგნები, ისტორიული დოკუმენტები და სხვ.

მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა გამოსაცემად და გადაეცა წარმოებას IX ს-ის ძველი „დიდი სჯულის კანონი“.

ალ. გამყრელიძე უკანასკნელი 3 წლის მანძილზე ინტენსიურად მუშაობდა ნონეს მითოლოგიურ კომენტარებზე, რომლებიც ბასილი დიდის თხზულებების მიმართ არის შედგენილი. ნაშრომის ყველაზე მძიმე და სერიოზული ნაწილი უკვე დასრულებულია — ტექსტი მზადაა გამოსაცემად, ისე რომ კვალიფიციური რედაქტორის მცირეოდენი წამუშავების შემდეგ იგი თავისუფლად შეიძლება გამოიცეს.

ალ. გამყრელიძის უკანასკნელი პატარა მონოგრაფია ეხება ხელნაწერთა ინსტიტუტს. აქ მიმოხილულია და შეფასებული ის უმდიდრესი ფონდები, რომლებიც ამ ინსტიტუტშია დაცული და არც ისაა უყურადღებოდ დატოვებული, თუ როგორ მუშაობს მთელი კოლექტივი ამ ფონდების დაცვასა და გამოქვეყნებაზე. ალ. გამყრელიძის ეს მონოგრაფია ივარაუდება, რომ გამოიცემა 3 ენაზე ილუსტრაციებითურთ.

ალ. გამყრელიძე წმინდა მეცნიერული, ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევითი მუშაობის გარდა დიდი ხალისით ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობასაც. მან შესანიშნავად იცოდა ქართული ენა და ასევე კარგად ინგლისური. მრავალი ინგლისური ნაწარმოები არის მთარგმნილი ქართულად მის მიერ. ასეთები: უ. თეკერის „ამაოების ბაზარი“ (I და II ტ.), ფ. კუპერის „უკანასკნელი მოპიკანი“, სტივენსონის „განძის კუნძული“ და „შავი ისარი“, ჯ. ლონდონის „თეთრი ეშვი“, კეროლის „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“, გოლზუორთის „ეაშლის ყვავილი“, ედგარ ჰოს „ოქროს ხოჭო“ და სხვ.

ალ. გამყრელიძე იყო შესანიშნავი რედაქტორი და სტილისტი. მისი რედაქტორობით არა ერთი წიგნია გამოსული. მაგ., თ. ყაუხჩიშვილის „სტრაბონის გეოგრაფია“ (1957 წ.), მისივე „აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია“ (1959). მისივე „ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ“ (1965 წ.), ელ. მეტრეველის „ძლისპირნი“ (1971 წ.) და სხვ.

ალ. გამყრელიძის სახით ქართულმა საბჭოთა მეცნიერებამ დაპყარვა ფართოდ განათლებული, უაღრესად კეთილსინდისიერი, გარეგნულად თითქოს უჩინარი, მაგრამ არსებითად ძალიან ნაყოფიერი მეცნიერი მუშაკი, საზოგადო მოღვაწე და მოქალაქე, რომლის ხელიდანაც, რომ დასცლოდა, კიდევ ბევრი სასარგებლო რამ გამოვიდოდა.

თ. ყაუხჩიშვილი.

შიგავსი—СОДЕРЖАНИЕ

ლ. დავლიანიძე, ლეონტი მროველის ერთი ცნობის განმარტებისათვის	5
Л. С. Давлианидзе, К толкованию одного сообщения Леонтия Мровели (Резюме)	7
მ. გაბაშვილი, თბილისი 1082—1122 წლებში	8
М. В. Габа швили, Тбилиси в 1082—1122 годах (Резюме)	21
ალ. აბღალიძე, სომხურ ხელნაწერთა ანდერძნაშაგები და მათი მნიშვნელობა XII—XIII საუკუნეთა საქართველოს ისტორიისათვის	23
А. П. Абдаладзе, Памятные записи армянских рукописей и их значение для истории Грузии XII—XIII веков (Резюме)	31
თ. ენუქიძე, XIII საუკუნის ქართული სამოხელეო ტერმინი „მესაყვიჩაყე“	33
Т. П. Енукидзе, Грузинский должностной термин XIII века «месакивчаке» (Резюме)	35
რ. კიკნაძე, ერთი გეოგრაფიული სახელის განმარტებისათვის ეამთააღმწერლის თხზულებაში	36
Р. К. Кикинадзе, К разъяснению одного географического названия в сочинении грузинского анонимного историка XIV века (Резюме)	43
კ. ტაბატაძე, ისევ ფ. გორგიჯანიძის საისტორიო თხზულების XV საუკუნის წყაროების საკითხისათვის	41
К. Г. Табатадзе, Еще раз об источниках XV века исторического сочинения П. Горгиджанидзе (Резюме)	55
ნ. შენგელია, სოლაქ-ზადე საქართველოს შესახებ	56
Н. Н. Шенгелия, Солак-заде о Грузии (Резюме)	64
გ. ალასანია, ქათბი ჩელების „ჯიჰან-ნუმა“ და მისი ცნობები საქართველოს შესახებ	65
Г. Г. Аласаниа, «Джихан-нума» Кятиба Челеби и его сведения о Грузии (Резюме)	77
მ. გობეჯიშვილი, ს. ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ როგორც წყარო სეფიანთა სახელმწიფოს ისტორიისათვის	78
М. Г. Гобеджишвили, «История царей» Сехниа Чхеидзе как источник по истории государства сефевидов (Резюме)	99
მ. ბერძენიშვილი, ქალაქური ეკონომიკის ტერმინოლოგიიდან	101
М. М. Бердзенишвили, Из городской экономической терминологии (Резюме)	105
ბ. სილაგაძე, ოსმალეთის აღმოსავლეთის პროვინციების სერასკერის მუჰამედ სალიძის მიმართვა კავკასიის მუსლიმანი მოსახლეობისადმი	108
Б. Г. Силагадзе, Обращение сераскира восточных провинций Османской империи Мухаммеда Салиха к мусульманскому населению Кавказа (Резюме)	116
	153

მაქს. ბერძნიშვილი, წერილი „რაიმე რუსთაველისათვის“ და მისი ავტორი ლ. ა. ბ. 117
М. Д. Бердзნიшвили, По поводу статьи «Кое-что о Руставели» и его авто-
ре Л. А. Д. (Резюме) 126



ბიბლიოგრაფია

ქართული
ბიბლიოგრაფია

ზ. ალექსიძე, არსენი საფარელის „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“	127
თ. ყაუხჩიშვილი, ალექსანდრე გამყრელიძე (ნეკროლოგი)	146
Т. С. Каухчишвили, Александр Гамкrellidze (некролог)	146



დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

გამომცემლობის რედაქტორი დ. ბაქრაძე
ტექნოლოგიური ლ. ჭვებუნაძე
მხატვარი გ. ნადირაძე
კორექტორი ნ. კოკონაშვილი

გადაეცა წარმოებას 15.6.1972; ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.12.72
ქალაქის ზომა 70 × 108¹/₁₆; ქალაქი № 2; ნაბეჭდი თაბახი 13.65; საარტიცხო-
საგამომცემლო თაბახი 11.66; უე 01239; ტირაჟი 1000; შეკვეთა 1722
ფასი 1 მან. 16 კაბ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19.
Издательство «Мецниереба», Тбилиси 380060, Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН ГССР, Тбилиси 380060, Кутузова, 19

ГРУЗИНСКОЕ ИСТОЧНИКОВЕДЕНИЕ

IV

239/114



ქართული
ბიბლიოთეკა